
შენი თაობის
არჩევანი
მბეჭდი
ლუის ლოური
THE GIVER
LOIS LOWRY

LOIS LOWRY

THE GIVER

ლუის ლოური

გამღები[1]

ინგლისურიდან თარგმნა დათო აკრიანმა

[1] *გამღები: ანუ ის, ვინც, ერთი მხრივ, გიღებს გულისა და გონების კარს, მეორე მხრივ - უშურველად გაიღებს და გინერგავს თითქმის ყველაფერს, რაც აბადია (მთარგმნ.).*

ყველა ბავშვს, ვისაც ჩვენს მომავალს ვანდობთ.

წინათქმა

ოცი წელი? ხუმრობა იქით იყოს: ოცი წელიწადი? ძნელად სარწმუნოა.

ოცი წლის წინ მე... ჰოო, მე ძალიან ახალგაზრდა ვიყავი. მშობლები ცოცხალი მყავდა. ორი შვილიშვილი ჯერაც არ დაბადებულიყო, ერთი კი - ამჟამად კოლეჯის სტუდენტი - მთლად ნორჩი იყო.

ოცი წლის წინ ფიჭური ტელეფონიც არ მქონდა. არ ვიცოდი, რა იყო კვინაუა[2] და, საეჭვოა, უკვე დაჭაშნიკებული მქონოდა ფურცლოვანი კომბოსტო.

ცოტა ხნის წინ ომი იყო. ახლა მას სპარსეთის ყურის პირველ ომად მოვიხსენიებთ. თუმცა, მაშინ, ჩვენი გულუბრყვილობით, არ ვუწყოდით, რომ პირველ ომს მეორეც მოჰყვებოდა.

შესაძლოა, იმხანად ბევრი ჩვენგანი არც კი ფიქრობდა მომავალზე. მე ვფიქრობდი. მე მწერალი ვარ.

„გამღებს“ ვბეჭდავდი დიდ მანქანაზე, რომელიც ცოტა ხნით ადრე შეენაცვლა ჩემს უსაყვარლეს საბეჭდ მანქანას, ხოლო მას შემდეგ, რაც დიდი ხმაურით დავბეჭდე გვერდები, სათითაოდ ამოვხიე პერფორირებულ კიდეებზე (როცა ეს მანქანა ჩემს კომპიუტერად მოვიხსენიე, ვიღაც ჩემზე უფრო მცოდნემ აღნიშნა, ეგ მანქანა კომპიუტერი არ არის, საგანგებო ვორდპროცესორიაო. „ოჰ, კი ბატონო, “- ვთქვი მე, ვითომცდა, მივხვდი განსხვავებას).

როდესაც ფრთხილად განვაცალკევე ის ორასამდე გვერდი, კიდევ ერთხელ დავხედე მათზე დაბეჭდილ სიტყვებს. ლამის მთელი წიგნი მქონია დაწერილი, წიგნი, რომელიც შეიცავდა მანამდე დაწერილი ჩვიდმეტამდე წიგნის ყველა ელემენტს, მოსწავ-

[2] *საკვები მარცვლოვანი მცენარე, ფართოდ კულტივირებული ანდებში.*

ლეები რომ ჩამოწერენ ხოლმე სასკოლო ტესტირებებში: ხასიათებს, სიუჟეტს, მოქმედების ადგილს, შინაგან კონფლიქტს, კულმინაციას (თუმცაღა, მისი იმედის საპირისპიროდ, არ მიპასუხია იმ მოწაფისთვის, რომელმაც რამდენიმე წლის შემდეგ მომწერა თხოვნა: „ჩამოთვალეთ, თუ შეიძლება, „გამღების“ ყველა შედარება და მეტაფორა.“ დარწმუნებული ვარ, ეს წიგნი ამათაც შეიცავდა). შეგნებულად ორაზროვანი ბოლო აბზაცების შემდეგ მეწერა დასასრული.

თუმცა, ვიცოდი ისიც, რომ ეს წიგნი განსხვავდებოდა მანამდე დაწერილი ბევრი სხვა წიგნისგან.

როცა ხელნაწერი მივეცი, ჩემი რედაქტორიც ამავე დასკვნამდე მივიდა. თუ დავხატავდი კარიკატურას, რომელზეც გამოსახული იქნებოდა ეს კაცი ამ ფურცლების კითხვის პროცესში, იქ, მის თავზემოთ, ტექსტიანი კადრი ეხატებოდა. ტექსტი სულ ერთი სიტყვა იქნებოდა: ყლაპვა.

მაგრამ ეს იყო ოცი წლის წინ. ახლა რომ დამეწერა „გამღები“, არავითარი ყლაპვა არ მოხდებოდა. დიდი-დიდი მთქნარება. მოწყენილობა. ამდენ უპერსპექტივო რომანში (ასეთები ხომ ნამდვილად ამდენია) საზოგადოებები იბრძვიან, პერსონაჟები საძაგელი სიკვდილით იხოცებიან და მთელი ცივილიზაციები ისპობა. მსგავსი არაფერი ხდება „გამღებში“. ეს იყო ინტროსპექტიული წიგნი. მშვიდი. მწირმოქმედებიანი.

„ინტროსპექტიული, მშვიდი, მწირმოქმედებიანი“, ანუ „ფილმისთვის შეუფერებელი“. „შიმშილის თამაშებში“ ქეთნის ევერდინი სხვადასხვანაირად კლავს უამრავ მოზარდ კონკურენტს. აი, ამაღელვებელი საკვები ფილმისთვის. ამ დროს ბევრი ბატიბუტი იყიდება ხოლმე. მაგრამ რამდენი გაიყიდება იქ, სადაც ველოსიპედზე შემომჯდარი ჯონასი თავის მომავალზე ფიქრობს? არც ისე ბევრი. მართალია, უფლება „გამღების“ ეკრანიზაციისთვის

ადრევე გაიყიდა, წლების მანძილზე მაინც ბორძიკით და შეჩერებებით ადგებოდა საშველი. ირგვლივ კი სცენარს სცენარზე უკვეთდნენ (მათგან არც ერთი არ იყო ჩემი), აწერინებდნენ და - აღარ იღებდნენ.

ამასობაში, მკითხველთა ენთუზიაზმი არ ცხრებოდა. იმთავითვე ვიღებდი ბევრ წერილს ბავშვებისგან, ხშირად სასკოლო დავალებისთვის დაწერილს (ერთი ასე იწყებოდა: „ეს მეგობრული წერილია...“). წლების სვლასთან ერთად, ეს წერილები თანდათან შეცვალა იმეილებმა. მაგრამ ეს ვერ შეედრება „გამღებთან“ დაკავშირებულ კორესპონდენციებს, უწინარეს ყოვლისა რაოდენობით (თვით ახლაც კი, ოცი წლის შემდეგ, წერილების ნაკადი არ წყდება: ხანდახან დღეში ორმოცდაათი-სამოცი წერილი მომდის). თუმცა, ამჯერად, სხვა ადამიანები მწერდნენ. რასაკვირველია, ბევრი მათგანი ისევ ბავშვი იყო, მაგრამ გამაოგნებლად ბევრი გაცილებით უფროსიც გამოერია. და ამ მომართვების შინაარსიც უკვე სასკოლო დავალებას კი არ ჰგავდა, სავალდებულოდ ნათქვამ „ჩემი აზრით, ეს საკმაოდ კარგი წიგნია“-ს, არამედ შეიცავდა მხურვალე გამოთქმებს („ამ წიგნმა ჩემი ცხოვრება შეცვალა“), ზოგჯერ ბრაზიანსაც („იესოს შერცხვებოდა თქვენი!“ - მომწერა ერთმა ქალმა), ზოგჯერ კი შემაცბუნებლად პირადულს.

ერთმა წყვილმა მომწერა თავიანთ აუტისტ თინეიჯერ შვილზე, რომელიც ცოტა ხნის წინ დალაპარაკებია მშობლებს პირველად: საუბრის თემა იყო „გამღები“, რომელიც ბავშვმა დედ-მამასაც წააკითხა. სამხრეთ კაროლინელმა მასწავლებელმა მომწერა, ყველაზე რთულმა და უყოფაქცევო მოწაფემ პირადად დამირეკა არასასკოლო დღეს და მთხოვა, ტელეფონშივე წამიკითხეთ ამ წიგნის მომდევნო თავიო.

ნავთობის საწმენდი ქარხნის დარაჯი მწერდა, როგორ წააწყდა „გამღებს“ ვიღაცის მაგიდაზე შესამოწმებელი შემოვლის

დროს („მკითხველი არ ვარ, მაგრამ, საბედნიეროდ, იმ ღამეს მომიწია ცვლამ“). ტრაპისტმა ბერმა მომწერა: ჩემთვის ეს წიგნი წმინდა ტექსტიაო. ერთი კაცი უკვე სრულწლოვანებაში გაექცა კულტს, რომელშიც იზრდებოდა: „გამღების“ წაკითხვა ჩემმა ფსიქიატრმა მირჩიაო, მწერდა მოგვიანებით. უამრავმა ახალგაზრდა მშობელმა ამიხსნა, რატომ დაარქვეს თავიანთ ბავშვს გეიბრიელი. ჩინეთის სოფლის მასწავლებელმა გამომიგზავნა ფოტოსურათი, რომელზეც სახეგანათებულ მოწაფეებს თავ-თავიანთი „გამღები“ უჭირავთ ხელში. გამოძიების ფედერალური ბიურო დაინტერესდა ბუნდოვანი მუქარის შემცველი ორასგვერდიანი წერილით, რომლის გამომგზავნი იჩემებდა, მე ვარ გამღებიო, და მირჩევდა, შორს დამეჭირა თავი მისი ქალაქისგან. თინეიჯერმა გოგონამ მომწერა, როგორ ფიქრობდა თვითმკვლელობაზე, სანამ „გამღებს“ წაიკითხავდა. ერთ ჭაბუკს თავის სატრფოსთვის სწორედ ამ წიგნში ჩაუწერია ცოლად გაყოლის თხოვნა (და ის გოგოც დათანხმებია). თუმცა, მივიღე ხელნაწერი ბარათი ქალისგან, რომელსაც ეჭვი არ ეპარებოდა, რომ მე ფსიქიკა მქონდა შერყეული, და გამოთქვამდა იმედს, რომ ვინმე გამომიყვანდა ამ მდგომარეობიდან.

რაღაცნაირად, ეს წიგნი და მისი სათქმელი ბევრ ადამიანს შეეხო ცხოვრების მრავალ სფეროსა და მრავალ კულტურაში. წლების მანძილზე უამრავ ენაზე ითარგმნა, ჩეხურითა და უნგრულით დაწყებული, დამთავრებული ტაილანდურით. ამას წინათ არცთუ ხალისით უარვყავი მიწვევა მელაპარაკა „გამღებზე" ყირგიზეთსა და კორეაში, სადაც, როგორც გავიგე, მკითხველები ისევე არიან შეძრულნი ამ წიგნით, როგორც ტოლედოსა თუ ტაქსონში.

ისეთივე ზემოქმედებას მოახდენს ეკრანიზებული „გამღებიც“? ძნელი სათქმელია. წიგნი მეტისმეტად ინდივიდუალური და კერძო რამეა. მკითხველს მასში თავისი ისტორია, რწმენა-წარმოდგენები, წუხილი შეაქვს და სიმარტოვეში კითხულობს, თითოეულ სცენას საკუთარ წარმოსახვაში დგამს.

ფილმს კი ეს ყველაფერი გარეთ გამოაქვს, ხილულს ხდის. ეს მიყვარს ფილმში: თითოეული სცენის შექმნა, განათება, ფერი... ან უფერობა. თუმცა, ფილმი იძულებულია, ჩართოს ისეთი დეტალები, რომლებიც მკითხველს შეიძლებოდა სხვანაირად წარმოედგინა. კოსტიუმების მხატვარმა გადაწყვიტა, რა უნდა სცმოდათ პატარა გეიბრიელსა და სხვა ბავშვებს აღმზრდელობით ცენტრში. იქნებ შენ უკვე სხვანაირად ჩააცვი მათ შენს გონებაში? დეკორაციების დიზაინერმა შექმნა ჯონასის, ფიონასა და თემის სხვა წევრების საბინადროთა ნახაზი. თუ, ჩემი არ იყოს, ეს საბინადროები შენც განსხვავებულად წარმოგედგინა, მაშინ წარმოსახვის დაოკება და აზროვნების მისადაგება მოგიწევს. ლანდშაფტი, სადაც ჯონასი მოგზაურობს გატაცებულ ბავშვთან ერთად, არ არის ის ლანდშაფტი, ჩემს ფიქრებში რომ ვხედავდი: კინემატოგრაფი გვთავაზობს რაღაც უფრო ვრცელს, უფრო დიადსა და უსასრულოდ უფრო მტრულს თავგანწირული ბიჭისთვის, რომელიც ცდილობს, გადაარჩინოს ბავშვიცა და მთელი სამყაროც.

მნიშვნელოვანი ის არის, რომ ფილმი არ აუქმებს წიგნს. ფილმი უკვე არსებობს, მაგრამ წიგნი არ გამქრალა, მხოლოდ გაიზარდა, გაფართოვდა და სხვანაირად გაბრწყინდა.

ლუის ლოური

1

დეკემბერს აღარაფერი უკლდა და ჯონასსაც უკვე ეშინოდა. არა, ეს სიტყვა სწორი არ არისო, გაიფიქრა. შიში ნიშნავდა დამაუძლურებელ განცდას, რომ რაღაც საშინელება უნდა მომხდარიყო. შეშინებული გასულ წელს იყო, როდესაც უცხო თვითმფრინავმა ორჯერ გადაუფრინა თემს. მან ის ორჯერვე შენიშნა. ცას თვალებმოჭუტულმა ახედა და დაინახა, როგორ ჩაიფრინა სლიპინა თვითმფრინავმა თითქმის განთხეულმა ლაქამ - დიდი სისწრაფით, მეორე წამს კი გრიალიც მოიყოლა. სულ მალე კი იმავე თვითმფრინავმა საპირისპირო მხრიდან ჩაიგრგვინა.

თავიდან ჯონასი მოიხიბლა. არასოდეს უნახავს თვითმფრინავი ასე ახლოს, რადგან თემის თავზე ფრენა პილოტების წესდებას ეწინააღმდეგებოდა. დროდადრო, როცა სატვირთო თვითმფრინავებს მდინარის გადაღმა დასაჯდომ მინდორზე სურსათი ჩამოჰქონდათ, ბავშვები თავ-თავიანთი ველოსიპედებით ნაპირზე გადიოდნენ და ინტერესით უთვალთვალებდნენ ჯერ ტვირთის ჩამოცლას, მერე კი წაღებას დასავლეთისკენ, მუდამ - თემიდან შორს.

მაგრამ ის შარშანდელი თვითმფრინავი სხვანაირი იყო: არა განიერი, დიდმუცელა სატვირთო, არამედ ერთპილოტიანი, ნემსივით წაწვეტებული ცხვირით. აფორიაქებულმა და ირგვლივ მაცქერალმა ჯონასმა დაინახა სხვები, დიდებიცა და პატარებიც, რომლებსაც თავიანთი საქმიანობა შეეწყვიტათ და შეცბუნებულები ელოდნენ ამ დამაფრთხობელი მოვლენის ახსნას.

მალე ყველა მოქალაქეს ებრძანა, შეფაროდნენ უახლოეს შენობას.

- დაუყოვნებლივ, - გამოაცხადა ჭრიალა ხმამ რუპორებში, - ველოსიპედები იქვე დატოვეთ, სადაც ხართ.

მეყსეულად და მორჩილებით, ჯონასმა ველოსიპედი თავისი საბინადროს უკან, ბილიკზე დააგდო და შინ შევარდა. იქ მარტო აღმოჩნდა, მშობლები სამსახურში იყვნენ, პატარა დაიკო - ლილი - საბავშვო ცენტრში, სადაც სკოლის შემდეგ მიდიოდა ხოლმე.

წინა ფანჯრიდან არავინ დაუნახავს: არც რომელიმე გულმოდგინე მეეზოვე, არც დეკორატორი მებაღე ან საკვების დამტარებელი - არც ერთი იმათგან, დღის ამ პერიოდში რომ ტრიალებდნენ თემის ტერიტორიაზე. მხოლოდ აქა-იქ მიწვენილი ველოსიპედები ჩანდა. ერთ-ერთის ზემოთ აშვერილი ბორბლები ჯერ ისევ ნელა ტრიალებდა.

აი, მაშინ შეშინდა. თავისი ხმაგაკმენდილი, მომლოდინე თემის დანახვამ გულ-მუცელი გადაუტრიალა. აკანკალდა.

არადა, სინამდვილეში არაფერი აღმოჩნდა. რამდენიმე წუთში რუპორებმა ისევ დაიჭრიალა და ხმამ - ამჯერად გამამხნევებელმა და ხალისიანმა - აუხსნა: საწვრთნელი ფრენისას პილოტს სანავიგაციო ინსტრუქცია აერია და მცდარი ტრაექტორია მოხაზა, მერე კი, სასოწარკვეთილმა, შეუმჩნევლად უკან დაბრუნება სცადაო.

- თქმა აღარ უნდა, რომ ამ პილოტს გაუშვებენ, - წარმოთქვა ხმამ, რის შემდეგაც სიჩუმემ დაისადგურა. ამ ბოლო შეტყობინებაში ირონიული ნოტი ერია, თითქოს სპიკერს ეს ამბავი თავშესაქცევად მიაჩნდა. ჯონასს გაეღიმა, თუმცა, იცოდა, რაოდენ მკაცრ დადგენილებას გულისხმობდა სპიკერი. მოქალაქისთვის თემიდან გაშვება ნიშნავდა სასტიკ სასჯელს, მარცხის დადასტურებას, შემაძრწუნებელ საბოლოო განაჩენს.

ბავშვებსაც კი ტუქსავდნენ, თუ ამ სიტყვას თამაშისას გამოიყენებდნენ და თანაგუნდელს ბურთის დაკარგვის ან სირბილში წაფორხილებისთვის დასცინებდნენ. ერთხელ ჯონასსაც წამოსცდა ეს სიტყვა, როდესაც თავის საუკეთესო მეგობარს გასძახა:

- აჰა, აშერ! ახლა კი გაგიშვებთ!

მაშინ აშერის უხეშმა შეცდომამ მათ გუნდს მატჩი წააგებინა. მწვრთნელმა ჯონასი განზე გაიხმო მოკლე და სერიოზული საუბრისთვის. შეცბუნებულმა ჯონასმა დანაშაული იგრძნო და თავი ჩაჰკიდა, აშერს კი ბოდიში მოუხადა.

ახლა ველოსიპედით მდინარის გასწვრივ ბილიკს სახლისკენ მიუყვებოდა და ისევ შიშზე ფიქრობდა. გაახსენდა, როგორ დაზაფრა თავს ზემოთ გადაქროლილმა თვითმფრინავმა - ლამის გულ-მუცელი ამოუტრიალდა. დეკემბრის მოახლოების გამო კი ასეთს არაფერს გრძნობდა და ამიტომ თავისი განცდის შესაფერის სიტყვას ეძებდა.

ჯონასი ენას ფრთხილად ეკიდებოდა. სულაც არ ჰგავდა თავის მეგობარ აშერს, რომელიც სხაპასხუპით ლაპარაკობდა, სიტყვებს და ფრაზებს ერთმანეთში ისე ურევდა, ვერ გაიგებდი, რას ამბობდა და ხშირად მისი ნათქვამი ძალიან სასაცილო გამოდიოდა.

ჯონასს ჩაეღიმა: გაახსენდა დილა, როცა აშერი კლასში შემოვარდა, ჩვეულებისამებრ, დაგვიანებულ-აქოშინებული და დილის ჰიმნს ძლივს შემოუსწრო. პატრიოტული ჰიმნის დასრულების შემდეგ ბავშვები თავ-თავიანთ ადგილებზე დასხდნენ, აშერი კი ისევ ფეხზე იდგა, რათა, როგორც მოსთხოვეს, საჯაროდ მოეხადა ბოდიში.

- ჩემს მეგობრებს ბოდიშს ვუხდი გალობაში ხელის შეშლისთვის.

აშერმა ეს სტანდარტული ფრაზა ფაცხაფუცხით და ჯერაც აქოშინებულმა წარმოთქვა. ინსტრუქტორი და კლასი მოთმინებით ელოდნენ ახსნა-განმარტებას. ყველა მოწაფე იღიმებოდა, რადგან უწინაც ბევრჯერ მოესმინათ აშერის ახსნა-განმარტებები.

- შინიდან დროულად გამოვედი, მაგრამ საინკუბაციო სადგურს რომ ჩავუქროლე, დავინახე, როგორ ახარისხებდნენ ორა-

გულს და ამის ყურებამ დამაბნია. ბოდიშს ვუხდი ჩემს თანაკლასელებს, - დაამთავრა აშერმა, დაჭმუჭნილი ჟაკეტი გაისწორა და დაჯდა.

- ვიღებთ შენს ბოდიშს, აშერ, - თქვა ინსტრუქტორმა ღიმილით, და გმადლობ კიდევ ერთი გაკვეთილის ჩატარებისთვის ლინგვისტიკაში. მაგრამ როცა ორაგულის დახარისხებას უყურებ, სიტყვა დაბნევა მეტისმეტია.

მერე მიბრუნდა და დაფაზე დაწერა სიტყვა დაბნეული, რომელსაც გვერდით მიუწერა გაფანტული.

ამ მოგონებამ ჯონასი გაახალისა. ის სახლს უახლოვდებოდა და იღიმებოდა. მერე კი, როცა ველოსიპედი ვიწრო სადგომში შეჰყავდა, უცებ მიხვდა - შეშინებული შეუფერებელი სიტყვა იყო - მეტისმეტად ძლიერი ზედსართავი იმ გრძნობის გამოსახატავად, დეკემბრის მოახლოება რომ აღუძრავდა.

დიდი ხანია, ელოდა ამ განსაკუთრებულ დეკემბერს და ახლა, როდესაც ის კარს მოადგა, ჯონასს არ ეშინოდა. კი არ მეშინია, არამედ... ერთი სული მაქვსო, გადაწყვიტა. ერთი სული ჰქონდა, როდის დადგებოდა დეკემბერი. და, რაღა თქმა უნდა, ღელავდა. ყველა თერთმეტიანი აღელვებით ელოდა იმას, რაც კარზე მოსდგომოდათ.

თუმცა ხანდახან, როცა ფიქრობდა, რა შეიძლებოდა მომხდარიყო, ნერვიულობით ოდნავ შეაჟრჟოლებდა ხოლმე.

„ჩემში განგაშია, აი, რა მჭირს,“ - გადაწყვიტა ბოლოს.

***

- აბა, ვის სურს, პირველმა გაგვიზიაროს თავისი გრძნობები? - იკითხა ჯონასის მამამ ვახშმის შემდეგ.

საღამოობით გრძნობების გაზიარება იყო ერთ-ერთი რიტუალი. ზოგჯერ ჯონასი და მისი და, ლილი, კამათობდნენ კიდეც, ვინ იქნებოდა პირველი. რა თქმა უნდა, რიტუალში მშობლებიც მონაწილეობდნენ, ისინიც უზიარებდნენ ოჯახის წევრებს

თავიანთი გრძნობებს ყოველ საღამოს, მაგრამ ყველა სხვა მშობლის და ყველა უფროსის მსგავსად, არ ჩხუბობდნენ და პირველობას არ იჩემებდნენ.

ეს არც ჯონასს უქნია ამ საღამოს. ამჯერად გრძნობები მეტისმეტად ჩახლართოდა. რა თქმა უნდა, ოჯახისთვის თავისი განცდების გაზიარება უნდოდა, მაგრამ თავს არ იკლავდა, მაინცდამაინც თვითონ დაეწყო რთული გრძნობების გაანალიზების პროცესი, მიუხედავად იმისა, რომ იმედი ჰქონდა - მშობლები ყველაფრის გარკვევაში დაეხმარებოდნენ.

- დაიწყე, ლილი, - უთხრა დას.

ლილი - უმცროსი, ჯერ სულ შვიდიანი - მოუთმენლად ტრიალებდა თავის სკამზე.

- დღეს, ნაშუადღევს, ძალიან გავბრაზდი, - წამოიწყო ლილიმ, - ჩემი ჯგუფი სათამაშო მოედანზე იყო. ჩვენი სტუმრები - მეშვიდეკლასელები - წესებს სრულებით არ ემორჩილებოდნენ. ერთი მათგანი - ბიჭი, რომლის სახელი არ მახსოვს - სულ წინ გადიოდა სასრიალოდ, დანარჩენები კი ველოდებოდით. ძალიან გამაბრაზა. ხელიც კი მოვმუშტე, აი, ასე.

მან მომუშტული ხელი ასწია. ამ თამამი ჟესტის შემხედვარე მთელ ოჯახს გაეღიმა.

- რატომ ფიქრობ, რომ სტუმრები წესებს არღვევდნენ? - ჰკითხა დედამ.

ლილი დაფიქრდა და თავი გააქნია:

- არ ვიცი. ისე იქცეოდნენ... როგორც...

- ცხოველები? - შეაშველა ჯონასმა სიცილით.

- ჰო, ეგრე, - ლილისაც გაეცინა, - ცხოველებივით.

ბავშვმა არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს სიტყვა, რომელსაც ხშირად იყენებდნენ ვინმე გაუნათლებლის ან მოუქნელის, ვინმე შეუთავსებლის დასახასიათებლად.

- საიდან მოვიდნენ სტუმრები? - ჰკითხა მამამ.

ლილიმ შუბლი შეჭმუხნა გასახსენებლად.

- ჩვენმა ხელმძღვანელმა გვითხრა თავის მისასალმებელ სიტყვაში, მაგრამ აღარ მახსოვს. ეტყობა, არ ვუსმენდი. სხვა თემიდან მოვიდნენ. ძალიან ადრე უნდა წასულიყვნენ და სადილმა ავტობუსში მოუსწროთ.

დედამ თავი დააქნია.

- რას ფიქრობ, იქნებ მათ სხვანაირი წესები აქვთ? ან იქნებ, უბრალოდ, თქვენი წესები არ იცოდნენ?

ლილიმ მხრები აიჩეჩა და დაჰყაბულდა:

- ალბათ.

- თქვენც ხომ ყოფილხართ სხვა თემებში? - ჰკითხა ჯონასმა, - ჩემი ჯგუფი ხშირად მიდის ხოლმე სტუმრად.

ლილიმ თავი დაუქნია:

- ექვსიანები რომ ვიყავით, სხვა ექვსიანების თემში მთელი დღე გავატარეთ.

- როგორ გრძნობდი თავს იქ ყოფნისას?

ლილიმ შუბლი შეჭმუხნა:

- უცხოდ, რადგან მათ განსხვავებული მეთოდები ჰქონდათ. მათ იცოდნენ ისეთი რაღაცები, რაც ჩვენ ნასწავლი არ გვქონდა და ბრიყვებივით გამოვიყურებოდით.

მამა ინტერესით უსმენდა.

- იმ ბიჭზე ვფიქრობ, წესებს რომ არ დაემორჩილა დღეს, ლილი, - თქვა მან, - იქნებ ისიც უცხოდ და ბრიყვად გრძნობდა თავს, რაკი უცნობ ადგილას იყო და თქვენი წესებიც არ იცოდა?

ლილი ჩაფიქრდა.

- ჰო, - თქვა ბოლოს.

- ცოტათი მეცოდება ის ბიჭი, - თქვა ჯონასმა, თუმცა, არც კი ვიცნობ. მეცოდება ყველა, ვინც ისეთ ადგილზეა, სადაც თავს უცხოდ და ბრიყვად გრძნობს.

- ახლა როგორ გრძნობ თავს, ლილი? - ჰკითხა მამამ, ისევ გაბრაზებული ხარ?

- მგონი, აღარ, - გადაწყვიტა გოგონამ, - მგონი, ცოტათი მეც მებრალება ის ბიჭი და ბოდიშს ვიხდი წეღანდელი მუშტისთვის, - გაიღიმა ლილიმ.

ჯონასმა ღიმილით უპასუხა. ლილის გრძნობები მუდამ ნათელი იყო, უბრალო და იოლად ასახსნელი. მეც ასეთი გრძნობები მქონდა, შვიდიანი რომ ვიყავიო, გაიფიქრა ბიჭმა.

ჯერი მამაზე მიდგა. ჯონასი თავაზიანად უსმენდა, თუმცა, არცთუ გულდასმით. მამამაც გაუზიარა ოჯახს თავისი წუხილი. ის ერთ-ერთ ახალბავშვზე ღელავდა, რომელიც სხვებს ჩამორჩებოდა. ჯონასის მამა აღმზრდელი იყო. სხვა აღმზრდელებთან ერთად, იგი პასუხს აგებდა თითოეული ახალბავშვის ფიზიკურ და ემოციურ მდგომარეობაზე. ჯონასმა იცოდა, რომ ეს ძალზე მნიშვნელოვანი სამუშაოა, თუმცა, მაინცდამაინც არ აინტერესებდა.

- გოგოა თუ ბიჭი? - იკითხა ლილიმ.

- ბიჭია, - მიუგო მამამ, - საუცხოო ხასიათის საყვარელი პატარა ბიჭი. მაგრამ ისე სწრაფად არ იზრდება, როგორც უნდა იზრდებოდეს და ცუდადაც სძინავს. საგანგებო ზრუნვის განყოფილებაში გვყავს, თუმცა, კომიტეტი უკვე მსჯელობს მის გაშვებაზე.

- ოჰ, არა! - თანაგრძნობით თქვა დედამ.

- ვიცი, როგორ გაწუხებს ეს ამბავი.

ჯონასმა და ლილიმაც თანაგრძნობით დააქნიეს თავი. ახალბავშვების გაშვება ყოველთვის სევდის მომგვრელი იყო - მათ ხომ ჯერ არც კი დაეწყოთ ტკბობა თემში ცხოვრებით და ცუდიც არაფერი ჩაედინათ.

გაშვება მხოლოდ ორ შემთხვევაში არ ითვლებოდა დასჯად.

თუკი უშვებდნენ მოხუცს, რომელმაც იგემა ცხოვრების სიტკბო და ახალბავშვს, რომლის გადასარჩენად ყველა უძლური იყო.

ეს განსაკუთრებით აფორიაქებდათ აღმზრდელებს, რომლებიც ჯონასის მამასავით გრძნობდნენ, რომ დამარცხდნენ, მაგრამ ეს ძალზე იშვიათად ხდებოდა.

- კეთილი, - განაგრძო მამამ, - მე ცდას არ დავაკლებ. შეიძლება ვთხოვო კომიტეტს, რომ ღამით აქ მოვიყვანო ხოლმე, თუ თქვენ წინააღმდეგი არ იქნებით. ხომ იცით, როგორები არიან ღამის აღმზრდელები. ვფიქრობ, ამ ბიჭუნას მეტი ყურადღება სჭირდება.

- რასაკვირველია, - თქვა დედამ. ჯონასმა და ლილიმაც თავი დააქნიეს. უწინაც სმენოდათ ღამის აღმზრდელებზე მამას ჩივილი. ღამის აღმზრდელებად, ძირითადად, ისეთები მუშაობდნენ, ვისაც დღისით სამუშაოდ საჭირო ცოდნა, გაწაფულობა თუ გამჭრიახობა აკლდა. ღამის გუნდის უმრავლესობას ოჯახიც კი არ ჰყავდა, რადგან მათ არ შეეძლოთ ისეთი ურთიერთობა, მყუდრო ოჯახური კერის შექმნას რომ სჭირდება.

- იქნებ სულაც აქ დავიტოვოთ, - წამოაყენა ლილიმ წინადადება გულუბრყვილო ტონით და უმანკო გამომეტყველებით, თუმცა, ჯონასმაც იცოდა და მშობლებმაც, რომ ის გულწრფელი არ იყო.

- ლილი, - ღიმილით შეახსენა დედამ, - შენ ხომ იცი წესები.

წესების მიხედვით, ყველა ოჯახურ ერთეულში ორი ბავშვი უნდა ყოფილიყო - ერთი გოგონა და ერთი ბიჭი.

- ამ ერთხელ-მეთქი, ვიფიქრე, - ჩაიხითხითა ლილიმ.

მერე დედას ჯერიც დადგა. ის მართლმსაჯულების დეპარტამენტში მუშაობდა, დიდ თანამდებობაზე. მას თურმე დღეს დამნაშავე მიუყვანეს, რომელსაც უწინაც დაურღვევია წესები. დედას იმედი ჰქონდა, რომ სამართლიანად დასჯის შემდეგ ეს ადამიანი ღირსეულად დაუბრუნდებოდა თავის სამუშაოს, სახლს, ოჯახურ ერთეულს, ახლა კი, მართლმსაჯულების წინაშე ამ კაცის ხელმეორედ წარდგომამ აიძულა, საკუთარი მარცხი ეღიარებინა და დანაშაული ეგრძნო, რომ ვერ შეცვალა მისი ცხოვრება.

- შემეშინდა კიდეც, - აღიარა დედამ, - ხომ იცით, რომ მესამე შანსი არ არსებობს. წესების მიხედვით, მესამე დარღვევის შემთხვევაში მას დაუფიქრებლად გაუშვებენ.

ჯონასი შეკრთა. მან იცოდა, რომ ასე ხდებოდა. მის ჯგუფში, თერთმეტიანებში, ერთი ბიჭი იყო, რომლის მამა წლების წინ გაუშვეს, მაგრამ ამაზე არავინ ლაპარაკობდა. ეს დიდი სირცხვილი იყო, ძნელად შესაგუებელი და გადასატანი.

ლილი წამოდგა, დედასთან მივიდა და მხარზე ხელი მოუთათუნა. მამა სკამიდან აუდგომლად გადასწვდა და დედას ერთი ხელი აიღო, ჯონასმა - მეორე.

სათითაოდ ანუგეშეს დედა. მალე მან გაიღიმა, ქმარ-შვილს მადლობა გადაუხადა და - დავმშვიდდიო, ჩაიჩურჩულა. რიტუალი გაგრძელდა.

- ამ საღამოს ბოლო შენ ხარ, ჯონას, - თქვა მამამ.

ჯონასმა ამოიოხრა. ისეთ ხასიათზე იყო, ლამის თავისი გრძნობები დაემალა, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, წესების დარღვევა იქნებოდა.

- ჩემში განგაშია, - გამოტყდა ბიჭი, გახარებული, რომ ბოლოს და ბოლოს, შესაფერისი სიტყვა მოიფიქრა.

- რატომ, შვილო? - ჰკითხა შეწუხებულმა მამამ.

- ვიცი, რომ სინამდვილეში არაფერია საგანგაშო და რომ ეს ყველა ზრდასრულმა ადამიანმა გამოცადა, - აუხსნა ჯონასმა, - შენც, მამა, და შენც, დედა, მაგრამ ის ცერემონია მაფრთხობს. უკვე თითქმის დეკემბერია.

ლილიმ გაფართოებული თვალებით ახედა.

- თორმეტი წლისების ცერემონია, - დაიჩურჩულა შიშნარევი მოწიწებით. თვით ყველაზე პატარა ბავშვებმაც კი - ლილის ხნისამ და უფრო პატარებმაც - იცოდნენ, რომ ეს მომავალში თითოეულ მათგანს ელოდა.

- მიხარია, რომ შენი გრძნობები გაგვიმხილე, - თქვა მამამ.

- ლილი, - თქვა დედამ, - წადი ახლა და ღამის პერანგი ჩაიცვი. მე და მამა ცოტა ხანს ჯონასს დაველაპარაკებით.

ლილიმ ამოიოხრა, თუმცა, მორჩილად ჩამოვიდა სკამიდან.

- უჩემოდ? - იკითხა შემდეგ.

- ჰო, - თავი დაუქნია დედამ, - ეს იქნება ჯონასთან პირისპირ საუბარი.

2

ჯონასი უყურებდა, როგორ ისხამდა მამა ცხელ ყავას და ელოდა.

- იცი, - როგორც იქნა, ხმა ამოიღო მან, - ჩემს ბიჭობაში ყოველ დეკემბერს აღელვებით ველოდი, ისევე, როგორც შენ და ლილი. დეკემბერს ხომ ამდენი ცვლილება მოაქვს.

ჯონასმა თავი დაუქნია. მას შემდეგ, რაც ოთხიანი გახდა, ყველა დეკემბერი ახსოვდა, უფრო ადრინდელები კი ხსოვნიდან ამოშლოდა. თუმცა, ყოველ წელს ესწრებოდა ცერემონიას. თავისი დის პირველი დეკემბრებიც შესანიშნავად ახსოვდა. ახსოვდა, როდის მოიყვანა მისმა ოჯახმა ლილი, დღე, როცა ეს სახელი დაარქვეს, როცა ერთიანი გახდა.

ერთიანების ცერემონია ყოველთვის ხმაურიანი და თავშესაქცევი იყო. წინა წელს დაბადებული ყველა ბავშვი დეკემბერში ერთიანი ხდებოდა. თუკი არავის გაუშვებდნენ, თითოეული წლის ჯგუფში ყოველთვის ორმოცდაათი ბავშვი იყო და ორმოცდაათივე სათითაოდ აჰყავდათ სცენაზე აღმზრდელებს, რომლებიც დაბადებიდან ზრუნავდნენ მათზე. ზოგი ბავშვი უკვე დადიოდა, მერყევად ადგამდა ჯერაც სუსტ ფეხებს. სხვები კი - სულ ჩვილები - საფენებში გახვეულები ეჭირათ აღმზრდელებს.

- სახელდების პროცესი მომწონს, - თქვა ჯონასმა.

დედა ღიმილით დაეთანხმა:

- მეც. როდესაც ლილი მოვიყვანეთ, რა თქმა უნდა, წინასწარ ვიცოდით, რომ გოგონას მივიღებდით, რადგან განაცხადი გავაკეთეთ და დასტურიც მივიღეთ. თუმცა, ერთი სული მქონდა, გამეგო, რას დაარქმევდნენ.

- შევძელი, ცერემონიამდე ჩამეჭყიტა სიაში, - გაანდო მამამ, - აღმზრდელობითი ცენტრის ბიუროში კომიტეტი მუდამ წინასწარ ადგენს სახელების სიას.

- ცოტა მრცხვენია, განაგრძო მამამ, - მაგრამ დღეს მაინც წავედი იმის სანახავად, უკვე შედგენილი იყო თუ არა წლევანდელი სახელების სია. მაინტერესებდა, -ე ნომერს რა დაარქვეს. ეს ის ბიჭია, რომელზეც გიამბეთ. ვიფიქრე, რომ სახელის ცოდნა მის მოვლაში დამეხმარებოდა. ოღონდ, რა თქმა უნდა, სახელს მხოლოდ პირისპირ ყოფნისას დავუძახებდი, როცა ირგვლივ არავინ იქნებოდა.

- იპოვე? - ჰკითხა აღტაცებულმა ჯონასმა. ბიჭს შიშნეული კრძალვა აღუძრა იმან, რომ მამამ, მართალია, არც ისეთი მნიშვნელოვანი, მაგრამ მაინც წესი დაარღვია. წამით დედას გახედა - ის ხომ თემში წესების შესრულებაზე აგებდა პასუხს

და გულზე მოეშვა, რადგან დედა იღიმებოდა. მამამ თავი დააქნია:

- თუ სახელდებამდე მიაღწევს, მას გეიბრიელს დაარქმევენ. ასეც ჩავჩურჩულებ ხოლმე, როცა ვაჭმევ, ანუ ყოველ ოთხ საათში ერთხელ, ვარჯიშისა და თამაშის დროს, თუ იქ არავინაა. გეიბს ვეძახი, - ჩაიღიმა მამამ.

- გეიბ, - დააგემოვნა ჯონასმა და, კარგი სახელიაო, გაიფიქრა.

მართალია, ჯონასი სულ ხუთისა იყო, როცა ლილი მოიყვანეს და მისი სახელი გაიგო, მაგრამ მაინც ახსოვდა მღელვარება, შინაურული საუბრები, გოგონაზე ფიქრი: როგორი იქნება, როცა გაიზრდება, ვინ იქნება, როგორ მოერგება მათ ოჯახურ ერთეულს.

ახსოვს, როგორ მიუყვებოდა სცენისკენ ამავალ კიბეს მშობლებთან ერთად. მამა აღმზრდელების ნაცვლად მის გვერდით მოდიოდა, რადგან იმ წელს ახალბავშვი მისთვის უნდა მიეცათ.

ახსოვს, როგორ აიყვანა დედამ მისი დაიკო, როგორ უკითხავდნენ იქ თავშეყრილ ოჯახურ ერთეულებს დოკუმენტს.

- ახალბავშვი ნომერი ოცდასამი, - წაიკითხა სახელის დამრქმევმა, - ლილი.

ახსოვს მამამისის კმაყოფილი სახე და მისი ჩურჩული:

- ის ჩემი ერთ-ერთი რჩეულია. იმედი მქონდა, რომ სწორედ მას მოგვცემდნენ.

ყველამ ტაში დაუკრა. ჯონასს ჩაეღიმა. მოეწონა დაიკოს სახელი. ლილიმ გაღვიძებისთანავე თავისი პატარა მუშტი გაიქნია. შემდეგ ისინი სცენიდან ჩამოვიდნენ, რათა სხვა ოჯახური ერთეულისთვის დაეთმოთ ადგილი.

- როცა შენსავით თერთმეტისა ვიყავი, ჯონას, - თქვა მამამ, - მოუთმენლად ველოდი თორმეტი წლისების ცერემონიას. ეს ორი დღე გრძელდება. მახსოვს, როგორ შევხაროდი ამ დღეებს, როგორც ყოველთვის შევხარი, მაგრამ სხვა ცერემონიები მაინცდამაინც არ მაინტერესებდა, მხოლოდ ცხრიანების ცერემონიას ველოდი მოუთმენლად. იმ წელს ჩემი და გახდა ცხრა წლის და ველოსიპედიც მიიღო. მანამდე ჩემი ველოსიპედის ტარებას ვასწავლიდი, თუმცა, ვიცოდი, რომ ეს არ უნდა გამეკეთებინა.

ჯონასმა გაიცინა. ეს იყო ერთ-ერთი იმ წესთაგანი, რომლებსაც სერიოზულად არავინ უყურებდა და თითქმის ყველა არღვევდა. ყველა ცხრიანი ბავშვი ველოსიპედს იღებდა, მანამდე მისი ტარების უფლება არ ჰქონდათ, მაგრამ თითქმის ყოველთვის უფროსი და-ძმები მალულად ასწავლიდნენ უმცროსებს. ჯონასიც აპირებდა, ლილისთვის ველოსიპედის ტარება ესწავლებინა.

თითქოს წესის შეცვლას და ბავშვებისთვის ველოსიპედების უფრო ადრეულ ასაკში მიცემას აპირებდნენ. კომიტეტი ამ

მოსაზრებას განიხილავდა, მაგრამ ასეთ განხილვებზე ხალხი ყოველთვის ხუმრობდა: სანამ წესს შეცვლიან, კომიტეტის წევრები უხუცესებად იქცევიანო.

წესების შეცვლა ძალიან რთული იყო. ზოგჯერ, როდესაც საქმე რომელიმე მნიშვნელოვან წესს (ველოსიპედზე დაჯდომის ასაკისგან განსხვავებით) ეხებოდა, ყველაფერი მიმღებს უნდა გადაეწყვიტა. მიმღები იყო მთავარი უხუცესი, რომელიც ჯონასს არც კი ენახა, მხოლოდ იცოდა, რომ ესოდენ მნიშვნელოვანი ვიღაც განმარტოებით ცხოვრობდა და მუშაობდა. მაგრამ კომიტეტი არასდროს შეაწუხებდა მიმღებს ველოსიპედების საკითხით. ისინი ამ თემაზე წლობით იკამათებდნენ, მანამდე, სანამ მოქალაქეებს არ გადაავიწყდებოდათ, რას განიხილავდა კომიტეტი.

მამამ განაგრძო:

- ჰოდა, ვუყურებდი და მიხაროდა, როცა ჩემი და, კატია, ცხრიანი გახდა. თმის ლენტები მოვაშორე და თავისი ველოსიპედი მივუტანე. ათიანებისა და თერთმეტიანების ცერემონიებისთვის ყურადღება თითქმის არ მიმიქცევია. და აი, ბოლოს, მეორე დღის საღამოს, როგორც იქნა, ჩემი ჯერიც დადგა. ეს იყო თორმეტიანების ცერემონია.

ჯონასი შეკრთა. წარმოიდგინა მშვიდი და მორიდებული მამა, რომელიც ალბათ, ასეთივე მშვიდი და მორიდებული ბიჭი იყო, როგორ იჯდა თავის ჯგუფთან ერთად და სცენაზე გამოძახებას ელოდა. თორმეტიანების ცერემონია ბოლო და უმნიშვნელოვანესი ცერემონია იყო.

- მახსოვს, რა ამაყად მიყურებდნენ ჩემი მშობლებიც და დაიკოც, რომელსაც მართალია, ერთი სული ჰქონდა, ველოსიპედი ეტარებინა, მაგრამ ცმუკვას თავი ანება, გაყუჩდა და მთელი ყურადღებით მომაჩერდა, როცა ჩემი დრო დადგა. თუმცა, გულწრფელად რომ გითხრა, ჯონას, მე არ ვიყავი ასეთი აღელვებული, როგორიც შენ ხარ. მშვენივრად ვიცოდი, რაც მელოდა.

ჯონასი გაკვირვებული იყო. დანიშნულების შესახებ წინასწარ არავინ არაფერი იცოდა. ეს იყო ფარული შერჩევა, ამას უხუცესთა კომიტეტი აკეთებდა და იმდენად სერიოზულად ეკიდებოდა დანიშვნებს, რომ არავის არასოდეს უხუმრია ამაზე.

დედაც გაკვირვებული ჩანდა:

- მაგის გაგება როგორ მოახერხე?

მამამ მისთვის ჩვეული თბილი ღიმილით გაიღიმა:

- ჰოო... ჩემთვის ნათელი იყო (მოგვიანებით ჩემმა მშობლებმაც აღიარეს, რომ ეს მათაც იცოდნენ), რა მიდრეკილება მქონდა. ყოველთვის ყველაფერზე მეტად ახალბავშვები მიყვარდა. როცა ჩემი თანაჯგუფელები ველოსიპედებით ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს, ან სათამაშო მანქანებს თუ ხიდებს აწყობდნენ, ან...

- ყველაფერ იმას, რასაც მე მეგობრებთან ერთად ვაკეთებ, - ჩაურთო ჯონასმა და დედამაც თავი დააქნია თანხმობის ნიშნად.

- ამ თამაშებში, რასაკვირველია, მეც ვმონაწილეობდი, რადგან ბავშვობაში ეს ყველაფერი უნდა გამოვცადოთ. და სკოლაშიც შენსავით ბეჯითად ვსწავლობდი, ჯონას, მაგრამ თავისუფალ დროს ისევ და ისევ ახალბავშვები მიზიდავდნენ. მოხალისეთათვის გამოყოფილ თითქმის მთელ დროს აღმზრდელობით ცენტრში ვატარებდი. რაღა თქმა უნდა, უხუცესებმა იცოდნენ ეს.

ჯონასმა კვერი დაუკრა. მან გასულ წელს შეიტყო გაძლიერებული დაკვირვების ამბავი. სკოლაში, რეკრეაციის დროსაც და მოხალისურ საათებშიც, შეამჩნია, როგორ აკვირდებოდნენ უხუცესები მასაც და სხვა თერთმეტიანებსაც. დაინახა, როგორ ინიშნავდნენ რაღაცებს. ისიც იცოდა, რომ უხუცესები ხანგრძლივად ხვდებოდნენ ყველა ინსტრუქტორს, რომლებიც ჯონასს და სხვა თერთმეტიანებს სწავლის წლებში ჰყოლიათ.

- ამიტომაც ველოდი ამას და ნასიამოვნებიც დავრჩი, თუმცა, არა - განცვიფრებული, როცა ჩემს დანიშნულებად აღმზრდელობა გამოცხადდა, - განმარტა მამამ.

- თუნდაც არ გაკვირვებოდათ, ტაში თუ დაუკრა ყველამ? - ჰკითხა ჯონასმა.

- ოჰ, რა თქმა უნდა. ისინი ბედნიერები იყვნენ, რომ ჩემი დანიშნულება სწორედ ის აღმოჩნდა, რაც ყველაზე მეტად მსურდა. თავს ძალიან იღბლიანად ვთვლიდი, - თქვა მამამ ღიმილით.

- შენი დროის რომელიმე თერთმეტიანს თუ გაუცრუვდა იმედი? - ჰკითხა ისევ ჯონასმა, რომელსაც, მამამისისგან განსხვავებით, წარმოდგენა არ ჰქონდა, რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დანიშნულება. მართალია, პატივს სცემდა მამას საქმიანობას, მაგრამ თვითონ აღმზრდელობა არ სურდა და არც მუშების რიცხვში მოხვედრა ეხატებოდა გულზე.

მამა ჩაფიქრდა.

- არა, არ მგონია. უხუცესები ხომ ასეთ სიფრთხილეს იჩენენ დაკვირვებებისა და შერჩევის დროს.

- ვფიქრობ, ეს ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაოა ჩვენს თემში, - თქვა დედამ.

- ჩემი მეგობარი გოგონა, იოშიკო, გაკვირვებული იყო, ექიმად რომ აირჩიეს, თუმცა აღელვებულიც, - თქვა მამამ, - იყო ანდრეიც, რომელსაც, მახსოვს, ჩვენს ბიჭობაში არასოდეს ეხალისებოდა ფიზიკური შრომა. რეკრეაციის დროს მუდამ თავის კონსტრუქტორულ კომპლექტთან ატარებდა, მოხალისურ საათებს - სამშენებლო მოედნებზე. უხუცესებმა იცოდნენ ეს, რასაკვირველია. ანდრეის ინჟინრის დანიშნულება მისცეს და ძალიანაც გაუხარდა.

- მოგვიანებით მან დააპროექტა ხიდი, რომელიც ქალაქის დასავლეთ ნაწილისკენ გადადის მდინარეზე, თქვა დედამ, - ჩვენს ბავშვობაში იქ ხიდი არ იყო.

- გულის აცრუება ძალიან იშვიათია, ჯონას. არა მგონია, რომ შენ ეს უნდა გაწუხებდეს, - გაამხნევა მამამ, - და თუ მაინც ხდება, მაშინ არსებობს სააპელაციო პროცესიც.

ამაზე ყველას გაეცინა: აპელაცია კომიტეტში მიდიოდა განსახილველად.

- ცოტათი მაწუხებს აშერის დანიშნულება, - აღიარა ჯონასმა, - დიდი სასაცილო ვინმეა, სერიოზულად არაფერი აინტერესებს. ყველაფერს თამაშად აქცევს.

მამამ ჩაიცინა:

- იცი, მახსოვს აშერის ახალბავშვობა აღმზრდელობით ცენტრში, სანამ სახელს დაარქმევდნენ. არასოდეს ტიროდა. ყველაფერზე ხითხითებდა და ყველას გვიხაროდა მასთან ყოფნა.

- უხუცესები იცნობენ აშერს, - თქვა დედამ, - სწორ დანიშნულებას მოუძებნიან. არა მგონია, ეს შენი სადარდებელი იყოს. მაგრამ, ჯონას, ნება მომეცი, გაგაფრთხილო რაღაც ისეთთან დაკავშირებით, რაც შესაძლოა, აზრად არ მოგსვლია. ამაზე ჩემი თორმეტის ცერემონიის შემდეგ არ მიფიქრია.

- რას გულისხმობ?

- როგორც იცი, ეს უკანასკნელი ცერემონიაა. თორმეტის შემდეგ ასაკს მნიშვნელობა აღარ აქვს. ჩვენს უმრავლესობას დროის სვლასთან ერთად საერთოდ ეკარგება ასაკის სათვალავი, თუმცა, ეს ინფორმაცია დაფიქსირებულია ღია ჩანაწერების დარბაზში და, სურვილისამებრ, შეგიძლია მიხვიდე და ნახო. მნიშვნელოვანია მომზადება ზრდასრული ცხოვრებისთვის და შენს დანიშნულებაში გაწვრთნა.

- ვიცი, - თქვა ჯონასმა, - ეგ ყველამ იცის.

- მაგრამ ეს ნიშნავს, რომ შენ ახალ ჯგუფში გადახვალ, - განაგრძო დედამ, - ყველა შენი მეგობარი გადავა. შენ აღარ იქნები თერთმეტიანების ჯგუფში. თორმეტის ცერემონიის შემდეგ შენი დანიშნულების ჯგუფთან იქნები, მათთან ერთად გაიწაფები. არც მოხალისური საათები გექნება, არც რეკრეაციის, ანუ მეგობრები ასე ახლოს აღარ გეყოლება.

ჯონასმა თავი გააქნია:

- მე და აშერი ყოველთვის ვიმეგობრებთ, თქვა მტკიცედ, - თან ჯერ კიდევ სკოლაში ვიქნებით.

- ეგ მართალია, - დაეთანხმა მამა, - თუმცა, დედაც სიმართლეს ამბობს: ცვლილებები უეჭველად მოხდება.

- კარგი ცვლილებები, - დაამატა დედამ, - ჩემი თორმეტის ცერემონიის შემდეგ ბავშვობის რეკრეაცია მენატრებოდა, მაგრამ როდესაც კანონსა და სამართალში წვრთნას შევუდექი, აღმოვჩნდი ადამიანებში, რომლებიც ჩემს ინტერესებს იზიარებდნენ. ახალი მეგობრები შევიძინე, ყველა ასაკის.

- საერთოდ თუ გითამაშია თორმეტის შემდეგ? - ჰკითხა ჯონასმა.

- ხანგამოშვებით. თუმცა, ეს უწინდებურად მნიშვნელოვანი აღარ იყო.

- მე ვთამაშობდი, - თქვა მამამ სიცილით, - ახლაც ვთამაშობ, ყოველდღე, აღმზრდელობით ცენტრში. ვთამაშობ ჩაკუზობანას, ჭიტას, ხუტე-ხუტეს.

მამა გადმოიხარა და ჯონასს კარგად გაკრეჭილ თავზე ხელი გადაუსვა:

- სეირი არ მთავრდება, როცა თორმეტის ხდები.

კარში ღამისპერანგიანი ლილი გამოჩნდა.

- აშკარად ძალიან გრძელი პირადი საუბარია, - ამოიოხრა გოგონამ, - ზოგიერთები კი თავიანთ სანუგეშო ნივთს ელოდებიან.

- ლილი, - მიმართა დედამ ალერსით, - სულ მალე რვის გახდები. მაშინ სანუგეშო ნივთი ჩამოგერთმევა და შენზე უმცროსებს გადაეცემა. უკვე უნდა მიეჩვიო უმისოდ დაძინებას.

მაგრამ ამასობაში მამა უკვე მისულიყო თაროსთან და ჩამოეღო გატიკნილი სპილო. ბევრი სანუგეშო ნივთი ასეთივე რბილი, ნამჯით გატენილი, წარმოსახვითი არსება იყო. ჯონასის ნივთს დათუნია ერქვა.

- აი, ინებე, ლილი-ბილი, - თქვა მამამ, - მოვალ და თმიდან ლენტების მოხსნაში მოგეშველები.

ჯონასმა და დედამ ერთმანეთს გადახედეს, თუმცა, მაინც გულთბილად გაჰყურებდნენ საძინებლისკენ მიმავალმამა-შვილსა და გატენილ სპილოს, რომელიც, როგორც ნუგეშის ნივთი, ახალდაბადებულ ლილის აჩუქეს. დედა თავის დიდ მაგიდასთან გადაჯდა და პორტფელი გახსნა. მისი სამუშაო თითქოს არასდროს მთავრდებოდა, საღამოობითაც კი, როცა შინ იყო. ჯონასი თავის მაგიდასთან მივიდა და სკოლის ფურცლები აშალა დავალების ამოსაქექად, მაგრამ გონებით ისევ დეკემბერს და მოახლოებულ ცერემონიას დასტრიალებდა.

მართალია, მშობლებთან საუბარმა გაამხნევა, მაგრამ მაინც ვერ წარმოედგინა, რა დანიშნულებას შეურჩევდნენ უხუცესები სამომავლოდ, ან როგორ იგრძნობდა თავს, როდესაც ეს დღე დადგებოდა.

3

- ოჰ, შეხედე! - სიხარულით წამოიკივლა ლილიმ, - რა კარგი ვინმეა, არა? შეხედე, რა პაწაწინაა! შენსავით უცნაური თვალები აქვს, ჯონას!

ჯონასმა წყრომით გახედა. არ უყვარდა, როცა მის თვალებს ახსენებდნენ. ელოდებოდა მამას, რომელიც ლილის დასჯიდა. მაგრამ ამწუთას მამა საბარგულ კალათას ხსნიდა თავის ველოსიპედს. ჯონასი მიუახლოვდა.

ჯონასმა თავდაპირველად სწორედ კალათიდან მომზირალი ახალბავშვის მკრთალი თვალები შენიშნა.

თემის თითქმის ყველა მოქალაქეს მუქი ფერის თვალები ჰქონდა: ჯონასის მშობლებს, ლილის, ჯონასის ჯგუფის ყველა

წევრსა და მეგობარს. არსებობდა მხოლოდ იშვიათი გამონაკლისი: თვით ჯონასი და ერთი ხუთიანი გოგონა, რომლის ღია ფერის თვალები ჯონასს შემჩნეული ჰქონდა. ამაზე არავინ ლაპარაკობდა. ეს წესი არ იყო, მაგრამ მაინც უტაქტობად მიიჩნეოდა ყურადღების მიქცევა ისეთი შტრიხებისთვის, რომლებიც ცალკეულ ინდივიდებს ყველასგან გამოარჩევდა. ჯონასის აზრით, ლილის ეს უნდა ესწავლა, თუ არადა, თავისი უტაქტო ყბედობისთვის დაისჯებოდა.

მამამ ველოსიპედი სადგომში დააყენა, მერე კალათა აიღო და შინ შეიტანა. ლილი უკან მიჰყვა, თუმცა, მხარზემოდან ჯონასს გამოხედა და გამოაჯავრა:

- იქნებ ორივეს ერთი მშობელდედა გყავთ.

ჯონასმა მხრები აიჩეჩა და მამა-შვილს სახლში შეჰყვა. ისე კი, ნამდვილად გააოგნა ახალბავშვის თვალებმა. თემში სარკეები იშვიათობა იყო. ამას კანონი არ კრძალავდა, მაგრამ სარკე არავის სჭირდებოდა და ჯონასსაც არასოდეს შეუწუხებია თავი ხშირ-ხშირი ჩახედვით, როცა სარკიან ადგილას მოხვედრილა. ამჯერად, ახალბავშვისა და მისი გამომეტყველების შემხედვარეს, გაახსენდა, რომ ღია ფერის თვალები არა მხოლოდ იშვიათობა იყო, არამედ ადამიანს თავისებურ გამომეტყველებას ანიჭებდა. რა იყო ეს? სიღრმეო, გადაწყვიტა ჯონასმა. ღია ფერის თვალებით თითქოს მდინარის კრიალა წყლის ფსკერს ხედავდი, სადაც, შესაძლოა, ჯერ კიდევ აღმოუჩენელი რაღაც იმალებოდა. ჯონასმა დაირცხვინა, რადგან გააცნობიერა, რომ თვითონაც ასეთი მზერა ჰქონდა.

თავის მაგიდასთან მივიდა. თავი ისე ეჭირა, თითქოს ახალბავშვი არ აინტერესებდა. ოთახის მეორე მხარეს დედა და ლილი დახრილიყვნენ და თვალს ადევნებდნენ მამას, რომელიც ბავშვს სახვევს ხსნიდა.

- რა ჰქვია მის სანუგეშო ნივთს? - ჰკითხა ლილიმ და გატიკნილი არსება ამოიღო, ახალბავშვთან რომ ჩაედოთ კალათაში.

მამამ ნივთს შეხედა და თქვა:

- ჰიპო.

ლილიმ ამ უცნაურ სიტყვაზე ჩაიფხუკუნა, გაიმეორა:

- ჰიპო, - და სანუგეშო ნივთი უკანვე ჩააბრუნა. მერე კი სახვევშემოხსნილ ჩვილს დააცქერდა, რომელიც ხელებს იქნევდა.

- ვფიქრობ, ახალბავშვები ძალიან ლამაზები არიან, - ამოიოხრა ლილიმ, - იმედი მაქვს, მშობელდედად დამნიშნავენ.

- ნუ ამბობ მაგას, ლილი! - თქვა დედამ მკაცრად. - ეგ დანიშნულება დიდი ვერაფერი პატივია!

- მაგრამ მე ნატაშას ველაპარაკე, - შეეპასუხა ლილი მოუთმენლად, - ხომ იცნობ იმ ათიანს, ქუჩის კუთხესთან რომ ცხოვრობს? მოხალისურ საათებს დაბადების ცენტრში ატარებს და მითხრა, რომ მშობელდედები ჩინებულ საკვებს მიირთმევენ, ძალიან მსუბუქ ვარჯიშებს აკეთებენ და დროის დიდი ნაწილი - სანამ ელოდებიან - თამაშსა და გართობაში გაჰყავთ. მე ეს მომეწონებოდა.

- სამი წელი, სამი გაჩენა და მორჩა! - უთხრა დედამ მტკიცედ, - ამის შემდეგ მთელი ცხოვრების განმავლობაში ისინი შავ მუშებად მუშაობენ, სანამ მოხუცებულთა სახლში არ წავლენ. შენ ეს გსურს, ლილი? სამი მცონარა წელიწადი, მერე კი - მძიმე ფიზიკური შრომა სიბერემდე?

- ჰოო... მაშინ არა, არ მინდა, - უხალისოდ დაეთანხმა ლილი.

მამამ ახალბავშვი კალათაში გადაატრიალა, მუცუნაზე დააწვინა, გვერდით მიუჯდა და პატარა ზურგი რიტმული მოძრაობით დაუზილა.

- ასეა თუ ისე, ლილი-ბილი, - თბილად მიმართა შვილს, მშობელდედები არასოდეს ხედავენ ახალბავშვებს. თუ ასე შეხარი პატარებს, შენი აღმზრდელად დანიშვნის იმედი უნდა გქონდეს.

- როცა რვის გახდები, შენი მოხალისური საათები შეგიძლია აღმზრდელობით ცენტრში გაატარო, - ურჩია დედამ.

- ჰო, ვფიქრობ, ეგრე ვიზამ, - მიუგო ლილიმ და კალათასთან ჩაიმუხლა, - რა თქვი, რა ჰქვიაო? გეიბრიელი? გამარჯობა, გეიბრიელ! - მიმართა ახალბავშვს წამღერებით. მერე ჩაიხითხითა.

- უპს! - თქვა ჩურჩულით, - მგონი, სძინავს, უმჯობესია, გავჩუმდე.

ჯონასი თავის მაგიდასთან მივიდა და სასკოლო დავალებებს მიუბრუნდა. ძალიან მეეჭვებაო, გაიფიქრა - ლილი ხომ არასოდეს ჩუმდებოდა. იქნებ ჯობდა, სპიკერად დანიშვნის იმედი ჰქონოდა: დილიდან საღამომდე მიკროფონით იჯდებოდა და შეტყობინებებს გადასცემდა. ჯონასმა ჩუმად ჩაიცინა, როცა წარმოიდგინა თავისი და, რომელიც თავდაჯერებული ხმით, ყველა სპიკერს რომ უყალიბდებოდა, მონოტონურად იტყოდა ასეთ რამეებს: ყურადღება! შევახსენებთ ცხრამდე ჯერარმისულ მდედრებს, რომ თმის ლენტები ყოველთვის კარგად უნდა ჰქონდეთ შეკრული. ლილისკენ შებრუნდა და ნასიამოვნებმა შენიშნა, რომ მის დას თმის ლენტები, ჩვეულებისამებრ, ჩამოშლოდა და უკონწიალებდა. ჯონასს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ წეღან გაფიქრებულ განაცხადს სულ მალე ხმამაღლა გაიგონებდა. რასაკვირველია, ძირითადად, ლილის იგულისხმებდნენ, თუმცა, მის სახელს არ ახსენებდნენ. ისედაც ეცოდინებოდა ყველას.

ჯონასს გაახსენდა, რომ განაცხადი: ყურადღება! შევახსენებთ თერთმეტიან მამრებს, რომ ნივთები არ უნდა გადაადგილდეს რეკრეაციული ტერიტორიიდან და რომ ხემსი უნდა იჭამოს და არა - გადაინახოს! - საგანგებოდ მას ეხებოდა გასული თვის იმ დღეს, როდესაც ვაშლი შინ წამოიღო. არავის უხსენებია ეს ამბავი, მის მშობლებსაც კი, რადგან საჯარო გამოცხადება საკმარისი იყო სინდისის ქენჯნის გამოსაწვევად. ჯონასმა ვაშლი,

რასაკვირველია, თავიდან მოიშორა და მომდევნო დილით, სწავლის დაწყებამდე, ბოდიშიც მოუხადა რეკრეაციის დირექტორს.

მერე ისევ ჩაუფიქრდა იმ ინციდენტს, რომლის გამო ჯერაც შეცბუნებული იყო. საჯარო გამოცხადება ან სავალდებულო მობოდიშება კი არ აწუხებდა - ერთიცა და მეორეც სტანდარტული პროცედურა იყო და მან ეს დაიმსახურა - არამედ ინციდენტი. როგორც ჩანს, უნდა ელაპარაკა თავის შეცბუნებაზე სწორედ იმ საღამოს, როცა ოჯახური ერთეულის წევრები დღის განცდებს უზიარებდნენ ერთმანეთს, მაგრამ ვერაფრით შეარჩია და ვერ მიუსადაგა სიტყვები თავის შეცბუნებას, ამიტომაც უსიტყვოდ აუარა მას გვერდი.

ეს მოხდა რეკრეაციის დროს, როდესაც აშერს ეთამაშებოდა. ჯონასმა ანგარიშმიუცემლად ამოიღო ვაშლი კალათიდან, სადაც ასეთი რამეები ეწყო და მეგობარს ესროლა. იმან უკანვე ესროლა და ასე წამოიწყეს სროლა-დაჭერის თამაში.

ეს განსაკუთრებული რამ არ იყო. ჯონასს ეს უთვალავჯერ უქნია: სროლა - დაჭერა, სროლა - დაჭერა. მას ეს პროცესი, ცოტა არ იყოს, მოსაწყენი ეჩვენებოდა, აი, აშერს კი ახარებდა. იგი ხელთვალის კოორდინაციის სტანდარტულ დონეს ჩამორჩებოდა და მისთვის ეს სროლა-დაჭერა აუცილებელი აქტივობა იყო.

მაგრამ უეცრად ჯონასმა, რომელიც მზერით მიჰყვებოდა ვაშლის ტრაექტორიას ჰაერში, შეამჩნია, რომ ვაშლი - მან ვერც გაიცნობიერა ეს მომენტი - შეიცვალა. სულ ერთი წამით. ახსოვს: ჰაერში შეიცვალა. წამის შემდეგ ის უკვე ხელში ეჭირა და გულდასმით ათვალიერებდა, მაგრამ ვერაფერი შენიშნა - იგივე ვაშლი იყო, იმავე ზომისა და ფორმის: სრულქმნილი სფერო, ჯონასის ჟაკეტივით გაურკვეველი ფერის.

ეს ვაშლი არაფრით იყო განსაკუთრებული. რამდენჯერმე გადაიგდო ერთი ხელიდან მეორეში, მერე კი ისევ აშერს ესროლა... და ისევ - სულ ერთი წამით, ჰაერში ვაშლი შეიცვალა.

ეს ოთხჯერ მოხდა. ჯონასმა თვალები მოჭუტა, მიიხედმოიხედა, მერე კი თავისი მხედველობის შესამოწმებლად თვალმოჭუტულმა დახედა წვრილ შრიფტს ჟაკეტზე მიმაგრებულ ჟეტონზე. ნათლად ამოიკითხა თავისი სახელი. ასევე ნათლად ხედავდა აშერს სასროლი სივრცის მეორე ბოლოში. არც ვაშლის დაჭერა გასჭირვებია.

ჯონასი გაოგნებული იყო.

- აშ, - გასძახა მეგობარს, - რამე უცნაური ხომ არ შეგიმჩნევია? ვაშლზე გეკითხები.

- კი, - გამოსძახა იმან სიცილით, - ხელიდან მიხტება და ძირს ვარდება!

აშერს კიდევ ერთხელ დაუვარდა ვაშლი.

ჯონასმაც გაიცინა და ამ სიცილით სცადა, გაექარწყლებინა თავისი უცნაური წარმოდგენა, რომ რაღაც მოხდა.

თუმცა, სარეკრეაციო მოედნის წესები დაარღვია და ვაშლი, მაინც შინ წაიღო, იმ საღამოს, მშობლებისა და ლილის მოსვლამდე, ჯონასს ვაშლი ხელში ეჭირა და ყურადღებით ათვალიერებდა. ნაყოფი ცოტათი დაბეჟილიყო, რადგან აშერს რამდენჯერმე დაუვარდა. სხვა უჩვეულო არაფერი ჰქონდა.

გამადიდებელი შუშით დახედა, რამდენჯერმე ისროლა ოთახის მეორე მხარეს, თან თვალს არ აშორებდა. ბოლოს თავის მაგიდაზე აგორავა უცნაურობის მოხდენის მოლოდინში.

მაგრამ არაფერი მოხდა, გარდა სპიკერის განაცხადისა, საღამოს რომ გაისმა და მისი სახელის წარმოუთქმელად ჯონასი სხვებისგან გამოაცალკევა. ამის გაგონებაზე მშობლებმა მრავალმნიშვნელოვნად გახედეს მის მაგიდას, რომელზეც ისევ იდო ვაშლი.

ახლა, როდესაც თავის მაგიდასთან იჯდა და საშინაო დავალებას ჩასცქეროდა, მისიანები კი კალათაში მწოლ ახალბავშვს

დასტრიალებდნენ, ჯონასი თავს აქნევდა და უცნაური ამბის დავიწყებას ცდილობდა. თავს ძალა დაატანა, ფურცლები მოაწესრიგა და შეეცადა, რამე ესწავლა, სანამ ვახშმის დრო მოვიდოდა. ახალბავშვი გეიბრიელი ფართხალებდა და კრუსუნებდა, მამა თბილად ელაპარაკებოდა ლილის - უხსნიდა კვების წესებს და თან კონტეინერს ხსნიდა, რომელშიც რძიანი ბოთლი იდო.

ეს საღამოც ისეთი იყო, როგორიც ყველა სხვა საღამო ოჯახურ ერთეულში, საცხოვრებელში, თემში - წყნარი, ფიქრიანი, როგორც მომდევნო დღისთვის განახლების და მომზადების ჟამი. მათგან მხოლოდ ნათელ, სერიოზულ, ჭკვიანთვალება ახალბავშვის შემომატებით განსხვავდებოდა.

4

ჯონასი ველოსიპედით აუჩქარებლად მიდიოდა, თან შენობების გვერდით ველოსიპედების სადგომებს გასცქეროდა: აბა, სადმე აშერისას ხომ არ დავლანდავო. თავის მოხალისურ საათებს ხშირად არ ატარებდა მეგობართან, რადგან აშერი აღმა-დაღმა დაყიალებდა და სერიოზულ საქმეს ძნელად თუ მოჰკიდებდა ხელს. თუმცა, ახლა, როცა თორმეტი კარს მოსდგომოდათ და მოხალისური საათებიც მთავრდებოდა, ეს უკვე უმნიშვნელო იყო.

თავისუფალი არჩევანი - სად გაეტარებინა ეს საათები - ჯონასს ყოველთვის ნანატრ ფუფუნებად მიაჩნდა - დღის სხვა საათები ხომ ასე საგულდაგულოდ იყო განაწილებული.

ახსოვს, რვისა რომ გახდა (როგორც ლილი გახდებოდა სულ მალე) და არჩევანის უფლება მიეცა. თავიდან, მოხალისური საათების დროს, რვიანები ოდნავ ნერვიულობდნენ, ხითხითებდნენ და მეგობრების გვერდით ყოფნას ცდლობდნენ. ჯერ - თითქმის ყოველთვის - რეკრეაციის ზონაში მორიგეობით იწყებდნენ:

უმცროსებს ეხმარებოდნენ ისეთი ადგილის მოძებნაში, სადაც ისინი თავს უფრო მყუდროდ იგრძნობდნენ. თუმცა, რაც უფრო უმტკიცდებოდათ თვითრწმენა და მწიფდებოდნენ, სხვა სამუშაოზეც გადადიოდნენ, ისეთზე, მათ ინტერესებსა და უნარს რომ შეესატყვისებოდა.

თერთმეტიანმა ბიჭმა, ბენჯამინმა, თითქმის ოთხი წელი გაატარა სარეაბილიტაციო ცენტრში, სადაც ტრავმირებულ მოქალაქეებთან მუშაობდა. დადიოდა ხმები, რომ ამჟამად ისე იყო დახელოვნებული, როგორც ცენტრის დირექტორები, და რომ გაუმჯობესა კიდევაც ზოგიერთი მოწყობილობა და მეთოდი რეაბილიტაციის დასაჩქარებლად. უეჭველია, ბენჯამინი თავის დანიშნულებას სწორედ ამ სფეროში მიიღებდა და ალბათ, წვრთნის დიდი ნაწილის გამოტოვების უფლებასაც მისცემდნენ.

ჯონასისთვის შთამბეჭდავი იყო ყველაფერი, რასაც ბენჯამინმა მიაღწია. იცნობდა, რა თქმა უნდა, რაკი თანაჯგუფელები იყვნენ, თუმცა, არასოდეს უსაუბრიათ მის მიღწევებზე, რადგან ასეთი საუბარი ბენჯამინისთვის უხერხული იქნებოდა. შეუძლებელი იყო ვინმეს წარმატებებზე ლაპარაკი იმ წესის დაურღვევლად, რომელიც ტრაბახს კრძალავდა, თუნდაც მოლაპარაკეს ეს აზრადაც არ ჰქონოდა. ეს მეორეხარისხოვანი წესი იყო, ისეთივე, როგორიც წესი უხეშობის შესახებ და მისი დამრღვევი მაინცდამაინც მკაცრად არ ისჯებოდა, თუმცა, ყველაფერი უკვალოდ მაინც არ ჩაივლიდა ხოლმე. უმჯობესი იყო, თავი აგერიდებინა შემთხვევებისთვის, როცა წესის დარღვევა ესოდენ იოლი იყო.

საცხოვრებელი სახლები უკან რომ ჩამოიტოვა, ჯონასმა თემის ნაგებობებს ჩაუარა იმ იმედით, რომ ერთ-ერთი პატარა ფაბრიკისა თუ კანტორის შენობასთან აშერის ველოსიპედს შენიშნავდა. ჩაუარა ბავშვზრუნვის ცენტრს, რომელშიც ლილი რჩებოდა ხოლმე სკოლის შემდეგ და სათამაშო მოედნებს. გადაჭრა

ცენტრალური მოედანი და გასცდა დიდ ლექტორიუმს, სადაც სახალხო თავყრილობები ტარდებოდა.

ჯონასმა სვლა შეანელა და ჯერ აღმზრდელობით ცენტრთან ჩამწკრივებულ ველოსიპედებზე დაკრულ იარლიყებს დააკვირდა, შემდეგ - საკვების დისტრიბუციის შენობასთან ჩამწკრივებულ ველოსიპედებს. ყოველთვის სასიამოვნო იყო სურსათის ჩამორიგებაში მონაწილეობა და ჯონასიც ფიქრობდა, რომ მეგობარს იქ იპოვიდა. მერე ერთად ივლიდნენ და თემის სახლებში მუყაოს ყუთებით საჭმელს ჩამოარიგებდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა, აშერის ველოსიპედი ჯონასმა მოხუცებულთა სახლის გვერდით იპოვა: ჩვეულებისამებრ მიწვენილი და არა - წესისამებრ სადგომში მდგარი.

იქ კიდევ ერთი ბავშვის ველოსიპედი იყო, მდედრი თერთმეტიანის, რომელსაც ფიონა ერქვა. ჯონასს მოსწონდა ფიონა კარგი მოწაფე, წყნარი და თავაზიანი, იმავდროულად, ხუმარაც. ჯონასს არ გაჰკვირვებია, რომ ფიონა დღეს აშერთან ერთად მუშაობდა. კოხტად მიუყენა თავისი ველოსიპედი მათსას და შენობაში შევიდა.

- გამარჯობა, ჯონას, - მიესალმა ქალ-თანამშრომელი შესასვლელში. მან რეგისტრაციის ფურცელი გაუწოდა და ჯონასის ხელმოწერასთან თავისი სამსახურის ბეჭედი დასვა.

ჯონასის ყველა მოხალისური საათი საგულდაგულოდ აღირიცხებოდა ღია ჩანაწერების დარბაზში. ერთხელ, დიდი ხნის წინ, ბავშვებს შორის ხმა დაირხა: ერთი თერთმეტიანი მხოლოდ იმისთვის მოვიდა თორმეტის ცერემონიაზე, რომ მოესმინა საჯარო განცხადება, რომლის მიხედვითაც, მან ვერ დააგროვა მოხალისური საათების საჭირო რაოდენობა და ვერც თავისი დანიშნულება მიიღო. იმ ბიჭს მიეცა დამატებითი თვე, რომლის განმავლობაშიც ამ საათებს შეავსებდა, მერე კი მიიღებდა დანიშნულებას, ოღონდ

- ზეიმისა და აპლოდისმენტების გარეშე და ეს სირცხვილი მთელი სიცოცხლე გაჰყვებოდა.

- კარგია დღეს რამდენიმე მოხალისის აქ ყოფნა, უთხრა თანამშრომელმა, - ამ დილით ჩვენ ერთი გაშვება აღვნიშნეთ, ასეთი რამ კი მუდამ გვირევს ხოლმე დღის განრიგს და საქმეც დაგვიგროვდა, - თანამშრომელმა დაბეჭდილ ფურცელს დახედა, - ვნახოთ. აშერი და ფიონა სააბაზანოში ეხმარებიან. შენც რომ მათთან მიხვიდე? ხომ იცი, სად არის ის ოთახი?

ჯონასმა თავი დაუქნია, მადლობა გადაუხადა და გრძელ დერეფანს გაუყვა. მიაბიჯებდა და ორივე მხარეს ჩაყოლებულ ოთახებში იხედებოდა. მოხუცები მშვიდად ისხდნენ. ზოგი სტუმრად სწვეოდა მეორეს და საუბრობდნენ, სხვები რომელიმე იოლ ხელსაქმეს ჩაჰკირკიტებდნენ, ზოგსაც ეძინა. ყველა ოთახი მყუდროდ იყო მოწყობილი, იატაკებზე სქელი ხალიჩები ეფინა. მშვიდი და მყუდრო ადგილი იყო, სულაც არ ჰგავდა დამზადების და განაწილების ცენტრებს, რომლებშიც თემი ყოველდღიურად მუშაობდა.

ჯონასი კმაყოფილი იყო, რომ წლების მანძილზე თავის საათებს სხვადასხვა ადგილას ატარებდა და შეეძლო, განსხვავებები ეგრძნო. თუმცა, რაკი ჯერჯერობით ვერც ერთ სფეროს ვერ გამოარჩევდა, არ იცოდა - ეჭვადაც კი რა შეიძლებოდა ყოფილიყო მისი დანიშნულება.

ჩაიცინა.

- ისევ ცერემონიაზე ფიქრობ, ჯონას? - გამოაჯავრა თავის თავს. თუმცა, იცოდა, რომ კარზე მომდგარი დეკემბრის გამო ყველა მისი მეგობარიც ამ ფიქრებს შეეპყრო.

ჩაუარა მზრუნველს, რომელიც დერეფანში ერთ-ერთ მოხუცთან ერთად მიაბიჯებდა.

- გამარჯობა, ჯონას, მიესალმა უნიფორმიანი ახალგაზრდა კაცი სასიამოვნო ღიმილით. ქალი, რომელიც ხელკავით მიჰყავდა,

წელში მოხრილი მიდიოდა და რბილჩუსტიან ფეხებს ფრთხილად ადგამდა. მან ჯონასს დანისლული თვალებით გამოხედა და გაუღიმა და ბიჭი მიხვდა, რომ ქალი ბრმა იყო.

ჯონასი სააბაზანოში შევიდა. თბილ, ნოტიო ჰაერში საბანაო ლოსიონების სურნელი იგრძნო. პერანგი გაიძრო, საიმედოდ დაკიდა კედელში ჩასმულ კაუჭზე და აიღო მოხალისის ხალათი, რომელიც დაკეცილი იდო თაროზე.

- გაუ, ჯონას! - გამოსძახა კუთხის აბაზანასთან ჩამუხლულმა აშერმა. ჯონასმა ფიონაც დაინახა - აბაზანასთან უფრო ახლოს. გოგონამ თავი ასწია და გაუღიმა, თუმცა, თბილ წყალში ჩაწოლილი კაცის დაბანა არ შეუწყვეტია.

ჯონასი მათაც მიესალმა და იქვე მომუშავე მზრუნველებსაც. მერე მივიდა გაბერილ, ფორმადაკარგულ სავარძლებთან, რომლებზეც მოხუცები ისხდნენ. აქ უწინაც მუშაობდა და იცოდა, რა უნდა ექნა.

- თქვენი ჯერია, ლარისა, - უთხრა, როცა ჟეტონზე ქალის სახელი ამოიკითხა, - ახლა წყალს მოვუშვებ, მერე კი მოგეხმარებით.

უახლოეს ცარიელ აბაზანაში ღილაკს დააჭირა და გვერდებზე განლაგებული მრავალი პატარა ნახვრეტიდან ჩამოღვრილ თბილ წყალს თვალი გააყოლა. აბაზანა ერთ წუთში აივსებოდა და წყლის დენაც ავტომატურად შეწყდებოდა.

ჯონასი ქალს სკამიდან წამოდგომაში მიეხმარა, აბაზანასთან მიიყვანა, კაბა გახადა და ხელი შეაშველა, რომ აბაზანაში ჩასულიყო და ჩამჯდარიყო. ლარისა უკან გადაწვა, რბილ სასთუმალზე თავი მიდო და სიამოვნებისგან ამოიოხრა.

- კარგად მოეწყვეთ? - ჰკითხა ჯონასმა. მან, თვალდახუჭულმა, თავი დაუქნია. ჯონასმა ლოსიონი სუფთა ღრუბელზე ჩამოწურა და ქალის მყიფე სხეულის დაბანას შეუდგა.

წუხელ უყურა, როგორ აბანავებდა მამამისი ახალბავშვს. ახლაც თითქმის იგივე ხდებოდა: თხელი კანი, თბილი წყალი,

საპნისგან გასლიპინებული ხელის ნაზი მოძრაობა. ქალის სახეზე მოდუნებულ-მშვიდმა ღიმილმა და მისმა სიშიშვლემაც ჯონასს გეიბრიელის დაბანა გაახსენა. უფროსისთვისაც და ბავშვისთვისაც წესის დარღვევა იყო სხვისი სიშიშვლის ყურება. თუმცა, ეს წესი ახალბავშვებს და მოხუცებს არ ეხებოდათ. ამით ჯონასი კმაყოფილი იყო. გულისგამაწვრილებელია, როცა სათამაშოდ ტანსაცმელს იცვლი და თან ცდილობ, არავინ არაფერი დაგინახოს. თუ შემთხვევით ვინმეს შიშველი სხეული დაუნახე, მობოდიშებაც სავალდებულოა და ეს მუდამ უხერხულობაში გაგდებს. ჯონასმა არ იცოდა, რატომ იყო ეს აუცილებელი. მოსწონდა უსაფრთხოების განცდა აქ, ამ თბილ და მშვიდ ოთახში და ნდობის გამომეტყველება წყალში ჩაწოლილი შიშველი, დაუცველი და თავისუფალი ქალის სახეზე.

თვალის კუთხით შეეძლო დაენახა ფიონა, თავისი მეგობარი, რომელიც მოხუც კაცს აბაზანიდან გადმოსვლაში ეხმარებოდა და ნაზად უთათუნებდა ხელს მჭლე, შიშველ სხეულზე, რომელსაც სინოტივის შემწოვი ნაჭრით უმშრალებდა. მერე ხალათის შემოცმაშიც შეეშველა.

ჯონასის აზრით, ლარისას ჩაეძინა, როგორც ხშირად ემართებათ მოხუცებს, და ფრთხილად განაგრძო ღრუბლიანი ხელის ასმა-ჩამოსმა - ნაზად, მონოტონურად, რათა არ გაეღვიძებინა და გაუკვირდა, რომ ქალი თვალდახუჭული ალაპარაკდა:

- ამ დილით ჩვენ რობერტოს გაშვება ვიზეიმეთ, უთხრა ჯონასს, - ჩინებული იყო.

- ვიცნობდი რობერტოს! - მიუგო ჯონასმა. - ჩემს ბოლო მოსვლაზე, სულ რამდენიმე კვირის წინ, ჭამაში დავეხმარე. ძალიან საინტერესო კაცი იყო. ლარისამ თვალები გაახილა:

- გაშვების წინ მთელი მისი ცხოვრება გაიხსენეს. ყოველთვის ასე შვრებიან. მაგრამ გულწრფელად რომ გითხრა (ამ სიტყვებზე ქალს ონავრული იერი მიეცა), ზოგი მონათხრობი, ცოტა არ

იყოს, მოსაწყენია. ისეთი მოხუცებიც მინახავს, ასეთ დროს რომ ჩასძინებიათ. მაგალითად, ედნა რომ გაუშვეს ამას წინათ. იცნობდი ედნას?

ჯონასმა თავი გააქნია: ვერავის იხსენებდა ასეთ სახელიანს.

- ჰოდა, შეეცადნენ მისი ცხოვრება მნიშვნელოვნად წარმოეჩინათ. რასაკვირველია, ყველა ცხოვრება მნიშვნელოვანია, - დაამატა თავდაჭერილად, - ამას არ ვგულისხმობ. მაგრამ ედნა, ღმერთო ჩემო, ის მშობელდედა იყო, მერე კი საკვების წარმოებაში მუშაობდა წლების მანძილზე, სანამ აქ მოვიდოდა. არასოდეს ჰქონია ოჯახური ერთეული.

ლარისამ თავი წამოსწია და მზერა მოატარა დასარწმუნებლად, რომ არავინ უსმენდა. მერე გამოტყდა:

- არა მგონია, ედნა ძალიან საზრიანი ვინმე ყოფილიყო.

ჯონასს გაეცინა. მარცხენა მკლავზე წყალი გადაივლო, ისევ წყალში ჩაყო და ქალის ფეხების ბანას შეუდგა. როცა ღრუბელს ფეხებზე უსვამდა, ლარისა სიამოვნებისგან კრუტუნებდა.

- აი, რობერტოს ცხოვრება კი ჩინებულად აეწყო, - მალევე განაგრძო ქალმა, - თერთმეტიანების ინსტრუქტორი იყო. შენ ხომ იცი, რა მნიშვნელოვანია ეს. დამგეგმავ კომიტეტშიც მუშაობდა და - ღმერთო ჩემო, არ ვიცი, როგორ პოულობდა საამისო დროს! - კიდევ ორი წარმატებული ბავშვიც გაზარდა. გარდა ამისა, მანვე შექმნა ლანდშაფტური დიზაინი ცენტრალური მოედნისთვის. ფიზიკურად არ მუშაობდა, რასაკვირველია.

- ახლა ზურგი. წინ გადმოიწიეთ და წამოჯდომაში შეგეშველებით, - უთხრა ჯონასმა, ხელი მოხვია და წამოსვა. ღრუბელი ზურგზე ჩამოაწურა და ძვალტყავა მხრებზე ჩამოუსვა: - მითხარით, როგორი იყო რობერტოს გასაცილებელი ზეიმი.

- მის ცხოვრებას ჰყვებოდნენ. პირველად ამით იწყებენ ხოლმე. ამას მოჰყვება სადღეგრძელო. ყველამ ჩვენ-ჩვენი ჭიქა

ავწიეთ და ვადღეგრძელეთ. ჰიმნი ვიმღერეთ. მან მშვენიერი და-სამშვიდობებელი სიტყვა წარმოთქვა. ზოგიერთმა ჩვენგანმაც წარმოთქვა მოკლე სიტყვა და კარგად ყოფნა უსურვა. მე არაფერი მითქვამს: არასდროს მყვარებია საჯარო გამოსვლა. რობერტო აღელვებული იყო. უნდა გენახა მისი გამომეტყველება გასვლისას.

ჯონასმა ფიქრიანად შეანელა ღრუბლის ჩამოსმა ლარისას ზურგზე და ჰკითხა:

- ლარისა, რა ხდება, როცა ნამდვილად უშვებენ ვინმეს? ზუსტად სად წავიდა რობერტო?

ქალმა ოდნავ აიჩეჩა შიშველი, სველი მხრები:

- არ ვიცი. არა მგონია, ეგ ვინმემ იცოდეს, კომიტეტის გარდა. მან ყველას თავი დაგვიკრა და გავიდა, როგორც ყველანი გადიან: გასაშვები კარიდან. მაგრამ შენ მისი სახე უნდა გენახა. მე ამას სრულ ბედნიერებას დავარქმევდი. ჯონასმა გაიღიმა:

- ნეტავ, იქ ვყოფილიყავი და მენახა.

ლარისას შუბლი შეეჭმუხნა:

- არ ვიცი, რატომ არ აძლევენ ბავშვებს ამის ნახვის ნებას. ვფიქრობ, მიზეზი სივრცის უკმარისობაა. გასაშვები ოთახი უნდა გაფართოვდეს.

- უნდა ვურჩიოთ კომიტეტს. იქნებ შეისწავლონ ეს საკითხი, - თქვა ჯონასმა მორცხვად. ლარისამ კი ჩაიფრუტუნა და შესძახა:

- მართლაც!

და ამის შემდეგ ჯონასი აბაზანიდან გადმოსვლაში დაეხმარა.

5

დილის რიტუალზე, როცა ოჯახის წევრები, ჩვეულებრივ, თავ-თავიანთ სიზმრებს ჰყვებოდნენ ხოლმე, ჯონასი ჩუმად იჯდა. ის იშვიათად ხედავდა სიზმარს. ზოგჯერ ეღვიძებოდა და სიზმრის

ფრაგმენტები ახსოვდა, მაგრამ ვერ ახერხებდა მათ გაერთიანებას ისე, რომ დილის რიტუალზე სათქმელად ღირებულიყო.

მაგრამ ეს დილა განსხვავებული აღმოჩნდა. წუხელ ძალიან ცოცხალი სიზმარი ნახა.

მისი გონება სადღაც დაეხეტებოდა, სანამ ლილი, ჩვეულებრისამებრ, ჰყვებოდა თავის გრძელ სიზმარს, ამჯერად - დამაფრთხობელს: თურმე, წესების საწინააღმდეგოდ, დედას ველოსიპედზე იჯდა და უსაფრთხოების მცველებმა დაიჭირეს.

ყველა ყურადღებით უსმენდა, მერე კი, ლილისთან ერთად, ამ სიზმრით ჩაგონებულ გაფრთხილებაზე ისაუბრეს.

- მადლობა შენი სიზმრისთვის, ლილი, - მექანიკურად უთხრა ჯონასმა სტანდარტული ფრაზა. მერე კი სცადა, უკეთ მოესმინა, როდესაც დედა ჰყვებოდა სიზმრის ერთ ფრაგმენტს - სცენას, როცა იგი დაისაჯა მისთვის გაუგებარი წესის დარღვევისთვის. ყველანი შეთანხმდნენ, რომ ეს, შესაძლოა, გამოიწვია დედას გრძნობებმა, როცა მან უხალისოდ მიაკუთვნა სასჯელი დიდი წესების მეორედ დამრღვევ მოქალაქეებს.

მამამ თქვა, მე სიზმარი არ მინახავსო.

- გეიბ? - მან ჩაიხედა კალათაში, სადაც ნასაუზმევი, აღმზრდელობით ცენტრში წასაყვანად გამზადებული ახალბავშვი იწვა და თავისთვის ღუღუნებდა.

ყველამ გაიცინა. სიზმრის მოყოლა სამიანებიდან იწყებოდა, ხოლო ხედავდა თუ არა სიზმრებს ახალბავშვი - არავინ იცოდა.

- ჯონას, შენ? - ჰკითხა დედამ. ყოველთვის ეკითხებოდნენ, თუმცა, იცოდნენ, რაოდენ იშვიათად ხედავდა ჯონასი სიზმარს.

- წუხელ ნამდვილად ვნახე სიზმარი, - თქვა შუბლშეჭმუხნილმა ჯონასმა და სკამზე გასწორდა.

- კარგია, მოგვიყევი, - უთხრა მამამ.

- ბუნდოვნად მახსოვს, - დაიწყო ჯონასმა, რომელიც გონებაში უცნაური სიზმრის აღდგენას ცდილობდა, - ვფიქრობ, მოხუცთა სახლის სააბაზანოში ვიყავი.

- ანუ იქ, სადაც გუშინ იყავი, - აღნიშნა მამამ.

ჯონასმა თავი დაუქნია.

- თუმცა, ეს იგივე არ იყო. სიზმარში აბაზანა ჩანდა, თუმცა - ერთადერთი, ნამდვილ საბანაო ოთახში კი აბაზანების რამდენიმე რიგია. სიზმრის ოთახი თბილი და ნოტიო იყო. ტუნიკის ნაცვლად ხალათი მეცვა და მკერდი შიშველი მქონდა. ცხელოდა და ოფლი მდიოდა. ფიონაც იქ იყო, როგორც გუშინ.

- აშერიც? - ჰკითხა დედამ. ჯონასმა თავი გააქნია:

- მხოლოდ მე და ფიონა ვიყავით ოთახში, აბაზანასთან ვიდექით. ის იცინოდა, მე - არა. ცოტათი გაბრაზებულიც ვიყავი მასზე სიზმარში, რადგან ჩემს ნათქვამს სერიოზულად არ აღიქვამდა.

- და რას ეუბნებოდი? - ჰკითხა ლილიმ.

ჯონასმა თავის თეფშს დახედა და რატომღაც შეცბუნდა.

- მგონი, ვცდილობდი, დამერწმუნებინა, რომ წყლიან აბაზანაში ჩასულიყო.

ჯონასი გაჩუმდა. იცოდა, რომ ყველაფერი უნდა ეთქვა, ეს აუცილებელი იყო. ამიტომ თავს ძალა დაატანა, სიზმრის ის ნაწილიც მოეყოლა, რომლის გამოც თავს უხერხულად გრძნობდა.

- მსურდა, სამოსი გაეხადა და აბაზანაში ჩასულიყო, - თქვა აჩქარებით, - მისი დაბანა მინდოდა. ხელში ღრუბელი მეჭირა, ის კი იცინოდა და უარობდა.

ჯონასმა მშობლებს ახედა და თქვა:

- სულ ესაა.

- შეგიძლია აღწერო სიზმარში განცდილი ყველაზე ძლიერი გრძნობა, შვილო? - ჰკითხა მამამ.

ჯონასი ჩაფიქრდა. დეტალები ბუნდოვანი იყო, თუმცა, გრძნობები - მკაფიო. და ახლაც, როცა ჩაფიქრდა, თითქოს ყველაფერი ხელახლა განიცადა.

- ნდომა, - თქვა ჯონასმა, - ვიცოდი, რომ ფიონა არ დამყვებოდა. მგონი, ისიც ვიცოდი, რომ არც უნდა დამყოლოდა. თუმცა, ეს ძალიან მინდოდა, მთელი სხეულით.

- მადლობა, რომ სიზმარს მოგვიყევი, ჯონას, - თქვა დედამ ხანმოკლე დუმილის შემდეგ და მამას გახედა.

- ლილი, - თქვა მამამ, - სკოლაში წასვლის დროა. გამომყვები, რომ ახალბავშვის კალათაზე თვალი გეჭიროს? მეშინია, არ გადმოვარდეს.

ჯონასი სკოლის წიგნების შესაგროვებლად წამოდგა. არ ელოდა, რომ მადლობის გადახდამდე მის სიზმარს არ განიხილავდნენ. იქნებ მშობლებიც ისევე შეცბუნდნენ, როგორც თვითონ?

- მოიცა, ჯონას, - უთხრა დედამ ტკბილად, - წერილით მოვუბოდიშებ შენს ინსტრუქტორს, რათა დაგვიანებისთვის შენ არ მოგიწიოს ბოდიშის მოხდამ.

შეფიქრიანებული ჯონასი ისევ სკამზე დაეშვა. ხელი დაუქნია მამას და ლილის, რომლებიც ოთახიდან გავიდნენ და გეიბრიელიც გაიყოლეს კალათით. უყურებდა, როგორ აალაგა დედამ მაგიდა და საუზმის ნარჩენებიანი ლანგარი გასასვლელ კართან დადო შემგროვებელთა გუნდისთვის.

მერე კი გვერდით მიუჯდა.

- ჯონას, - მიმართა ღიმილით, - გრძნობა, რომელიც შენ აღწერე, როგორც ნდომა, იყო შენი პირველი შეტოკებები. მე და მამა ველოდით, რომ ეს დაგემართებოდა. ყველას ემართება. მამაშენსაც დაემართა, როცა შენი ასაკისა იყო. მეც. ოდესმე ლილისაც მოაკითხავს.

- ძალზე ხშირად ეს სიზმრით იწყება, - დაამატა ბოლოს.

შეტოკებები. ეს სიტყვა ადრეც სმენოდა. გაახსენდა, რომ წესების წიგნში არსებობდა მითითება შეტოკებების შესახებ, თუმცა, არ ახსოვდა, რა იყო ნათქვამი ამ შენიშვნაში. დროდადრო სპიკერიც ახსენებდათ ამას:

- ყურადღება! შეგახსენებთ, რომ შეტოკებები არ უნდა დაიმალოს, რათა ჩატარდეს მკურნალობა.

ჯონასს არასოდეს მიუქცევია ყურადღება ამ განაცხადისთვის, რადგან არ ესმოდა და თანაც, მას თითქოს არ ეხებოდა. მოქალაქეთა უმრავლესობასავით, ისიც ხშირად უყურადღებოდ ისმენდა სპიკერის წაკითხულ განკარგულებებსა თუ განცხადებებს.

- საჯაროდ უნდა ვთქვა ეს? - ჰკითხა დედას.

მან გაიცინა:

- შენ უკვე თქვი, როცა სიზმარს ყვებოდი. ეს საკმარისია.

მაგრამ მკურნალობა? სპიკერი ამბობს, მკურნალობა უნდა ჩატარდესო.

ჯონასს საკუთარი თავი შეებრალა: ნუთუ სწორედ ახლა, როცა მისი თორმეტის ცერემონიამდე თითზე ჩამოსათვლელი დღეები რჩებოდა, სადღაც სამკურნალოდ უნდა წასულიყო? მხოლოდ და მხოლოდ ამ ბრიყვული სიზმრის გამო?

დედამ ისევ გაიცინა - გამამხნევებლად და თბილად:

- არა, არა, მხოლოდ აბები გექნება დასალევი. შენ უკვე მზად ხარ აბების მისაღებად, ეგ არის და ეგ. ესაა შეტოკებების მკურნალობა.

ჯონასს სახე გაუბრწყინდა. იცოდა, აბები რომ არსებობდა. მისი ორივე მშობელი ყლაპავდა ყოველ დილით, ისევე, როგორც ჯონასის ზოგიერთი მეგობარი. ერთხელ, როცა ის და ეშერი სკოლისკენ მიდიოდნენ თავიანთი ველოსიპედებით, ეშერის მამამ კარიდან გამოსძახა:

- შენი აბი დაგავიწყდა, აშერ!

მან ერთი ამოიოხრა, მერე ველოსიპედი მიაბრუნა და შინ დაბრუნდა. ჯონასი ელოდებოდა, მაგრამ არაფერი უკითხავს.

ასეთ რაღაცებს მეგობარს ვერ ჰკითხავ, რადგან ეს მის განსხვავებულობაზე ლაპარაკი იქნება და უხეშობად ჩაითვლება. აშერი ყოველ დილით ყლაპავდა თითო აბს, ჯონასი - არა. რა თქმა უნდა, ყოველთვის იოლია იმაზე ლაპარაკი, რაც მეგობრებს საერთო აქვთ.

ახლა კი ჯონასმა დედას პატარა აბი გამოართვა და გადაყლაპა.

- სულ ესაა? - ჰკითხა უკვე მშვიდად.

- სულ ესაა, უპასუხა დედამ და აბებიანი ბოთლი ბუფეტში შეაბრუნა, - თუმცა, არ უნდა დაგავიწყდეს. პირველ კვირებში შეგახსენებ ხოლმე, მერე კი თვითონ მიხედავ. თუ დაივიწყებ, შეტოკებები დაგიბრუნდება. ისევ დაგესიზმრება შეტოკებების სიზმრები. ოღონდ ზოგჯერ აბების დოზა იქნება შესაცვლელი.

- აშერი ყლაპავს, - გაანდო ჯონასმა.

დედას არ გაჰკვირვებია, თავი დაუქნია:

- როგორც, ალბათ, ბევრი შენი ჯგუფელი, ყოველ შემთხვევაში მამრები. მალე კი მდედრებიც დაიწყებენ ყლაპვას.

- რამდენ ხანს უნდა ვყლაპო?

- სანამ მოხუცთა სახლში შეხვალ, - აუხსნა დედამ, - მთელი მოწიფული ცხოვრების განმავლობაში. თუმცა, მალე ეს ჩვეულებად გექცევა და ცოტა ხნის შემდეგ ყურადღებას აღარ აქცევ.

დედამ საათზე დაიხედა:

- ახლავე თუ გახვალ, არ დაგაგვიანდება. იჩქარე. და კიდევ ერთხელ მადლობა, რომ სიზმარი გვიამბე, ჯონას.

მეორე წუთში უკვე ველოსიპედით მიქროდა ბილიკზე და უცნაურ სიამაყეს გრძნობდა, რომ ამიერიდან ისიც გადაყლაპავდა აბებს. თუმცა, ერთი წამით ისევ სიზმარი ამოუტივტივდა. საამური სიზმარი იყო, მიუხედავად იმისა, რომ ბევრი რამ ბუნდოვნად

ახსოვდა. ჯონასს მოეწონა შეგრძნებები, რომლებსაც დედამ შეტოკებები დაარქვა. ახსოვს: ახალგაღვიძებულს ისევ მოუნდა, შეტოკებები განეცადა.

მერე კი, როგორც მისი სახლი დარჩა ზურგს უკან, როცა ველოსიპედი ქუჩის კუთხეს მოეფარა, ასევე გაუსხლტა ფიქრებიდან სიზმარიც. სცადა, მოებრუნებინა - სულ ერთი წამით და თუნდაც მსუბუქი დანაშაულის განცდით, მაგრამ გრძნობები გამქრალიყო, შეტოკებებიც.

6

- წყნარად ლილი, - ვინ იცის, მერამდენედ გაუმეორა დედამ.

გოგონა მოუთმენლად ცმუკავდა დედის წინ.

- მე თვითონ შემიძლია შევიკრა, დაიწუწუნა ლილიმ, - ყოველთვის თვითონ ვიკრავ.

- ვიცი, - უპასუხა დედამ, რომელიც ლილის ნაწნავებზე ლენტებს ასწორებდა, - თუმცა, ისიც ვიცი, რომ გამუდმებით გეხსნება და უკვე ნაშუადღევს კეფაზე გიბანცალებს ხოლმე. დღეს მაინც მაგრად უნდა გქონდეს მობმული და ბოლომდე ასე დაგრჩეს.

- არ მომწონს თმის ლენტები. მიხარია, რომ ერთი წელიღა უნდა მეკეთოს, - თქვა ლილიმ გაღიზიანებით და უფრო ხალისიანად დაამატა: - მომდევნო წელს ველოსიპედიც მექნება.

- ყოველ წელს ხდება კარგი ამბები, - შეახსენა ჯონასმა, - წელს შენს მოხალისურ საათებს იწყებ. ის თუ გახსოვს, შარშან, შვიდის რომ გახდი, როგორ გაგიხარდა, ღილებიანი ჟაკეტი რომ გაჩუქეს?

გოგონამ თავი დაუქნია და ჟაკეტზე ჩამწკრივებულ დიდ ღილებზე დაიხედა, მის შვიდიანობას რომ ნიშნავდა. ოთხიანების, ხუთიანებისა და ექვსიანების ჟაკეტებს შესაკრავები უკან ჰქონდა,

რის გამოც ერთმანეთს უნდა დახმარებოდნენ შეკვრაში და ასე ესწავლათ ერთმანეთზე დამოკიდებულება.

წინაღილებიანი ჟაკეტი დამოუკიდებლობის პირველი ნიშანი იყო, ზრდის უპირველესი თვალსაჩინო სიმბოლო. ველოსიპედი, ცხრისა რომ მიიღებდა, უკვე ძალუმი ნიშანი იქნებოდა ოჯახის მფარველ ერთეულს მოშორების და თემში შესვლის.

ლილი გაიკრიჭა და როგორც იქნა, დედას ხელიდან დაუსხლტა.

- შენ კი წელს შენს დანიშნულებას მიიღებ, - უთხრა ჯონასს აგზნებული ხმით, - იმედი მაქვს, პილოტი გახდები და საფრენად მეც წამიყვან!

- აუცილებლად, - უპასუხა ჯონასმა, - პატარა პარაშუტს ვიშოვი საგანგებოდ შენთვის და ზემოთ წაგიყვან... შეიძლება ოცი ათასი ფუტის სიმაღლეზეც... იქ კარს გავხსნი და...

- ჯონას! - გააფრთხილა დედამ.

- ვიხუმრე, - წაიბუზღუნა ბიჭმა, - მაინც არ მინდა პილოტობა. თუ პილოტად დამნიშნავენ, გავასაჩივრებ.

- გეყოფათ, - თქვა დედამ და ლილის ლენტები მოჭიმა, - მზად ხარ, ჯონას? აბი თუ ჩაყლაპე? ლექტორიუმში კარგ ადგილზე მინდა დაჯდომა, და ლილის გასასვლელი კარისკენ უბიძგა. ჯონასიც მიჰყვა.

ლექტორიუმამდე დიდი გზა არ იყო. ლილი დედას ველოსიპედის უკანა სავარძლიდან თავის მეგობრებს უქნევდა ხელს. ჯონასს ველოსიპედი დედას გვერდით მიჰყავდა და დანარჩენ ველოსიპედებს შორის თავის ჯგუფს ეძებდა.

ყოველ წელს მთელი თემი ესწრებოდა ცერემონიას. მშობლებისთვის ეს ორდღიან შვებულებას ნიშნავდა. ისინი ერთად ისხდნენ ვეებერთელა დარბაზში. ბავშვები თავ-თავიანთ ჯგუფებთან იყვნენ, სანამ სათითაოდ ავიდოდნენ სცენაზე.

მამა დედას გვერდით მოგვიანებით დაჯდებოდა. მას ჯერ სხვა აღმზრდელებთან ერთად პირველი ცერემონიისთვის - სახელდებისთვის - ახალბავშვები სცენაზე უნდა აეყვანა. სხვა თერთმეტიანებთან ერთად აივანზე მჯდომმა ჯონასმა თვალით მამა მოძებნა. სულაც არ იყო ძნელი აღმზრდელთა დანახვა აუდიტორიის წინა ნაწილში, საიდანაც მათ კალთებში მოკალათებული ახალბავშვების ტირილი ისმოდა. ყველა სხვა საჯარო ცერემონიაზე აუდიტორია მდუმარე და ყურადღებიანი იყო, წელიწადში ერთხელ კი ყველანი შემწყნარებლურად იცინოდნენ თავ-თავიანთი სახელებისა და მომავალი ოჯახების მომლოდინე პატარების გნიასზე.

ბოლოს ჯონასმა მამას თვალები მოიხელთა და ხელი დაუქნია. მამამაც ხელის ქნევითვე უპასუხა და გაუღიმა, მერე კი კალთაში ჩასმული ბავშვის ხელი ასწია და ისიც დააქნია.

ეს გეიბრიელი არ იყო. დღეს გეიბი ისევ აღმზრდელობით ცენტრში ჰყავდათ და მასზე ღამის გუნდი ზრუნავდა. ჯონასის მამის თხოვნით, კომიტეტმა მას სახელდება და განთავსება ერთი წლით გადაუვადა, რადგან ამ ახალბავშვს ჯერ არც ასაკისთვის შესაფერისი წონა ჰქონდა, არც ღამით ეძინა ისე მშვიდად, რომ რომელიმე ოჯახში გაემწესებინათ. ჩვეულებრივ, ასეთ ბავშვს არაადეკვატურის კატეგორიას აკუთვნებდნენ და თემიდან უშვებდნენ.

მაგრამ გეიბრიელი, მამას თხოვნით, განუსაზღვრელთა ტიპს მიაკუთვნეს და ერთი წელი დაუმატეს. ამ წლის განმავლობაში მას ისევ ცენტრში აღზრდიდნენ, ღამეებს კი ჯონასის ოჯახურ ერთეულთან გაატარებდა. ოჯახის თითოეულ წევრს, ლილის ჩათვლით, დაადებინეს აღთქმა, რომ ემოციურად არ მიეჯაჭვებოდნენ პაწაწინა სტუმარს და მომავალ წელს მორჩილად დააბრუნებდნენ უკან რომელიმე ოჯახში გასამწესებლად.

„არა უშავს, მომავალ წელს, როცა გეიბრიელს ვინმესთან გაამწესებენ, მაინც ხშირად შევხვდებით ხოლმე, რადგან თემში

დარჩება, “- ფიქრობდა ჯონასი. მაგრამ თუ გეიბს თემიდან გაუშვებდნენ, მაშინ კი ვეღარ ნახავდა. ვეღარასოდეს. ვისაც უშვებდნენ - ახალბავშვებსაც კი სადღაც სხვაგან გზავნიდნენ და ისინი თემში აღარასოდეს ბრუნდებოდნენ.

ამ წელს მამას არც ერთი ბავშვის გაშვებამ არ მოუწია და გეიბრიელის გაშვება პირველი მარცხი იქნებოდა. ეს ჯონასსაც გაუხარდა, მიუხედავად იმისა, რომ ისე არ დასტრიალებდა თავზე პატარას, როგორც ლილი და მამა.

პირველი ცერემონია დროულად დაიწყო. ჯონასი უყურებდა, ბავშვები ერთიმეორის მიყოლებით როგორ იღებდნენ სახელებს და როგორ მიაბარეს თითოეული თავ-თავის ახალ ოჯახურ ერთეულს. ზოგიერთისთვის ეს პირველი ბავშვი იყო, ბევრს კი სცენაზე სხვა ბავშვიც ახლდა, გაბრწყინებული, რომ პატარა ძამიკოს ან დაიკოს იღებდა, როგორც ჯონასმა მიიღო, როცა ხუთის ხდებოდა.

აშერმა ჯონასს მკლავზე მოქაჩა:

- გახსოვს, ფილიპა რომ მივიღეთ? - ჰკითხა ხმამაღალი ჩურჩულით.

ჯონასმა თავი დაუქნია. ეს შარშან მოხდა. აშერის მშობლები მეორე ბავშვს კარგა ხანს არ ითხოვდნენ. ჯონასი ეჭვობდა, რომ აშერის მშობლები ისე გაასავათა მისმა მოუსვენარმა და მხიარულმა ხასიათმა, დრო დასჭირდათ სულის მოსათქმელად.

მათი ორი თანაჯგუფელი ფიონა და კიდევ ერთი მდედრი, თეა - თავ-თავიანთ მშობლებთან ერთად ელოდებოდნენ ახალბავშვებს. საერთოდ კი, ოჯახურ ერთეულში ბავშვებს შორის ასეთი ასაკობრივი სხვაობა იშვიათი იყო.

როდესაც მისი ოჯახის ცერემონია დასრულდა, ფიონა აშერისა და ჯონასის წინა რიგში, მისთვის შენახულ სავარძელში ჩაჯდა. გოგონა შემობრუნდა და ჩასჩურჩულა:

- მაგარი ბიჭუნაა, მაგრამ მისი სახელი მაინცდამაინც არ მომწონს, - თან დაიჭყანა და ჩაიცინა.

ფიონას ახალ ძამიკოს ბრუნო დაარქვეს. ისეთი შესანიშნავი სახელი არ არის, როგორიც, მაგალითად, გეიბრიელიო, გაიფიქრა ჯონასმა. მაგრამ არა უშავდა.

აუდიტორიის აპლოდისმენტებმა, ასეთი ენთუზიაზმით რომ გაისმოდა ყოველი სახელდებისას, განსაკუთრებით იქუხა, როცა სიამაყით ანთებულმა ერთმა დედ-მამამ მიიღო ახალბავშვი და შეიტყო, რომ მას კალები ერქვა.

ეს ახალი კალები ძველის სანაცვლო იყო. მშობელთა წყვილს დაჰკარგოდა პირველი კალები - ხალისით სავსე ოთხიანი. საერთოდ, ბავშვის დაკარგვა უიშვიათესად ხდებოდა. თემი არაჩვეულებრივად უსაფრთხოდ იყო მოწყობილი, თითოეული მოქალაქე თვალს ადევნებდა და მფარველობდა ყველა ბავშვს, მაგრამ მაინც მოხდა უბედურება - პირველი კალები შეუმჩნევლად გავიდა მდინარესთან და შიგ ჩავარდა. მთელმა თემმა ერთად გამართა დაკარგვის ცერემონია: მთელი დღე ყველა ბავშვის სახელს ჩურჩულებდა, თანდათან უფრო და უფრო იშვიათად, ვიდრე ამ სევდიანი და გრძელი დღის ბოლოს პატარა ოთხიანი ნელ-ნელა ყველას ცნობიერებიდან არ ამოიშალა.

ახლა, ამ საგანგებო სახელდებაზე, თემმა წარმოადგინა ხანმოკლე ჩურჩულ-შენაცვლების ცერემონია. დღიდან დაკარგვისა, სახელს პირველად იმეორებდნენ: ჯერ ნელა და ჩუმად, შემდეგ უფრო სწრაფად და ხმამაღლა. ამ დროს მშობლები სცენაზე იდგნენ და ახალბავშვს დედის მკლავზე ეძინა. თითქოს პირველი კალები ბრუნდებოდა.

კიდევ ერთ ახალბავშვს დაერქვა რობერტო და ჯონასსაც გაახსენდა, რომ მოხუცი რობერტო მხოლოდ წინა კვირაში გაუშვეს. თუმცა, ამ ახალი პატარა რობერტოსთვის ჩურჩულ-შენაცვლების ცერემონია არ ჩატარებულა. გაშვება იგივე არ იყო, რაც დაკარგვა.

ჯონასი თავაზიანად ესწრებოდა ორიანების, სამიანებისა და ოთხიანების ცერემონიებს და, როგორც წინა წლებში, ახლაც უფრო და უფრო თავგაბეზრებული. ამას მოჰყვა შესვენება სადილისთვის და ყველანი გარეთ გავიდნენ, შემდეგ კი ისევ დაუბრუნდნენ თავ-თავიანთ სავარძლებს, დაესწრნენ ხუთიანების, ექვსიანების, შვიდიანების და იმ დღის ბოლო - რვიანების ცერემონიებს.

ჯონასი თვალს ადევნებდა და უხაროდა, რომ ლილი ამაყად ავიდა სცენაზე, გახდა რვიანი და მიიღო ამის დამადასტურებელი ჟაკეტი, რომელიც ამ წელს უნდა სცმოდა. ახალ ჟაკეტს ჰქონდა პატარა ღილები და პირველად, სხვა ჟაკეტებისგან განსხვავებით - ჯიბეები, რაც ნიშნავდა, რომ ლილი უკვე მოწიფული იყო და შეეძლო, თან ეტარებინა თავისი პატარა ნივთები. იგი საზეიმოდ გაჯგიმული იდგა და უსმენდა მკაცრ ინსტრუქციებს რვიანის პასუხისმგებლობებისა და პირველი მოხალისური საათების შესახებ. თუმცა, ჯონასმა შეამჩნია, რომ თითქოსდა ყურადღებიანი ლილი მოუთმენლად შეჰყურებდა გაკრიალებულ ველოსიპედებს, რომლებიც ხვალ ცხრიანებს დაურიგდებოდათ.

„გაისად, ლილი-ბილი! “- გაიფიქრა ჯონასმა.

დამქანცველი დღე იყო და აღმზრდელობითი ცენტრიდან ისევ კალათაში ჩაბრუნებულ გეიბრიელსაც კი გაუნძრევლად ეძინა იმ ღამით.

ბოლოს და ბოლოს, თორმეტის ცერემონიის დღეც დადგა.

ამჯერად მამა დედას გვერდით იჯდა. ჯონასი ხედავდა, მოვალეობის გრძნობით აღსავსენი, როგორ უკრავდნენ ტაშს, როდესაც ცხრიანებმა სათითაოდ გაიყვანეს სცენიდან მოციმციმე ბირკამიკრული თავ-თავიანთი ველოსიპედები. მიხვდა, რომ მშობლებიც, როგორც თვითონ, ცოტათი გაღიზიანდნენ, როდესაც მათმა მეზობელმა ფრიცმა პირადი ველოსიპედი მიიღო და მაშინვე სცენაზე დადგმულ კათედრას შეეჯახა. ფრიცი ძალზე მოუქნელი ბავშვი იყო, ხან რისთვის ისჯებოდა და ხან - რისთვის. ყოველთვის

არღვევდა წესებს: ხან ფეხსაცმელი ეცვა უკუღმა, ხან სასკოლო დავალება ცუდად ჰქონდა შესრულებული, ხანაც - საკონტროლოსთვის არ იყო მომზადებული. თითოეული ასეთი დარღვევა მისი მშობლების უყურადღებობაზე მეტყველებდა, თემის წესრიგს არღვევდა და მის წარმატებას ხელს უშლიდა. ჯონასი და მისი მშობლები დარწმუნებული იყვნენ, რომ ფრიცის ველოსიპედი ტროტუარზე უფრო ხშირად ეგდებოდა, იმის ნაცვლად, რომ კოხტად მდგარიყო თავის სადგომში.

ბოლოს და ბოლოს, მას შემდეგ, რაც თითოეულმა ცხრიანმა თავისი ველოსიპედი გარეთ გაიყვანა, ყველა თავ-თავის სავარძელს დაუბრუნდა. როდესაც ცხრიანები შინისკენ პირველად მიეშურებოდნენ ველოსიპედებით, უფროსები ფხუკუნებდნენ და მათ ხუმრობით მისძახოდნენ:

- გინდა, ტარება გასწავლო? აქამდე ხომ არასოდეს მჯდარხარ ველოსიპედზე! - მაგრამ ამის გამგონე ცხრიანები იღიმოდნენ და პედლებს ისე თამამად ატრიალებდნენ, სავარჯიშო ბორბლებს მიწას არც კი აკარებდნენ. ისინი ხომ წესს არღვევდნენ და კვირების განმავლობაში ველოსიპედის ტარებას ჩუმ-ჩუმად სწავლობდნენ.

ჯერი ათიანებზე მიდგა. ჯონასს არასოდეს მიუჩნევია ათიანების ცერემონია საინტერესოდ. ეს მხოლოდ დროის კარგვა იყო. ისხდნენ და უყურებდნენ, როგორ სჭრიდნენ ყველა ბავშვს თმას ასაკის შესაბამისად: მდედრი ათიანები ნაწნავებს ემშვიდობებოდნენ, მამრები კი - გრძელ, ბავშვურ კულულებს. ახლა მათ კაცური, მოკლე ვარცხნილობა ექნებოდათ, ისეთი, რომ ყურებიც გამოსჩენოდათ.

ცოცხებიანი მუშები სწრაფად მოედვნენ სცენას და თმის გროვები ახვეტეს. ჯონასი ახალგამომცხვარი ათიანების მშობლებს უყურებდა. მან იცოდა, რომ ამ საღამოს ბევრ სახლში შეისწორებდნენ ფაცხაფუცხით შეჭრილ თმას და ვარცხნილობებს მოიწესრიგებდნენ.

თერთმეტიანების ჯერი დადგა. ჯონასმა თითქოს ცოტა ხნის წინ გაიარა თერთმეტის ცერემონია, და ახსოვდა, რომ არც ეს პროცედურა იყო ყველაზე საინტერესო. თერთმეტს მიღწეული მხოლოდ თორმეტს ელოდა. ეს იყო მხოლოდ დროის აღნიშვნა არსებითი ცვლილების გარეშე. იყო ახალი სამოსიც: მდედრებისთვის, რომელთა სხეულები უკვე იცვლებოდა, განსხვავებული ქვედა საცვალი და მამრებისთვის - უფრო გრძელი შარვლები საგანგებო პატარა ჯიბით კალკულატორისთვის, რომელსაც წელს სკოლაში გამოიყენებდნენ. თუმცაღა, ყველა ამ ნივთს ფუთებით გადასცემდნენ თერთმეტიანებს, საზეიმო მიმართვის გარეშე.

ამას მოჰყვა შესვენება სადილისთვის. ჯონასი მიხვდა, რომ შიოდა. ის და მისი თანაჯგუფელები ლექტორიუმის წინ დადგმულ მაგიდებს მიუსხდნენ და ყუთებში ჩაწყობილი საჭმელი ამოალაგეს. გუშინ ლანჩზე მხიარულება სუფევდა, დიდი ენერგია იხარჯებოდა და ბევრი ხუმრობა ისმოდა. დღეს კი ჯგუფი სხვა ბავშვებისგან განცალკევებით იდგა. ჯონასი უყურებდა ცხრიანებს მოხიბლულებს თავიანთი ველოსიპედებით, აღტაცებულებს ბირკაზე მიწერილი სახელებით. ხედავდა ათიანებსაც, ხელს რომ ისვამდნენ ახალგაკრეჭილ თავებზე. მდედრები თავებს აქანავებდნენ, რათა უნაწნავებოდ დარჩენილი თავების მიუჩვეველი სიმსუბუქე ეგრძნოთ.

- გავიგონე, როგორ ამბობდნენ ერთ ბიჭზე, ეჭვი არ ეპარება, რომ ინჟინრად დანიშნავენო, - წაიბურტყუნა აშერმა ჭამის დროს, - სინამდვილეში კი კანალიზაციის მუშად გაამწესეს. მეორე დღეს მდინარეში ჩახტა, მეორე მხარეს გადაცურა და სხვა თემს შეუერთდა. მეტად აღარავის უნახავს. ჯონასმა გაიცინა:

- ეგ ამბავი ვიღაცის შეთხზულია, აშ. მამაჩემმა მითხრა, ეგ მაშინ მოვისმინე, როცა მე თვითონ ვიყავი თორმეტიანიო.

მაგრამ ამან აშერი ვერ გაამხნევა. გაჰყურებდა მდინარეს, რომლის მონაკვეთიც ლექტორიუმის უკან მოჩანდა.

- კარგად ვერ ვცურავ. ჩემმა ინსტრუქტორმა თქვა, კარგი ბიჭობა თუ რაღაც არ გაქვსო.

- ტივტივის უნარი[3], - შეუსწორა ჯონასმა.

- როგორც არის. არ მაქვს ეგ. ვიძირები.

- აშერ, ოდესმე თუ გსმენია, ვინმე ნამდვილად სხვა თემში გადასულიყოს?

- არა, - უხალისოდ აღიარა აშერმა, - თუმცა, ეს შესაძლებელია. ასე წერია წესებში. თუ აქაურობას ვერ ეგუები, შეგიძლია, სხვაგან ითხოვო წასვლა და გაგიშვებენ. დედაჩემი ამბობს, რომ ერთხელ, დაახლოებით ათი წლის წინ, ვიღაცამ ეს ითხოვა და მეორე დღეს წავიდა, - აშერმა ჩაიფხუკუნა და განაგრძო: - დედაჩემმა ეს იმიტომ მითხრა, რომ ჭკუიდან გადამყავდა. მოვითხოვ, სხვაგან გაგიშვანო, დამემუქრა.

- იხუმრა.

- ვიცი. მაგრამ იმ ვიღაცაზე სიმართლე მითხრა. ნამდვილად ასე იყოო, თქვა. დღეს აქ იყო, ხვალ - აღარ. მას შემდეგ აღარავის უნახავს, გაშვების ცერემონიაც კი არ ჩატარებულაო.

ჯონასმა მხრები აიჩეჩა. ეს მას არ აღელვებდა. როგორ შეიძლებოდა, ვინმე აქაურობას ვერ შეჰგუებოდა? თემი ხომ ყველანაირად მოწესრიგებული იყო! სხვადასხვა არჩევანიც უკიდურესად ფრთხილად კეთდებოდა. თვით მეუღლეთა დაწყვილებასაც ისეთი გონივრული განსჯა უძღოდა წინ, რომ ზრდასრული ადამიანი, რომელიც მეუღლეს მოითხოვდა, თვეობით, ზოგჯერ წლობითაც კი ელოდა, სანამ წყვილს შეურჩევდნენ და დაუსახელებდნენ. ყველაფერი - ხასიათები, ენერგეტიკული დონეები, ინტელექტი, ინტერესები გათვალისწინებული და ერთმანეთის შესატყვისი უნდა ყოფილიყო. მაგალითად, ჯონასის დედას უფრო მაღალი ინტელექტი ჰქონდა, ვიდრე მამას, თუმცა, მამა უფრო მშვიდი

---

[3] *ლაპარაკია მსგავსი ჟღერადობის სიტყვებზე: boyishness (ბიჭობა) და buoyancy (ტივტივის უნარი) (მთარგმნ.).*

ხასიათისა იყო. ისინი აწონასწორებდნენ ერთმანეთს. მათი წყვილი (რომელსაც, ყველა სხვა წყვილივით, უხუცესთა კომიტეტი ადევნებდა თვალს სამი წლის განმავლობაში, სანამ ახალბავშვების აყვანის უფლებას მისცემდა) ყოველთვის წარმატებული იყო.

როგორც მეუღლეთა შეწყვილება, სახელდება და ახალბავშვების აყვანა, დანიშნულებების განაწილებაც სკრუპულოზურად იყო გათვლილი უხუცესთა კომიტეტის მიერ.

ჯონასს ეჭვი არ ეპარებოდა: როგორიც უნდა ყოფილიყო მისი და აშერის დანიშნულება, ორივესთვის შესაფერისი იქნებოდა. ახლა მხოლოდ ის სურდა, შუადღის შესვენება დამთავრებულიყო, დამსწრე საზოგადოება აუდიტორიაში დაბრუნებულიყო და ამდენი ხნის ჭოჭმან-გაურკვევლობასაც წერტილი დასმოდა.

თითქოს მის გამოუთქმელ სურვილს უპასუხეს: გაისმა სიგნალი და ხალხი შესასვლელისკენ დაიძრა.

7

ახლა ჯონასის ჯგუფს აუდიტორიაში ახალი ადგილი ეჭირა: ახალ თერთმეტიანებს გაუცვალეს და პირველ რიგში, სცენის წინ დასხდნენ.

დასხდნენ თავიანთი თავდაპირველი ნომრების მიხედვით, რომლებიც დაბადებისას მიეცათ. ეს ნომრები სახელდების შემდეგ იშვიათად გამოიყენებოდა, თუმცა, თითოეულმა ბავშვმა იცოდა თავისი ნომერი. ზოგჯერ ბავშვის უმსგავსი ქცევით გაღიზიანებული მშობლები მაინც ახსენებდნენ ნომერს, რითაც მიანიშნებდნენ: ცელქობის გამო სახელს აღარ იმსახურებო. ჯონასს ყოველთვის ეცინებოდა, როცა ესმოდა, როგორ უყვიროდა განრისხებული მშობელი ახალფეხადგმულ, მოზლუქუნე ბავშვს:

- კმარა, ოცდასამო!

თვითონ ჯონასი ცხრამეტი ნომერი იყო. იმ წელს დაბადებულთა შორის რიგით მეცხრამეტე აღმოჩნდა, რაც იმას ნიშნავდა, რომ თავისი სახელდების დროს თვალებგაბრწყინებული იდგა, მალე კი გაივლიდა და ალაპარაკდებოდა კიდეც. პირველი ორი წლის განმავლობაში ჯონასი უპირატესობას გრძნობდა - ის უფრო მეტად მოწიფული იყო, ვიდრე ბევრი მისი თანაჯგუფელი, რომლებიც იმ წელს უფრო გვიან დაიბადნენ. თუმცა, როცა სამისა გახდნენ, ყველაფერი გათანაბრდა.

სამის შემდეგ ბავშვები მეტ-ნაკლებად ერთნაირად ვითარდებოდნენ, თუმცა, მათ პირველ ნომერს ყოველთვის შეეძლო ეთქვა, ვინ იყო მის ჯგუფში სხვებზე რამდენიმე თვით უფროსი. ჯონასის სრული ნომერი იყო თერთმეტ-ცხრამეტი, რადგან თითოეულ ასაკობრივ ჯგუფში, ბუნებრივია, სხვა ცხრამეტებიც არსებობდნენ. და დღეს, დილას, როცა ახალი თერთმეტიანები გაჩნდნენ, ორი თერთმეტ-ცხრამეტი აღმოჩნდა. შუადღის შესვენებაზე ჯონასმა ღიმილით გადახედა ამ მეორეს - მორცხვ მდედრ ჰარიეტს.

მაგრამ ამ ერთნაირნომრიანობამ სულ რამდენიმე საათს გასტანა. მალე ჯონასი აღარ იქნებოდა თერთმეტი, იქნებოდა თორმეტი, რის შემდეგაც ასაკს მნიშვნელობა ეკარგებოდა. ჯონასი იქცეოდა უფროს ადამიანად, როგორც მისი მშობლები, თუმცა - ჯერჯერობით ახალ და ისევ უწვრთნელ უფროსად.

აშერი ოთხი ნომერი იყო და ახლა ჯონასის წინა რიგში იჯდა. თავის დანიშნულებას იგი მეოთხე მიიღებდა.

ფიონა - თვრამეტი ნომერი - მარცხნივ ეჯდა ჯონასს, ოცი ნომერი მამრი, პიერი კი - მარჯვნივ. იგი ჯონასს გულზე დიდად არ ეხატებოდა. ძალიან სერიოზული იყო, თითქმის არ ხუმრობდა, ბევრს ნერვიულობდა და თანაც, მაბეზღარობაც სჩვეოდა.

- წესები წაიკითხე, ჯონას? - პიერი მუდამ ჩურჩულებდა, - არა მგონია, წესით, ეგ შეიძლებოდეს.

ჩვეულებრივ, ეს იყო ხოლმე რაღაც სისულელე, რასაც აინუნში არავინ აგდებდა, მაგალითად, ტუნიკის გახსნა ქარიან დღეს, ან ცოტა ხნით მეგობრის ველოსიპედზე დაჯდომა განსხვავების შესაგრძნობად.

თორმეტის ცერემონიაზე შესავალი სიტყვა წარმოთქვა მთავარმა უხუცესმა - თემის ხელმძღვანელმა ქალმა, რომელსაც ათი წლით ირჩევდნენ. წლიდან წლამდე ეს სიტყვა თითქმის არ იცვლებოდა: ბავშვობის და მომზადების პერიოდების გახსენება, მოწიფული ცხოვრების მოახლოებული პასუხისმგებლობები, დანიშნულების მნიშვნელობა, მომავალი წვრთნის სერიოზულობა.

შემდეგ მთავარმა უხუცესმა მათ შეხედა და განაგრძო:

- დღეს ჩვენ განსხვავებებზე ვილაპარაკებთ. თქვენ, თერთმეტიანები, აქამდე ყოველ წელს თემის მოთხოვნების შესაბამისად იქცეოდით, ყველა ისეთ იმპულსს იოკებდით, ჯგუფისგან რომ გამოგარჩევდათ და გაგრიყავდათ. დღეს კი ჩვენ პატივს მივაგებთ თქვენს განსხვავებულობას, რაც თითოეული თქვენგანის მომავალს განსაზღვრავს.

ამის შემდეგ ქალ-უხუცესმა აღწერა წლევანდელი ჯგუფი და მის წევრთა ნაირგვარობა, თუმცა, სახელით არავინ გამოურჩევია. თქვა, რომ ერთს განსაკუთრებულად ემარჯვებოდა მოხუცების მოვლა, მეორეს უყვარდა ახალბავშვები, მესამეს უჩვეულო მეცნიერული უნარი ჰქონდა, მეოთხისთვის ფიზიკური შრომა დიდი სიამოვნება იყო. ჯონასი სავარძელზე შესწორდა. ცდილობდა, თითოეული დახასიათება რომელიმე თანაჯგუფელისთვის მიესადაგებინა. მოხუცების მომვლელში უეჭველად მის მარცხნივ მჯდარი ფიონა იგულისხმებოდა. ახსოვდა, როგორი სინაზით ჰბანდა მოხუცებს. მეცნიერული უნარით დაჯილდოებულში - ალბათ, ბენჯამინი, რომელმაც სარეაბილიტაციო ცენტრისთვის ახალი და საჭირო მექანიზმი გამოიგონა.

ვერაფერი გაიგონა ისეთი, რაშიც თავის თავს ამოიცნობდა.

დასასრულ, ქალ-უხუცესმა მისაგებელი მიაგო თავისი კომიტეტის მძიმე შრომას, ასე გულმოდგინედ რომ აკვირდებოდა ყველას მთელი წლის განმავლობაში.

უხუცესთა კომიტეტი წამოდგა და იგი ტაშით დააჯილდოვა. ჯონასმა შეამჩნია, რომ აშერმა ოდნავ დაამთქნარა და ტუჩებზე ხელი თავაზიანად აიფარა.

ბოლოს ქალ-უხუცესმა სცენაზე მოუხმო პირველ ნომერს და დანიშნულებების გამოცხადებაც დაიწყო.

თითოეულ გამოცხადებას ახლდა ახალი თორმეტიანისადმი მიძღვნილი სიტყვა. ჯონასმა ყურადღების მოკრება სცადა. ბედნიერად მოღიმარმა პირველმა მდედრმა თევზების ინკუბატორის მუშაკის დანიშნულება მიიღო, რასაც დაერთო ქების სიტყვები ბავშვობაში მის მიერ იქ გატარებული მრავალი მოხალისური საათის თაობაზე და თემის საკვებით მომარაგების უმნიშვნელოვანესი პროცესით მის დაინტერესებაზე.

ნომერი ერთი - მადლენი - აპლოდისმენტების თანხლებით დაუბრუნდა თავის სავარძელს. მკერდზე მიმაგრებული ჰქონდა ემბლემა, რომელიც თევზების ინკუბატორის მუშაკად ამწესებდა. ჯონასი კმაყოფილი იყო, რომ ეს დანიშნულება უკვე სხვას მიეკუთვნა. თვითონ ამას არ ისურვებდა. თუმცა, მადლენს ღიმილით მიულოცა.

როცა ნომერმა ორმა - მდედრმა ინგერმა - მშობელდედის დანიშნულება მიიღო, ჯონასს გაახსენდა დედას ნათქვამი, რომ ეს იყო ღირსების შემლახავი სამუშაო. თუმცა, ჯონასის აზრით, კომიტეტმა კარგი გადაწყვეტილება მიიღო. ინგერს ძლიერი სხეული ჰქონდა, კარგი გოგონა იყო, ოღონდ ზარმაცი. მის წვრთნას მოჰყვებოდა ნებივრობის სამი წელი. კარგად და იოლად იმშობიარებდა, მერე კი მუშად გაამწესებდნენ, მის ძალას გამოიყენებდნენ, ჯანმრთელობას შეუნარჩუნებდნენ და თვითდისციპლინას ასწავ-

ლიდნენ. თავის ადგილზე დაბრუნებული ინგერი იღიმოდა. მართალია, მშობელდედობა არც ისე პრესტიჟული, მაგრამ მნიშვნელოვანი საქმე იყო.

ჯონასმა შეამჩნია, რომ აშერი ნერვიულობდა, წამდაუწუმ თავს ატრიალებდა, რომ მეგობრისთვის გამოეხედა. იმდენი ქნა, რომ ჯგუფის ხელმძღვანელმა უხმოდ ანიშნა, წყნარად იჯექი და წინ იყურეო.

ნომერი სამი - ისააკი - ექვსიანების ინსტრუქტორად დაინიშნა, რაც აშკარად ესიამოვნა. ამ დანიშნულებას იმსახურებდა კიდეც. უკვე განაწილებული იყო სამი დანიშნულება, რომელთაგან ჯონასი არც ერთს არ ისურვებდა. მშობელდედა ვერ ვიქნებოდიო, გაიფიქრა და სცადა, გონებაში დარჩენილი დანიშნულებები ჩამოეთვალა, მაგრამ იმდენი იყო, რომ განზრახვაზე ხელი აიღო, თანაც, უკვე აშერის ჯერი დამდგარიყო. როცა მისი მეგობარი სცენაზე ავიდა და ქალ-უხუცესის გვერდით მორიდებით გაჩერდა, ჯონასი სმენად იქცა.

- ყველა ვიცნობთ აშერს და გვიხარია, რომ ჩვენთან არის, - დაიწყო უხუცესმა.

აშერმა გაიღიმა და ერთი ფეხი მეორეს გაუსვა. აუდიტორიას სიცილმა გადაურბინა.

- როცა კომიტეტმა დაიწყო მსჯელობა მის დანიშნულებაზე, - განაგრძო უხუცესმა, - ზოგიერთი შესაძლებლობა მეყსეულად გაუქმდა, როგორც აშერისთვის აშკარად შეუსაბამო. მაგალითად, - უხუცესმა გაიღიმა, - ერთი წამითაც არ გვიფიქრია აშერის დანიშვნა სამიანების ინსტრუქტორად.

აუდიტორიაში სიცილმა იფეთქა. თვითონ აშერიც იცინოდა, მორცხვად იდგა, მაგრამ სიამოვნებდა მისადმი გამოჩენილი საგანგებო ყურადღება. სამიანების ინსტრუქტორებს ხომ გამართული მეტყველების სწავლება მოეთხოვებოდათ.

- ერთხანს ვფიქრობდით, - განაგრძო ქალ-უხუცესმა და თვითონაც ჩაიცინა, - საყვედური გვეთქვა იმისთვის, ვინც დიდი ხნის წინ, სამიანების ჯგუფში, აშერის ინსტრუქტორი იყო. აშერზე საუბრისას გავიხსენეთ მრავალი ისტორია, რომლებიც ყველას გვახსოვდა მისი ენის სწავლის პერიოდიდან, განსაკუთრებით განსხვავება ხემსსა და შემორტყმას შორის[4]. გახსოვს, აშერ?

აშერმა ნაღვლიანად დაუქნია თავი, აუდიტორიამ კი ხმამაღლა გაიცინა. სხვებთან ერთად ჯონასმაც. მასაც ახსოვდა ეს, თუმცა, მაშინ თვითონაც სამიანი იყო.

პატარა ბავშვებს სადისციპლინო ჯოხით სჯიდნენ. ეს იყო წვრილი, ელასტიკური წკეპლა და დარტყმისას - ძალიან მტკივნეული. ბავშვზრუნვის სპეციალისტებს ძალზე ფრთხილად წვრთნიდნენ დისციპლინის მეთოდიკაში: მცირედი უსაქციელობისთვის ჯოხის ელვისებური გადაკვრა ორივე ხელზე, უმსგავსობის გამეორების შემთხვევაში კი უფრო მწვავე სამი შემორტყმა შიშველ ფეხებზე.

საბრალო აშერი, მუდამ სხაპასხუპით მეტყველებდა და სიტყვებს ურევდა! სამისა იყო, რომ ერთხელ, შესვენების დროს, დილის ტკბილეულის რიგში მდგარმა ხემსის ნაცვლად შემორტყმა წამოროშა.

ჯონასს კარგად ახსოვდა ეს ამბავი. დღემდე თვალწინ ედგა პატარა აშერი, რიგში მოუთმენლად რომ იგრიხებოდა. ახსოვდა ხალისიანი ხმა, რომელმაც შესძახა:

- ჩემი შემორტყმა[5] მინდა!

სხვა სამიანებმა - ჯონასმაც კი - ხმამაღლა გაიცინეს და შეუსწორეს:

---

[4] ბავშვი ერთმანეთში ურევს ერთი ასოთი განსხვავებულ ორ სიტყვას: snack (ხემსი, მსუბუქი საუზმე) და sinanck (შემორტყმა, შემოლაწუნება). ინგლისურ სიტყვას -

[5] sinanck აქვს უფრო პირველადი მნიშვნელობები (გემო, არომატი, პირის წკლაპუნი და ა.შ.), მაგრამ როგორც შემდგომი ტექსტიდან ირკვევა, ამჯერად სწორედ შემორტყმის მნიშვნელობით არის გამოყენებული (მთარგმნ.).

- ხემსი! შენ ხომ ხემსი იგულისხმე, აშერ!

მაგრამ შეცდომა უკვე დაშვებული იყო, სწორად მეტყველება კი პატარა ბავშვების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მოვალეობა იყო. აშერმა შემორტყმა მოითხოვა.

ბავშვზრუნვის მუშაკის ხელში სადისციპლინო ჯოხმა გაიშხუილა და აშერის ხელებზე დაეშვა. ამ უკანასკნელმა ამოისლუკუნა, მოიკუნტა და შეცდომა მაშინვე გაასწორა.

- ხემსი მინდა, - ჩაიჩურჩულა.

მაგრამ მეორე დილას იგივე გაიმეორა. მომდევნო კვირასაც. თითქოს ვერ ჩერდებოდა, თუმცა, თითოეული შეცდომისთვის სადისციპლინო ჯოხი ხვდებოდა - უფრო და უფრო მწარედ, რათა აშერის ფეხებზე ნაკვალევი დაეტოვებინა. ამის შემდეგ აშერმა კარგა ხანს საერთოდ შეწყვიტა ლაპარაკი.

- ერთხანს ჩვენ მდუმარე აშერი გვყავდა! - თქვა ქალ-უხუცესმა, - მაგრამ ბოლოს ისწავლა.

მერე ღიმილით მიუბრუნდა აშერს.

- როცა ისევ ალაპარაკდა, უფრო სწორად მეტყველებდა. ამჟამად შეცდომებს თითქმის აღარ უშვებს. მისი შესწორებები და მობოდიშება - ძალზე მკვირცხლია, კარგი განწყობა - მუდმივი.

აუდიტორიაში დასტურის ჩურჩული გაისმა. აშერის ხალისიანი ხასიათი მთელ თემში იყო ცნობილი.

- აშერ, - უხუცესმა ოფიციალური განცხადებისთვის ხმა აიმაღლა, - ჩვენ შენ დაგნიშნეთ რეკრეაციის დირექტორის მოადგილედ.

და მის გვერდით მდგარ სახეგაბრწყინებულ აშერს ახალი სამკერდე ნიშანი გაუკეთა, რის შემდეგ აშერი შეტრიალდა და აუდიტორიის შეძახილების თანხლებით სცენიდან ჩამოვიდა. როდესაც თავის სავარძელს მიუახლოვდა, ქალ-უხუცესმა ზემოდან ჩამოხედა და წარმოთქვა სიტყვები, რომლებიც უკვე ოთხგზის ჰქონდა

ნათქვამი და კიდევ ეტყოდა ყოველ ახალ თორმეტიანს, თანაც თითოეულს მისთვის შესაფერისი ინტონაციით.

- გმადლობ შენი ბავშვობისთვის, აშერ, - თქვა მან.

***

დანიშვნა გრძელდებოდა. ჯონასიც უყურებდა და უსმენდა კმაყოფილი დანიშნულებით, რომელიც მისმა საუკეთესო მეგობარმა მიიღო. მაგრამ რაც უფრო ახლოვდებოდა მისი ჯერი, შიში თანდათან ემატებოდა. წინა რიგში მჯდომ ყველა ახალ თორმეტიანს უკვე მიღებული ჰქონდა თავისი ემბლემა. ისხდნენ, თითებით ისინჯავდნენ და ჯონასმა იცოდა, რომ თითოეული მათგანი ფიქრობდა წვრთნაზე, რომელიც წინ ელოდა. ზოგიერთისთვის (ერთი გულმოდგინე მამრი ექიმად აირჩიეს, ერთი მდედრი - ინჟინრად, კიდევ ერთი - მართლმსაჯულების მუშაკად) ეს იქნებოდა მძიმე შრომისა და სწავლის წლები. სხვებს - მუშებსა და მშობელდედებს - წვრთნის პერიოდი უფრო ხანმოკლე ექნებოდათ.

გამოიძახეს ნომერი თვრამეტი - მის მარცხნივ მჯდარი ფიონა. ჯონასმა იცოდა: ის ძალიან ნერვიულობდა, მაგრამ წყნარი მდედრი იყო და მთელი ცერემონიის განმავლობაში მშვიდად და უდრტვინველად იჯდა.

როცა ფიონას მოხუცებზე მზრუნველის დანიშნულება მიანიჭეს, აპლოდისმენტებიც კი მშვიდად გაისმა. ეს ზედგამოჭრილი იყო ასეთი მგრძნობიარე, ნაზი გოგოსთვის. ამიტომ დაუბრუნდა ჯონასის გვერდით თავის სავარძელს ნაამები და კმაყოფილი ღიმილით.

როცა აპლოდისმენტები ჩაცხრა, ჯონასი სცენაზე ასასვლელად მოემზადა, მთავარმა უხუცესმა კი მომდევნო საქაღალდე აიღო და ქვემოთ ჩამოიხედა მორიგი თორმეტიანის მოსახმობად. ახლა, როდესაც რიგმა მოუწია, ჯონასმა საოცარი სიმშვიდე იგრძნო. ღრმად ჩაისუნთქა და თმა გაისწორა.

- ოცი, - მკაფიოდ გაიგონა ქალ-უხუცესის ხმა, - პიერი.

გამომტოვა, გაიფიქრა გაოგნებულმა ჯონასმა. სმენამ ხომ არ უღალატა? არა. აუდიტორიაში სიჩუმე ჩამოვარდა. ჯონასმა იცოდა: მთელმა თემმა გააცნობიერა, რომ მთავარი უხუცესი თვრამეტიდან პირდაპირ ოცზე გადავიდა და შუაში ღიობი დატოვა. მის მარჯვნივ მჯდარი პიერი გაოგნებული სახით წამოდგა და სცენაზე ავიდა.

შეცდა. ქალ-უხუცესი შეცდა. მაგრამ ჯონასმა იცოდა, რომ ის არ შემცდარა. მთავარი უხუცესი არასოდეს ცდებოდა და არც თორმეტის ცერემონიაზე შემცდარა.

ჯონასს თავბრუ დაესხა და ყურადღების მოკრება ვერ შეძლო. არ გაუგონია, რა დანიშნულება მიიღო პიერმა და მხოლოდ ბუნდოვნად ჩაესმა აპლოდისმენტები, როცა ის ახალი სამკერდე ნიშნით თავის ადგილზე ბრუნდებოდა.

ამას მოჰყვა ოცდაერთი, ოცდაორი.

ნომრები თანამიმდევრულად მისდევდა ერთმანეთს. ჯონასი დარეტიანებული იჯდა. სცენაზე ჯერ ოცდაათები გამოვიდნენ, მერე - ორმოციანები. ცერემონია დასასრულს მიუახლოვდა. ყოველ ჯერზე, ყოველი გამოცხადებისას, გული წამიერად შეუხტებოდა ხოლმე, თავში კი ფიქრების კორიანტელი ედგა. იქნებ ახლა წარმოთქვას მისი სახელი! საკუთარი ნომერი ხომ არ დაავიწყდა ჯონასს? არა. იმთავითვე ცხრამეტი იყო. მის სავარძელსაც ცხრამეტი ნომერი ეწერა.

მაგრამ უხუცესმა ის გამოტოვა. ამჩნევდა, როგორ გამოხედავდნენ ხოლმე შეცბუნებული თანაჯგუფელები და მაშინვე თვალს არიდებდნენ. ჯგუფის ხელმძღვანელის აფორიაქებული გამომეტყველებაც შეამჩნია.

მხრები აიწურა და სცადა, უფრო მეტად ჩაკუჭულიყო თავის სავარძელში. უნდოდა გამქრალიყო, აღარ ეარსება. ვერ ბედავდა შემობრუნებას და ხალხში მშობლების მოძებნას. ვერ აიტანდა სირცხვილით დაღრუბლული მათი სახეების დანახვას.

ჯონასმა თავი ჩაქინდრა და გონება მოიჩხრიკა: რა დავაშავე?

8

ყველა შეცბუნებული ჩანდა. ტაში დაუკრეს ბოლო თორმეტიანს, თუმცა, კანტიკუნტად. ისმოდა შეცბუნებული ჩურჩული.

ჯონასმა ხელები შემართა და ტაშის შემორტყმასავით რაღაც გამოუვიდა. ეს იყო ავტომატური, ანგარიშმიუცემელი ჟესტი, რომელიც არც კი გაუცნობიერებია. მოლოდინი, მღელვარება, სიამაყე, მეგობრებთან ყოფნით გამოწვეული სიხარული - ყველაფერი სადღაც გაქრა. ამჯერად მხოლოდ დამცირებას და შიშს გრძნობდა.

მთავარი უხუცესი დაელოდა ნაწყვეტ-ნაწყვეტი აპლოდისმენტების დასრულებას, მერე კი ისევ ალაპარაკდა.

- ვიცი, - გაისმა მისი მჟღერი, კეთილმოწყალე ხმა, - რომ ყველანი შეწუხებული ხართ; ფიქრობთ, რომ მე შეცდომა დავუშვი.

მან გაიღიმა. თემმა, რომელსაც ამ განაცხადმა მხრებიდან სიმძიმე ჩამოხსნა, თითქოს უფრო მსუბუქად ამოისუნთქა. დარბაზი გაისუსა.

ჯონასმა ზემოთ აიხედა.

- მე აგაფორიაქეთ და ბოდიშს ვუხდი ჩემს თემს, თქვა უხუცესმა. მისი ხმა დარბაზს გადაევლო.

- ვიღებთ თქვენს ბოდიშს, - წარმოთქვა ყველამ ერთად.

- ჯონას, - თქვა ქალ-უხუცესმა და სცენიდან ჩამოხედა, - უწინარესად შენ გიხდი ბოდიშს: მე გული გატკინე.

- ვიღებ თქვენს ბოდიშს, - ხმის კანკალით უპასუხა ჯონასმა.

- ახლა, თუ შეიძლება, სცენაზე ამოდი.

იმ დღეს, აქ მოსვლამდე, როცა შინ იყო და იცვამდა, ჯონასმა მხნე, თავდაჯერებულ სიარულში წაივარჯიშა, რომ როცა მისი

დრო დადგებოდა, სცენაზე თამამად ასულიყო. მაგრამ ახლა ეს ყველაფერი უკვალოდ გამქრალიყო. ის ძალდატანებით წამოდგა, დამძიმებული ფეხები მოუქნელად გადადგა, კიბეზე ავიდა, სცენა გადაიარა და უხუცესის გვერდით გაჩერდა.

უხუცესმა დაძაბულ მხრებზე ხელი გამამხნევებლად დაადო.

- ჯონასს დანიშნულება არ მიუღია, - ამცნო აუდიტორიას.

ბიჭს გული გადაუქანდა.

ქალმა განაგრძო:

- ჯონასი ავირჩიეთ.

ბიჭმა თვალები ააფახულა. ეს რაღა იყო? აუდიტორიის კითხვით სავსე მოძრაობა შეიგრძნო. ყველა საგონებელში იყო ჩავარდნილი.

ბოლოს გაისმა ქალ-უხუცესის მტკიცე, მბრძანებლური ხმა:

- ჯონასი ავირჩიეთ, როგორც ჩვენი მომდევნო ხსოვნის მიმღები.

შემდეგ ჯონასმა გაიგონა მძიმე სუნთქვა, უეცარი ჩასუნთქვა, უცბადვე გადაზრდილი გაოგნებაში. ხედავდა თითოეული იქ მჯდომის სახეს, შიშითა და მოწიწებით გაფართოებულ თვალებს. მაგრამ თვითონ მაინც არაფერი ესმოდა.

- ასეთი შერჩევა იშვიათზე იშვიათია, - უთხრა მთვარმა უხუცესმა აუდიტორიას, - ჩვენს თემს ჰყავს ერთადერთი მიმღები. სწორედ იგი წვრთნის თავის მემკვიდრეს.

- ახლანდელი მიმღები ძალზე დიდი ხანია, გვყავს, - განაგრძო ქალ-უხუცესმა. ჯონასმა მის მზერას თვალი გააყოლა და დაინახა, რომ ის ერთ-ერთ უხუცესს უყურებდა. უხუცესთა კომიტეტი ცალკე იჯდა, მთავარი უხუცესი კი ერთ-ერთ მათგანს უყურებდა, რომელიც მათ , შუაში კი მოქცეულიყო, მაგრამ ყველასგან უცნაურად გამოირჩეოდა. ეს წვერიანი, ნათელთვალება კაცი ჯონასს აქამდე არასდროს უნახავს. იგი ბიჭს ყურადღებით მისჩერებოდა.

- ბოლო შერჩევისას შევცდით, - საზეიმოდ წარმოთქვა ქალ-უხუცესმა, - ეს მოხდა ათი წლის წინ, როცა ჯონასი ფეხს იდგამდა. ამაზე აღარაფერს ვიტყვი, რადგან ყველას უსიამოვნოდ გვახსენ-დება.

ჯონასმა არ იცოდა, რას გულისხმობდა მთავარი უხუცესი, თუმცა, გრძნობდა აუდიტორიის ჩოჩქოლს. ყველა უხერხულად იშ-მუშნებოდა.

- ამჯერად არ ვიჩქარეთ, - განაგრძო ქალ-უხუცესმა, - მე-ორედ შეცდომას ვეღარ დავუშვებდით.

- ზოგჯერ, შერჩევისას, ჩვენ დარწმუნებული არ ვართ, - გა-ნაგრძო უფრო საზეიმო ხმით და ამით აუდიტორიას დაძაბულობა შეუმსუბუქა, - ყველაზე გულმოდგინე დაკვირვებების შემდეგაც კი. ხანდახან ვღელავთ, რომ ამა თუ იმ დანიშნულს შეიძლება წვრთნის შედეგადაც ვერ განუვითარდეს ესა თუ ის აუცილებელი თვისება. თერთმეტიანები ჯერ კიდევ ბავშვები არიან. რასაც ჩვენ მხიარულებად და მოთმინებად - აღმზრდელად ყოფნის აუცილე-ბელ თვისებებად - მივიჩნევთ, მომწიფებასთან ერთად, შესაძ-ლოა, სისულელედ და არხეინობად იქცეს. ამიტომაც განვაგ-რძობთ წვრთნის განმავლობაშიც დაკვირვებას, რათა, საჭიროე-ბის შემთხვევაში, მოზარდის ქცევა შევცვალოთ. მაგრამ წვრთნი-სას მიმღებს ვერ დავაკვირდებით, ვერ შევცვლით. ეს წესებში ნათ-ლად წერია. ის მარტო უნდა იყოს, განცალკევებით, სანამ მას ძვე-ლი მიმღები მთელ თემში ყველაზე საპატიო საქმისთვის ამზა-დებს.

მარტო? განცალკევებით? ჯონასი ყველაფერს დაბნეული და შეშფოთებული უსმენდა.

- ამიტომაც შერჩევა უშეცდომო უნდა იყოს, როგორც კომი-ტეტის ერთსულოვანი გადაწყვეტილების შედეგი. მის არც ერთ წევრს ეჭვი არ უნდა ეპარებოდეს, ოდნავაც არ უნდა ყოყმანობდეს. თუ ამ პროცესში რომელიმე უხუცესი ნახავს თუნდაც ორჭოფულ

სიზმარს, მას შეუძლია, მეყსეულად უარყოს კანდიდატი. ჯონასი მრავალი წლის წინ შევარჩიეთ შესაძლებელ მიმღებად. ჩვენ მას თვალმოუშორებლად ვაკვირდებოდით. მან გამოავლინა ყველა თვისება, რომლებიც მიმღებს უნდა ჰქონდეს.

ხელი კვლავ მტკიცედ ედო ჯონასის მხარზე და მის თვისებებს თვლიდა:

- გონიერება. ყველამ ვიცით, რომ ჯონასი საუკეთესო მოწაფე იყო სკოლის წლებში. კეთილსინდისიერება. როგორც ყველას, ჯონასსაც ჰქონია პატარ-პატარა დარღვევები, - აქ უხუცესმა ჯონასს გაუღიმა, - ეს მოსალოდნელიც იყო, მაგრამ ჩვენ იმედი გვქონდა, რომ იგი ყოველთვის ღირსეულად შეხვდებოდა დამსახურებულ სასჯელს. და ასეც ხდებოდა. გამბედაობა, - განაგრძო ქალ-უხუცესმა, - ერთადერთმა ჩვენგანმა გაიარა მკაცრი წვრთნა, რომელიც მოეთხოვება მიმღებს. დღევანდელი მიმღები, რაღა თქმა უნდა, კომიტეტის უმნიშვნელოვანესი წევრია. სწორედ ის გვახსენებდა ხოლმე გამბედაობის აუცილებლობას.

- ჯონას, - მიუბრუნდა მთავარი უხუცესი ბიჭს, თუმცა, ისეთი ხმით, რომ მთელ დარბაზს გაეგონა, - წვრთნა, რომელიც შენ მოგეთხოვება, მტკივნეული იქნება. ფიზიკურად მტკივნეული. ჯონასს გულ-გვამში შიშმა დაურბინა.

- ეს შენ არასოდეს განგიცდია. კი, მუხლები გადაგიყვლეფია ველოსიპედიდან ჩამოვარდნისას. შარშან თითიც მოგყვა კარში.

ჯონასმა თავი დაუკანტურა. გაახსენდა ეს შემთხვევა და განცდილი ტანჯვა.

- მაგრამ ამჯერად მოგიწევს ისეთი ტკივილის გაძლება, - მშვიდად განაგრძო ქალ-უხუცესმა, - როგორიც არც ერთ ჩვენგანს არ გამოუცდია. თვით მიმღებმაც ვერ აღგვიწერა ეს, მხოლოდ გაგვაფრთხილა, რომ შენ ამის წინაშე დადგები და დიდი გამბედაობა დაგჭირდება. ჩვენ ამისთვის ვერ მოგამზადებთ. თუმცა, ეჭვი არ გვეპარება, რომ მამაცი ხარ.

ჯონასი სულაც არ მიიჩნევდა თავს მამაცად, ყოველ შემთხვევაში - ამწუთას.

- მეოთხე მნიშვნელოვანი თვისებაა სიბრძნე, - თქვა ქალ-უხუცესმა, - ჯონასს ის ჯერ არ გააჩნია, მხოლოდ წვრთნასთან ერთად შეიძენს და ეჭვი არ გვეპარება, რომ ამას შეძლებს. ჩვენ სწორედ მას ვეძებდით. დასასრულ, მიმღებს უნდა ჰქონდეს კიდევ ერთი თვისება, რომელიც შემიძლია მხოლოდ დავასახელო, მაგრამ ვერ აღვწერ. ვერც თქვენ გაიგებთ ამ თვისებას, თემის წევრებო. შესაძლოა, თვითონ ჯონასმა გაიგოს, რადგან, დღევანდელი მიმღების თქმით, ჯონასს უკვე აქვს ეს თვისება: მიღმა ხედვის უნარი.

მთავარმა უხუცესმა ჯონასს კითხვით შეხედა. აუდიტორიაც უყურებდა. ყველა დუმდა.

სასოწარკვეთილი ჯონასი წუთით გაქვავდა. მას არ ჰქონდა ის, რაც ქალ-უხუცესმა თქვა. არ იცოდა, რა იყო ეს და დადგა დრო, ეღიარებინა: „არა, არ მაქვს, არ შემიძლია!“ და აეხსნა, რომ არასწორად შეარჩიეს, რომ არ იყო ის, ვინც მათ ეგონათ.

მაგრამ როდესაც გადახედა თავშეყრილ ხალხს, სახეების ზღვას, ისევ მოხდა ის, რაც ვაშლით თამაშისას.

ისინი შეიცვალნენ.

ჯონასმა თვალები დაახამხამა და ყველაფერი გაქრა. მხრებში ოდნავ გასწორდა და მთელი ამ ხნის განმავლობაში პირველად იგრძნო საკუთარი თავისადმი რწმენა. ქალ-უხუცესი ისევ მას უყურებდა. ყველანი უყურებდნენ.

- მგონი, ასეა, - მიმართა ჯონასმა უხუცესსაც და თემსაც, - ჯერ არ მესმის. არ ვიცი, რა არის ეს. მაგრამ ხანდახან ვხედავ რაღაცას და შეიძლება, ეს მიღმაა.

ქალ-უხუცესმა მხრებიდან ხელი მოაშორა.

- ჯონას, - იგი მიმართავდა არა მხოლოდ ბიჭს, არამედ მთელ თემს, რომლის ნაწილიც ჯონასი იყო, - შენ გაიწვრთნები,

რათა გახდე ჩვენი მომდევნო ხსოვნის მიმღები. მადლობას გიხდით შენი ბავშვობისთვის.

შემდეგ ქალ-უხუცესი შებრუნდა და სცენიდან გავიდა. ჯონასი მარტო დარჩა აუდიტორიის პირისპირ, რომელიც უკვე მის სახელს ჩურჩულებდა.

- ჯონას, - გაისმა ჯერ ძლივს გასაგონი ჩურჩული, - ჯონას, ჯონას.

შემდეგ უფრო ხმამაღლა და აჩქარებით:

- ჯონას. ჯონას. ჯონას.

ჯონასმა იცოდა: ამ შეძახილით თემი აღიარებდა მას და მის ახალ როლს, ისევე ანიჭებდა სიცოცხლეს, როგორც ახალშობილ კალებს მიანიჭა. გული მადლიერებითა და სიამაყით ევსებოდა.

თუმცა, იმავდროულად, შიშმაც შეიპყრო. არ იცოდა, რას ნიშნავდა ეს შერჩევა. არ იცოდა, ვინ უნდა გამხდარიყო.

ან რა დაემართებოდა.

9

ახლა, პირველად თავისი ცხოვრების თორმეტი წლის მანძილზე, ჯონასმა თავი განსხვავებულად იგრძნო. გაახსენდა, რა თქვა მთავარმა უხუცესმა: შენ მარტო და განცალკევებით გაიწვრთნებიო.

მაგრამ ეს წვრთნა ჯერ არ დაწყებულიყო, ჯონასმა კი აუდიტორიიდან გამოსვლისთანავე იგრძნო განცალკევება. ქალ-უხუცესის მიცემული საქაღალდე ეჭირა და ხალხში გზას მიიკვლევდა: თავის ოჯახურ ერთეულსა და აშერს ეძებდა. ყველა გზას უთმობდა და თვალს აყოლებდა. ჯონასს ჩურჩულიც ესმოდა.

- აშ! - დაუძახა, როცა მეგობარი ველოსიპედების მწკრივთან დალანდა, - გამომყვები?

- რა თქმა უნდა, - გაიღიმა აშერმა თავისი ჩვეულებრივი, მეგობრული, ნაცნობი ღიმილით, თუმცა, ჯონასმა მის ნათქვამში ერთი წამით ჭოჭმანი და გაურკვევლობაც იგრძნო.

- გილოცავ, - უთხრა აშერმა.

- მეც გილოცავ, - უპასუხა ჯონასმა, - ძალიან სასაცილო იყო, მთავარმა უხუცესმა შემორტყმები რომ გაიხსენა. შენ ყველაზე მეტი ტაში დაგიკრეს.

ახლომახლო სხვა ახალთორმეტებიც ირეოდნენ, თავიანთ საქაღალდეებს ფრთხილად აწყობდნენ ველოსიპედების უკან დამაგრებულ კონტეინერებში. ამაღამ თითოეული თავის სახლში შეისწავლიდა ინსტრუქციას, როგორ უნდა დაეწყო წვრთნა. წლების განმავლობაში, ბავშვები ყოველღამე სწავლობდნენ გაკვეთილებს და მოწყენილობისგან ხშირად ამთქნარებდნენ. ამ ღამით კი ყველა მონდომებით შეუდგებოდა თავ-თავიანთი მოწიფული დანიშნულებისთვის წესების დახსომებას.

- გილოცავ, აშერ! - დაიძახა ვიღაცამ, ცოტა ხნის შემდეგ კი: - შენც, ჯონას!

აშერიცა და ჯონასიც მილოცვით პასუხობდნენ თანაჯგუფელებს. ჯონასმა თვალი მოჰკრა დედ-მამას ველოსიპედების სადგომთან. ლილი უკვე ღვედებით დაემაგრებინათ თავის სავარძელზე.

ჯონასმა ხელი დაუქნია. იმათაც დაუქნიეს ხელი ღიმილით, თუმცა, ჯონასმა შეამჩნია,რომ ტუჩებზე ცერათითმიდებული ლილი დაფიქრებული გამოსცქეროდა.

ჯონასი თავისი სახლისკენ დაიძრა, თან გზადაგზა აშერს ეხუმრებოდა.

- დილით შევხვდებით, რეკრეაციის დირექტორო! - გასძახა, როდესაც თავის კართან ველოსიპედიდან ჩამოვიდა.

- ჰო, შეხვედრამდე! - გამოსძახა იმანაც. კიდევ ერთხელ გაიელვა წამმა, როცა საგნები ისეთივე აღარ იყო, როგორიც იმთავითვე, მათი ხანგრძლივი მეგობრობის მანძილზე. იქნებ ჯონასმა მხოლოდ წარმოიდგინა ეს? აშერთან ურთიერთობაში რამის შეცვლა შეუძლებელი იყო.

ვახშამი ჩვეულებრივზე უფრო მშვიდი აღმოჩნდა. ლილი ყბედობდა მოხალისურ მუშაობასთან დაკავშირებულ თავის სურვილებზე. აღმზრდელობით ცენტრში დავიწყებო, ამბობდა, რადგან უკვე ექსპერტი იყო გეიბრიელის კვებაში.

- ვიცი, დაამატა სასწრაფოდ, როდესაც მამამ გამაფრთხილებელი მზერა შეავლო, - მის სახელს არ ვახსენებ. ვიცი, რომ მე ბავშვის სახელი არ უნდა ვიცოდე. ხვალინდელი დღის დადგომამდე აღარ მეთმინება, - თქვა ბედნიერად.

ჯონასმა მძიმედ ამოიოხრა და ჩაიბუტბუტა:

- მე მეთმინება.

- შენ დიდი პატივი დაგდეს, - თქვა დედამ, - მე და მამაშენი ძალიან ვამაყობთ.

- ეს ყველაზე მნიშვნელოვანი საქმეა თემში, - თქვა მამამ.

- ერთ ღამეს შენ თქვი, ყველაზე მნიშვნელოვანი დანიშნულებების განაწილებააო!

დედამ თავი დააქნია:

- ეგ სხვა რამეა. ეგ საქმე არც არის. არასდროს მიფიქრია... ამას არც ველოდი... - დედა შეყოყმანდა, - მიმღები ერთადერთია.

- მთავარმა უხუცესმა თქვა, უწინდელის შერჩევისას შევცდითო. რას გულისხმობდა?

ორივე მშობელი შეყოყმანდა. ბოლოს მამამ მაშინდელი შერჩევა გაიხსენა:

- ძალიან ჰგავდა დღევანდელს, ჯონას... იგივე ეჭვი, როდესაც ერთი თერთმეტიანი გამოტოვეს დანიშნულებების განაწილებისას... შემდეგ გამოცხადება, რომ ის ერთი გამოყვეს...

- რა ერქვა იმ ბიჭს? - შეაწყვეტინა ჯონასმა.

- გოგონას და არა ბიჭს, - მიუგო დედამ, - მაგრამ ჩვენ არ გვმართებს მისი სახელის ხსენება ან რომელიმე ახალბავშვისთვის ამ სახელის დარქმევა.

ჯონასი გაოგნებული იყო. სახელი, რომელიც არავის არ უნდა ეხსენებინა, სირცხვილსა და თავმოჭრას განასახიერებდა.

- რა დაემართა? - ჰკითხა ჯონასმა ნერვიულად.

მშობლები საგონებელში ჩავარდნილებს ჰგავდნენ.

- არ ვიცით, - თქვა მამამ უხერხულად, - მას შემდეგ აღარ გვინახავს.

ოთანში სიჩუმე ჩამოწვა. მათ ერთმანეთს გადახედეს. ბოლოს დედა წამოდგა და თქვა:

- შენ დიდი პატივი დაგდეს, ჯონას, დიდი პატივი.

***

თავის საძინებელში მარტო დარჩენილმა და დასაწოლად გამზადებულმა ჯონასმა, ბოლოს და ბოლოს, საქღალდე გახსნა. ზოგიერთ თორმეტიანს სქელი საქაღალდე მისცეს შიგ ჩაწყობილი ნაბეჭდი ფურცლებით. წარმოიდგინა, რა სიამოვნებით იწყებდა წესებისა და ინსტრუქციების კითხვას ბენჯამინი - მეცნიერი მამრი მის ჯგუფში. თვალწინ წარმოუდგა ფიონაც, ნაზად რომ იღიმოდა, როცა დასცქეროდა მოვალეობებსა და მეთოდებს, რომლებიც მომდევნო დღეებში უნდა შეესწავლა.

აი, მისი საქაღალდე კი ცარიელს ჰგავდა. შიგნით აღმოჩნდა ერთადერთი ნაბეჭდი ფურცელი, რომელიც ორჯერ წაიკითხა:

ჯონასი

ხსოვნის მიმღები

1. ყოველდღე, გაკვეთილების დამთავრების შემდეგ, დაუყოვნებლივ მიხვალ ფლიგელის კართან, მოხუცთა სახლის უკან და თავს წარუდგენ მეთვალყურეს;

2. ყოველდღიური წვრთნის საათების შემდეგ დაუყოვნებლივ წახვალ შინ;

3. ამ წუთიდან მოყოლებული, შენ აღარ გევალება იმ წესების შესრულება, რომლებიც აკონტროლებს უხეშობას. შეგიძლია დასვა ნებისმიერი შეკითხვა ნებისმიერ ქალაქელზე და პასუხს მიიღებ;

4. ნუ ილაპარაკებ შენს წვრთნაზე თემის რომელიმე წევრთან, მშობლებისა და უხუცესების ჩათვლით;

5. ამ წუთიდან მოყოლებული, შენ გეკრძალება სიზმრების მოყოლა;

6. გარდა ავადმყოფობის ან დაშავებისა, რომლებიც არ უკავშირდება შენს წვრთნას, ნუ მოითხოვ რაიმე მედიკამენტს;

7. შენ არ გაქვს უფლება, მოითხოვო გაშვება;

8. შენ შეგიძლია იცრუო.

ჯონასი გაშტერდა. რა ბედი ეწეოდა მეგობრებთან მის ურთიერთობას? მის უდარდელ ბურთაობას ან ველოსიპედით ქროლას მდინარის ნაპირზე? ეს ხომ მისთვის ბედნიერი ხანა იყო. ნუთუ ამიერიდან ყველაფერს უნდა დაემშვიდობოს? მოუწევს მკაფიო და მკაცრი ინსტრუქციების შესრულება: სად წავიდეს და როდის. რა თქმა უნდა, ყველა თორმეტიანისთვის უნდა ეთქვათ, სად, როგორ და როდის უნდა გამოცხადებულიყო საწვრთნელად, მაგრამ ჯონასი შეაცბუნა იმან, რომ წვრთნის განრიგის გამო, როგორც ჩანს, რეკრეაციისთვის დრო აღარ რჩებოდა.

უხეშობის ჩადენის უფლებამაც დააფრთხო. თუმცა, მეორედ წაკითხვის შემდეგ მიხვდა, რომ ეს უხეშობისკენ კი არ უბიძგებდა, უბრალოდ - არჩევანს სთავაზობდა. ეჭვი არ ეპარებოდა, რომ არასოდეს ისარგებლებდა ამ უპირატესობით. თემში ცხოვრებისას ისე იყო მიჩვეული თავაზიანობას, რომ რომელიმე თანამოქალაქისთვის უხერხული კითხვის დასმას ვერასდროს გაბედავდა.

სიზმრის მოყოლის აკრძალვა, ჯონასის აზრით, ყველაზე იოლად შესასრულებელი მოთხოვნა იყო. სიზმარს ისე იშვიათად ხედავდა, რომ მისი გადმოცემაც უჭირდა და ახლა კმაყოფილი იყო, რომ ამისგან ათავისუფლებდნენ. მხოლოდ ის აფიქრებდა, საუზმეზე როგორ მოვიქცეო. რა უნდა ექნა, თუ რამე დაესიზმრებოდა? უნდა ეთქვა თავისი ოჯახური ერთეულისთვის ის, რაც აქამდე ხშირად უქნია: არაფერი დამსიზმრებიაო? ეს სიცრუე იქნებოდა. თუმცა, სულ ბოლო წესი ამბობდა, რომ... არა, ბოლო წესზე ფიქრისთვის ჯერ მზად არ იყო.

მედიკამენტების შეზღუდვამ მხნეობა წაართვა. მედიკამენტები ყოველთვის ხელმისაწვდომი იყო მოქალაქეთათვის, თვით ბავშვებისთვისაც კი (მშობლების ხელით). როდესაც კარში თითი მოჰყვა, სუნთქვაშეკრულმა ჯონასმა დედას მიაშურა, მან კი სასწრაფოდ შეუკვეთა ტკივილგამაყუჩებელი მედიკამენტი, რომელიც სწრაფადვე მოუტანეს შინ. მტანჯველი ტკივილი თითქმის მეყსეულად გაუქრა, თითი მხოლოდ უფეთქავდა და ახლა სწორედ ეს ფეთქვაღა ახსოვდა.

როდესაც მე-6 წესი ხელმეორედ წაიკითხა, მიხვდა, რომ ასეთ ტრავმას წვრთნასთან საერთო არაფერი ექნებოდა, ასე რომ, თუ მსგავსი რამ განმეორდებოდა (თუმცა, დარწმუნებული იყო, რომ არ განმეორდებოდა - იმ შემთხვევის შემდეგ კართან მიახლოებისას ძალზე ფრთხილად იქცეოდა), ჯონასს მაინც შეეძლო მედიკამენტის მიღება.

წვრთნას არ უკავშირდებოდა არც ის აბი, დედა ყოველ დილით რომ ასმევდა, ამიტომაც შეეძლო, მისი ყლაპვა განეგრძო.

მაგრამ ახსოვდა, რა თქვა მთავარმა უხუცესმა ტკივილზე, რომელსაც წვრთნისას იგრძნობდა. ამ ტკივილს მან აღუწერელი უწოდა.

ჯონასმა გაჭირვებით გადაყლაპა ნერწყვი და სცადა, წარმოედგინა, როგორი იქნებოდა ეს ტკივილი, რომელსაც უწამლოდ უნდა გამკლავებოდა, მაგრამ ამაოდ.

მეშვიდე წესს თვალი გულგრილად გადაავლო. არასოდეს მოსვლია თავში, რომ ოდესმე, რაიმე მიზეზით გაშვებას მოითხოვდა.

ბოლოს, ძალა მოიკრიბა და უკანასკნელი წესის კიდევ ერთხელ წაკითხვა სცადა. ადრიანი ბავშვობიდანვე, ენის პირველდაწყებითი სწავლებიდანვე ჩააგონებდნენ, რომ არ ეცრუა. ეს იყო სწორი მეტყველების შესწავლის განუყოფელი ნაწილი. ერთხელ, როცა ოთხიანი იყო, სკოლაში, ზუსტად სადილის წინ ჯონასმა თქვა:

- ვშიმშილობ.

ის მაშინვე ცალკე გაიხმეს და სწორად მეტყველების ხანმოკლე კერძო გაკვეთილი ჩაუტარეს. შენ არ შიმშილობო, უთხრეს, შენ გშიაო. თემში არავინ შიმშილობდა და არც არასდროს უშიმშილია. ვშიმშილობ ნიშნავდა სიცრუის თქმას, უნებლიეთ, რასაკვირველია. სწორად მეტყველების მიზანი იყო, არასოდეს არავის ეთქვა სიცრუე, თუნდაც უნებლიე. გაიგეო? - ჰკითხეს. დიახო, უპასუხა.

არასდროს ჰქონია ტყუილის თქმის ცდუნება. აშერი არ ცრუობდა. ლილი არ ცრუობდა. არც მათი მშობლები ცრუობდნენ. თუმცა...

ამჯერად ჯონასს აზრად მოუვიდა ისეთი რამ, რაზეც აქამდე არასოდეს უფიქრია და ცოტა არ იყოს, დაფრთხა: ვაითუ, სხვები - უფროსები - როცა თორმეტისა ხდებოდნენ, თავ-თავიანთ ინსტრუქციებშიც პოულობდნენ ამ თავზარდამცემ ფრაზას?

ეგებ ყველას ასწავლიდნენ: შენ შეგიძლია იცრუო?

გონება დაძაბა.

ახლა, როდესაც უფლება მისცეს, დაესვა მეტისმეტად უხეში კითხვებიც კი და პასუხები მოეთხოვა, ხომ შეეძლო (თუმცა, ეს

თითქმის წარმოუდგენელი იყო) ეკითხა ვინმესთვის, რომელიმე უფროსისთვის, მაგალითად, მამასთვის:

- შენ ცრუობ?

მაგრამ ვერასდროს შეიტყობდა, მიღებული პასუხი სიმართლე იყო თუ არა.

10

- მე აქ შევდივარ, ჯონას, - უთხრა ფიონამ, როცა ველოსიპედები სადგომზე დააყენეს და მოხუცთა სახლის შესასვლელამდე მივიდნენ.

- არ ვიცი, რატომ ვნერვიულობ, - გამოტყდა იგი, პირველად ხომ არ მოვდივარ აქ! - და თავისი საქაღალდე ხელში შეატრიალა.

- ჰო, ახლა ყველაფერი სხვანაირადაა, - შეახსენა ჯონასმა.

- ჰო, ჩვენს ველოსიპედებზე დამაგრებული საჭდეებიც კი, - გაიცინა ფიონამ.

ღამის განმავლობაში ეს საჭდეები მომსახურე გუნდს გამოეცვალა და საწვრთნელი მოქალაქეების შესაფერისი მიემაგრებინა.

- არ მინდა დამაგვიანდეს, - აჩქარებით თქვა ფიონამ და საფეხურებს აუყვა, - თუ ერთდროულად დავამთავრებთ, შინ შენთან ერთად წამოვალ.

ჯონასმა თავი დაუკანტურა, ხელი დაუქნია და შენობის უკანა ფლიგელისკენ გაეშურა . არც მას უნდოდა წვრთნის პირველივე დღეს დაგვიანება.

ფლიგელი ჩვეულებრივი ნაგებობა აღმოჩნდა, კარიც არაფრით გამოირჩეოდა. ჯონასი მძიმე სახელურს ჩაეჭიდა და ამ დროს კედელზე ზარი შეამჩნია. დარეკა.

- გისმენთ? - გაისმა ზარის ზემოთ დამაგრებული ხმის გამაძლიერებლიდან.

- მე ჯონასი ვარ, ახალი, ანუ...

- შემოდი, - ჩხაკუნი გაისმა და კარი გაიღო.

პაწაწინა ფოიეში იდგა ერთი მაგიდა, რომელთანაც მდედრი მეთვალყურე იჯდა და რაღაც ფურცლებს ავსებდა. ჯონასის შესვლისას თავი აიღო, მერე - მისდა გასაოცრად - წამოდგა. თითქოს გასაკვირი არაფერი იყო, მაგრამ აქამდე ჯონასს ასე არავინ შეჰგებებია.

- კეთილი იყოს შენი მობრძანება, ხსოვნის მიმღებო, - წარმოთქვა ქალმა პატივისცემით.

- ოჰ, ჯონასი დამიძახეთ, თუ შეიძლება, - თქვა ბიჭმა უხერხულად.

ქალმა გაიღიმა, ღილაკს დააჭირა და ჯონასმა ისევ გაიგონა ჩხაკუნი. ამჯერად კარი ქალის მარცხნივ გაიღო.

- შეგიძლია პირდაპირ შეხვიდე, - უთხრა ჯონასს.

შემდეგ თითქოს შეამჩნია ბიჭის უხერხულობა და მიხვდა, რა იყო ამის მიზეზი. თემში არასოდეს არც ერთი კარი არ იკეტებოდა, ყოველ შემთხვევაში ისინი, რომლებიც ჯონასს აქამდე ენახა.

- საკეტები მხოლოდ იმისთვისაა, რომ მიმღებს განმარტოება შეეძლოს, რადგან მას ყურადღების კონცენტრირება სჭირდება, - აუხსნა მეთვალყურემ, - ამას ვერ შეძლებს, ყველა, ვისაც მოეპრიანება, მოულოდნელად აქ რომ შემოეხეტოს, მაგალითად, ველოსიპედების სარემონტოს ან სხვა რამის საძებნად.

ჯონასმა გაიცინა და ოდნავ გულზე მოეშვა. ქალი კეთილგანწყობილი ჩანდა. თემში მართლაც ხუმრობდნენ, რომ ველოსიპედების სარემონტო ერთი უმნიშვნელო პატარა კანტორა - ისე ხშირად იცვლიდა ადგილს, არავინ არასოდეს იცოდა მისი ადგილსამყოფელი.

- საშიში არაფერია, - უთხრა მეთვალყურემ, - მაგრამ მას არ უყვარს, როცა ალოდინებენ, - დაამატა, როდესაც საათს გახედა.

ჯონასი აჩქარებით შევიდა კარში და აღმოჩნდა მყუდროდ მოწყობილ ოთახში, რომელიც დიდად არ განსხვავდებოდა მისი ოჯახური ერთეულის საბინადროსგან. მთელი თემისთვის სტანდარტული ავეჯი იდგა - პრაქტიკული, მყარი და თითოეულს მკაფიოდ განსაზღვრული ფუნქცია ჰქონდა. საწოლი, სასადილო და სამუშაო მაგიდები.

ოთახში იდგა ის ნივთები, რომლებსაც ყველა ოჯახურ ერთეულში ნახავდით, თუმცა, თითოეული მათგანი ჯონასის საბინადროს ავეჯისგან განსხვავდებოდა. სკამებს და დივანს ოდნავ უფრო სქელი და ძვირფასი ქსოვილი ჰქონდა გადაკრული; მაგიდების ფეხები ისეთი სწორი კი არ იყო, როგორც ჯონასთან, არამედ უფრო წვრილი და მორკალული, ქვემოთ კი - მოჩუქურთმებული. ოთახის შორეულ კუთხეში, კედლის ნიშაში შედგმულ საწოლს ჩახლართული ორნამენტებით მოქარგული ძვირფასი ქსოვილი ჰქონდა ჩამოფარებული.

მაგრამ ყველაზე თვალში საცემი იყო წიგნები. ჯონასის საბინადროში იპოვიდით მხოლოდ აუცილებელ საცნობარო ლიტერატურას, რომელიც ჰქონდა ყველა ოჯახს: ლექსიკონი და თემის დიდტანიანი წიგნი, რომელშიც თითოეული კანტორა, ფაბრიკა, შენობა და კომიტეტი იყო აღწერილი. და, რასაკვირველია, წესების კრებული.

სხვა წიგნი ჯონასს არასოდეს უნახავს. არც იცოდა, რომ თურმე სხვა წიგნებიც არსებობს.

ამ ოთახის კედლები კი მთლიანად წიგნებით სავსე თაროებს დაეფარა. აქ უნდა ყოფილიყო ასობით, შესაძლოა, ათასობით წიგნი, რომელთა სათაურების ბრჭყვიალა ასოები თვალს იტაცებდა.

ჯონასი წიგნებს მიაჩერდა. რა შეიძლება ეწეროს ათასობით ფურცელზე? ნუთუ არსებობს სხვა წესებიც იმ წესების გარდა,

რომლებიც თემს მართავს? ნუთუ შეიძლება არსებობდეს სხვა კანტორები, ქარხნები და კომიტეტები?

ჯონასმა იცოდა, რომ აქაურობის მოსათვალიერებლად მხოლოდ ერთი წამი ჰქონდა, რადგან მაგიდის გვერდით სკამზე მჯდომი კაცი მდუმარედ ადევნებდა თვალს. აჩქარებით გადადგა კიდევ რამდენიმე ნაბიჯი, კაცის წინ დადგა, თავი ოდნავ დაუკრა და თქვა:

- მე ჯონასი ვარ.

- ვიცი. კეთილი იყოს შენი მოსვლა, ხსოვნის მიმღებო.

ჯონასმა იცნო ეს კაცი - უხუცესი, რომელიც ცერემონიაზე სხვებისგან გამოირჩეოდა, მიუხედავად იმისა, რომ მასაც უხუცესების ჩვეულებრივი სამოსი ეცვა.

ჯონასმა მორიდებით გაუსწორა თვალი მის ნათელ თვალებს, სადაც ბიჭის თვალები ირეკლებოდა.

- სერ, ბოდიშს ვიხდი, მაგრამ არ ვიცი...

ჯონასმა შეიცადა, მაგრამ მის სიტყვებს მოხუცი არ გამოხმაურებია, ამიტომ განაგრძო:

- მაგრამ ვიფიქრე, უფრო სწორად, ვფიქრობ... - სცადა, სიტყვა გაემართა, რადგან გაიფიქრა, რომ ენის სიზუსტე ყველაზე მნიშვნელოვანი სწორედ ახლაა, ამ კაცის პირისპირ დგომისას: - ...რომ ხსოვნის მიმღები თქვენ ხართ, მე კი მხოლოდ გუშინ დამნიშნეს, ანუ ამირჩიეს. მე არავინ ვარ. ჯერ არ ვარ.

კაცი ფიქრიანად, ხმის ამოუღებლად უმზერდა. ამ მზერაში ჩანდა ინტერესი, ცნობისწადილი, ზრუნვა და, შესაძლოა, ცოტაოდენი სიმპათიაც. ბოლოს უხუცესმა ხმა ამოიღო:

- დღეიდან - ამ წუთიდან - შენ მიმღები ხარ, ყოველ შემთხვევაში - ჩემთვის.

ჯონასმა თავი დააქნია. კაცს დანაოჭებული სახე და გამჭოლი მზერა ჰქონდა, მაგრამ უჩვეულოდ ნათელ თვალებში დაღლილობა ედგა. მათ გარშემო კანი ჩრდილოვან წრეებად ჩამუქებოდა.

- ვხედავ, რომ ძალიან მოხუცი ხართ, უთხრა ჯონასმა პატივისცემით. მოხუცებს თემში მუდამ პატივს მიაგებდნენ.

კაცმა გაიღიმა და ნაოჭებიან სახეზე ხელი მოისვა.

- არც ისე მოხუცი ვარ, როგორიც ვჩანვარ, - უთხრა ჯონასს, - ამ სამუშაომ დამაბერა. ვიცი, ისე გამოვიყურები, თითქოს ძალიან მალე უნდა გამიშვან, მაგრამ სინამდვილეში, ჯერ კიდევ ბევრი დრო მაქვს. ამის მიუხედავად, მაინც მესიამოვნა, როცა აგირჩიეს. დიდი დრო დასჭირდათ ამისთვის. ათი წლის წინანდელმა შერჩევამ გვიმტყუნა, ჩემი ძალა კი ილევა. დარჩენილი ენერგია შენი წვრთნისათვის მჭირდება. მკაცრი და მტკივნეული სამუშაო გველის. დაჯექი, - და ჯონასს იქვე მდგარ სკამზე მიუთითა.

ჯონასი რბილ სკამზე დაეშვა.

კაცმა თვალები დახუჭა და ლაპარაკი განაგრძო:

- თორმეტის რომ გავხდი, მეც ისევე ამირჩიეს, როგორც შენ. შეშინებული ვიყავი, როგორც, დარწმუნებული ვარ, შენ ხარ ახლა, - უხუცესმა წამით თვალები გაახილა და მიაჩერდა ჯონასს, რომელმაც თავი დაუქნია.

მერე თვალები ისევ დახუჭა.

- სწორედ ამ ოთახში მოვედი ჩემი წვრთნის დასაწყებად. ეს ძალიან დიდი ხნის წინ მოხდა. ისიც ისეთივე დაღლილი იყო, როგორიც მე ვარ.

უეცრად წინ წამოიწია, თვალები გაახილა და თქვა:

- შეგიძლია, კითხვები დამისვა. ამ პროცესის აღწერა მიჭირს. ამაზე ლაპარაკი ხომ აკრძალულია.

- ვიცი, სერ. წავიკითხე ინსტრუქცია, - უთხრა ჯონასმა.

- ამიტომ შეიძლება ისე ნათლად ვერ გამოვხატო ყველაფერი, როგორც მმართებს, - ჩაიცინა კაცმა, - ჩემი საქმე მნიშვნელოვანი და საპატიოა. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ სრულყოფილი ვარ. ხომ ჩავფლავდი ერთხელ, როცა ჩემი მემკვიდრის გაწვრთნა ვცადე. გთხოვ, მკითხე ყველაფერი, რაც დაგეხმარება.

კაცმა ამოიოხრა, თითქოს აზრებს ალაგებდა. მერე ისევ ალაპარაკდა:

- თუ უბრალოდ ვიტყვით - თუმცა, ეს სრულებითაც არ არის უბრალო საქმე - ჩემი დანიშნულებაა, გადმოგცე ყველაფერი, რაც მახსოვს, ყველაფერი, რაც წარსულის შესახებ ვიცი.

- სერ, - თქვა ჯონასმა მოკრძალებით, - მე ძალიან მაინტერესებს თქვენი ისტორია, ყველაფერი, რაც გახსოვთ, - და სასწრაფოდ დაუმატა: - მაპატიეთ, რომ შეგაწყვეტინეთ.

კაცმა მოუთმენლად გააქნია ხელი:

- არავითარი ბოდიში ამ ოთახში. მაგის დრო არ გვაქვს.

- ნამდვილად მაინტერესებს, - განაგრძო ჯონასმა უხერხულად, რადგან მიხვდა, ისევ ვაწყვეტინებო, - მაგრამ არ მესმის, რატომ არის ეს ასეთი მნიშვნელოვანი. შემეძლო რამე საუფროსო საქმე მეკეთებინა თემში, ჩემი რეკრეაციის საათებში კი მოვიდოდი და თქვენი ბავშვობის ამბებს დიდი სიამოვნებით მოვისმენდი. ეს უკვე გამიკეთებია მოხუცთა სახლში. მოხუცებს უყვართ თავიანთი ბავშვობის გახსენება და ეს ყოველთვის საინტერესო მოსასმენია. კაცმა თავი გააქნია:

- არა, არა. ნათლად ვერ აგიხსენი. ჩემი წარსულის, ჩემი ბავშვობის ამბების მოყოლას არ ვაპირებ.

უკან გადაწვა და თავი ქსოვილგადაკრული სკამის საზურგეს მიაყრდნო.

- ეს სამყაროს წარსულია, - ამოაყოლა ოხვრას, - ქვეყნიერების, რომელიც არსებობდა შენამდე, ჩემამდე, წინა მიმღებამდე, ბევრი თაობის წინ.

ჯონასმა შუბლი შეჭმუხნა:

- ქვეყნიერების? არ მესმის. მხოლოდ ჩვენსას არ გულისხმობთ? არა მხოლოდ თემის? ანუ სხვა ადგილებისაც?

ჯონასი შეეცადა, მოხუცის ნათქვამი გაეაზრებინა.

- მაპატიეთ, სერ, ზუსტად არ მესმის. შეიძლება მიუხვედ-რელობით მომდის. არ ვიცი, რას გულისხმობთ, როდესაც მთელ ქვეყნიერებას ან თაობებს ახსენებთ. მეგონა, მხოლოდ ჩვენ ვიყა-ვით. მეგონა, არსებობდა მხოლოდ ახლა.

- არა, უფრო მეტი რამ არსებობს, ყველაფერი, რაც მიღმაა, ყველაფერი, რაც არის სხვაგან, და ყველაფერი, რაც იყო უწინ. მე გავიგე ეს ყველაფერი, როცა ამირჩიეს. და აქ, ამ ოთახში, მთლად მარტომ, არაერთხელ გავიხსენე. ასე მოდის სიბრძნე და ასე ვძერ-წავთ ჩვენს მომავალს.

წუთით შეისვენა. ღრმად სუნთქავდა.

- ისე დამამძიმა ამ ყველაფერმა, - თქვა შემდეგ.

უცებ ჯონასი ამ კაცისადმი უცნაური თანაგრძნობით განიმ-სჭვალა.

- ეს... - კაცი შეყოვნდა, თითქოს შესაფერის სიტყვებს ეძებ-და, - ციგით დაშვებას ჰგავს დაღმართზე, ღრმა თოვლში. სისწრა-ფე, ნათელი, სუსხიანი ჰაერი ჯერ გახარებს და გამხიარულებს, მე-რე კი თოვლი გროვდება, ფენა-ფენად ედება ციგის კავებს და შენც უნდა მიაწვე და მიაწვე, რომ არ გაჩერდე, და...

უეცრად თავი გააქნია და ჯონასს მიაჩერდა:

- ვერაფერი გაიგე, არა?

ჯონასი დაბნეული იყო:

- ვერ გავიგე, სერ.

- რაღა თქმა უნდა, ვერ გაიგე. ისიც არ იცი, რა არის თოვლი, არა?

ჯონასმა თავი გააქნია.

- ციგა? ციგის კავები?

- არა, სერ.

- დაღმართი? ეს სიტყვა არაფერს გეუბნება?

- არაფერს, სერ.

- ჰო,აქედან უნდა დავიწყოთ. მაინტერესებდა, საიდან უნდა დაგვეწყო. მიდი საწოლთან და პირქვე დაწექი. ჯერ ტუნიკა გაიხადე.

ჯონასი ასეც მოიქცა - ცოტა შიშნეულად. შიშველ მკერდზე საუცხოო ქსოვილის რბილი ნაკეცები მიეალერსა. თან უყურებდა კაცს, რომელიც ადგა და მივიდა კედელთან, სადაც ეკიდა სპიკერი - ისეთი, როგორიც ყველა საბინადროში იყო, მხოლოდ ერთი რამით განსხვავებული: ამ სპიკერს ჰქონდა ჩამრთველი. კაცმა იგი სხარტად გადასწია ბოლოსკენ, სადაც ეწერა - „გამორთვა“.

ჯონასმა ლამის წამოიყვირა - დინამიკის გამორთვის უფლება ხომ არავის ჰქონდა!

მოხუცი სწრაფად მოტრიალდა, მივიდა საწოლთან და ჯონასის გვერდით სკამზე ჩამოჯდა. ბიჭი გაუნძრევლად ინვა და ელოდა, რა მოხდებოდა.

- თვალები დახუჭე. მოდუნდი. ეს მტკივნეული არ იქნება.

ჯონასს გაახსენდა, რომ მას უფლება მისცეს, შეაგულიანეს კიდეც, რომ კითხვები დაესვა.

- რა უნდა ქნათ, სერ? - იკითხა იმ იმედით, რომ მისი ხმა მღელვარებას არ გაამჟღავნებდა.

- თოვლის ხსოვნა უნდა გადმოგცე, - უპასუხა მოხუცმა და ხელები შიშველ ზურგზე დააწყო.

11

თავდაპირველად ჯონასს უჩვეულო არაფერი უგრძნია - მხოლოდ მოხუცის ხელების მსუბუქი შეხება ზურგზე.

სცადა, მოდუნებულიყო, თანაბრად ესუნთქა. ოთახში სრული სიჩუმე იდგა და ჯონასს შეეშინდა კიდეც: ჩემი წვრთნის პირველივე დღეს არ შევრცხვე და არ ჩამეძინოსო.

მერე გააკანკალა, რადგან უცებ მოხუცის ხელებიდან სიცივე გადმოვიდა. იმავდროულად, შესუნთქვისას იგრძნო, რომ ჰაერი შეიცვალა და მისი სუნთქვაც გაცივდა. ტუჩები მოილოკა და მისი ენა გაცივებულ ჰაერს შეეხო.

გამაოგნებელი იყო, მაგრამ აღარ ეშინოდა. ენერგიით აივსო. სუნთქავდა და გრძნობდა გაყინული ჰაერის სუსხს, ცივი ჰაერის ნაკადს სხეულის ირგვლივ, ხელებსა და ზურგზეც კი.

კაცის ხელები თითქოს აღარ ეხებოდა.

ამჯერად სხვაგვარი რაღაც იგრძნო. ქინძისთავით ჩხვლეტა? არა, რადგან არ სტკენია. თითქოს სხეულსა და სახეზე ბუმბულისებრი, პაწაწინა, ცივი წინწკლები შეეხო. ენა ისევ გამოყო და ერთი წინწკალი ენაზეც დაეცა. თუმცა, მაშინვე გაქრა და ახალი დაეცა, მერე კიდევ, კიდევ... ჯონასს გაეღიმა.

მისი ცნობიერების ნაწილმა იცოდა, რომ ისევ იქ იწვა, საწოლზე, ფლიგელის ოთახში. მაგრამ მისი არსების მეორე, განცალკევებული ნაწილი ახლა წამომჯდარიყო და გრძნობდა, რომ მის ქვემოთ რბილი, მოქარგული ლოგინი კი არა, ბრტყელი და მკვრივი ზედაპირი იყო. ახლა ხელში სველი, უხეში თოკი ეჭირა (თუმცა, იმავდროულად, ხელები ისევ უმოძრაოდ ეწყო საწოლზე).

ამასთან, გარემომცველ ჰაერში ხედავდა - თუმცა, თვალები დახუჭული ჰქონდა - კრისტალების ნათელ, მბრუნავ ნაკადს და ეს კრისტალები ცივი ბეწვივით უფარავდა ხელის ზურგებს.

მისი სუნთქვა ხილული იყო.

იმ მბრუნავი მასის მიღმა, რომელსაც ჯონასი მოხუცის ნახსენებ თოვლად აღიქვამდა, ზემოთაც და ქვემოთაც შორეული სივრცე იშლებოდა. თვითონ სადღაც მაღლა იყო. მიწას სქლად დასდებოდა ფაფუკი თოვლი, თუმცა, ჯონასი რაღაც მკვრივ, ბრტყელ საგანზე იჯდა.

„ციგა,“ - გაუელვა უცებ. ჯონასი იჯდა რაღაცაზე, რასაც ციგა ერქვა. და ეს ციგა იდგა გრძელი მიწაყრილის თხემზე, რომელიც

თითქოს ხმელეთიდან ამოზრდილიყო. როგორც კი გაიფიქრა სიტყვა - „მიწაყრილი“, მისმა ახალმა ცნობიერებამ უკარნახა: „ბორცვი“.

მერე კი ციგა, ზედ დასკუპებული ჯონასით, თოვლზე გასრიალდა და ბიჭი მიხვდა, რომ ახლა დაღმართზე ეშვებოდა. აღარავინ არაფერს უხსნიდა. თვითონ ხვდებოდა, რაც ხდებოდა.

როგორც კი დაშვება დაიწყო, მისმა სახემ სუსხიანი ჰაერი გააპო. მოძრაობდა ნივთიერებაზე, რომელსაც ერქვა „თოვლი“, იჯდა ტრანსპორტზე, რომელსაც ერქვა „ციგა“ და უფრო და უფრო სწრაფად მისრიალებდა იმაზე, რაშიც ჯონასმა ეჭვმიუტანლად შეიცნო ციგის კავები.

ახლა უკვე ყველაფერი იცოდა, მისრიალებდა და სუნთქვაშეკრული ეწაფებოდა გამაოგნებელ სისწრაფეს, გამჭვირვალე, ცივ ჰაერს, სრულ მდუმარებას, აღტყინებისა და სიმშვიდის წონასწორობის განცდას.

როდესაც დაქანების კუთხე შემცირდა და მიწაყრილი - ბორცვი - უფრო და უფრო გასწორდა, ციგის წინსწრაფვაც შენელდა. ახლა გარშემო თოვლი დაზვინულიყო, ჯონასი კი ციგას თავისი სხეულით აწვებოდა, წინ მიჰყავდა, რადგან არ სურდა, მხიარულება დასრულებულიყო.

ბოლოს თოვლის მასა ძლიერად შეეწინააღმდეგა კავებს და ციგა შეჩერდა. ჯონასი ცოტა ხანს იჯდა, გული გამალებით უცემდა, გაყინულ ხელებში კი ისევ თოკი ჩაებღუჯა. ფრთხილად გაახილა თვალები - არა თოვლ-ბორცვ-ციგის დამნახავი თვალები, რომლებიც არ დაუხუჭავს მთელი სრიალის განმავლობაში, არამედ ჩვეულებრივი თვალები და დაინახა, რომ ისევ საწოლზე იწვა, არც კი განძრეულიყო.

მოხუცი ისევ საწოლთან იჯდა და თვალს ადევნებდა.

- როგორ ხარ? - ჰკითხა.

ჯონასი წამოჯდა და სცადა, კეთილსინდისიერად ეპასუხა.

- განცვიფრებული, - თქვა წამის შემდეგ.

მოხუცმა შუბლი სახელოთი მოიწმინდა:

- უჰ, აი, გასავათება! თუმცა, იცი, ამ პაწაწინა ხსოვნის გადმოცემამაც კი ცოტათი შემამსუბუქა.

- იმას გულისხმობთ,რომ... ხომ მითხარით, კითხვების დასმა შეგიძლიაო?

კაცმა ჯონასი თავის დაქნევით წააქეზა.

- იმას ხომ არ გულისხმობთ, რომ თქვენ თვითონ აღარ გახსოვთ ციგაზე სრიალი?

- ჰო, ეგრეა. ამ მოხუც სხეულს ცოტაოდენი ტვირთი დააკლდა.

- მაგრამ ეს ხომ ასეთი თავშესაქცევი იყო! და ახლა აღარ გაქვთ? მე წაგართვით?

მოხუცმა გაიცინა:

- მე მოგეცი მხოლოდ ერთი ჩამოსრიალება, ერთ ციგაზე, ერთ დაღმართზე, ერთ თოვლიან დღეს. ასეთი მოგონებების მთელი სამყარო მაქვს ხსოვნაში. შემეძლო თითო-თითოდ მომეცა ათასჯერ და მაინც დამრჩებოდა.

- იმას ამბობთ, რომ მე... ანუ ჩვენ... შეგვიძლია ეს გავიმეოროთ? - ჰკითხა ჯონასმა, - სიამოვნებით გავიმეორებდი. მგონი, შემიძლია ვმართო კიდეც თოკის მოქაჩვით. ამჯერად არ მიცდია, ისეთი ახალი იყო ყველაფერი.

მოხუცმა სიცილით გააქნია თავი:

- სხვა დროს, სიამოვნებისთვის. მხოლოდ თამაშითვის არ გვცალია. მინდოდა, მეჩვენებინა, როგორ ხდება ეს.

მოხუცმა საქმიანი იერი მიიღო:

- ახლა კი ისევ დაწექი. მინდა....

ჯონასი დაწვა. ერთი სული ჰქონდა, გაეგო, რა იქნებოდა შემდეგი. არადა, რამდენი კითხვა გაუჩნდა უცებ.

- ჩვენ რატომ არ გვაქვს თოვლი, ციგები, ბორცვები? წარსულში თუ გვქონდა? ჩემს მშობლებს თუ ჰქონდათ ციგები ახალგაზრდობაში? ან თქვენ?

მოხუცმა მხრები აიჩეჩა და ჩაიცინა:

- არა. ეს ძალზე შორეული ხსოვნაა. ამიტომაც იყო ასე დამქანცველი - თაობების მიღმიდან უნდა ამომეთრია. მე მაშინ გადმომცეს, როცა ახალი მიმღები ვიყავი. ძველმა მიმღებმაც შორეულ წარსულს გამოსტაცა.

- მაგრამ სად წავიდა თოვლი და ეს ყველაფერი?

- კლიმატის მართვამ შეცვალა. თოვლი მოსავლის რაოდენობას ამცირებდა, მიწათმოქმედების პერიოდებს ამოკლებდა. ზოგჯერ არაპროგნოზირებადი ამინდი ტრანსპორტირებას თითქმის შეუძლებელს ხდიდა. ეს პრაქტიკული არ იყო და, შეიცვალა, როცა ერთნაირობამდე მივედით. ბორცვები საქონლის გადაზიდვას აბრკოლებდა, ანელებდა სატვირთო მანქანების, ავტობუსების მოძრაობას, ამიტომ... - მოხუცმა ხელი გააქნია, თითქოს ამ ჟესტით ბორცვები გადასხიპაო, და შეაჯამა: - ერთნაირობა.

ჯონასი შეიჭმუხნა:

- ვისურვებდი, რომ ეგ ყველაფერი გვქონოდა. ხანდახან მაინც.

მოხუცმა გაიღიმა:

- მეც. მაგრამ ეგ ჩვენს ხელთ არ არის.

- მაგრამ, სერ, თქვენ ხომ ასეთი ძალა გაქვთ...

კაცმა შეუსწორა:

- პატივი, - თქვა მტკიცედ, - მე დიდი პატივი მერგო. შენც ასე იქნები. თუმცა, აღმოაჩენ, რომ ეს იგივე არ არის, რაც ძალა. ახლა მშვიდად იწექი. რაკი კლიმატი ვახსენეთ, სხვა რამეს გაზიარებ, თუმცა, არ გეტყვი,რას, რადგან მსურს, მიღების პროცესი გამოვცადო. შენ უნდა შეძლო და უთქმელად ამოიცნო სახელი. თოვლი, ციგა, დაღმართი, კავები მე წინასწარ დაგისახელე.

ჯონასი მითითებას არ დაელოდა და თვალები დახუჭა. ისევ შეიგრძნო ხელების შეხება ზურგზე და დაელოდა.

ახლა შეგრძნებები უფრო სწრაფად გაჩნდა. ამჯერად ხელები კი არ გაცივებულა, არამედ თბილად დაედო ჯონასის სხეულს, ცოტათი ნოტიოდაც. სითბო გავრცელდა, მხრებზე გადავიდა, ყელამდე აცოცდა, სახის ნახევარს მოედო. ამ სითბოს სამოსით დაფარულ სხეულზეც გრძნობდა: სასიამოვნო, ყველგან დავლილ სითბოს. და როცა ტუჩები მოილოკა, ამჯერად ცხელი ჰაერი შეიგრძნო, ცხელი და მძიმე.

არ ინძრეოდა. ციგა აღარსად ჩანდა. პოზა არ შეუცვლია, უბრალოდ, სადღაც გარეთ იყო, განმარტოებით, სითბო კი შორიდან და ზემოდან ეშვებოდა. ეს არ იყო ისეთი აღმგზნები, როგორიც თოვლზე სრიალი, მაგრამ სასიამოვნო იყო და სიმშვიდის მომნიჭებელი.

უცებ შესაფერისი სიტყვა ამოუტივტივდა: მზის ნათელი. მიხვდა, რომ ეს ციდან მოდიოდა.

მერე ყველაფერი დამთავრდა.

- მზის ნათელი, - თქვა ხმამაღლა, როცა თვალებს ახელდა.

- კარგია. შენ იპოვე სიტყვა. ეს მე საქმეს მიიოლებს. ბევრი ახსნა აღარ მჭირდება.

- ციდან მოდიოდა.

- მართალია. როგორც ხდებოდა ხოლმე.

- ერთნაირობამდე, კლიმატის გაკონტროლებამდე, - დაამატა ჯონასმა.

კაცმა გაიცინა:

- კარგად იღებ და სწრაფად სწავლობ. ძალიან კმაყოფილი ვარ. ვგონებ, სადღეისოდ კმარა. კარგად დავიწყეთ.

ჯონასს ერთი შეკითხვა აწუხებდა:

- სერ, მთავარმა უხუცესმა მითხრა - ყველას უთხრა და თქვენც მითხარით, რომ ეს მტკივნეული იქნება. ცოტათი შემეშინდა, მაგრამ რაც დღეს განვიცადე, სრულებითაც არ მტკენია, პირიქით, სასიამოვნო იყო.

ჯონასი დაბნეული მისჩერებოდა მოხუცს.

მოხუცმა ამოიოხრა:

- მე დაგაწყებინე სასიამოვნოს გახსენებით. ჩემმა უწინდელმა მარცხმა შთამაგონა ეს სიბრძნე, - და მან რამდენჯერმე ღრმად ჩაისუნთქა, - ბევრი ტკივილი იქნება, ჯონას, მაგრამ ჯერჯერობით ეს საჭირო არ არის.

- მე მამაცი ვარ, მართლა, - ჯონასი წელგამართული წამოჯდა.

მოხუცმა შეხედა და გაუღიმა.

- ვხედავ, რომ ეგრეა. კარგი, რაკიღა შემეკითხე, მგონი, საკმარისი ენერგია დამრჩა კიდევ ერთი სეანსისთვის. დაწექი. და დღეს ამით დავამთავრებთ.

ჯონასი ხალისით დაემორჩილა. თვალები დახუჭა და დაელოდა. მერე ისევ იგრძნო ხელები, ისევ მოვიდა სითბო, ისევ მზის ნათელი, რომელიც მოდიოდა ამ სხვა, მისთვის ახალი ცნობიერებიდან. ამჯერად რომ იწვა და სითბოს ეფიცხებოდა, ჯონასმა დროის სვლა იგრძნო. მისი ერთი არსება აცნობიერებდა, რომ ეს სულ ერთ-ორ წუთს გრძელდებოდა. აი, მეორე, ხსოვნის მიმღები არსებისთვის კი მთელი საათები გადიოდა მზის ქვეშ. კანმა წიწკნა დაუწყო. მოუსვენრად აამოძრავა ერთი მკლავი, მოხარა და იდაყვის შიდა მხარეს მწვავე ტკივილი იგრძნო.

- უჰ! - თქვა ხმამაღლა და საწოლზე წაინაცვლა. ამან შეაკრთო: - უუ! - და ტუჩების ამოძრავებამაც კი მთელი სახე ატკინა.

იცოდა, რომ არსებობდა სიტყვა, მაგრამ ტკივილი მის გახსენებას უშლიდა.

მერე ყველაფერი დამთავრდა. ტკივილით შეწუხებულმა ჯონასმა თვალები გაახილა.

- მტკიოდა, - უთხრა კაცს, - და შესაფერისი სიტყვა ვერ ვიპოვე.

- ეს იყო ნამზეური, - უთხრა მოხუცმა.

- ძალიან მტკივნეული იყო, მაგრამ მიხარია, რომ განმაცდევინეთ. საინტერესო იყო და ახლა უკეთესად მესმის, რას ნიშნავს თქვენი სიტყვები, ტკივილი იქნებაო.

კაცმა არაფერი უპასუხა. ორიოდე წამს დუმდა, ბოლოს თქვა:

- ახლა ადექი. შინ წასვლის დროა.

ოთახის შუაგულში გამოვიდნენ. ჯონასმა ტუნიკა გადაიცვა.

- ნახვამდის, სერ. მადლობას გიხდით ჩემი პირველი დღისთვის.

მოხუცმა თავი დაუქნია. გამოფიტული და ოდნავ სევდიანი ჩანდა.

- სერ! - გაუბედავად მიმართა ჯონასმა.

- ჰო...რამის კითხვა გინდა?

- მე თქვენი სახელი არ ვიცი. მეგონა, მიმღები იყავით. მაგრამ, თქვენ მითხარით, რომ მე ვარ მიმღები. ჰოდა, არ ვიცი, როგორ მოგმართოთ.

მოხუცმა, რომელიც ისევ იმ ქსოვილგადაკრულ სკამზე იჯდა, მხრები შეარხია - თითქოს მტკივნეული შეგრძნების შესამსუბუქებლად. არაქათგამოცლილი ჩანდა.

- გამღები დამიძახე, - უთხრა ჯონასს.

12

- კარგად გეძინა, ჯონას? - ჰკითხა დედამ საუზმეზე, არავითარი სიზმარი?

ჯონასმა გაიღიმა და თავი დააქნია: არც ტყუილის სათქმელად იყო მზად, არც სიმართლის თქმა სურდა.

- ძალიან კარგად მეძინა.

- ნეტავ ამასაც ეგრე სძინებოდა, - თქვა მამამ, დაიხარა და გეიბრიელის მოქანავე მუშტს ოდნავ შეეხო. ბავშვიანი კალათა გვერდით ედგა. მის კუთხეში, გეიბრიელის თავთან, გაბერილი სპილუკა იდო და ცარიელი თვალებით იყურებოდა.

- მეც ვისურვებდი მაგას, თქვა დედამ, - ისეთი მოუსვენარია ღამით.

ჯონასს ახალბავშვის ხმა არ გაუგონია, რადგან როგორც ყოველთვის, ამ ღამითაც ღრმა ძილით ეძინა. ოღონდ სიზმრები ნახა.

სიზმარში ისევ ქვემოთ მისრიალებდა თოვლით დაფარულ ბორცვზე. ისეთი განცდა ჰქონდა, თითქოს რაღაც მიზნისკენ მიისწრაფოდა. მიზანი სადღაც შორს იყო, იმ ადგილის გადაღმა, სადაც თოვლი ციგას აბრკოლებდა და აჩერებდა, მაგრამ ჯონასს მისთვის სახელი ვერ მოეძებნა.

გაღვიძებულს, გამოჰყვა შეგრძნება, რომ უნდოდა, არა - სჭირდებოდა, მისწვდომოდა იმას, რაც იქ, შორს, იყო, რომ ის რაღაც კარგი იყო, სასიამოვნო და მნიშვნელოვანი.

მაგრამ ჯონასმა არ იცოდა, როგორ მისულიყო იქამდე.

სცადა, სიზმარი თავიდან მოეშორებინა და სკოლისთვის მომზადებულიყო.

დღეს სკოლა ოდნავ სხვანაირი ჩანდა. გაკვეთილები იგივე იყო: ენა და კომუნიკაციის საშუალებები, კომერცია და ინდუსტრია, მეცნიერება და ტექნოლოგია, სამოქალაქო პროცედურები და მმართველობა. მაგრამ შესვენებებზე და სადილის დროს სხვა ახალთორმეტიანები აღგზნებულად ჰყვებოდნენ თავიანთი წვრთნის პირველი დღის ამბებს. ყველა ერთად ლაპარაკობდა,

ერთმანეთს აწყვეტინებდნენ, სასწრაფოდ ბოდიშს იხდიდნენ, მაგრამ ეს მაშინვე ავიწყდებოდათ და ახალ ამბავს იწყებდნენ.

ჯონასი უსმენდა. მშვენივრად აცნობიერებდა შეგონებას - არ ელაპარაკა თავის წვრთნაზე. თუმცა, ეს მაინც შეუძლებელი იქნებოდა. ვერ აღუწერდა მეგობრებს, რა განიცადა ფლიგელის ოთახში. როგორ უნდა აღგეწერა ციგა ისე, რომ არაფერი გეთქვა ბორცვსა და თოვლზე? ან როგორ უნდა დაგეხატა ბორცვი და თოვლი იმისთვის, ვისაც არასოდეს განეცადა სიმაღლე, ქარი ან ის ბუმბულიან-ჯადოსნური სიცივე? ენაში თუნდაც მრავალწლიანი წვრთნის შემდეგ რა სიტყვებს გამოიყენებდი, რომ სხვისთვის მზისნათელის ძალა გადაგეცა?

ასე რომ, ჯონასს არ უჭირდა ჩუმად ყოფნა და სხვების მოსმენა.

სკოლის შემდეგ ფიონასთან ერთად ისევ მოხუცთა სახლისკენ გაეშურა.

- გუშინ გეძებდი, რომ შინ ერთად წავსულიყავით, უთხრა ფიონამ, - შენი ველოსიპედი ისევ აქ იდგა. ცოტა ხანს დაგელოდე, მაგრამ გვიანდებოდა და მარტო წამოვედი.

- მაპატიე, რომ გალოდინე, - უთხრა ჯონასმა.

- ვიღებ შენს ბოდიშს, - დაუბრუნა იმან მექანიკურად.

ფიონა ჩუმად ატრიალებდა პედლებს და ჯონასმა იცოდა, რომ გოგონა მისგან შეკითხვას ელოდა, ჩუმად რატომ ხარო; ელოდა, რომ ჯონასი უამბობდა თავისი წვრთნის პირველი დღის ამბებს, მაგრამ რამის კითხვა უხეშობა იქნებოდა, ამიტომ დუმდა.

- შენ იმდენი მოხალისური საათი გაგიტარებია მოხუცებთან, რომ ბევრი აღარაფერი დაგხვდებოდა ისეთი, რაც არ იცოდი, - ჯონასმა საუბრის თემის შეცვლა სცადა.

- ოჰ, კიდევ ბევრი რამ არის სასწავლი, - უპასუხა ფიონამ, - ადმინისტრაციული სამუშაო, დიეტის წესები, დასჯა დაუმორჩი-

ლებლობისთვის... იცოდი, რომ სადისციპლინო ჯოხს მოხუცებისთვისაც იყენებენ, ზუსტად ისეთივეს, როგორსაც პატარა ბავშვებისთვის? არსებობს შრომითი თერაპია, სარეკრეაციო აქტივობები, მკურნალობა და... შენობასთან მისულებმა ველოსიპედები გააჩერეს.

- დარწმუნებული ვარ, რომ ეს საქმე სკოლაზე მეტად მომეწონება, - აღიარა ფიონამ.

- მეც, - დაეთანხმა ჯონასი, როცა ველოსიპედს აბინავებდა.

ფიონა ერთი წამით დაელოდა, თითქოს იმედი ჰქონდა, რომ ჯონასი ლაპარაკს განაგრძობდა. მერე მაჯის საათზე დაიხედა, ხელი დაუქნია და შესასვლელს მიაშურა.

ჯონასი ცოტა ხანს თავის ველოსიპედთან იდგა, გაოგნებული. ისევ განმეორდა ის, რაც, მისი აზრით, სწორედ მიღმა ხედვა იყო: როცა ჯონასმა თავი ასწია და კარისკენ წასულ ფიონას გახედა, გოგონა მოულოდნელად შეიცვალა. როდესაც გონებაში ამის აღდგენა სცადა, ჯონასი მიხვდა, რომ ფიონა მთლიანად კი არ შეიცვალა, არამედ მხოლოდ მისი თმა, თან - მხოლოდ წამიერად.

ასეთი უცნაური რაღაც უფრო და უფრო ხშირად ხდებოდა. ჯერ ვაშლი იყო რამდენიმე კვირის წინ, მერე სახეები აუდიტორიაში ორიოდე დღის წინ, ახლა - ფიონას თმა.

შუბლშეჭმუხნილი ჯონასი ფლიგელის კარისკენ წავიდა. გამღებს ვკითხავო, გადაწყვიტა.

ოთახში შესულ ჯონასს მოხუცმა ღიმილით ამოხედა. ის უკვე საწოლთან იჯდა. დღეს უფრო ენერგიული ჩანდა, თითქოს გაახალგაზრდავებული. ჯონასის დანახვა გაუხარდა.

- შემოდი. უნდა დავიწყოთ. ერთი წუთით დაიგვიანე.

- ბოდიშს... - დაიწყო ჯონასმა და მაშინვე გაჩუმდა, რადგან გაახსენდა, რომ აქ ბოდიშის მოხდა არ შეიძლებოდა.

ტუნიკა გაიძრო და საწოლზე დაწვა.

- ერთი წუთით იმიტომ დამაგვიანდა, რომ რაღაც მოხდა, განუმარტა გამღებს, - და მინდა, გკითხოთ, თუ შეიძლება.

- ყველაფრის კითხვა შეგიძლია.

ჯონასი შეეცადა, გონებაში დაელაგებინა მომხდარი, რომ გასაგებად აეხსნა.

- ვფიქრობ, ეს ისაა, რასაც თქვენ მიღმა ხედვას უწოდებთ, - თქვა ბოლოს.

გამღებმა თავი დაუქნია და უთხრა:

- აღმიწერე.

ჯონასმა ჯერ ვაშლის ეპიზოდი უამბო, შემდეგ - სცენიდან დანახული.

- დღესაც, აქ შემოსვლამდე, იგივე მოხდა. ჩემი მეგობარი ფიონა თვითონ არ შეცვლილა, მაგრამ სულ ერთი წამით მის ირგვლივ რაღაც შეიცვალა. თმა სხვანაირი გამოუჩნდა, ოღონდ - არა ფორმით, ან სიგრძით. ზუსტად ვერ ვამბობ...

ჯონასი შეყოვნდა, იმედგაცრუებული თავისი უუნარობით - ზუსტად ეთქვა, რა მოხდა.

ბოლოს უბრალოდ თქვა:

- ის შეიცვალა. არ ვიცი, როგორ ან რატომ. ამიტომაც დავიგვიანე ერთი წუთით, - დაასრულა და კითხვის გამომხატველი მზერით შეხედა გამღებს.

მისდა გასაკვირად, მოხუცმა დაუსვა შეკითხვა, რომელსაც მიღმა ხედვასთან თითქოს არაფერი ესაქმებოდა:

- გუშინ,როდესაც მოგონება გადმოგეცი, პირველი - ციგით სრიალი, მაშინ თუ მიმოიხედე გარშემო?

ჯონასმა თავი დააქნია:

- დიახ. მაგრამ თოვლი ჰაერს ამკვრივებდა და ხედვას აძნელებდა.

- ციგას თუ დახედე?

ჯონასი ფიქრით დაბრუნდა უკან.

- არა. მხოლოდ ჩემ ქვემოთ ვიგრძენი. წუხელაც დამესიზმრა. თუმცა, არ მახსოვს, რომ სიზმარში ციგა მენახოს. მხოლოდ ვიგრძენი.

გამღები თითქოს ფიქრობდა.

- არჩევამდე, როცა გაკვირდებოდი, გავაცნობიერე, რომ შენ, გაქვს ნიჭი. და რასაც შენ ჰყვები, ამას ადასტურებს. მეც დამემართა ეს, შენხელა რომ ვიყავი, როცა ახალი მიმღები უნდა გავმხდარიყავი, ოღონდ ცოტა სხვანაირად. ეს იყო... კარგი, ახლა არ აღვწერ ამას, ჯერ ვერ გაიგებ. თუმცა, მე მგონი, ვხვდები, რა გემართება. ახლა ჩემი მიხვედრის დასადასტურებლად პატარა ცდას ჩავატარებ. დაწექი.

ჯონასი ისევ დაწვა და ხელები გაჭიმა. აქ თავს მყუდროდ გრძნობდა. თვალები დახუჭა და დაელოდა ზურგზე გამღების ხელების ნაცნობ შეხებას. მაგრამ ეს არ მომხდარა. ამის ნაცვლად გამღებმა ურჩია:

- გამოიხმე ციგაზე სრიალის ხსოვნა, მხოლოდ დასაწყისი, როდესაც ბორცვის თხემზე ხარ, სანამ ჩასრიალდები. ამჯერად ციგას დახედე. საგონებელში ჩავარდნილმა ჯონასმა თვალები გაახილა.

- მაპატიეთ, - თქვა ზრდილობიანად, - მაგრამ ეს ხსოვნა ხომ თქვენ უნდა მომცეთ?

- ახლა ეს უკვე შენი ხსოვნაა, ჩემი შესაგრძნობი აღარ არის, მე ის გავეცი.

- მაგრამ როგორ გამოვიხმო?

- ხომ შეგიძლია, გაიხსენო გასული წელი, ან ის წელი, როცა შვიდის იყავი, ან ხუთის, არა?

- რა თქმა უნდა.

- ესეც თითქმის იგივეა. თემის ყველა წევრს ასეთი ერთი თაობის მოგონებები აქვს. თუმცა, შენ ახლა უფრო ადრეულ ხანაში დაბრუნდები. სცადე. კონცენტრირება მოახდინე.

ჯონასმა ისევ დახუჭა თვალები, ღრმად ჩაისუნთქა, თავის ცნობიერებაში ძებნა დაუწყო ციგას, ბორცვსა და თოვლს და მაშინვე იპოვა, დიდი ძალისხმევის გარეშე. ისევ იჯდა მოტრიალე ფიფქების სამყაროში, ბორცვის თხემზე.

ჯონასმა სიამოვნებისგან ჩაიღიმა და პირიდან ორთქლი გამოუშვა. მერე, როგორც უთხრეს, ქვემოთ დაიხედა და დაინახა თოკს ჩაბღაუჭებული თავისი დათოვლილი ხელები. დაინახა ფეხები, რომლებიც განზე გასწია, რომ ციგისთვისაც შეევლო თვალი.

ენაჩავარდნილი მიაშტერდა ციგას. ამჯერად ეს არ იყო წამიერი შთაბეჭდილება. ციგას ჰქონდა - და თვალების დახუჭვა-გახელის შემდეგაც ინარჩუნებდა - იგივე იდუმალი თვისება, რაც ვაშლსა და ფიონას თმას. ციგა არ იცვლებოდა: უბრალოდ, ის იყო, რაც იყო.

ჯონასმა თვალები გაახილა. ისევ საწოლზე იწვა, გამღებიც იქვე იჯდა და ცნობისწადილით დაჰყურებდა.

- ჰო, - თქვა ჯონასმა, - ეს ციგაშიც დავინახე.

- მოდი, ახლა სხვა რამეს ვცდი. წიგნების კარადისკენ გამოიხედე. წიგნების მწკრივს ხედავ მაგიდის უკან, სულ ზედა თაროზე?

ჯონასმა მზერით მოძებნა წიგნები და... ისინი შეიცვალა, თუმცა - სულ ერთი წამით, მეორე წამს ეს ხედვა გაქრა.

- ეს წიგნებსაც დაემართა, - თქვა ჯონასმა, - თუმცა, ერთი წამით.

- მაშ, მართალი ვყოფილვარ, - თქვა გამღებმა, - შენ უკვე იწყებ წითელი ფერის დანახვას.

- რაას?

გამღებმა ამოიოხრა:

- როგორ აგიხსნა ეს? ოდესღაც, ხსოვნების ხანაში, ყველაფერს თავისი ზომა და ფორმა ჰქონდა, როგორც ახლა აქვს, თუმცა, მათ ჰქონდათ კიდევ ერთი თვისება - ფერი. არსებობდა მრავალი

ფერი, რომელთაგან ერთ-ერთს ერქვა წითელი. ეს ის ფერია, რომლის დანახვასაც შენ იწყებ. შენს მეგობარ ფიონას მართლაც საკმაოდ კაშკაშა წითელი ფერის თმა აქვს. უწინაც შემიმჩნევია. ფიონას თმა რომ ახსენე, ეს ჩემთვის აღმოჩნდა გასაღები, რომელმაც მითხრა, რომ შენ იწყებდი წითელი ფერის გარჩევას.

- და ადამიანთა სახეები, ცერემონიაზე რომ დავინახე? გამღებმა თავი გააქნია:

- არა, სხეული არ არის წითელი, თუმცა, აქვს წითელი ტონალობები. სანამ ერთნაირობამდე მივიდოდით, იყო დრო - შენ ამას ხსოვნებში მოგვიანებით ნახავ - როცა ბევრი სხვადასხვა ფერის სხეული არსებობდა. დღეს ყველა სხეული ერთი ფერისაა. ხოლო რაც შენ დაინახე, ის წითელი ტონალობები იყო. შენ დაინახე, როგორ დაედო ფერი ადამიანთა სახეებს, მაგრამ ეს არ იქნებოდა ისეთი მკაფიო, როგორიც ვაშლი ან შენი მეგობრის თმა.

გამღებმა უეცრად ჩაიცინა:

- მაინც ვერ სრულვყავით ერთნაირობა. ვფიქრობ, გენეტიკოსები გულმოდგინედ შრომობენ უცნაურობათა აღმოსაფხვრელად. ფიონას თმა, ალბათ, აგიჟებთ.

ჯონასი გულდასმით უსმენდა, იქნებ გავიგოო.

- და ციგა? მასაც იგივე რაღაც ჰქონდა: წითელი ფერი. თუმცა, ეს არ შეცვლილა, გამღებო, ეს, უბრალოდ, იყო.

- იმიტომ, რომ ეს არის ხსოვნა იმ დროისა, როდესაც ფერი არსებობდა.

- და ეს ასეთი... როგორ მინდა, უფრო ზუსტად თქმა შემეძლოს! წითელი ასეთი ლამაზი იყო! გამღებმა თავი დააკანტურა:

- ჰო, ლამაზია.

- თქვენ გამუდმებით ხედავთ?

- მე ყველას ვხედავ, ყველა ფერს.

- მე თუ დავინახავ?

- რასაკვირველია. როდესაც ხსოვნებს მიიღებ. შენ გაქვს მიღმა ხედვის უნარი. ფერების გარჩევის შემდეგ სიბრძნესაც შეიძენ და კიდევ ბევრ რამეს.

იმ მომენტში ჯონასს სიბრძნე არ ანაღვლებდა. მას ფერები ხიბლავდა.

- რატომ არ უნდა ხედავდეს ყველა? რატომ გაქრა ფერები?

გამღებმა მხრები აიჩეჩა:

- ჩვენმა ხალხმა გააკეთა ეს არჩევანი, არჩევანი ერთნაირობისკენ. ეს მოხდა ჩემამდე, უფრო ადრეც, უფრო, უფრო, უფრო ადრე. მაშინ დავთმეთ ფერი, როდესაც დავთმეთ მზის ნათელი და განსხვავებები გავათანაბრეთ, ერთი წამით ჩაფიქრდა და განაგრძო, - ბევრი რამე გავაკონტროლეთ, მაგრამ სხვა რამეები დავკარგეთ.

- არ უნდა დაგვეკარგა! - თქვა ჯონასმა გაბრაზებით.

ჯონასის თავდაჯერებულობის შემხედვარე გამღები გაოგნებული ჩანდა. მერე გაიღიმა:

- ძალიან სწრაფად მიხვედი მაგ დასკვნამდე. მე მრავალი წელი დამჭირდა. შეიძლება შენთან სიბრძნე უფრო სწრაფად მოვიდეს, ვიდრე ჩემთან მოვიდა.

კედლის საათს გახედა.

- ახლა ისევ დაწექი. ბევრი საქმე გვაქვს.

- გამღებო, - ჰკითხა ჯონასმა, როცა ისევ დაწვა საწოლზე, - როგორ მოხდა ყველაფერი, როცა მიმღები ხდებოდით? მიღმური ხედვა მეც აღმომაჩნდა, ოღონდ სხვანაირადო, თქვით.

ხელები ჯონასის ზურგზე დაეშვა.

- ეგ სხვა დროს, - თქვა გამღებმა თბილად, - სხვა დროს გიამბობ. ახლა სამუშაო გველოდება. მოფიქრებული მაქვს, როგორ დაგეხმარო ფერების დანახვაში. თვალები დახუჭე და გაჩუმდი. ცისარტყელას ხსოვნა უნდა გადმოგცე.

13

გადიოდა დღეები, კვირები. ჯონასი სწავლობდა ხსოვნებით, ფერთა სახელებით. უკვე შეეძლო ყველა ფერის დანახვა ჩვეულებრივ ყოფაში (თუმცა, იცოდა, რომ მისი ყოფა ჩვეულებრივი აღარ იყო და არც აღარასოდეს იქნებოდა). მაგრამ ფერები დიდხანს არ ყოვნდებოდა. გამოანათებდა მწვანე - გაზონი ცენტრალური მოედნის ირგვლივ ან ბუჩქი მდინარის პირას. თემის საზღვრების გადაღმიდან შემოზიდული გოგრების ხასხასა ნარინჯისფერი სულ ერთი წამით გაიელვებდა ბრწყინვალე ფერის აფეთქებად და ქრებოდა, თავის უფერულ ჩრდილს უბრუნდებოდა.

გამღებმა უთხრა: ძალიან დიდი დრო დაგჭირდება, სანამ ფერების შენარჩუნებას ისწავლიო.

- მაგრამ მე მსურს ფერები! - ბრაზიანად თქვა ჯონასმა. - უფერული სამყარო ულამაზოა!

- ულამაზო? - გამღებმა ცნობისწადილით შეხედა, - ამიხსენი, რას გულისხმობ.

- რას და... - ჯონასს უნდოდა, კარგად მოეფიქრებინა პასუხი, - როცა ყველაფერი ერთნაირია, არაფრის არჩევა არ შეგვიძლია! მინდა, ვიღვიძებდე დილას და ვიღებდე გადაწყვეტილებას: ლურჯი ტუნიკა ჩავიცვა თუ წითელი?

თავისი სამოსის უფერო ქსოვილს დახედა და თქვა: - ეს კი ყოველთვის ერთნაირია.

მერე ჩაიცინა:

- ვიცი, რომ უმნიშვნელოა, რა გაცვია, მაგრამ...

- მნიშვნელოვანია არჩევანის შესაძლებლობა, არა? - ჰკითხა გამღებმა.

ჯონასმა თავი დაუქნია.

- ჩემს უმცროს ძმას... - დაიწყო და მერე თავის თავს შეუსწორა: - არა, ის ჩემი ძმა არ არის, ნამდვილად არა. მაგრამ ახალბავშვს, რომელზეც ჩემი ოჯახი ზრუნავს, გეიბრიელი ჰქვია.

- ჰო, გამიგონია გეიბრიელი.

- სწორედ იმ ასაკისაა, როცა თითქმის ყველაფერს ისრუტავს. ხარბად ბღუჯავს სათამაშოებს, რომლებიც ახლოს მიგვაქვს. მამაჩემი ამბობს, რომ მცირე კუნთების კონტროლს სწავლობს. ძალიან საყვარელი ბავშვია.

გამღებმა თავი დააქნია.

- თუმცა ახლა, როდესაც ფერებს ვხედავ, ყოველ შემთხვევაში - ხანდახან მაინც, სწორედ ახლა ვფიქრობდი: რა იქნებოდა, ხასხასა წითელი ან ყვითელი ნივთები რომ გვეჩვენებინა და მას ამორჩევა შესძლებოდა? ერთნაირობის სანაცვლოდ?

- შეიძლებოდა მცდარი არჩევანი გაეკეთებინა.

- აჰ, - ჯონასი ერთი წუთით გაჩუმდა, - ვიცი, რას გულისხმობთ. ახალბავშვის სათამაშოს არაფერი უჭირს, მაგრამ მოგვიანებით ეს უკვე მნიშვნელოვანი გახდებოდა, არა? ვერ ვბედავთ, ადამიანებს არჩევანი მივანდოთ.

- სახიფათოა, არა? - მიანიშნა გამღებმა.

- დიახ, - დარწმუნებით თქვა ჯონასმა, - რა მოხდებოდა, თავ-თავისი წყვილის არჩევის უფლება რომ მისცემოდათ და მცდარად აერჩიათ? ან რა იქნებოდა, - ჯონასს აცინებდა ასეთი აბსურდის წარმოდგენა, - თვითონვე რომ ირჩევდნენ თავ-თავის საქმეს?

- ესეც სახიფათოა, არა? - თქვა გამღებმა.

- ძალიან, - ჩაიცინა ჯონასმა, - ვერც კი წარმომიდგენია. ნამდვილად უნდა დავიცვათ ადამიანები მცდარი არჩევანისგან.

- ასე უფრო უსაფრთხოა.

- ჰო, - დაეთანხმა ჯონასი, - უფრო უსაფრთხოა.

მაგრამ როდესაც საუბარი სხვა საგნებს შეეხო, ჯონასს მაინც გამოჰყვა დაუკმაყოფილებლობის განცდა.

მას ხშირად იპყრობდა ბრაზი, ირაციონალური ბრაზი თანაჯგუფელთა მიმართ, რომ ისინი კმაყოფილი იყვნენ თავიანთი ცხოვრებით, არადა, რამდენი რამ არ იცოდნენ! და ბრაზობდა საკუთარ თავზეც, რომ მათთვის ვერაფერს ცვლიდა.

თუმცა, სცადა. გამღების უნებართვოდ (რაკი ეჭვობდა, რომ ამის უფლებას არ მისცემდა) სცადა, მეგობრებისთვის თავისი ახალშეძენილი ცოდნა გაეზიარებინა.

- აშერ, - უთხრა ჯონასმა ერთ დილას, - ყურადღებით დააკვირდი ამ ყვავილებს.

ისინი ნემსიწვერების კვალთან იდგნენ, ღია ჩანაწერების დარბაზთან. ჯონასმა აშერს მხრებზე ხელები დააწყო და ყვავილების ფურცლების სიწითლეზე მოახდინა კონცენტრირება, სცადა, ეს დიდხანს შეენარჩუნებინა და მეგობრისათვის წითლის ცოდნა გადაეცა.

- რა იყო? რამე მოხდა? - უხერხულად იკითხა აშერმა და მეგობრის ხელებს დაუსხლტა. სხვა ოჯახური ერთეულის წევრის შეხება მეტისმეტი სიტლანქე იყო.

- არა, არაფერი. მომეჩვენა, რომ ჭკნობა შეეპარათ და მებაღეთა გუნდისთვის უნდა გვემცნო, რომ უკეთესად მოერწყათ, - ამოიოხრა ჯონასმა და მიტრიალდა.

ერთ საღამოს წვრთნიდან შინ ახალი ცოდნით დამძიმებული დაბრუნდა. იმ დღეს მიმღებმა თავზარდამცემი და შემაძრწუნებელი ხსოვნა შეარჩია. მის ხელებქვეშ მოქცეული ჯონასი სრულიად უცხო გარემოში აღმოჩნდა. ეს იყო ცხელი, ქარით გადასხეპილი მიდამო უკიდეგანო ლურჯი ცის ქვეშ. აქა-იქ ჩანდა ბალახი, რამდენიმე ბუჩქი და კლდეები, შორიახლოს - უფრო ხშირი მწვანე ამონაყარი, ცის ფონზე გამოკვეთილი მსხვილი, დაბალი ხეების ტევრი. ესმოდა ხმები: იარაღის მჭახე ბათქაბუთქი (იპოვა სიტყვა

თოფები), შემდეგ - ყვირილი, რაღაც ვეებას დანარცხება და ტოტების ლაწალუწი.

გაიგონა ხმები, რომლებიც ერთმანეთს უხმობდნენ. ვიღაც იყურებოდა, ბუჩქნარს ამოფარებული. ამ დროს გაახსენდა, გამღებმა რომ უთხრა, ოდესღაც სხეულები სხვადასხვა ფერისა იყოო. ორ კაცს მუქყავისფერი კანი ჰქონდა, სხვებს - ღია ფერის. უფრო ახლოს მივიდა, დაინახა, რომ ისინი ეშვებს აჭრიდნენ მიწაზე უმოძრაოდ გაწოლილ სპილოს და სისხლით მოთხვრილ ამ ეშვებს სადღაც მიათრევდნენ. შეაძრწუნა წითლის ახლებურად აღქმამ.

მერე კაცები წავიდნენ - ჰორიზონტისკენ გაეშურნენ მანქანით, რომლის საბურავები კენჭებს ისხლეტდა და ისროდა. ერთი კენჭი ჯონასს მოხვდა შუბლში და ძალიან ეტკინა. მიუხედავად ამისა, სურათი გრძელდებოდა, არადა, ერთი სული ჰქონდა, ყველაფერი როდის დამთავრდებოდა.

ამჯერად მეორე სპილო დაინახა. ცხოველი გამოვიდა ტევრიდან, რომელშიც იმალებოდა, ძალიან ნელა მიუახლოვდა ვეებერთელა, დასახიჩრებულ სხეულს, დახედა, დაკლაკნილი ხორთუმი გადაუსვა, მერე ზემოთ აიშვირა, ფოთლიანი ტოტები ჩამოამტვრია და დაფლეთილ სხეულს გადააფარა. ბოლოს თავი უკან გადააგდო, ხორთუმი ასწია და დაცარიელებულ გარემოს შეჰღმუვლა. ჯონასს არასოდეს სმენოდა ასეთი ხმა. ეს იყო მძვინვარებისა და მწუხარების ამოძახილი და მოეჩვენა, რომ იგი არასოდეს შეწყდებოდა.

როდესაც ტანჯვით გაახილა თვალები, ეს ხმა ჯერ კიდევ ესმოდა. მის ცნობიერებაში ღმუილი ისმოდა მაშინაც, როცა ველოსიპედი აუჩქარებლად მიჰყავდა შინისკენ.

- ლილი, - უთხრა დას, როცა მან თაროდან გადმოიღო თავისი სანუგეშო ნივთი - გატიკნილი სპილო, - იცი, რომ ოდესღაც ნამდვილად არსებობდნენ სპილოები? ცოცხლები?

ლილიმ დახედა დაძენძილ ნივთს და გაიღიმა.

-კი, აბა რა, ჯონას! - უთხრა სკეპტიკურად.

ჯონასი მიუახლოვდა და მათთან ჩამოჯდა. მამა ლილის ლენტებს ხსნიდა და თმას ვარცხნიდა. ჯონასმა ორივეს მხარზე ხელი დაადო და მთელი არსებით სცადა, მათთვის გადაეცა ხსოვნის ნაწილი - არა ნაწამები სპილო, არამედ ზორზოხა ქმნილება და მისი მგრძნობიარე შეხება, რომლითაც თვისტომს გამოეთხოვა.

მაგრამ მამა უწინდებურად თმას ვარცხნიდა ლილის, რომელმაც ძმის ხელის მოშორება სცადა:

- მტკენ, ჯონას!

- ბოდიშს გიხდი, რომ გატკინე, ლილი, - ჩაილუღულა ჯონასმა და ხელი მოაშორა.

- ვიღებ შენს ბოდიშს, - მიუგო ლილიმ გულგრილად, თან უსიცოცხლო სპილოს ეფერებოდა.

***

- გამღებო, - ჰკითხა ჯონასმა ერთხელ, როცა დღის სამუშაოსთვის მოემზადნენ, - მეუღლე გყავთ? თუ უფლება არ გაქვთ, რომ ითხოვოთ?

მართალია, უხეშობას ამკრძალავი წესების დაცვა აღარ მოეთხოვებოდა, მაგრამ იცოდა, რომ მაინც უხეში შეკითხვა დასვა. თუმცა, გამღებმა ხომ სთხოვა, ყველანაირი შეკითხვა დაესვა და არც ოდესმე შესტყობია, რომ ეუხერხულებოდა ან სწყინდა თუნდაც მეტისმეტად პირადული კითხვა. ამჯერად გამღებმა ჩაიცინა:

- არა, ასეთი აკრძალვა არ არსებობს. მყავდა კიდეც მეუღლე. შენ გავიწყდება, რა ხნის ვარ, ჯონას. ჩემი ყოფილი მეუღლე ახლა უშვილო უფროსებთან ცხოვრობს.

- ოჰ, რა თქმა უნდა.

ჯონასს მართლაც აღარ ახსოვდა გამღების ასაკი. როდესაც თემის უფროსები ბერდებოდნენ, მათი ცხოვრებაც იცვლებოდა. ისინი აღარ სჭირდებოდათ ოჯახური ერთეულების შესაქმნელად.

როცა ჯონასი და ლილი გაიზრდებოდნენ, მათი მშობლებიც წავიდოდნენ და უშვილო უფროსებთან დასახლდებოდნენ.

- თუ ისურვებ, შენც შეგეძლება მოითხოვო მეუღლე, ჯონას. თუმცა, გაფრთხილებ, რომ ეს რთული იქნება. შენი ცხოვრება მრავალი ოჯახური ერთეულისგან განსხვავებულად წარიმართება, რადგან მოქალაქეებს წიგნების კითხვა ეკრძალებათ. მხოლოდ მე და შენ მიგვიწვდება წიგნებზე ხელი.

ჯონასმა თვალი მოავლო წიგნების გამაოგნებელ რაოდენობას. ახლა, დროდადრო, მათ ფერებსაც არჩევდა. მაგრამ რადგან მისი და გამღების ერთად ყოფნის საათები ლაპარაკსა და ხსოვნების გადმოცემაში გადიოდა, ჯონასს ჯერ ერთი წიგნიც კი არ გადაეფურცლა. თუმცა, აქა-იქ სათაურებს კითხულობდა. იცოდა, რომ ეს ტომეულები საუკუნეთა ცოდნას იტევდა და ერთხელაც მის ხელში მოხვდებოდა.

- მაშ, თუ მეუღლე მეყოლება და, შესაძლოა, შვილებიც, ამ წიგნების დამალვა მომიწევს?

გამღებმა თავი დაუქნია:

- მე არ მქონდა ჩემი მეუღლისთვის წიგნების ჩვენების უფლება. არსებობს სხვა სირთულეებიც. ის წესი გახსოვს, რომლის მიხედვით, ახალმა გამღებმა თავის წვრთნაზე არ უნდა ილაპარაკოს?

ჯონასს ახსოვდა, რაღა თქმა უნდა. ეს უთუოდ ყველაზე გულდასაწყვეტი წესი იყო მათ შორის, რომელთა მორჩილებაც მართებდა.

- როცა ჩვენს საქმეს დავამთავრებთ და ახალი მიმღები გახდები, შენ გადმოგეცემა წესების ახალი კრებული. მე სწორედ ამ წესებს ვემორჩილები. ჰოდა, აღარ გაგიკვირდება, რომ ყველასთან მეკრძალება საუბარი ჩემს სამუშაოზე, ახალი მიმღების გარდა. ეს კი, რასაკვირველია, შენ ხარ. შენი ცხოვრების უდიდეს ნაწილს შენს

ოჯახს ვერ გაუმხელ. ეს ძნელია, ჯონას. ჩემთვის ძნელი იყო. ხომ გესმის, რომ ხსოვნებია ჩემი ცხოვრება?

ჯონასი დაეთანხმა, თუმცა, კვლავ საგონებელში ჩავარდა. ნუთუ ცხოვრება არ იყო ის, რასაც ყოველდღე აკეთებდა?

- თქვენ ხანდახან სეირნობთ ხოლმე, - უთხრა ჯონასმა.

- ვსეირნობ, - ამოიოხრა გამღებმა, ვჭამ, როცა ჭამის დროა. და როცა უხუცესთა კომიტეტი მეძახის, მათ წინაშეც ვცხადდები, რომ რამე ვურჩიო.

- ხშირად ურჩევთ ხოლმე რამეს? - ჯონასი შეაშფოთა აზრმა, რომ ოდესმე თვითონაც მოუწევდა მათ წინაშე წარდგომა.

მაგრამ გამღებმა თავი გააქნია:

- იშვიათად. მხოლოდ მაშინ, როცა ისეთ რამეზე მსჯელობენ, რაც უწინ არასოდეს გამოუცდიათ. ასეთ დროს მთხოვენ, გამოვიყენო ჩემი ხსოვნები და ვურჩიო რამე. თუმცა, ეს ძალზე იშვიათად ხდება. ზოგჯერ მინდება, უფრო ხშირად მიხმობდნენ, იმდენი რამის გაზიარება შემიძლია. მაგრამ მათ არ სურთ ცვლილება. აქ ხომ ცხოვრება ასეთი მოწესრიგებულია, დაგეგმილი, უტკივილო. მათ ეს აირჩიეს.

- მაშინ რაღაში სჭირდებათ მიმღები? - იკითხა ჯონასმა.

- მათ ვჭირდებით მეც და შენც, - უპასუხა გამღებმა, თუმცა, არაფერი აუხსნია, - მათ ეს ათი წლის წინ შეახსენეს.

- რა მოხდა ათი წლის წინ? - ჰკითხა ჯონასმა, - ოჰ, ვიცი: თქვენ სცადეთ მემკვიდრის გაწვრთნა, მაგრამ წარუმატებლად. რატომ? რატომ შეახსენეს მათ ეს?

გამღებმა სევდიანად გაიღიმა:

- როცა ახალმა მიმღებმა არ გაამართლა, მისი მიღებული ხსოვნებიც გავათავისუფლეთ. ეს ხსოვნები ჩემთან აღარ დაბრუნებულა. ისინი... - გამღები შეყოვნდა, თითქოს ამ აზრს ებრძოდა.

- ზუსტად არ ვიცი. ეს ხსოვნები წავიდნენ იქ, სადაც არსებობდნენ უწინ, ჯერ კიდევ მიმღებთა შექმნამდე, სადღაც იქ... -

გაურკვევლად მიუთითა ხელით, - და ისინი ადამიანებისთვის ხელმისაწვდომი გახდა. ოდესღაც ეს ნამდვილად ასე იყო. ხსოვნებზე ყველას მიუწვდებოდა ხელი. ქაოსი შეიქმნა. ადამიანები ერთხანს იტანჯებოდნენ. ბოლოს, ხსოვნების ასიმილირების შემდეგ, ყველაფერი ჩაწყნარდა. მაგრამ ამან გამოავლინა, რაოდენ სჭირდებოდათ ადამიანებს მიმღები, რომელიც მთელ იმ ტკივილს და ცოდნას იტვირთავდა.

- მაგრამ თქვენ ხომ სულ ასე უნდა იტანჯოთ! - შესძახა ჯონასმა.

გამღებმა თავი დააქნია:

- და შენც. ეს ჩემი ცხოვრებაა. და შენიც გახდება.

ჯონასი დაფიქრდა, რა მოელოდა მომავალში.

- სიარულთან, ჭამასთან და... - ჯონასმა კედლებთან ჩამწკრივებული წიგნები მოათვალიერა - კითხვასთან ერთად, არა?

გამღებმა თავი გააქნია:

- ეს არის ის, რასაც მე ვაკეთებ. ჩემი ცხოვრება აქ არის.

- ამ ოთახში?

გამღებმა ისევ გააქნია თავი, არაო, და ხელი შუბლსა და მკერდზე მიიდო:

- ჩემს არსებაში, სადაც არის ხსოვნები.

- მეცნიერებისა და ტექნოლოგიის ინსტრუქტორებმა გვასწავლეს, როგორ მუშაობს ტვინი, - მგზნებარედ უთხრა ჯონასმა, - ტვინი სავსეა ელექტრული იმპულსებით. კომპიუტერს ჰგავს. ტვინის ერთი ნაწილის ელექტროდით სტიმულირებისას ის... - ჯონასი გაჩუმდა, რადგან გამღების სახეზე უცნაური გამომეტყველება შენიშნა.

- მაგათ არაფერი იციან, - მწარედ წარმოთქვა მოხუცმა.

ჯონასი გაოგნდა. ფლიგელში მოსვლის პირველივე დღიდან მათ ერთად დაარღვიეს უხეშობის საწინააღმდეგო წესები, რის

გამოც ჯონასი ახლა თავს მოხერხებულად გრძნობდა. მაგრამ ეს საშინელი ბრალდება უხეშობაზე მეტი იყო. ვინმეს ყურამდე რომ მისულიყო, მერე?

თავზარდაცემულმა ჯონასმა სწრაფად გახედა კედელზე დაკიდებულ სპიკერს - ხომ შეიძლებოდა, რომ კომიტეტი მათ უსმენდა. მაგრამ როგორც ყოველთვის, მათი ერთობლივი მეცადინეობების დროს, ღილაკი ახლაც გამორთული იყო.

- არაფერი იციან? - ჩაიჩურჩულა ნერვიულად, - მაგრამ ჩემი ინსტრუქტორები...

გამღებმა ისე გააქნია ხელი, თითქოს რაღაც გადაფერთხაო.

- თქვენი ინსტრუქტორები კარგად არიან გაწვრთნილები. იციან მეცნიერული ფაქტები. ყველა კარგად არის გაწვრთნილი თავის საქმეში. ეგ არის მხოლოდ, რომ ხსოვნების გარეშე ყველაფერს აზრი ეკარგება. ეს ტვირთი მე დამაკისრეს. წინა მიმღებსაც. და იმის წინასაც.

- და იმის წინასაც, და იმას, ვინც იყო უწინ, და უწინ, და უწინ... - ჯონასმა იცოდა, რა სიტყვები მეორდებოდა ხოლმე ამ დროს.

გამღებმა გაიღიმა, თუმცაღა უცნაურად, უგულოდ.

- ეგრეა. მომდევნო შენ ხარ. ეს დიდი პატივია.

- დიახ, სერ. ეგ ცერემონიაზე მითხრეს. უმაღლესი პატივია.

***

ზოგჯერ ნაშუადღევს მოხუცი ჯონასს უწვრთნელად ისტუმრებდა შინ. იმ დღეებში, როცა გამღები დახვდებოდა წელში მოხრილი, ოდნავ წინ და უკან მოქანავე და ფერმკრთალი, ჯონასმა იცოდა, რომ უწვრთნელად გაუშვებდნენ.

- წადი, - ეუბნებოდა გამღები დაძაბულად, - დღეს უქეიფოდ ვარ. ხვალ მოდი.

ასეთ დღეებში აწრიალებულ-გულაცრუებული ჯონასი მარტო დასეირნობდა მდინარის პირას. ბილიკებზე არავინ იყო, მხოლოდ კანტიკუნტად გამოჩნდებოდნენ დამტარებელი გუნდები და ლანდშაფტის მუშები. ყველა პატარა ბავშვი სკოლის შემდეგ ბავშვზრუნვის ცენტრში ხვდებოდა, უფრო დიდები კი დროს მოხალისურ საათებს ან წვრთნას ანდომებდნენ.

ჯონასი კი თავის ხსოვნას ცდიდა: აკვირდებოდა ლანდშაფტს, რათა შეენიშნა წამიერად გამომკრთალი, ბუჩქებში ჩაწნული სიმწვანე. და როცა ეს სიმწვანე მის ცნობიერებაში გაიელვებდა, ჯონასი კონცენტრირებას ახდენდა, ფერს ინარჩუნებდა, ამუქებდა, შეძლებისამებრ დიდხანს აჩერებდა ცნობიერებაში, სანამ თავი ასტკივდებოდა, მერე კი ანებებდა, გაფერმკრთალებულიყო და გამქრალიყო.

მიაჩერდებოდა უფერო, უღიმღამო ცას, იქიდან სილურჯე გამოჰყავდა და იხსენებდა მზის ნათელს, სანამ, ბოლოს და ბოლოს, სულ ერთი წამით, სითბოს იგრძნობდა.

იმ ხიდის ძირში იდგა, რომელიც მდინარეზე გადადიოდა და რომელზე გადასვლის უფლებაც მოქალაქეებს მხოლოდ ოფიციალური საქმეების მოსაგვარებლად ჰქონდათ. ჯონასი ამ ხიდზე სასკოლო ექსკურსიების დროს გადადიოდა იქაური თემების მოსანახულებლად, და იცოდა, რომ იქითა ქვეყანაც ასეთივე იყო - ბრტყელი და კარგად მოწყობილი. ერთადერთი განსხვავება ოდნავ სხვანაირი სტილის საბინადროები იყო და ოდნავ სხვანაირი სასკოლო განრიგები.

აინტერესებდა, რა იყო შორეულ ადგილებში, სადაც არასოდეს ყოფილა. ქვეყნიერება ხომ არ მთავრდებოდა მეზობელი თემების იქით! ბორცვები თუ იყო იქ, სხვაგან? ან ის ვრცელი, ქარით გადასხეპილი სანახები, მას რომ ენახა ხსოვნაში, ადგილი, სადაც სპილო მოკვდა?

***

- გამღებო, - ჰკითხა ერთ ნაშუადღევს, ერთ-ერთი ისეთი დღის შემდეგ, როცა მოხუცმა ჯონასი უწვრთნელად გააბრუნა, - რა გაყენებთ ტკივილს?

რაკი მან დუმილით უპასუხა, ჯონასმა განაგრძო:

- ხსოვნის მიღება ძალიან მტკივნეულიაო, მთავარმა უხუცესმა მითხრა. თქვენ კი მითხარით, რომ უკანასკნელი ახალი მიმღების მარცხმა გამოათავისუფლა მტკივნეული ხსოვნები და გაუშვა თემში. მაგრამ მე არ დავტანჯულვარ, მიმღებო, - გაიღიმა ჯონასმა, - არა, მახსოვს, ნამზეური რომ მომივლინეთ პირველ დღეს. მაგრამ ეს არც ისეთი საშინელება იყო. თქვენ ასე რა გტანჯავთ? ცოტას თუ მიწილადებთ, იქნებ ტკივილი შეგიმსუბუქდეთ?

გამღებმა თავი დაუქნია.

- დაწექი. ვფიქრობ, უკვე დროა. სამუდამოდ ვერ აგეფარები. საბოლოოდ ხომ ყველაფერი შენ უნდა იტვირთო.

- მოვიფიქრებ, - განაგრძო, როცა ჯონასი დაწვა და ცოტა არ იყოს, შიშნეულად დაელოდა, რა მოხდებოდა.

- კარგი, - თქვა ცოტა ხნის შემდეგ, - გადავწყვიტე, ნაცნობი რამით დავიწყოთ. კიდევ ერთხელ ავიდეთ ბორცვზე, საიდანაც ციგით დაეშვი.

და მისი ხელები კვლავ ჯონასის ზურგზე დაეშვა.

14

ეს ხსოვნა, ძირითადად, იგივე იყო. თუმცა, ბორცვი განსხვავდებოდა: უფრო დამრეცი აღმოჩნდა და არც თოვლი ბარდნიდა მაშინდელივით.

ამასთანავე, ჯონასის აღქმით, უფრო ციოდა. ბორცვის თხემზე იჯდა და ხედავდა, რომ თოვლის ფენა ციგის ქვეშ არც

ისეთი სქელი და არც ისეთი რბილი იყო, როგორიც მაშინ, ახლა მკვრივი და მოლურჯო ყინული გადაჰკვროდა.

ციგა დაიძრა და ჯონასიც სიხარულისგან გაიბადრა სუნთქვის შემკვრელი დასრიალების მოლოდინში.

მაგრამ ამჯერად ციგის კავები ისე ვერ ჭრიდა გაყინულ ზედაპირს, როგორც თოვლით დაფარულ ფერდობს, ციგაც განზე იწევდა და სისწრაფეს უმატებდა. ჯონასმა თოკი მოქაჩა, მაგრამ დაქანებამ და სისწრაფემ თავისი გაიტანა. ის ციგას ვეღარ იმორჩილებდა, თავაწყვეტილი მიქროდა გაყინულ ფერდობზე და თავისუფლებით მოგვრილი სიხარულის ნაცვლად უსაზღვრო შიშს შეეპყრო.

ირიბად მქროლავი ციგა ბორცვის შვერილს მიენარცხა. ჯონასს თოკი ხელიდან გაეშვა და ჰაერში ავარდა. დაცემისას მოხრილი ფეხი სხეულის ქვეშ მოჰყვა და იმწამსვე ძვლის გატკაცუნებაც მოესმა. სახით გაცურდა ყინულის ხორკლიან ზედაპირზე და შეშინებული და დარეტიანებული კარგა ხანს უძრავად იწვა.

მერე კი ტკივილის პირველი ტალღა მოაწყდა. სუნთქვა შეეკრა, თითქოს ფეხში ნაჯახი ჩარჭობოდა და მის ბასრ პირს ყველა ნერვი გადაეჭრა. ტკივილით გათანგულ ჯონასს გონებაში სიტყვა „ცეცხლი“ ამოუტივტივდა და გაგლეჯილ ხორცზე მისი ენების მოლამუნება იგრძნო. განძრევა სცა და, მაგრამ ვერ შეძლო. ტკივილი იმატებდა.

ჯონასმა დაიყვირა. არავინ უპასუხა.

აქვითინებულმა თავი მოაბრუნა და გაყინულ თოვლზე არწყია. გადაყვლეფილი სახიდან გამომდინარი სისხლი ნარწყევში წვეთავდა.

- არაااااااა! - დაიყვირა ჯონასმა და ეს ბგერაც ქარსა და სიცარიელეში გაიფანტა.

შემდეგ, უეცრად,ისევ ფლიგელის ოთახში აღმოჩნდა. ცრემლებით დალტობილი სახით საწოლზე იწვა და იგრიხებოდა.

ახლა მოძრაობა უკვე შეეძლო. სხეული შეარხია, თან ღრმად ამოისუნთქა და ტკივილის განდევნა სცადა.

წამოჯდა და ფეხზე დაიხედა. ფეხი მთელი და უვნებელი ჰქონდა. უმოწყალო ჭრის განცდა გამქრალიყო, მაგრამ ფეხი მაინც ძალიან სტკიოდა და სახეზეც თითქოს კანი ასძრობოდა.

- შეიძლება ტკივილგამაყუჩებელი დავლიო? - ვედრება გაისმა ჯონასის ხმაში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჭრილობის, დაჟეჟილი თითის, ატკივებული მუცლის, ველოსიპედიდან ჩამოვარდნისას გადაყვლეფილი მუხლისთვის არსებობდა ტკივილგამაყუჩებელი აბი, მალამო, ან განსაკუთრებით მძიმე შემთხვევებში ნემსი, რომელთაც მაშინვე მოჰყვებოდა შვება.

მაგრამ გამღებმა უპასუხა, არაო, და განზე გაიხედა.

ჯონასი კოჭლობა-კოჭლობით დაბრუნდა შინ და ველოსიპედი, ხელით მიიყვანა. ამასთან შედარებით, ნამზეურის ტკივილი უმნიშვნელო იყო და არც გამოჰყოლია, ეს ტკივილი კი დარჩა, თუმცა, ისეთი აუტანელი აღარ იყო, როგორსაც ბორცვზე გრძნობდა. გაახსენდა, როგორ უთხრა მთავარმა უხუცესმა, მამაცი ბიჭი ხარო.

- რამე მოხდა, ჯონას? - ჰკითხა მამამ ვახშმის დროს, - ხმას არ იღებ. ცუდად ხომ არ ხარ? წამალი ხომ არ გინდა?

მაგრამ ჯონასს ახსოვდა წესი: არავითარი მედიკამენტი წვრთნისას განცდილი ტკივილის გასაყუჩებლად.

და არც რამის მოყოლა შეიძლებოდა. გრძნობების გაზიარების დროს ჯონასმა უბრალოდ თქვა, დაღლილი ვარ, დღეს სკოლაში უჩვეულოდ ბევრი მოგვთხოვესო.

საძინებელში ადრიანად გავიდა. დაკეტილი კარიდან ესმოდა მშობლებისა და ლილის სიცილი, გეიბრიელს რომ აბანავებდნენ ძილის წინ.

„მათ არასოდეს განუცდიათ ტკივილი,“ - გაიფიქრა ჯონასმა. ამის გაცნობიერებამ თავი უსასოოდ და ეულად აგრძნობინა. ფეხი ისევ ყრუდ უფეთქავდა. რამდენჯერმე გაიზილა, მერე,

როგორც იქნა, ჩაეძინა. სიზმარში ისევ სტკიოდა ფეხი და ისევ მარტო იყო უკაცრიელ ბორცვზე.

***

ყოველდღიური წვრთნა გრძელდებოდა და ამჯერად უკვე ყოველთვის ახლდა ტკივილი. ფეხის მოტეხით მოგვრილი ტანჯვა სახსენებელიც აღარ იყო იმასთან შედარებით, რაც გამღებმა თანდათან და მიზანმიმართულად აგრძნობინა. ყოველ ჯერზე კეთილმოსურნე გამღები წვრთნას ამთავრებდა სასიამოვნო ფერადი ხსოვნით: ლურჯ-მწვანე ტბაზე ნავით გასეირნებით, ყვითელი სარეველებით მოჩითულ მდელოზე სირბილით ან ნარინჯისფერი დაისით მთების გადაღმა.

მაგრამ ეს საკმარისი არ იყო ტკივილის გასაყუჩებლად, რომლის შეცნობას ჯონასი ახლა იწყებდა.

- რატომ? - ჰკითხა ერთხელ გამღებს მას შემდეგ, რაც ყველასგან უარყოფილსა და მშიერს ცარიელ, გაბერილ მუცელში შიმშილმა სპაზმებმად დაუარა. - რატომ უნდა შევინარჩუნოთ ეს ხსოვნები? - ჯონასი საწოლზე იწვა და მუცლის გვრემას ვერ უმკლავდებოდა.

- ეს სიბრძნეს გვმატებს, - მიუგო გამღებმა, - სიბრძნის გარეშე მე ვერ შევასრულებდი ჩემს ფუნქციას ვერაფერს ვურჩევდი უხუცესთა კომიტეტს, როდესაც მიხმობდნენ.

- მაგრამ რა სიბრძნეს გვასწავლის შიმშილი? - ამოიკვნესა ჯონასმა. ხსოვნა დასრულებული იყო, მუცელი კი ისევ უყმუოდა.

- წლების წინ, - უთხრა გამღებმა, - შენს დაბადებამდე, ბევრი მოქალაქე მიმართავდა უხუცესთა კომიტეტს შობადობის გაზრდის თხოვნით. უნდოდათ, თითოეულ მშობელდედას ნაცვლად სამისა, ოთხის დაბადების უფლება მისცემოდა. ამით მოსახლეობის რაოდენობა გაიზრდებოდა და მეტი მუშახელი გაჩნდებოდა.

- ეს ლოგიკურია, - თავი დაუქნია ჯონასმა.

- იდეის არსი ის იყო,რომ ზოგიერთ ოჯახურ ერთეულს კიდევ ერთ ბავშვზე ზრუნვა შეეძლო.

ჯონასი ისევ დაეთანხმა:

- ჩვენც შეგვეძლო. წელს გეიბრიელი გვყავს და კარგია მესამე ბავშვის ყოლა.

- უხუცესთა კომიტეტს ჩემი რჩევა დასჭირდა, - თქვა გამღებმა, - ეს მათაც ლოგიკური მოეჩვენათ, თუმცა, რადგან იდეა ახალი იყო, რჩევისთვის მე მომაკითხეს.

- თქვენ კი ხსოვნები გამოიყენეთ?

- ჰო. და უძლიერესი ხსოვნა იყო შიმშილი. ის საუკუნეთა მიღმიდან გამოვიხმე. მაშინ, დიდი ხნის წინ, მოსახლეობა ისე გამრავლდა, რომ ყველგან ილაჯგამწყვეტი შიმშილი გამეფდა. ამას კი ომი მოჰყვა.

ომი? ჯონასს პირველად ესმოდა ეს სიტყვა, შიმშილს კი უკვე იცნობდა. მან ანგარიშმიუცემლად მოისვა მუცელზე ხელი და შიმშილით მოგვრილი ტკივილი გაიხსენა.

- და აღუწერეთ?

- მათ ტკივილის გაგონებაც არ უნდათ. მხოლოდ რჩევას ითხოვენ. მეც, გავაფრთხილე, რომ მოსახლეობის რაოდენობის გაზრდა არ ივარგებდა.

- მაგრამ თქვენ მითხარით, რომ ეს ჩემს დაბადებამდე იყო. ესე იგი, ისინი თითქმის არასდროს გაკითხავენ რჩევისთვის. მხოლოდ მაშინ, როდესაც... როგორ თქვით მაშინ? როდესაც ისეთი პრობლემა წამოიჭრება, რომლის წინაშეც მანამდე არასოდეს დამდგარან. ეს ბოლოს როდის მოხდა?

- გახსოვს ის დღე, როცა თემს თვითმფრინავმა გადაუფრინა?

- ჰო, შემეშინდა.

- იმათაც შეეშინდათ და ჩამოსაგდებად მოემზადნენ. თუმცა, ჩემი რჩევა დასჭირდათ. მე ვურჩიე, დაეცადათ.

- მაგრამ საიდან იცოდით? როგორ შეიტყვეთ, რომ პილოტს გზა აებნა?

- არ ვიცოდი, მხოლოდ ჩემი სიბრძნე გამოვიყენე. ვიცოდი, რომ წარსულში იყო საშინელი პერიოდები, როდესაც შიშით ატანილმა ადამიანებმა დაუფიქრებლად გაანადგურეს სხვები და ამით საკუთარ განადგურებას ჩაუყარეს საფუძველი. ჯონასი რაღაცას მიხვდა.

- ანუ, - წარმოთქვა ფრთხილად, - თქვენ განადგურების ხსოვნაც გაქვთ.

გამღებმა კვერი დაუკრა.

- ეგ მტკივნეული იქნება, - თქვა ჯონასმა. ეს არ იყო შეკითხვა.

- ძალიან მტკივნეული, - დაეთანხმა გამღები.

- მაგრამ რატომ არ შეიძლება, რომ ყველას ჰქონდეს ხსოვნები? ვფიქრობ, ყველაფერი გაიოლდება, თუ ადამიანები ხსოვნებს გაინაწილებენ. ამდენის ზიდვა მე და თქვენ აღარ მოგვიწევდა.

გამღებმა ამოიოხრა:

- მართალი ხარ. მაგრამ მაშინ ყველას მოუწევდა სიმძიმის და ტკივილის ზიდვა, ეს კი არ სურთ. აი, ნამდვილი მიზეზი, რის გამოც ასე სჭირდებათ გამღები და ასეთ პატივსაც მიაგებენ. მათ ამირჩიეს, შენც აგირჩიეს, რათა ეს ტვირთი თვითონ ჩამოიხსნან.

- ეს როდის გადაწყვიტეს? განრისხდა ბიჭი. - დიდი ვერაფერიშვილი საქციელია. მოდი, შევცვალოთ.

- მაინც როგორ? მე ვერასდროს ვერაფერი მოვიფიქრე, არადა, თითქოს ყველაზე ბრძენი ვარ.

- მაგრამ ახლა ხომ ორნი ვართ, - თქვა ჯონასმა მგზნებარედ, - ერთობლივად რამეს მოვიფიქრებდით. გამღებმა ღიმილით შეხედა.

- რატომ არ შეიძლება, წესების შეცვლა მოვითხოვოთ? - ჰკითხა ჯონასმა.

გამღებმა გულიანად გაიცინა. მის შემხედვარე ჯონასსაც უხალისოდ ჩაეცინა.

- ეს შენამდე და ჩემამდე დიდი ხნით ადრე გადაწყდა, - უთხრა გამღებმა, - წინა მიმღებზე ადრეც და...

- უწინ და უწინ და უწინ, - გაიმეორა ჯონასმა ნაცნობი ფრაზა, რომელიც ზოგჯერ სახუმარო ეგონა, ზოგჯერ - აზრიანი და მნიშვნელოვანი.

ახლა კი ავის მომასწავებელი ეჩვენა. იცოდა: ეს ნიშნავდა, რომ ვერაფერი შეიცვლებოდა.

***

ახალბავშვი გეიბრიელი იზრდებოდა. წარმატებით გაიარა სიმწიფის ტესტირება, ყოველთვიურად რომ უტარებდნენ აღმზრდელები. მას უკვე შეეძლო, თვითონ დამჯდარიყო, ხელი გაეწვდინა და პატარა სათამაშოები ჩაებღუჯა. ექვსი კბილი ჰქონდა. დღის საათებში, მამას თქმით, გეიბრიელი ხალისიანი იყო და გონებაც ნორმალური უჩანდა. თუმცა, ღამით მაინც მოუსვენრად ეძინა, ხშირად სლუკუნებდა, წამდაუწუმ ყურადღებას ითხოვდა.

- ამ დამატებითი დროის შემდეგ მას უკან მივუყვან, - თქვა მამამ ერთ საღამოს, როცა ახლად ნაბანავები გეიბრიელი ჰიპოპოტამს მიხუტებული მშვიდად იწვა რიკულებიან საწოლში. კალათაში ვეღარ ეტეოდა და ახლა საწოლში აძინებდნენ, - იმედი მაქვს, არ გაუშვებენ.

- იქნებ გაშვება საუკეთესო გამოსავალიც იყოს, - თქვა დედამ, - ვიცი, შენთვის არაფერია ღამღამობით ადგომა და გეიბრიელის მიხედვა, ჩემზე კი უძილობა ძალიან მოქმედებს.

- თუკი გეიბრიელს გაუშვებენ, სხვა ახალბავშვს მოვიყვანთ? - იკითხა ლილიმ, რომელიც ბავშვის საწოლთან ჩაცუცქულიყო და ეჭყანებოდა, პატარა კი გულიანად უღიმოდა.

დედამ შეშფოთებით შეხედა.

- არა, - თქვა მამამ ღიმილით და ლილის თმა აუჩეჩა, - ძალიან იშვიათია, რომ ახალბავშვის სტატუსი გეიბრიელის სტატუსივით გაურკვეველი იყოს. ეს, ალბათ, კარგა ხანს აღარ მოხდება. ასეა თუ ისე, - ნათქვამს ოხვრა ამოაყოლა, - ერთხანს არაფერს გადაწყვეტენ. ახლა ყველანი მოახლოებული გაშვებისთვის ვემზადებით. ერთი მშობელდედა ერთ თვეში ტყუპს ელოდება.

- ოჰ, ძვირფასო, - თქვა დედამ თავის ქნევით, - იმედი მაქვს, შენ არ ხარ დანიშნული...

- სწორედ მე ვარ. მომდევნო ვარ სიაში. მე უნდა გადავწყვიტო, რომელი აღზარდონ და რომელი - გაუშვან. თუმცა, ეს ძნელი არ არის. ჩვეულებრივ, ამას ჩვილის წონა განსაზღვრავს: ორიდან უფრო მსუბუქს ვუშვებთ.

ჯონასი უსმენდა. უცებ თვალწინ დაუდგა ხიდი და გაახსენდა, იქ დგომისას როგორ აინტერესებდა, რა ხდებოდა სხვაგან? იყო თუ არა იქ ვიღაც, ვინც ჩაიბარებდა პაწაწინა გაშვებულ ტყუპისცალს? და ის სხვაგან ისე გაიზრდებოდა, ვერასდროს გაიგებდა, რომ ამ თემში ზუსტად მისნაირი არსება ცხოვრობდა?

ერთი წამით იმედის ნაპერწკალი გაუჩნდა, თუმცა, იცოდა, რომ ეს დიდი სიბრიყვე იყო: რა მოხდებოდა, ტყუპისცალი ლარისას რომ ჩაებარებინა იმ მოხუც ქალს, ჯონასი რომ აბანავებდა ხოლმე. გაახსენდა მისი ნათელი თვალები, მშვიდი ხმა, უხმო ჩაცინება. ფიონამ უთხრა ამას წინათ, ლარისას გამოსამშვიდობებელი ცერემონია საოცარი იყოო.

მაგრამ ჯონასმა იცოდა, რომ მოხუცებს ბავშვებს არ აძლევდნენ აღსაზრდელად. ლარისას ცხოვრება სხვაგან იქნებოდა მშვიდი და უშფოთველი, როგორიც მოხუცს შეჰფერის. ის ვერ იტვირთავდა ახალბავშვის აღზრდასთან დაკავშირებულ

პასუხისმგებლობას: კვებას, მოვლას და, ალბათ, ვერც ღამით ატირებისას დააშოშმინებდა.

- დედა! მამა! - ჯონასმა მოულოდნელად მოსული აზრის გაცხადება მოინდომა, - რა მოხდება, გეიბრიელის საწოლი ღამით ჩემს ოთახში რომ დავდგათ? მე ვიცი, როგორ ვაჭამო და როგორ დავამშვიდო. თქვენ კი მშვიდად იძინებთ.

მამამ იჭვნეულად გამოხედა:

- შენ ძალიან ღრმად გძინავს, ჯონას. მისმა მოუსვენრობამ რომ ვერ გაგაღვიძოს?

ამაზე ლილიმ უპასუხა:

- თუ გეიბრიელს მიმხედავი არ გამოუჩნდა, ისე ხმამაღლა ყვირის, თუ ჯონასს ჩაეძინა, ყველას გაგვაღვიძებს.

მამამ გაიცინა:

- მართალი ხარ, ლილი-ბილი. კეთილი, ჯონას, ვცადოთ. მხოლოდ ერთ ღამეს. მე და დედა კი გამოვიძინებთ.

***

გეიბრიელს თავიდან უშფოთველად ეძინა. ჯონასი თავის საწოლში იწვა და ერთხანს ფხიზლობდა. დროდადრო ცალ იდაყვზე წამოიწევდა და რიკულებიან საწოლს გახედავდა. ახალბავშვი მუცელზე იწვა, მკლავები გაეშალა, თვალები დახუჭული ჰქონდა, სუნთქვა - თანაბარი და უშფოთველი. ბოლოს, ჯონასსაც ჩაეძინა.

შუაღამისას გეიბი აწრიალდა და ჯონასსაც გაეღვიძა. ახალბავშვი საბნის ქვეშ ტრიალებდა, მკლავებს იქნევდა და სლუკუნებდა.

ჯონასი წამოდგა, მიუახლოვდა და გეიბრიელს ზურგზე ნაზად მოუთათუნა ხელი. ზოგჯერ ესეც საკმარისი იყო მის დასაშოშმინებლად და კვლავ ჩასაძინებლად, მაგრამ ამჯერად ახალბავშვი ისევ ჭირვეულად იკლაკნებოდა. ჯონასი მაინც რიტმულად უსვამდა ხელს, თან ცურვის გახსენება დაიწყო, გამღებმა რომ მოუვლინა არცთუ დიდი ხნის წინ: ნათელი დღე ფირუზისფერ ტბაზე,

თავზემოთ - თეთრი აფრა, გრილ ნიავში ნავთან ერთად რომ მიირწეოდა.

არ იცოდა, რომ ხსოვნას გასცემდა, მაგრამ უეცრად გააცნობიერა, რომ ის უფრო და უფრო ბუნდოვანი ხდებოდა და მისი ხელიდან ახალბავშვის არსებაში გადადიოდა. გეიბრიელი ჩაწყნარდა, თავზარდაცემულმა ჯონასმა კი, ნების დიდი დაძაბვით, ხსოვნის ნარჩენი უკან გამოსტაცა. პატარის ზურგს ხელი მოაშორა და ბავშვის საწოლთან გაირინდა.

თავისთვის, ისევ გამოუხმო ცურვას. ეს ისევ იქ იყო, თუმცა, ცა ისეთი ლურჯი აღარ ჩანდა, ნავიც უფრო ნელა მისრიალებდა, ტბის წყალიც უფრო მრუმე და დაბინდული გამხდარიყო. ცოტა ხანს კიდევ შეინარჩუნა ეს ხსოვნა, თან თავს იმშვიდებდა, არაფერი მომხდარაო. მერე საბოლოოდ გაუშვა და თავის საწოლს მიაშურა.

გათენების წინ ახალბავშვმა კიდევ ერთხელ გაიღვიძა და წამოიყვირა. ჯონასიც ისევ მივიდა. ამჯერად შეგნებულად დაადო ზურგზე ხელი და ტბაზე გატარებული მშვიდი დღის დარჩენილი ხსოვნა გადასცა. გეიბრიელს ისევ ჩაეძინა.

ჯონასს კი აღარ დაუძინია. იწვა და ფიქრობდა. თვითონ იმ ხსოვნის ერთი ნაგლეჯიღა შერჩენოდა და უკმარისობას გრძნობდა. იცოდა, რომ შეეძლო გამღებისთვის კიდევ ერთი ცურვა ეთხოვა, ამჯერად ოკეანეზეც, მან უკვე იცოდა, რა იყო ოკეანე და რომ მომავალში აფრიანი გემების ხსოვნასაც მიიღებდა.

თუმცა, არ იცოდა, უნდა გაემხილა თუ არა გამღებისთვის, რომ ხსოვნა სხვას გადასცა. თვითონ ხომ ჯერ არ ჩამოყალიბებულიყო გამღებად და არც გეიბრიელი არ მოენიშნათ, როგორც მიმღები.

ამ ნიჭის აღმოჩენამ შეაშინა და გადაწყვიტა, არაფერი ეთქვა.

15

ჯონასი ფლიგელის ოთახში შესვლისთანავე მიხვდა, რომ დღეს უკან გააბრუნებდნენ. გამღები გაუნძრევლად იჯდა თავის სავარძელში და სახე ხელებში ჩაერგო.

- ხვალ მოვალ, სერ, - უთხრა ჯონასმა სწრაფად, მერე შეყოყმანდა: - დახმარება ხომ არ გინდათ?

გამღებმა თავი აიღო და გატანჯული სახით შეხედა:

- ცოტა ტკივილი მომაცილე, თუ შეიძლება, - უთხრა სუნთქვაშეკრულმა.

ჯონასმა ხელი შეაშველა და თავის სკამზე გადმოსვა, საწოლის კიდესთან. მერე ტუნიკა გაიძრო და პირქვე დაწვა.

- ხელები დამაწყვეთ, - თვითონ იტვირთა სეანსის გაძღოლა. იცოდა, რომ ასეთი ტკივილებით გატანჯულ გამღებს, შესაძლოა, შეხსენება დასჭირვებოდა.

ხელები მის ზურგზე დაეშვა და თანდათან ტკივილიც მოვიდა. ჯონასმა ძალა მოიკრიბა და შეაღწია ხსოვნაში, რომელიც ასე ტანჯავდა გამღებს.

სადღაც იყო, ხმაურიან, უცნობ ადგილას. ირგვლივ ყველაფერი ყარდა. ახალგათენებულზე ჰაერი მოყვითალო-მოყავისფრო კვამლს შეესქელებინა. აქაურობა ვრცელ მინდორს ჰგავდა. გარშემო, ყველგან, მკვნესარე ადამიანები ეყარნენ. სხეულებს შორის შეშლილთვალებიანი ცხენი დარბოდა, გაწყვეტილი აღვირი დასთრევდა, თავს აქნევდა და ფრთხვინავდა. მერე წაიფორხილა, დაეცა და აღარც ამდგარა.

- წყალი! - მოესმა ჯონასს უილაჯო ხავილი. თავი მოაბრუნა და მასზე არცთუ უფროსი ბიჭი დაინახა. თვალები ნახევრად დაეხუჭა. სახე და აჩეჩილი თმა ტალახში ამოგანგლოდა. გაშხლართული იწვა, რუხი უნიფორმა სისხლით უპრიალებდა.

გამაოგნებლად მკვეთრად ხედავდა ხოცვა-ჟლეტის სცენის ფერებს: წითელი სისველე უხეშ ქსოვილზე, ამოგლეჯილი ხასხასა მწვანე ბალახის ბღუჯები ბიჭის ყვითელ თმაში.

ის ჯონასს მიაშტერდა და ისევ შეევედრა:

- წყალი! - დალაპარაკებისთანავე მკერდსა და სახელოზე უხეში ქსოვილი სისხლის ახალმა ნაკადმა გაჟღინთა,

ჯონასს ერთი მკლავი ტკივილისგან გაშეშებოდა. თავის გაფხრეწილ სახელოში დაინახა რაღაც, დაფლეთილი ხორცისა და გაბზარული ძვლის მსგავსი. მეორე ხელის ამოძრავება სცადა. გამოუვიდა. ფრთხილად მოაფათურა, მათარა იპოვა და საცობი მოხსნა. დროდადრო ჩერდებოდა, რათა მოძალებული ტკივილი ოდნავ მაინც ჩაცხრობოდა. ბოლოს ხელი გააცურა სისხლით გაჟღენთილ მიწაზე და ნელ-ნელა ბიჭს მათარა ტუჩებთან მიუტანა. წყალი წვრილ ჭავლად ჩაიღვარა მავედრებელ ბაგეში და ტალახიან ნიკაპზეც გადმოიღვარა. ბიჭმა ამოიოხრა, თავი უკან გადაუვარდა, ყბა - ქვემოთ, თითქოს რაღაცამ გააკვირვაო. თვალებზე ნელა გადაეკრა გლუვი სითეთრე და ხმა აღარ ამოუღია.

ირგვლივ კი ხმაური არ ცხრებოდა. დაჭრილები ყვიროდნენ: ზოგი წყალს ითხოვდა, ზოგი დედას ეძახდა, ზოგი სიკვდილს ნატრობდა. მიწაზე გართხმული ცხენები ხვიხვინებდნენ, თავებს სწევდნენ და ჩლიქებს ჰაერში იშვერდნენ.

შორიდან ჯონასს ქვემეხების გრიალი ესმოდა, თვითონ კი, ტკივილით გათანგული, საათობით იწვა იმ საზარელ სიმყრალეში, მომაკვდავ ადამიანებსა და ცხოველებს უსმენდა და აცნობიერებდა, რა არის ომი.

ბოლოს, როდესაც მიხვდა, რომ მეტს ვეღარ გაუძლებდა და ასეთ ყოფნას სიკვდილი ერჩივნა, თვალები გაახილა.

ისევ საწოლზე იწვა.

გამღებმა თავი მიაბრუნა, თითქოს ვერ შეძლებდა იმის დანახვას, რაც ჯონასს დამართა.

- მაპატიე, - უთხრა ბიჭს.

16

ჯონასს დაბრუნება არ სურდა. არ სურდა ხსოვნები, პატივი, სიბრძნე, არ უნდოდა ტკივილი. ისევ ბავშვობა სურდა, ბურთით თამაში და გადაყვლეფილი მუხლები. მარტო იჯდა თავის საბინადროში და ფანჯრიდან უყურებდა მოთამაშე ბავშვებსა და ჩვეულებრივი სამუშაო დღის შემდეგ ველოსიპედებით შინ მიმავალ ადამიანებს. მათ არ იცოდნენ, რა არის ტკივილი, რადგან ამ ტვირთის საზიდად, წინამორბედთა მსგავსად, მათაც მიმღები აირჩიეს.

მაგრამ ჯონასს სხვა გზა არ ჰქონდა და ყოველდღე ბრუნდებოდა ფლიგელში.

ომის ხსოვნის გაზიარების შემდეგ, კარგა ხანს, გამღები თბილად ეპყრობოდა.

- იმდენი კარგი ხსოვნა არსებობს, - შეახსენა ჯონასს.

ასეც იყო. ამჯერად ჯონასი განიცდიდა ბედნიერების ურიცხვ წამს, ისეთს, უწინ რომ არასოდეს განუცდია.

ნახა დაბადების დღის წვეულება, მხოლოდ ერთი იუბილარი და გაიგო, რას ნიშნავს, იყო გამორჩეული, განსაკუთრებული და იგრძნო ამით მოგვრილი სიამაყე.

ეწვია მუზეუმებს და დაათვალიერა ტილოები, რომელთა ფერების ამოცნობა და სახელდება უკვე შეეძლო.

ერთ განსაკუთრებით სახალისო მოგონებაში მბზინავ ყავისფერ ცხენს მიაჭენებდა ველზე, რომელსაც ნოტიო ბალახის სუნი ასდიოდა. ჩამოხდა ღელესთან, ორივემ - ბიჭმაც და ცხენმაც - დალია ცივი, ლიკლიკა წყალი. ახლა ჯონასმა ცხოველების შესახებაც იცოდა ბევრი რამ. როცა ცხენი წყალს მოშორდა და ჯონასს მხარზე ოდნავ უბიძგა თავით, ბიჭმა იგრძნო გასაკუთრებული კავშირი ცხოველსა და ადამიანს შორის.

ისეირნა ტყეებში, იჯდა ღამით კოცონთან. მართალია, ხსოვნებმა დანაკარგითა და მარტოობით გამოწვეული ტკივილი ასწავლა, მაგრამ ახლა იცოდა, რომ განმარტოებამ სიხარულიც შეიძლება მიანიჭოს ადამიანს.

- რომელი ხსოვნაა თქვენთვის გამორჩეული? - ჰკითხა ერთხელ ჯონასმა გამღებს და სწრაფად დაამატა: არა, ჯერ ნუ გადმომცემთ. მხოლოდ მითხარით, რომ დაველოდო. მას ხომ მაშინ მივიღებ, როდესაც თქვენს საქმეს დაასრულებთ.

გამღებმა გაიცინა:

- დაწექი. ბედნიერი ვარ, რომ შემიძლია, ეს ხსოვნა გადმოგცე.

ჯონასმა მაშინვე შეიგრძნო სიხარული. ზოგჯერ დრო სჭირდებოდა მზერის მოსატარებლად, თავისი ადგილსამყოფლის დასადგენად. ამჯერად კი მეყსეულად იგრძნო ბედნიერება, რომლითაც აღსავსე იყო ეს ხსოვნა.

მოხვდა ადამიანებით სავსე, კერიაზე დანთებული ცეცხლით გამთბარ ოთახში. ფანჯრიდან დაინახა, რომ ღამე იყო და თოვდა. იქ იყო ფერადი სინათლეები: წითელი, მწვანე, ყვითელი, რომლებიც - უცნაური იყო - ოთახში ამოზრდილ ხეზე ციმციმებდა. მაგიდაზე, გაპრიალებულ ოქროსფერ შანდალში სანთლები ენთო და ციმციმებდა. ჯონასმა საჭმლის სუნი იგრძნო და სიცილიც გაიგონა. იატაკზე ოქროსფერბეწვიან ძაღლს ეძინა. იატაკზევე ეწყო ბრჭყვიალა ქაღალდში გახვეული და პრიალა ლენტებშემოკრული ფუთები.

ერთ-ერთმა ბავშვმა ოთახში ფუთების ჩამოტარება დაიწყო. მიუტანა სხვა ბავშვებს, უფროსებს, რომლებიც აშკარად მშობლები იყვნენ, და უფრო ხანდაზმულ, მშვიდ წყვილს - კაცსა და ქალს, რომლებიც ერთად ისხდნენ დივანზე და იღიმოდნენ.

დაიწყეს ლენტების შემოხსნა, პრიალა ქაღალდების შემოცლა, ყუთების გახსნა და იქიდან სათამაშოების, ტანსაცმლისა თუ

წიგნების ამოღება. ისმოდა მხიარული შეძახილები. ყველა ერთმანეთს ეხვეოდა.

პატარა მოხუც ქალთან მივიდა და კალთაში ჩაუჯდა. მან ჩაიხუტა და ლოყა ლოყაზე მიადო.

ჯონასმა თვალები გაახილა. კმაყოფილად იწვა საწოლზე და იღიმებოდა. ეს იყო თბილი და იმედიანი ხსოვნა. იქ იყო ყველაფერი, რისი სიყვარული და დაფასებაც ჯონასს აქამდე ესწავლა.

- აბა, რა შემოიჭრა შენს ცნობიერებაში? - ჰკითხა გამღებმა.

- სითბო, ბედნიერება და... მოიცადეთ, დავფიქრდე... ოჯახი. ეს იყო დღესასწაული, დასვენების დღე. და კიდევ რაღაც... სახელს ვერ ვუძებნი.

- მოუძებნი.

- ის მოხუცები ვინ იყვნენ? რატომ იყვნენ იქ? - ჯონასი საგონებელში ჩავარდა, როცა ისინი ოთახში დაინახა. თემის მოხუცები არასოდეს გამოდიოდნენ მათთვის საგანგებოდ შექმნილი მოხუცთა სახლიდან, სადაც მათ ასე კარგად უვლიდნენ და პატივს მიაგებდნენ.

- მათ ბებო-პაპა ერქვათ.

- ბებო-პაპა?

- ბებო-პაპა, ანუ მშობლების მშობლები. დიდი ხნის წინ.

- უწინ და უწინ და უწინ? - სიცილი აუტყდა ჯონასს, - მაშ, რეალურად, შეიძლებოდა ეარსებათ მშობლების მშობლების მშობლების მშობლებს?

გამღებმაც გაიცინა:

- ეგრეა. ეს რაღაცით ჰგავს საკუთარი თავის ყურებას სარკეში, სადაც უყურებ შენს თავს, რომელიც იყურება სარკეში.

ჯონასმა შუბლი შეჭმუხნა.

- მაგრამ ჩემს მშობლებსაც ხომ უნდა ჰყოლოდათ მშობლები! ამაზე უწინ არასდროს მიფიქრია. ვინ არიან ჩემი მშობლების მშობლები? სად არიან ახლა?

- შეგიძლია, ღია ჩანაწერების დარბაზში მიხვიდე. იქ იპოვი მათ სახელებს. თუმცა, დაფიქრდი, შვილო. თუ შენ ბავშვებს მოითხოვ, მაშინ ვინ იქნებიან მათი მშობლების მშობლები? ვინ იქნება მათი ბებო-პაპა?

- დედაჩემი და მამაჩემი, რასაკვირველია.

- და სად იქნებიან ისინი?

ჯონასი დაფიქრდა.

- აა, როცა ჩემი წვრთნა დამთავრდება და უფროსი გავხდები, ჩემს საბინადროს მომცემენ. რამდენიმე წლის შემდეგ, როდესაც ლილიც გაიზრდება, მასაც საკუთარ საცხოვრებელს მისცემენ და, შეიძლება, მეუღლე და ბავშვებიც ჰყავდეს, თუკი მოითხოვს. მერე მამა და დედა...

- სწორია.

- სანამ იმუშავებენ და თავიანთ წვლილს შეიტანენ თემში, მანამდე სხვა უბავშვო უფროსებთან იცხოვრებენ და ჩემი ცხოვრების ნაწილი აღარ იქნებიან. შემდეგ, როცა ამის დრო მოვა, მოხუცთა სახლში გადაინაცვლებენ, - განაგრძო ჯონასმა ხმამაღლა ფიქრი, - იქ მათ კარგად მოუვლიან, პატივს მიაგებენ. ბოლოს კი ზეიმით გაუშვებენ.

- რომელსაც შენ არ დაესწრები, - აღნიშნა გამღებმა.

- არა, რა თქმა უნდა, რადგან ამას ვერც კი შევიტყობ. იმ დროს მე ჩემი ცხოვრება მექნება. ლილისაც. ასე რომ, არც ჩვენს შვილებს - თუ გვეყოლებიან - არ ეცოდინებათ, ვინ არიან მათი მშობლების მშობლები.

- მე მგონი, ეს არც ისე ცუდია,არა? ჩვენი თემი კარგად არის მოწყობილი, - თქვა ჯონასმა, - სანამ ამ ხსოვნას მივიღებდი, ვერც კი წარმომედგინა, რომ შეიძლებოდა სხვანაირ წყობას ეარსება.

- ჰო, კარგად არის მოწყობილი, - დაეთანხმა გამღები.

ჯონასი შეყოყმანდა.

- თუმცა, რასაკვირველია, მომეწონა ეს ხსოვნა და მესმის, რატომ არის თქვენი რჩეული. თუმცა, სახელი ვერ მოვუძებნე იმ ყველაფერს, რაც იმ ოთახში იგრძნობოდა.

- სიყვარული, - უთხრა გამღებმა.

- სიყვარული, - გაიმეორა ჯონასმა ახალი სიტყვა და ცნება.

ერთი წუთით ხმა არც ერთს არ ამოუღია. მერე ისევ ჯონასმა განაგრძო:

- მიმღებო!

- დიახ...

- თავი სულელი მგონია, ძალიან, ძალიან სულელი.

- არ არის საჭირო თავის მართლება. აქ არაფერია სულელური. მიენდე ხსოვნებს და იმას, რასაც ისინი გაგრძნობინებენ.

- მოკლედ, - თქვა ჯონასმა და იატაკს დააცქერდა, - ვიცი, რომ ეს ხსოვნა აღარ დაგრჩათ, რაკი მე გადმომეცით, ამიტომაც შეიძლება ვერ გაიგოთ ეს...

- გავიგებ. კიდევ დამრჩა მისი ნაწილი და სხვა ბევრი ხსოვნაც მაქვს ოჯახების, დასვენების დღეების, ბედნიერების, სიყვარულის.

ჯონასმა, როგორც იქნა, ამოღერღა, რასაც გრძნობდა:

- ვიფიქრე, რომ... ერთი სიტყვით, ვხედავ, რომ ეს არ იყო მაინცდამაინც კარგად მოწყობილი ცხოვრება. მოხუცები რჩებოდნენ თავიანთ ადგილას, სადაც შეიძლება კარგად არც მიეხედათ მათთვის, ისე, როგორც აქ უვლიან, ჩვენ უკეთესად გვაქვს მოწყობილი ყველაფერი, მაგრამ მაინც მგონია, რომ მაშინ კარგი იყო და ვისურვებდი, ისევ ისე გვეცხოვრა, თქვენ კი ჩემი პაპა იყოთ. ხსოვნის ოჯახი თითქოს უფრო...

ჯონასს ენა დაება, საჭირო სიტყვა ვერ იპოვა.

- უფრო სრულია, - მიაშველა გამღებმა.

ჯონასმა თავი დააქნია.

- მომეწონა სიყვარულის გრძნობა, - გამოტყდა, თან ნერვიულად გახედა კედლის სპიკერს იმ იმედით, რომ არ ვინ აყურადებდა და ჩაიჩურჩულა: - მსურს, ახლაც ყველაფერი ისევ ისე იყოს. თუმცა, მესმის, რომ ეს არც ისე გონივრულია და რომ დღეს უფრო უკეთ ვცხოვრობთ. იმასაც ვხვდები, რომ ის სახიფათო ცხოვრება იყო.

- რას გულისხმობ?

ჯონასი ყოყმანობდა. ზუსტად თვითონაც არ იცოდა, რა უნდოდა. მაგრამ გრძნობდა, რომ საფრთხე ნამდვილად არსებობდა.

- მოკლედ, - ჯონასმა თითქოს მოიფიქრა სათქმელი: - იმ ოთახში მათ ცეცხლის დანთების უფლება ჰქონდათ. კერიაზე ცეცხლი ენთო, მაგიდაზე - სანთლები. რასაკვირველია, ვხვდები, რატომ აიკრძალა ასეთი რამეები. მაგრამ... - განაგრძო დინჯად, - მე მომეწონა სინათლე... და სითბოც.

***

- მამა, დედა, - ფრთხილად დაიწყო ჯონასმა ვახშმის შემდეგ, - რაღაც მინდა გკითხოთ.

- რაო, ჯონას? - ჰკითხა მამამ.

შეცბუნებისგან სახეალეწილი სიტყვების წარმოსათქმელად მოემზადა. მთელ გზაზე ფლიგელიდან შინისკენ ამ სიტყვებს იმეორებდა, მაგრამ ახლა მაინც ძლივს ამოთქვა:

- მე გიყვარვართ?

ერთხანს უხერხული სიჩუმე ჩამოწვა. მერე მამამ ჩაიცინა:

- ამას შენ ამბობ, ჯონას? გეთაყვა, გთხოვ სიტყვა ზუსტად შეარჩიე!

- რას გულისხმობ? - ჰკითხა ჯონასმა, რომელიც ასეთ პასუხს არ ელოდა.

- მამაშენი გულისხმობს, რომ შენ გამოიყენე ძალზე განზოგადებული სიტყვა, მეტისმეტად უაზრო, თითქმის უკვე არქაული, - დელიკატურად აუხსნა დედამ.

ჯონასი მშობლებს მიაშტერდა: უაზრო? აქამდე ამ ხსოვნასავით აზრიანი არასოდეს არაფერი უგრძნია.

- და, რა თქმა უნდა, ჩვენი საზოგადოება ვერ იარსებებს, როგორც საჭიროა, თუ ადამიანები მართებულად არ იმეტყველებენ. შეგეძლო გეკითხა: „შემხარით?“ პასუხია „დიახ“, - თქვა დედამ.

- ან: „გეამაყებათ თუ არა ჩემი მიღწევები? “ და ჩვენ გულწრფელად გიპასუხებდით: „დიახ“, - დაუმატა მამამ.

- ახლა გესმის, რატომ არის შეუფერებელი სიტყვა „სიყვარულის“ გამოყენება? - ჰკითხა დედამ.

ჯონასმა თავი დაუქნია და დინჯად უპასუხა:

- კი, მესმის, გმადლობ.

ეს იყო მშობლებისთვის ნათქვამი პირველი ტყუილი.

***

- გეიბრიელ! - ჩასჩურჩულა იმ ღამეს ახალბავშვს. მისი საწოლი ისევ ჯონასთან იდგა. რაკი ოთხი ღამის განმავლობაში გეიბრიელს კარგად ეძინა ჯონასის ოთახში, მშობლებმა ექსპერიმენტი წარმატებულად გამოაცხადეს, ჯონასი გმირად. ახალბავშვი სწრაფად იზრდებოდა, ოთახში დაცოცავდა, ხითხითებდა და ფეხზე დადგომას ცდილობდა. ახლა, რაკი კარგად სძინავს, მისი სრულყოფა უკვე აღმზრდელობით ცენტრში შეიძლებაო, თქვა მამამ. დეკემბერში, ანუ ორი თვის შემდეგ, ოფიციალურად დაარქმევდნენ სახელს და მშობლებს გადასცემდნენ.

მაგრამ როგორც კი გეიბრიელი ჯონასის ოთახიდან გაიყვანეს, ისევ აერია ძილი, ღამღამობით ტირილი დაიწყო, ამიტომ ისევ დააბრუნეს, ცოტა ხანს კიდევ დავაცადოთო. რადგანაც გეიბს, როგორც ჩანდა, ჯონასის ოთახი მოსწონდა, უფრო მეტხანს ამყოფებდნენ იქ, სანამ საბოლოოდ გამოუმუშავდებოდა კარგი ძილის ჩვევა. აღმზრდელები ოპტიმისტურად შეჰყურებდნენ გეიბრიელის მომავალს.

ჯონასის ჩურჩული უპასუხოდ დარჩა: გეიბრიელს მაგრად ეძინა.

- ყველაფერი შეიძლებოდა შეცვლილიყო, გეიბ, - განაგრძო ჯონასმა, - ყველაფერი შეიძლებოდა სხვაგვარად ყოფილიყო. არ ვიცი, როგორ, მაგრამ უნდა არსებობდეს რაღაც გზა ყველაფრის შესაცვლელად. მაშინ იქნებოდა ფერები... ბებო-პაპაც, - დაუმატა და თავისი საძინებლის ჩაბნელებულ ჭერს მიაჩერდა, - და ყველას ექნებოდა ხსოვნები. შენ ხომ იცი, რაც არის ხსოვნები, - მიუბრუნდა გეიბის საწოლს.

ახალბავშვი ღრმად და თანაბრად სუნთქავდა. ჯონასს მოსწონდა მისი აქ ყოფნა, თუმცა, თავს დამნაშავედ გრძნობდა, საიდუმლოს რომ ამხელდა. გეიბრიელს ყოველღამე გადასცემდა ხსოვნებს: ნავით გასეირნებას, პიკნიკებს ცის ქვეშ, წვიმის წკაპუნს ფანჯრის რაფებზე, ფეხშიშველა ცეკვას ნოტიო მდელოზე.

- გეიბ!

ახალბავშვი ძილში ოდნავ შეტოკდა. ჯონასი დაჰყურებდა.

- შეიძლებოდა ყოფილიყო სიყვარული, - ჩასჩურჩულა.

***

მეორე დილით, პირველად, ჯონასმა აბი არ გადაყლაპა. მის არსებაში რაღაცამ, ხსოვნების წიაღიდან ამოზრდილმა, უკარნახა, აბი შორს მოესროლა.

17

გამოცხადდა რიგგარეშე დასვენების დღე.

ჯონასი, მისი მშობლები და ლილი გაკვირვებული შეჰყურებდნენ კედლის სპიკერს, საიდანაც ეს განაცხადი მოისმინეს. ეს ძალზე იშვიათად ხდებოდა და ყოველთვის დიდ სიამოვნებას ანიჭებდა მთელ თემს. უფროსები გაათავისუფლეს სამსახურებიდან, ბავშვები - სკოლიდან, წვრთნიდან და მოხალისური საათებიდან.

მუშების შემცვლელებმა, რომლებსაც სხვა დღეს დაასვენებდნენ, ყველა აუცილებელი სამუშაო გადაიბარეს: აღმზრდელობა, საკვების ჩამორიგება, მოხუცებზე ზრუნვა. მთელი თემი თავისუფალი იყო.

გახალისებულმა ჯონასმა საშინაო დავალებების საქაღალდე მაგიდაზე დადო, არადა, უკვე სკოლაში წასასვლელად ემზადებოდა. ახლა სკოლა მისთვის ისეთი მნიშვნელოვანი აღარ იყო, ადრე თუ გვიან მისი ოფიციალური სასწავლო კურსი დამთავრდებოდა. და მაინც: თორმეტიანებისთვის - მოწიფულობის წვრთნის დაწყების მიუხედავად - არსებობდა უსასრულო წესები, რომლებიც უნდა დაემახსოვრებინათ, და უახლესი ტექნოლოგიები, რომლებიც უნდა აეთვისებინათ.

მშობლებს, დასა და გეიბს ბედნიერი დღე უსურვა და ველოსიპედით გაეშურა აშერის მოსაძებნად.

უკვე ოთხი კვირა იყო, აბებს აღარ ყლაპავდა. შეტოკებები დაბრუნდა და ჯონასი თავს, ცოტა არ იყოს, დამნაშავედ და უხერხულად გრძნობდა საამური სიზმრების გამო. თუმცა, იცოდა, რომ ვეღარ დაბრუნდებოდა სამყაროში, სადაც გრძნობები არ არსებობდა და სადაც მან ამდენი ხანი იცხოვრა.

და ამ ახალმა, გაძლიერებულმა გრძნობებმა უფრო ფართო საუფლო მოიცვა, ვიდრე მხოლოდ ჯონასის ძილი. მართალია, იცოდა, რომ ზოგ სიზმარს აბების მიუღებლობა იწვევდა, მაგრამ, მისი აზრით, გრძნობები ხსოვნებიდანაც მოდიოდა. ახლა ის ყველა ფერს ხედავდა და ინარჩუნებდა კიდეც. ხეები, ბალახი, ბუჩქები მის ხილვაში მუდმივად მწვანე იყო. გეიბრიელის ვარდისფერი ლოყები მისი ძილის დროსაც ვარდისფერი ჩანდა. ვაშლიც მუდამ, მუდამ წითელი იყო.

ხსოვნებში ჯონასს უკვე ნანახი ჰქონდა ოკეანეები, მთის ტბები და ტყეებში მორაკრაკე ნაკადულები. ამჯერად სხვანაირად

დაინახა ნაცნობი მდინარე, ბილიკის გვერდით რომ მიედინებოდა. დაინახა, როგორ ბრწყინავდა წყალი, როგორ ირეკლავდა ფერებს. მიხვდა, რომ ამ მდინარეს ჰქონდა თავისი ისტორია, ის სადღაც სხვაგან იღებდა სათავეს და სადღაც სხვაგან მიდიოდა.

ამ მოულოდნელ, დაუგეგმავ დასვენების დღეს ჯონასმა თავი ბედნიერად იგრძნო, როგორც ყოველთვის გრძნობდა ასეთ დღეებში. თუმცა, ამჯერად, ბედნიერების განცდაც სხვაგვარი იყო. როგორც ყოველთვის, ახლაც ფიქრობდა სწორად მეტყველებაზე და გააცნობიერა, რომ მის გრძნობებს სიღრმე შეემატა. ისინი აღარ ჰგავდა სხვა მოქალაქეების გრძნობებს, ყოველ საღამოს რომ აანალიზებდნენ თავიანთ საბინადროებში.

- გაბრაზებული ვარ, იმიტომ, რომ ვიღაცამ სათამაშო მოედნის წესები დაარღვია, - თქვა ერთხელ ლილიმ და პატარა ხელი მომუშტა თავისი ბრაზის საჩვენებლად. საპასუხოდ მშობლებმაც და ჯონასმაც მანამდე ილაპარაკეს წესის დარღვევის მიზეზებზე, მოთმენისა და შემწყნარებლობის აუცილებლობაზე, სანამ ლილის მუშტი არ მოდუნდა და რისხვაც განელდა.

მაგრამ ჯონასი ხვდებოდა, რომ ლილი არ გაბრაზებულა. მოუთმენლობა და გაღიზიანება - აი, რას გრძნობდა პატარა. ჯონასმა იცოდა, რა იყო რისხვა. ხსოვნებში მას უკვე განცდილი ჰქონდა უსამართლობა და სისასტიკე, რამაც გააშმაგა. ამ სიშმაგემ ისეთი გზნებით ამოხეთქა მის არსებაში, რომ უკვე შეუძლებლად მიაჩნდა ამ საკითხზე მშვიდი მასლაათი ვახშმის დროს.

- დღეს მოწყენილი ვიყავი, - არაერთხელ გაუგონია დედის სიტყვები და ამ დროს ყველა ანუგეშებდა ხოლმე მას.

ახლა ჯონასი ნამდვილ სევდას შეეპყრო. მას უკვე განცდილი ჰქონდა მწუხარება და იცოდა, რომ დამშვიდება მას ვერ უშველიდა.

ამ გრძნობებზე ლაპარაკი საჭირო არ იყო, მათი განცდა უნდა შეგძლებოდა.

დღეს კი ჯონასი ნამდვილად ბედნიერი იყო.

- აშერ! - მეგობრის ველოსიპედი სათამაშო მოედანთან მიყუდებული დაინახა. იქვე მიწაზე სხვა ველოსიპედები ეყარა. დასვენების დღეს სავალდებულო წესების დარღვევა შეიძლებოდა.

ჯონასმა მკვეთრად დაამუხრუჭა და ველოსიპედი სხვა ველოსიპედების გვერდით დააგდო.

- ჰეი, აშ! - დაიძახა, თან ირგვლივ მიმოიხედა. სათამაშო მოედანზე არავინ ჩანდა. - სად ხართ?

- პშიუუ! - გაისმა ბავშვის ხმა და თვითონაც გამოჩნდა ბუჩქის უკნიდან, - ბახ! ბახ! ბახ!

მდედრი თერთმეტიანი, სახელად ტანია, ბანცალით გამოვიდა თავისი სამალავიდან, დრამატულად შემოიჭდო ხელები მუცელზე, ბორძიკით გადადგა რამდენიმე ნაბიჯი, თან კვნესოდა, მერე დაიძახა:

- მომარტყი! - და ღიმილით დაენარცხა მიწას.

- ბახ!

სათამაშო მოედნის კიდეზე მდგარმა ჯონასმა აშერის ხმა იცნო, მერე კი დაინახა თავისი მეგობარი, რომელსაც წარმოსახვითი იარაღი ეჭირა და ერთი ხის უკნიდან მეორისკენ ისროდა:

- ბახ! ფრთხილად, ჯონას, შენ ჩემი ცეცხლის ხაზზე ხარ!

ჯონასი უკუდგა, აშერის ველოსიპედს ამოეფარა და ჩაიმუხლა, რომ აღარ გამოჩენილიყო. ეს თამაში თვითონაც ხშირად უთამაშია - კარგი და ცუდი ბიჭების თამაში, უწყინარი გართობა, რომელიც მათ ჭარბ ენერგიას ახარჯვინებდა და მაშინღა მთავრდებოდა, როცა ყველანი უკვე მიწაზე ეყარნენ.

აქამდე ჯონასს ამ თამაშში ომი არასოდეს ამოუცნია.

- შეტევა! - მოისმა პატარა საწყობის უკნიდან, სადაც სათამაშო მოწყობილობები ინახებოდა. იქიდან სამი ბავშვი გამოენთო სასროლად მომარჯვებული წარმოსახვითი იარაღით.

მოედნის მოპირდაპირე მხრიდანაც გაისმა ძახილი:

- საპირისპირო შეტევა!

სამალავებიდან გამოცვივდნენ ბავშვები, რომელთა შორის ჯონასმა ფიონაც იცნო. ისინი წელში მოხრილები მორბოდნენ და მოწინააღმდეგეს ესროდნენ. ზოგი მათგანი ჩერდებოდა, თეატრალური მანერით იჭდობდა ხელებს მკერდსა და მხრებზე, თითქოს ტყვია მოხვდაო, მერე კი, შეკავებული ფხუკუნით, ძირს ენარცხებოდა.

ჯონასში გრძნობები აზავთდა. მოულოდნელად გააცნობიერა, რომ შუა მოედნისკენ მიაბიჯებდა.

- მოგარტყი, ჯონას! - დაუყვირა აშერმა ხეებს უკნიდან, - ბახ! კიდევ მოგარტყი!

ჯონასი ეულად იდგა მინდვრის შუაგულში. რამდენიმე ბავშვმა თავი წამოსწია და მას დაბნეული მიაჩერდა. შეტევაზე გადასულმა ჯარებმაც სვლა შეანელეს, წელში გაიმართნენ და ისინიც ჯონასს შეაჩერდნენ, რას აკეთებსო.

გონებაში ჯონასი ისევ ხედავდა იმ ბიჭის სახეს, მომაკვდავი რომ იწვა ბრძოლის ველზე და წყალს ითხოვდა. ჯონასს სუნთქვა უჭირდა, თითქოს ყელში წაუჭირესო.

ერთ-ერთმა ბავშვმა წარმოსახვითი თოფი შემართა და სცადა, ჯონასი საბოლოოდ გაენადგურებინა:

- ბახ! - მერე ყველანი გაჩუმდნენ და უხერხულად შედგნენ. ამ სიჩუმეში მხოლოდ ჯონასის ხშირი სუნთქვა ისმოდა. იგი თავს ებრძოდა, რომ არ ატირებულიყო.

ბოლოს, როცა აღარაფერი მოხდა, არაფერი შეიცვალა, ბავშვებმა დაბნეულად შეხედეს ერთმანეთს და წავიდ-წამოვიდნენ. ჯონასმა გაიგონა, როგორ წამოაყენეს ველოსიპედები. მერე მინდვრიდან გამავალ ბილიკზე ბორბლების ჭრიალიც მოესმა. დარჩნენ მხოლოდ აშერი და ფიონა.

- რა მოხდა, ჯონას? ეს ხომ თამაში იყო, - თქვა ფიონამ.

- ყველაფერი გააფუჭე, - უთხრა აშერმა გაღიზიანებული ხმით.

- ნუღარ ითამაშებთ ამას, - შეევედრა ჯონასი.

- მე რეკრეაციის დირექტორის მოადგილედ ვიწვრთნები, - ბრაზით მიუგო აშერმა, - თამაშები შენი ექსპერტობის სფერო არ არის.

- კვალიფიკაციის, - შეუსწორა ჯონასმა მექანიკურად.

- როგორც არის. შენ თამაშს ვერ აგვიკრძალავ, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ახალი მიმღები გახდე, - აშერმა ფრთხილად შეხედა, - და ბოდიშს გიხდი, რომ ისეთი პატივისცემით არ გექცევი, როგორსაც იმსახურებ, - ჩაიბურტყუნა ბოლოს.

- აშერ, - ჯონასი ცდილობდა, მშვიდად ელაპარაკა, რათა ზუსტად ეთქვა ის, რისი თქმაც სურდა, - შენ არ იცი, ეგ რა არის. აქამდე არც მე ვიცოდი. მაგრამ ეს სასტიკი თამაშია. წარსულში...

- ხომ ვთქვი, ჯონას, რომ ბოდიშს ვიხდი.

ჯონასმა ამოიოხრა. ლაპარაკს აზრი არ ჰქონდა. რასაკვირველია, აშერი ვერ გაიგებდა.

- ვიღებ შენს ბოდიშს, აშერ, - თქვა დაქანცული ხმით.

- ველოსიპედით ხომ არ გამოისეირნებდი მდინარესთან, ჯონას? - ჰკითხა ფიონამ, რომელიც ნერვიულობისგან ტუჩს იკვნეტდა.

ჯონასმა შეხედა. რა მშვენიერი გოგონა იყო. ერთი წამით გაიფიქრა, რომ არაფერი აჯობებდა მშვიდობიან გასეირნებას მდინარისპირა ბილიკზე, სიცილსა და საუბარს ნაზ მდედრ მეგობართან, მაგრამ იცოდა, რომ ამიერიდან ასეთ რაღაცებს ვეღარ გააკეთებდა.

ჯონასმა თავი გააქნია. მისი მეგობრები შებრუნდნენ და თავ-თავიანთ ველოსიპედებს მიაშურეს. ჯონასი უყურებდა, როგორ მიეფარნენ თვალს.

საწყობის გვერდით მდგარ სკამთან მილასლასდა და ჩამოჯდა, დანაკარგის გრძნობისგან გათანგული. ბავშვობა, მეგობრები, უსაფრთხოების განცდა, უდარდელობა - ყველაფერი თითქოს ხელიდან ეცლებოდა. ჯონასი შეაძრწუნა სევდამ, რომელიც ომობანას თამაშმა მოჰგვარა, მაგრამ იცოდა, რომ ხსოვნების გარეშე ისინი ვერაფერს გაიგებდნენ. დიდი სიყვარული იგრძნო აშერისა და ფიონას მიმართ, მაგრამ ხსოვნების გარეშე ისინი სიყვარულითვე ვერ უპასუხებდნენ, ხსოვნებს კი ჯონასი ვერ გადასცემდა. ეჭვმიუტანლად იცოდა, რომ ვერაფერს შეცვლიდა.

***

იმ საღამოს მათ საბინადროში ლილი მხიარულად ყბედობდა ჩინებულად გატარებულ უქმეზე - მეგობრებთან თამაშზე, ღია ცის ქვეშ ჭამა-სმასა და (ლილი გამოტყდა) მამას ველოსიპედზე ორი წუთით უჩუმარ შეჯდომაზე.

- ერთი სული მაქვს, საკუთარი ველოსიპედი როდის მეყოლება. მამას ველოსიპედი ძალიან დიდია და ჩამოვვარდი, - განმარტა, როგორც ფაქტი, - კიდევ კარგი, ბავშვის სავარძელში გეიბი არ მეჯდა!

- კიდევ კარგი! - კვერი დაუკრა დედამ, რომელმაც ამის წარმოდგენაზე შუბლი შეჭმუხნა. გეიბრიელმა თავისი სახელის გაგონებაზე ხელი გააქნია. მან ერთი კვირის წინ აიდგა ფეხი. მამამ თქვა, ახალბავშვის პირველი ნაბიჯები აღმზრდელობით ცენტრში ყოველთვის ზეიმის მიზეზია, თუმცა, იმავდროულად, სადისციპლინო ჯოხის შემოღებისაცო. ამიერიდან მამას ყოველღამე მოჰქონდა წვრილი წკეპლა იმ შემთხვევისთვის, თუ გეიბრიელი ცუდად მოიქცეოდა.

მაგრამ გეიბი მხიარული და დამჯერი ბავშვი აღმოჩნდა. ახლაც ოთახში დაბანცალებდა, იცინოდა და თავის სახელს გაიძახოდა:

- გეი! გეი!

ჯონასს გუნება გამოუკეთდა. დილიდან დათრგუნვილი იყო, ახლა კი მრუმე ფიქრები განზე გადადო. უნდოდა, ლილისთვის ველოსიპედის ტარება ესწავლებინა, რომ მის დას უკვე მოახლოებული ცხრიანის ცერემონიის შემდეგ ველოსიპედი ამაყად გაექროლებინა. ვერ იჯერებდა, რომ დეკემბერი უკვე კარს იყო მომდგარი, რომ მთელმა წელიწადმა განვლო მას შემდეგ, რაც ჯონასი თორმეტიანი გახდა.

ღიმილით შეჰყურებდა, რა სიფრთხილით ადგამდა ახალბავშვი ერთ პაწია ფეხს მეორის შემდეგ და როგორ შეხაროდა საკუთარ ნაბიჯებს.

- ამაღამ ადრე მინდა დაწოლა, - თქვა მამამ, - ხვალ მძიმე დღე მაქვს: ტყუპი უნდა დაიბადოს და ტესტირებამ უჩვენა, რომ ისინი ერთნაირები არიან.

- ერთი აქაურობისთვის, ერთიც - სხვაგან წასაყვანად, - წაიმღერა ლილიმ, - ერთი აქაურობისთვის, ერთიც - სხვაგ...

შენ თვითონ მიგყავს ის სხვაგან, მამა? - ჰკითხა ჯონასმა.

- არა, მე მხოლოდ ვირჩევ, ვწონი, უფრო მძიმეს იქვე მდგომ მომლოდინე აღმზრდელს გადავცემ, მერე კი მსუბუქი ამყავს, დაბანილი და გახვეული. ამის შემდეგ ვატარებ გაშვების ცერემონიას... - მამამ ღიმილით დახედა გეიბრიელს, - ხელს ვუქნევ და ვემშვიდობები: „ნახვამდის“, - წარმოთქვა მან განსაკუთრებულად ტკბილად, როგორც ახალბავშვებს ელაპარაკებოდა ხოლმე. ხელიც დააქნია. გეიბრიელმა გაიცინა და თვითონაც დაუქნია ხელი.

- მერე კი ვიღაც მოდის და იმ სხვაგან მიჰყავს?

- სწორედაც, ჯონას-ბონას.

ჯონასი ამ სულელური კნინობითი სახელის გაგონებაზე წამოწითლდა. მამას სჩვეოდა მისი ხშირად ხსენება.

ლილი ჩაფიქრებული იჯდა.

- ვინ იცის, იქნებ მაგ ტყუპისცალს სხვაგან ისეთი სახელი დაარქვან... მაგალითად... ჯონათანი? და ჩვენს თემში დატოვებულ ტყუპისცალსაც სახელდების დღეს ჯონათანი დაარქვან... ორივეს ერთნაირი სახელი ერქმევა, თან ზუსტად ერთნაირები იქნებიან... ხომ შეიძლება ოდესმე, როცა ისინი ექვსიანები გახდებიან, ექვსიანების ერთი ჯგუფი ავტობუსით ესტუმროს მეორე თემს და იქ, ექვსიანების მეორე ჯგუფში, ზუსტად ისეთივე ჯონათანი დახვდეთ, ბოლოს ერთმანეთში აერიოთ, ის მეორე წამოიყვანონ, მისმა მშობლებმაც ვერაფერი შენიშნონ და მერე...

გოგონამ ამოისუნთქა.

- ლილი, - თქვა დედამ, - საუცხოო აზრი მომივიდა: თორმეტიანი რომ გახდები, იქნებ ამბის მთხრობლის დანიშნულება მოგცენ? ვგონებ, დიდი ხანია, თემში ამბის მთხრობელი არ გვყოლია. მე რომ კომიტეტში ვიყო, უდავოდ შენ აგირჩევდი ამ საქმისთვის!

ლილიმ ჩაიღიმა:

- უკეთესი მოვიფიქრე. ვინ იცის, იქნებ ჩვენ, ყველანი, ტყუპები ვართ და არც კი ვიცით ეს, ხომ შეიძლება, სხვაგანაც არსებობდეს მეორე ლილი, მეორე ჯონასი, მეორე მამა, მეორე დედა, მეორე აშერი, მეორე მთავარი უხუცესი, მეორე...

- ძილის დროა, ლილი! - ამოიგმინა მამამ.

18

- გამღებო, - ჰკითხა ჯონასმა მეორე დღეს, - ოდესმე თუ ფიქრობთ გაშვებაზე?

- ჩემს გაშვებას გულისხმობ თუ საერთოდ, გაშვებას?

- მგონი, ორივეს. მაპატ... უფრო ზუსტად უნდა გამომეთქვა... მაგრამ ზუსტად არ ვიცი, რა ვიგულისხმე.

- წამოჯექი. როდესაც ვსაუბრობთ, წოლა საჭირო არ არის.

ჯონასი წამოჯდა.

- ვფიქრობ ხოლმე, ხანდახან, - თქვა გამღებმა, - ვფიქრობ ჩემს გაშვებაზე, როცა ძალიან ცუდად ვარ. ზოგჯერ მიჩნდება სურვილი, ამის მოთხოვნა შემეძლოს, მაგრამ არ მაქვს ამის უფლება, სანამ ახალი მიმღები არ გაიწვრთნება.

- ანუ მე, - თქვა ჯონასმა ნაღვლიანი ხმით. არ უნდოდა წვრთნის დასრულება და ახალ მიმღებად ქცევა. ნათლად ხედავდა, რა მძიმე და მარტოხელა ცხოვრება ელოდა, უდიდესი პატივისცემის მიუხედავად.

- ვერც მე მოვითხოვ გაშვებას, - თქვა მწუხარედ, - ასე ეწერა ჩემს წესებში.

გამღებმა გაიცინა:

- ვიცი. ეგ წესები ქვაზე ამოკვეთეს ათი წლის წინანდელი მარცხის შემდეგ.

ჯონასს უკვე არაერთგზის სმენოდა მინიშნება უწინდელ მარცხზე, თუმცა, ჯერ კიდევ არ იცოდა, რა მოხდა ათი წლის წინ.

- გამღებო, მითხარით, რა მოხდა მაშინ. გთხოვთ.

მოხუცმა მხრები აიჩეჩა.

-თითქოს ყველაფერი ჩვეულებრივად მოხდა. მომავალი მიმღები შენსავით აირჩიეს. შერჩევამ საკმაოდ კარგად ჩაიარა. ჩატარდა ცერემონია, რჩეულის ვინაობა გამოაცხადეს და ხალხიც ისევე მიესალმა, როგორც შენ. ახალი მიმღები საგონებელში იყო ჩავარდნილი და ცოტათი შეშინებულიც, შენსავით.

- მშობლებმა მითხრეს, რომ ის მდედრი იყო.

გამღებმა კვერი დაუკრა.

ჯონასი თავის რჩეულ ფიონაზე დაფიქრდა და შეაკანკალა. არ ისურვებდა, მისი მეგობარიც ისე დატანჯულიყო, როგორც თვითონ დაიტანჯა ხსოვნების მიღებით.

- როგორი გოგონა იყო? - ჰკითხა გამღებს.

მოხუცს სევდა მოერია.

- ჩინებული, ძალზე თავდაჭერილი და მშვიდი, ჭკვიანი და ცოდნას მოწყურებული, - გამღებმა თავი გააქნია და ღრმად ჩაისუნთქა, - იცი, ჯონას, როდესაც ამ ოთახში მოვიდა წვრთნის დასაწყებად და თავი წარმომიდგინა...

- სახელს მეტყვით? - შეაწყვეტინა ჯონასმა, - მშობლებმა მითხრეს, რომ მისი სახელის ხსენება თემში აღარ შეიძლება, მაგრამ იქნებ მე მაინც გამიმხილოთ?

გამღები ყოყმანობდა, თითქოს ამ სახელის წარმოთქმა განუზომელ ტანჯვას მოჰგვრიდა.

- როზმარი ერქვა, - ამოთქვა ბოლოს.

- როზმარი. მომწონს ეს სახელი.

გამღებმა განაგრძო:

- როცა პირველად მოვიდა, იმ სკამზე ჩამოჯდა, რომელზეც შენ იჯექი პირველ დღეს. სწავლას მოწყურებული იყო, აღელვებული და შემკრთალი. ვილაპარაკეთ. ვცადე, შეძლებისამებრ კარგად ამეხსნა ყველაფერი.

- როგორც მე ამიხსენით.

გამღებმა სევდიანად ჩაიცინა:

- ახსნა ადვილი არ არის. ეს ყველაფერი თქვენთვის ძალიან უცხოა. მე მაინც ვცადე. და ისიც ყურადღებით მიმენდა. მახსოვს, როგორ უბრწყინავდა თვალები.

უცებ მან თავი ასწია:

- ჯონას, მე შენ გადმოგეცი ხსოვნა, რომელზეც გითხარი, ჩემი რჩეულია-მეთქი. კიდევ დამრჩა მისი ფრაგმენტი: ოთახი, რომელშიც ოჯახი და ბებო-პაპა იყვნენ.

ჯონასმა თავი დაუქნია - რასაკვირველია, ახსოვდა.

- ჰო, ამას საოცარი შეგრძნება ახლდა. თქვენ მითხარით, რომ ეს იყო სიყვარული.

- მაშინ იმასაც გაიგებ, რომ სწორედ ეს ვიგრძენი როზმარის მიმართ: მე ის მიყვარდა, - აუხსნა გამღებმა, მერე დაამატა: - შენ მიმართაც ამავეს ვგრძნობ.

- და რა დაემართა? - ჰკითხა ჯონასმა.

- დავიწყე მისი წვრთნა. შენსავით კარგად იღებდა ყველაფერს. დიდი ენთუზიაზმით და სიხარულით ეცნობოდა სიახლეებს, მახსოვს მისი სიცილი...

ხმა აუთრთოლდა და ჩაუწყდა.

- რა მოხდა? - ჰკითხა ჯონასმა, - მითხარით, გთხოვთ!

გამღებმა თვალები დახუჭა:

- გულს მიკლავდა მისთვის ტკივილის გადაცემა, ჯონას, მაგრამ ეს ჩემი საქმე იყო, საქმე, რომელიც უნდა მეკეთებინა, როგორც შენთან გავაკეთე.

ოთახში სიჩუმე ჩამოწვა. ჯონასი ელოდა. გამღებმა განაგრძო:

- ხუთი კვირა. ეს იყო და ეს. გავუზიარე ბედნიერი მოგონებები: კარუსელი, რომელზეც იტრიალა; ფისო, რომელსაც ეთამაშა; პიკნიკი. ზოგჯერ მხოლოდ იმიტომ ვირჩევდი რამეს, რომ ვიცოდი - გაიცინებდა, მე კი ძალიან მიხაროდა მისი სიცილის გაგონება ამ ოთახში, სადაც ყოველთვის სიჩუმე დგას. მაგრამ ის შენ გგავდა, ჯონას: ყველაფრის განცდა უნდოდა. იცოდა, რომ ეს მისი მოვალეობა იყო და ამიტომაც უფრო რთული ხსოვნები მომთხოვა.

ჯონასს ერთი წამით სუნთქვა შეეკრა:

- ომის ხსოვნა ხომ არ გადაგიციათ? მაგრამ ხუთი კვირის შემდეგ ამას არ გადასცემდით...

გამღებმა თავი გააქნია და ამოიოხრა:

- არა. ფიზიკური ტკივილი არ განუცდია. მე მას ვაგრძნობინე მარტოობა, დანაკარგი, გადავეცი მოგონება ბავშვისა, რომელიც მშობლებს წაართვეს. ეს იყო პირველი. ამან თავგზა აუბნია.

ჯონასმა ნერწყვი ჩაყლაპა. თვალწინ წარმოუდგა როზმარი და მისი სიცილი და წარმოიდგინა, როგორი გაოგნებული იწვა ხსოვნების საწოლზე.

- უკან დავიხიე, - განაგრძო გამღებმა, - ცოტა სიხარული გავუზიარე. მაგრამ ტკივილის შეცნობის შემდეგ გოგონასთვის ყველაფერი გადასხვაფერდა. ამას მის თვალებში ვხედავდი.

- გამბედაობა არ ეყო? - ჩაეკითხა ჯონასი. ეს კითხვა გამღებმა უპასუხოდ დატოვა.

- დაჟინებით მოითხოვდა, რომ წვრთნა გამეგრძელებინა, არ დამენდო. ეს ჩემი მოვალეობაა, ამბობდა. მართალიც იყო. ვერაფრით ვიმეტებდი ფიზიკური ტკივილისთვის, თუმცა, ბევრნაირ ტკივილს ვაზიარე - სიღატაკეს, შიმშილს, შიშს. ასეც უნდა მექნა, ჯონას. ეს ჩემი საქმე იყო. ის ხომ აირჩიეს, - გამღებმა ბიჭს ვედრებით შეხედა. ჯონასმა ხელზე ხელი გადაუსვა.

- ბოლოს, ერთ ნაშუადღევს, იმ დღის კურსი დავამთავრეთ. მძიმე სეანსი იყო. ვცადე, რამე ბედნიერით და ხალისიანით დამემთავრებინა, როგორც შენთან ვიქცევი ხოლმე. მაგრამ მას აღარ ეცინებოდა. ის ჩუმად წამოდგა, წარბშეჭმუხნილი, თითქოს გადაწყვეტილებას იღებსო. მერე მომიახლოვდა, მკლავები მომხვია და მაკოცა.

ჯონასმა დაინახა, როგორ მოითათუნა ლოყაზე ხელი, თითქოს გამღებმა როზმარის ათი წლის წინანდელი კოცნა გაიხსენა.

- იმ დღეს წავიდა აქედან, ამ ოთახიდან. წავიდა არა თავის საბინადროში, არამედ, როგორც სპიკერმა მაუწყა, მთავარ უხუცესთან და, გამიშვითო, სთხოვა.

- მაგრამ ეს წესებს ეწინააღმდეგება! წვრთნაში მყოფი მიმღები ვერ მოითხოვს გაშ...

- ეს შენს წესებშია, ჯონას, მის წესებში არ იყო. მან მოითხოვა გაშვება და იმათაც ამის უფლება უნდა მიეცათ. მას შემდეგ აღარ მინახავს.

აი, რა ყოფილა მარცხიო, გაიფიქრა ჯონასმა. ამან, რა თქმა უნდა, გამღები დაამწუხრა, მაგრამ, ბიჭს ყველაფერი მაინცდამაინც საშინელებად არ მოსჩვენებია. თვითონ არასდროს ჩაიდენდა ამას, არასდროს მოითხოვდა გაშვებას, როგორც უნდა დამძიმებულიყო მისი წვრთნა. გამღებს სჭირდებოდა მემკვიდრე, მემკვიდრედ კი ჯონასი აირჩიეს.

ერთი აზრი მოუვიდა. როზმარი ძალიან ადრე გაუშვეს. რა მოხდებოდა, ჯონასსაც რომ რამე დამართოდა? ის ხომ უკვე მთელი წელია, ახალ-ახალ მოგონებებს ეზიარება.

- გამღებო, მე ვერ მოვითხოვ გაშვებას, ვიცი. მაგრამ რამე რომ მოხდეს? უბედური შემთხვევა? მდინარეში რომ ჩავვარდე იმ ოთხიანივით... კალებივით? არა, ეს შედარება არ გამოდგება, მე კარგად ვცურავ, მაგრამ რომ არ მცოდნოდა ცურვა და მდინარეში ჩავვარდნილიყავი? ახალი მიმღები აღარ იქნება, თქვენ კი უკვე ამდენი მნიშვნელოვანი ხსოვნა გადმომეცით. და რომც აირჩიონ ახალი მიმღები, ხსოვნები აღარ იარსებებს, გარდა იმ ფრაგმენტებისა, რაც მათგან დაგრჩათ? მერე რა მოხდება, თუ...

უცებ ჯონასს სიცილი აუტყდა.

- ჩემი დასავით ვლაპარაკობ! - თქვა მხიარულად.

გამღებმა სერიოზულად შეხედა:

- მდინარეს მოერიდე, მეგობარო. რამდენიმეკვირიანი წვრთნის შემდეგ თემმა როზმარი დაკარგა და ეს მისთვის უბედურება იყო. არ ვიცი, რას იზამენ, შენც რომ გაუჩინარდე.

- რატომ იყო უბედურება?

- ვფიქრობ, ერთხელ გიხსენე, - შეახსენა გამღებმა, - რომ როცა გოგონა წავიდა, ადამიანებს ხსოვნები დაუბრუნდათ. მდინარემ რომც წაგიღოს, ჯონას, შენს ხსოვნებს მაინც ვერ წაიღებ.

ხსოვნები სამუდამოა. როზმარის მხოლოდ ხუთი კვირის ხსოვნები ჰქონდა, ძირითადად - სასიამოვნო. თუმცა, იყო რამდენიმე საშინელი ხსოვნაც, რომლებმაც იგი დათრგუნა. მისი წასვლის შემდეგ კი ყველა ამ გრძნობამ ერთხანს თემიც მძიმე მდგომარეობაში ჩააგდო - მათ ხომ არასდროს განეცადათ მსგავსი რამ. მე კი მისი დაკარგვით და ჩემი მარცხით ისეთი განადგურებული ვიყავი, არც კი მიცდია მათი დახმარება. პირიქით, ვბრაზობდი.

გამღები წუთით დადუმდა, ფიქრმა წაიღო.

- იცი, - თქვა შემდეგ, - შენ რომ დაგკარგონ, ისევ დაუბრუნდებათ ყველა ის ხსოვნა.

ჯონასი დაიმანჭა:

- ვერ გაუძლებენ!

- უდავოდ. და არც კი ეცოდინებათ, როგორ გაუმკლავდნენ.

- მე ამას თქვენი წყალობით ვუმკლავდები, თქვენ მეხმარებით ყველაფრის გაძლებაში, - ოხვრას ამოაყოლა ჯონასმა.

გამღებმა კვერი დაუკრა.

- ვფიქრობ, მე შემეძლო...

- რა შეგეძლოთ?

გამღები ისევ ფიქრებში ჩაიძირა. მერე თქვა:

- მდინარეს რომ გაჰყოლოდი, ვფიქრობ, ისევე დავეხმარებოდი მთელ თემს, როგორც შენ დაგეხმარე. ეს საინტერესო აზრია. კიდევ უნდა ვიფიქრო. იქნებ ოდესმე ისევ ვისაუბროთ ამაზე. თუმცა, არა ახლა. მიხარია, რომ კარგი მოცურავე ხარ, ჯონას. მაგრამ მდინარეს მაინც მოერიდე, - ჩაიცინა, თუმცა, ეს არ იყო უდარდელი სიცილი. ფიქრებით თითქოს სხვაგან იყო,თვალებში კი დიდი წუხილი ედგა.

ჯონასმა საათს შეხედა. ყოველთვის იმდენი საქმე იყო გასაკეთებელი, რომ ის და მიმღები იშვიათად იცლიდნენ დასაჯდომად და სალაპარაკოდ.

- მაპატიეთ, რომ ჩემი შეკითხვებით ამდენი დრო დავკარგეთ, - თქვა ჯონასმა, - მაინტერესებდა გაშვების ამბავი, რადგან დღეს მამაჩემი ახალბავშვს უშვებს. ტყუპისცალს. ერთი უნდა აირჩიოს, მეორე გაუშვას. ამას, თურმე, წონით საზღვრავენ.

ჯონასმა საათს შეხედა:

- მე მგონი, უკვე დამთავრდა კიდეც. დღეს დილით უნდა გაეშვათ.

გამღების სახეს მწუხარება დაეტყო:

- ვისურვებდი, ეს არ ექნათ.

- ვერ ეყოლებათ ორი ერთნაირი ადამიანი! ხომ წარმოგიდგენიათ, თავგზა როგორ აებნევათ! - ჩაიფხუკუნა ჯონასმა.

- ნეტავ დამასწრო ამას, - დაამატა ცოტა ხნის შემდეგ. - კარგი იქნებოდა მამის ჩატარებულ პროცედურაზე დასწრება, პატარა ტყუპისცალის გასუფთავება და გახვევა. ჯონასის მამა ხომ ასეთი თბილი ადამიანი იყო,

- შეგიძლია დაესწრო, - უთხრა გამღებმა.

- არა, - უპასუხა ჯონასმა, - ბავშვებს ამას არასოდეს აყურებინებენ.

- ჯონას, ვიცი, რომ დიდი გულდასმით წაიკითხე შენი საწვრთნელი ინსტრუქცია. ნუთუ არ გახსოვს, რომ ყველასთვის ყველაფრის კითხვის უფლება გაქვს?

- მახსოვს, მაგრამ...

- როდესაც ჩვენს საქმეს მოვრჩებით, ჯონას, შენ ახალი მიმღები იქნები. შეგიძლია წაიკითხო წიგნები, გქონდეს ხსოვნები.

ყველაფერზე მიგიწვდება ხელი. ეს შენი წვრთნის ნაწილია. თუ გსურს, გაშვებას დაესწრო, უნდა მოითხოვო.

ჯონასმა მხრები აიჩეჩა:

- ჰო, შეიძლება ეგრეც მოვიქცე. მაგრამ ამჯერად უკვე დაგვიანებულია. დარწმუნებული ვარ, ის ტყუპისცალი დღეს დილით გაუშვეს.

და მაშინ გამღებმა უთხრა ის, რაც ჯონასმა არ იცოდა:

- ყველა კერძო ცერემონია იწერება და დახურული ჩანაწერების დარბაზში ინახება. ხომ არ გინდა, ამ დილის გაშვება ნახო?

ჯონასი შეყოყმანდა. ეშინოდა, მამა არ მომიწონებსო.

- მე მგონი, უნდა ნახო, - უთხრა გამღებმა მტკიცედ.

- კარგი. მითხარით, ეს როგორ ვქნა.

გამღები წამოდგა, სპიკერთან მივიდა და ჩამრთველი გადასწია.

დაუყოვნებლივ გაისმა ხმა:

- დიახ, მიმღებო. რითი დაგეხმაროთ?

- მსურს, ვნახო ამდილანდელი ტყუპისცალის გაშვება.

- ახლავე, მიმღებო. მადლობა მითითებებისთვის.

ჯონასი ვიდეოეკრანს უყურებდა. ცარიელ ეკრანზე ჯერ კლაკნილი ხაზები აციმციმდა, მერე ციფრები გამოჩნდა, რასაც მოჰყვა თარიღი და დრო. ჯონასი გაოგნებული და გახარებული იყო, რომ ეს მისთვის ხელმისაწვდომი აღმოჩნდა, და გაკვირვებულიც, რომ აქამდე არ იცოდა.

უცებ დაინახა პატარა, უფანჯრო, ცარიელი ოთახი, სადაც საწოლი და მაგიდა იდგა. მაგიდაზე ჯონასმა რაღაც მოწყობილობა შენიშნა (რომელშიც სასწორი ამოიცნო. ის უწინაც ენახა, აღმზრდელობით ცენტრში მოხალისედ მუშაობისას). იქვე იყო კარადაც. იატაკზე ღია ფერის ხალიჩა ეგო.

- ჩვეულებრივი ოთახია, - თქვა მან, - მეგონა, ცერემონიას აუდიტორიაში ჩაატარებდნენ, რომ ყველას შესძლებოდა დასწრება. ყველა მოხუცი მიდის გაშვების ცერემონიაზე. მაგრამ, როგორც ჩანს, როდესაც ახალშობილს უშვებენ, ისინი არ...

- ჩუუ! - თქვა გამღებმა, რომელიც ეკრანს თვალს არ აცილებდა.

ოთახში შემოვიდა ჯონასის მამა, რომელსაც აღმზრდელის უნიფორმა ეცვა და ხელში რბილ ზეწარში გახვეული პაწია ახალბავშვი ეჭირა. შემოჰყვა უნიფორმიანი ქალი, რომელსაც ისეთივე ზეწარში გახვეული მეორე ახალბავშვი მოჰყავდა.

- ეს მამაჩემია, - მოესმა ჯონასს საკუთარი ჩურჩული, თითქოს ფრთხილობდა, ხმამაღლა ლაპარაკით პატარები არ გავაღვიძოო, - მეორე აღმზრდელი მისი ასისტენტია: ჯერ ისევ იწვრთნება, მაგრამ მალე დაამთავრებს.

ორმა აღმზრდელმა პატარებს ზეწრები შემოაცალა და ორი ერთნაირი ახალშობილი საწოლზე დააწვინა. ჯონასმა დაინახა, რომ ისინი მამრები იყვნენ.

აღტაცებული უყურებდა, როგორ აიყვანა მამამ სათითაოდ და სასწორზე დააწვინა. გაიგონა მამის სიცილი.

- კარგია, - უთხრა მან თავის ასისტენტს, - ვიფიქრე, ორივე ზუსტად ერთი წონისა არ იყოს-მეთქი. მაშინ კი გაგვიჩნდებოდა პრობლემა, მაგრამ ეს ჩვილი ზუსტად ექვსი გირვანქაა, თქვა, როცა ისევ გაახვია და ასისტენტს გადასცა, - ასე რომ, შეგიძლია დაბანო, ჩააცვა და ცენტრში აიყვანო.

ქალმა ახალბავშვი აიყვანა და იმავე კარიდან გავიდა, საიდანაც შემოვიდა.

ჯონასი თვალს ადევნებდა, როგორ დაიხარა მამა ახალბავშვზე, საწოლზე რომ იკლაკნებოდა, და უთხრა:

- შენ კი, ბიჭუნა, მხოლოდ ხუთი გირვანქა და ათი უნცია ხარ. ცეროდენა!..

- ასეთი ხმით გეიბრიელს ელაპარაკება ხოლმე, - ღიმილით შენიშნა ჯონასმა.

- უყურე, - უთხრა გამღებმა.

- ახლა დაბანს და მოასვენებს, თქვა ჯონასმა, - თვითონ მითხრა.

- ჩუმად იყავი, ჯონას, - უბრძანა გამღებმა უცნაური ხმით, - უყურე.

ჯონასიც მორჩილად მიაჩერდა ეკრანს იმის მოლოდინში, რა მოხდებოდა. ცერემონიის ეს ნაწილი განსაკუთრებით აინტერესებდა.

მამა შებრუნდა, ბუფეტი გააღო და იქიდან შპრიცი და პატარა ბოთლი გამოიღო. ნემსი ძალიან ფრთხილად შეიყვანა ბოთლში და შპრიცი გამჭვირვალე სითხით გაავსო.

ჯონასი შეკრთა. აღარ ახსოვდა, რომ ახალბავშვებს ნემსებს უკეთებდნენ. თვითონ ვერ იტანდა ამას, თუმცა, იცოდა, რომ ეს აუცილებელი იყო.

მისდა გასაკვირად, მამამ ნემსი ახალბავშვის შუბლის ზედა ნაწილისკენ წაიღო და იქ უჩხვლიტა, სადაც მყიფე კანი პულსირებდა. ახალბავშვი იკლაკნებოდა და ყრუდ კვნესოდა.

- რატომ...

- ჩუუ! - შეაწყვეტინა გამღებმა.

მამამისი ლაპარაკობდა და ჯონასი მიხვდა, რომ ესმოდა პასუხი შეკითხვაზე, რომლის დასმაც წუთის წინ დააპირა. მამა ისევ განსაკუთრებული ხმით ლაპარაკობდა:

- ვიცი, ვიცი, ეს მტკივნეულია, ბიჭუნავ. მაგრამ ვენაში უნდა შევიდე, მკლავის ვენები კი ჯერ მეტისმეტად პაწაწკინტელა გაქვს..

შპრიცის ტარს ძალიან ნელა აწვებოდა, სანამ ის მთლიანად არ დაიცალა.

- მორჩა. არც ისე მტკივნეული იყო, არა? - გაიგონა ჯონასმა მამის ხალისიანი ხმა. მერე მამა მიბრუნდა და შპრიცი დიდ კოლოფში ჩააგდო.

- ახლა დაბანს და მოასვენებს, - უთხრა ჯონასმა თავის თავს, რაკი იცოდა, რომ გამღებს ამ პატარა ცერემონიის დროს ლაპარაკი არ სურდა.

ჯონასი უყურებდა. ახალბავშვი აღარ ტიროდა, მხოლოდ ხელ-ფეხს კრუნჩხავდა. მერე მოდუნდა, თავი გვერდზე გადაუვარდა, თვალები ნახევრად ღია დარჩა და აღარ განძრეულა.

გაოგნებულ ჯონასს ეცნო ჟესტები, პოზა, გამომეტყველება. ეს ყველაფერი ნანახი ჰქონდა, თუმცა, ვერ იხსენებდა - სად.

ჯონასი ეკრანს მისჩერებოდა, ელოდა, რომ რაღაც მოხდებოდა, მაგრამ აღარაფერი მომხდარა. პატარა გაუნძრევლად იწვა. მამა ნივთებს ალაგებდა, ზეწარს კეცავდა, კარადას ხურავდა.

ახლაც, როგორც სათამაშო მინდორზე, ჯონასს სუნთქვა შეეკრა. კიდევ ერთხელ დაინახა ქერათმიანი, გასისხლიანებული ჯარისკაცის სახე, როდესაც მის თვალებში სიცოცხლე ჩაქრა. ხსოვნა დაბრუნდა.

- მან ის მოკლა! მამაჩემმა ის მოკლა! - უთხრა ჯონასმა თავის თავს, დარეტიანებულმა იმით, რაც გააცნობიერა. იჯდა და დამუნჯებული მიშტერებოდა ეკრანს.

მამამისმა ოთახი დაალაგა. მერე იატაკიდან მუყაოს პატარა ყუთი აიღო, საწოლზე გადმოდო, მოდუნებული სხეული შიგ მოათავსა და სახურავი მჭიდროდ დაახურა.

მერე ყუთი ოთახის მეორე მხარეს წაიღო და გამოაღო კედელში გამოჭრილი პატარა კარი, რომლის მიღმა სიბნელე მოჩანდა. იმ ღარს ჰგავდა, რომელშიც სკოლაში ნარჩენებს ყრიდნენ ხოლმე. მამამ ყუთი ღარში ჩადო და ხელი ჰკრა.

- ნახვამდის, ბიჭუნა, - გაისმა მამას ნათქვამი, სანამ ოთახიდან გავიდოდა. მერე ეკრანი გათეთრდა.

გამღები ჯონასს მოუბრუნდა და სრულიად მშვიდად უთხრა:

- როცა სპიკერმა მითხრა, როზმარიმ გაშვება ითხოვაო, ჩამირთეს ფირი, რომ ჩემთვის ეს პროცესი ეჩვენებინათ. ის იქ იყო - უკანასკნელად მოვკარი თვალი მშვენიერ ბავშვს - და ელოდა. მათ შპრიცი შემოიტანეს და სახელოს აწევა სთხოვეს. შენ თქვი, ჯონას, რომ მას შეიძლება გამბედაობა აკლდა. არ ვიცი, რა არის გამბედაობა, რას ნიშნავს ეს სიტყვა. მხოლოდ ის ვიცი, რომ ვიჯექი ამ საშინელებით ენაჩავარდნილი, საკუთარი უმწეობით დაბეჩავებული და ვუსმენდი, როგორ უთხრა როზმარიმ, მე თვითონ გავიკეთებო. და ასეც მოიქცა. მე არ მიყურებია. განზე გავიხედე.

გამღებმა თვალებში შეხედა:

- ესეც ასე, ჯონას, შენ ხომ გაინტერესებდა, რა არის გაშვება, - უთხრა მწარედ.

ჯონასს თითქოს სხეული ეფლითებოდა. საშინელი ტკივილი შიგნიდან ბრჭყალებით იკვალავდა გზას, რათა ცრემლებად გადმომსკდარიყო.

20

- არ დავბრუნდები შინ! არ დავბრუნდები! ვერ მაიძულებთ! - ჯონასი ქვითინებდა, ყვიროდა და საწოლს მუშტებს ურტყამდა.

- წამოჯექი, ჯონას! - მტკიცედ უთხრა გამღებმა. აქვითინებულ-აცახცახებული ბიჭი საწოლის კიდეზე ჩამოჯდა. მოხუცს თვალს არიდებდა.

- შეგიძლია ამაღამ აქ დარჩე. მინდა, გელაპარაკო. ახლა კი მშვიდად იჯექი, სანამ შენს ოჯახურ ერთეულს გავაფრთხილებ. არავინ არ უნდა გაიგონოს შენი ტირილი.

ჯონასმა მრისხანედ ამოხედა:

- არც იმ პაწია ტყუპისცალის ტირილი გაუგონია ვინმეს! არავის, მამაჩემის გარდა! - და ისევ აქვითინდა.

გამღები ჩუმად იცდიდა. ბოლოს ჯონასმა შეძლო დაშოშმინება. მოკუნტული იჯდა და მხრები უცახცახებდა.

გამღები სპიკერთან მივიდა და ჩართო.

- დიახ, მიმღებო, რითი დაგეხმაროთ?

- გააფრთხილეთ ახალი მიმღების ოჯახური ერთეული, რომ ამაღამ ჩემთან დარჩება დამატებითი წვრთნისთვის.

- დიახ, სერ. გმადლობთ ინსტრუქციებისთვის, - წარმოთქვა ხმამ.

- დიახ, სერ! დიახ, სერ! - გამოაჯავრა ჯონასმა ამ სასტიკ ხმას, - რასაც გსურთ, იმას გავაკეთებ, სერ! ადამიანებს დავხოცავ, სერ! მოხუცებს? პაწია ახალშობილებს? ბედნიერი ვიქნები მათი დახოცვით, სერ! მადლობა თქვენი ინსტრუქციებისთვის, სერ! რითი დაგეხმაროთ! - ბიჭი ვეღარ ჩერდებოდა.

გამღებმა მხრებში ხელი მოჰკიდა და შეანჯღრია. ჯონასი გაჩუმდა და სახეში მიაჩერდა.

- მისმინე, ჯონას: ისინი ვერაფერს გააწყობენ, მათ არაფერი იციან.

- ეგ უკვე მითხარით ერთხელ.

- იმიტომ გითხარი, რომ სიმართლეა. ისინი ასე ცხოვრობენ. ესაა ცხოვრება, რომელიც მათთვის შეიქმნა. იგივე ცხოვრება გექნებოდა შენც, ჩემს მემკვიდრედ რომ არ აერჩიე.

- მაგრამ მან მომატყუა! - ისევ აქვითინდა ჯონასი.

- მას ამის გაკეთება დაავალეს. სხვა არაფერი იცის.

- თქვენ? თქვენც მატყუებთ? - თითქოს მიაფურთხა ეს კითხვა გამღებს.

- მე უფლება მაქვს, ვიცრუო, მაგრამ არასოდეს მომიტყუებიხარ.

ჯონასი თვალს არ აშორებდა.

- მუდამ ასეთია გაშვება? იმათთვის, ვინც წესებს სამჯერ დაარღვევს? მოხუცებისთვის? მოხუცებსაც ხოცავენ?

- ჰო, ეგრეა.

- ფიონა? მას უყვარს მოხუცები! ახლა წვრთნას გადის, მათ მოვლას სწავლობს. ნეტავ, უკვე იცის ეს ამბავი? რას იზამს, თუ შეიტყობს? როგორ მოიქცევა? - ჯონასმა სველი სახე ხელის ზურგით ჩამოიწმინდა.

- ფიონა უკვე იწვრთნება გაშვების ხელოვნებაში, - უთხრა გამღებმა, - შენი წითურთმიანი მეგობარი ყველაფერს ძალიან კარგად ეუფლება. გრძნობები იმ ცხოვრების ნაწილი არ არის, რომელსაც ის სწავლობს.

ჯონასმა მკლავები მხრებზე შემოიჭდო და რწევა დაიწყო:

- რა უნდა ვქნა? შინ ვერ დავბრუნდები! ვერ დავბრუნდები!

გამღები წამოდგა.

ჯერ ვახშამს შევუკვეთ. მერე ვივახშმებთ.

ჯონასში ისევ სარკაზმი ამეტყველდა:

- მერე კი გრძნობებს გავუზიარებთ ერთმანეთს,არა?!

გამღებმა სევდიანად გაიღიმა:

- ჯონას, აქ მხოლოდ მე და შენ გვაქვს გრძნობები და უკვე თითქმის წელიწადია, ვუზიარებთ ერთმანეთს.

- მაპატიეთ, გამღებო, - საცოდავად მოიბოდიშა ჯონასმა, - სულაც არ მინდა, ასეთი გაბრაზებული ვიყო. თქვენდამი მაინც.

მოხუცმა მოხრილ მხრებზე ხელი მოუთათუნა:

- ნავახშმევს გეგმას შევადგენთ.

ჯონასი საგონებელში ჩავარდნილი მიაჩერდა:

- რის გეგმას? ვერაფერს, ვერაფერს გავაწყობთ. ეს ყოველთვის ასე იყო: ჩემამდე, თქვენამდე, იმ ადამიანებამდე, ვინც თქვენამდე იყვნენ. უწინ და უწინ და უწინ, - გაიმეორა ნაცნობი ფრაზა.

- ჯონას, - უთხრა გამღებმა ცოტა ხნის შემდეგ, - მართლაც, თითქოს იმთავითვე ასე იყო, მაგრამ ხსოვნები გვეუბნება, რომ ყოველთვის ასე არ იყო. ოდესღაც ადამიანები ყველაფერს გრძნობდნენ. მე და შენ ვეზიარეთ ამას და ამიტომაც ვიცით. ვიცით, რომ ოდესღაც ადამიანები გრძნობდნენ სიამაყეს, მწუხარებას და...

- სიყვარულს, - დაუმატა ჯონასმა, რომელსაც გაახსენდა ოჯახური სცენა, ასე რომ იმოქმედა მასზე, - და ტკივილს, - ამჯერად ისევ ჯარისკაცზე ფიქრობდა.

- მოგონებებში ყველაზე გაუსაძლისი ტკივილი კი არ არის, არამედ სიმარტოვე. ყველა მოგონება ვიღაცას უნდა გაუზიარო.

- თქვენ უკვე დაიწყეთ მათი გაზიარება ჩემთვის, - თქვა ჯონასმა მოხუცის გასამხნევებლად.

- მართალია. და ამ ერთი წლის განმავლობაში შენმა აქ ყოფნამ მიმახვედრა, რომ სიტუაცია უნდა შეიცვალოს. კარგა ხანია, ვგრძნობ, რომ ეს საჭიროა, მაგრამ აქამდე მეგონა, ეს შეუძლებელი იყო, ახლა კი, პირველად ჩემს ცხოვრებაში, ვფიქრობ, რომ შეიძლება არსებობს გამოსავალი, -მდინჯად წარმოთქვა გამღებმა, - და შენ ეს დამანახე ასე... - მან საათს გახედა, - ორიოდე საათის წინ.

ჯონასი უყურებდა და უსმენდა.

***

უკვე გვიანი იყო. ისინი ისევ საუბრობდნენ. ჯონასი გამღების მანტიაში გახვეული იჯდა, გრძელ მანტიაში, რომელსაც მხოლოდ უხუცესები ატარებდნენ.

რაც მათ დაგეგმეს, შესაძლებელი ჩანდა, მაგრამ განუხორციელებელი. თუ ჩანაფიქრი არ გაამართლებდა, ჯონასს, ალბათ, მოკლავდნენ.

მერე, რა? თუ ყველაფერი ისევ ასე დარჩებოდა, სიცოცხლე მაინც აღარაფრად უღირდა.

- ჰო, - უთხრა გამღებს, - ასე მოვიქცევი. ვფიქრობ, გავუმკლავდები. ვეცდები მაინც. ოღონდ მინდა, თქვენც წამომყვეთ.

გამღებმა თავი გააქნია:

- ჯონას, თემი ყველა თავისი თაობით, უწინ და უწინ და უწინ, დამოკიდებული იყო მიმღებზე, როგორც მათი ხსოვნების საცავზე. ამ ერთი წლის განმავლობაში ბევრი ასეთი ხსოვნა გადმოგეცი და უკან ვეღარ დავიბრუნებ. ხსოვნების გადაცემის შემდეგ მათი უკან მიღების გზა აღარ არსებობს. ასე რომ, თუ გაიქცევი, შენ იცი, რომ ვეღარასოდეს დაბრუნდები უკან...

ჯონასმა პირქუშად დაუქნია თავი. ეს თავზარდამცემი იყო.

- ჰო, ვიცი. მაგრამ თუ თქვენც წამოხვიდოდით...

გამღებმა თავი გააქნია, ხელით ანიშნა, გაჩუმდიო და განაგრძო:

- თუ წახვალ, თუ გააღწევ აქედან, თუ სხვაგან აღმოჩნდები, ეს ნიშნავს, რომ თემმა თვითონ უნდა იტვირთოს ხსოვნები, რომელთაც შენ მათ ნაცვლად ინახავდი. ვფიქრობ, მათ ამის უნარი შესწევთ და საჭირო სიბრძნესაც მოიხვეჭენ, თუმცაღა ძალიან გაუჭირდებათ. ათი წლის წინ, როცა როზმარი დავკარგეთ და მისი ხსოვნები ადამიანებს დაუბრუნდათ, ისინი შიშმა შეიპყრო. არადა, რა ცოტა იყო როზმარის ხსოვნები შენს ხსოვნებთან შედარებით. როდესაც შენი ხსოვნები დაბრუნდება, მათ დახმარება დასჭირდებათ. თუ გახსოვს, როგორ გეხმარებოდი დასაწყისში, როცა ხსოვნების მიღებას იწყებდი?

ჯონასმა თავი დააქნია:

- თავიდან შემაძრწუნებელი იყო. და ძალიან მტკივნეულიც.

- მაშინ შენ დაგჭირდი. ახლა მათ დავჭირდები.

- არაფერია. იპოვიან ვინმეს, ვინც შემცვლის. ახალ მიმღებს აირჩევენ.

- არავინ არის მზად ამ წვრთნისთვის, ყოველ შემთხვევაში - ახლა. შერჩევას კი დააჩქარებენ, მაგრამ არ მეგულება სხვა ბავშვი, რომელსაც საჭირო თვისებები ჰქონდეს...

- არის პატარა მდედრი, ნათელი თვალებით, მაგრამ ის ჯერ ექვსიანია.

- ჰო, ეგრეა. ვიცი, ვის გულისხმობ. მას კატარინა ჰქვია. მაგრამ მეტისმეტად ნორჩია. ამიტომაც ისინი იძულებული იქნებიან, თავად იტვირთონ ხსოვნები.

- მსურს, წამომყვეთ, გამღებო, - შეეხვეწა ჯონასი.

- არა. მე აქ უნდა დავრჩე, - მტკიცედ თქვა მან, - მინდა დარჩენა. შენ რომ წამოგყვე, ადამიანებს აღარავინ დარჩებათ ისეთი, ვინც დაეხმარებათ, თემი ქაოსში დაინთქმება და განადგურდება. ამიტომაც აქედან ფეხს ვერ მოვიცვლი.

- გამღებო, ჩვენ - თქვენ და მე - დანარჩენებზე ზრუნვა აღარ გვევალება.

მოხუცმა კითხვის გამომხატველი ღიმილით შეხედა. ჯონასმა თავი ჩაჰკიდა. რასაკვირველია, თემს ზრუნვა სჭირდებოდა. საქმეც ეს იყო.

- ასეა თუ ისე, ჯონას, - ამოიოხრა გამღებმა, - მაინც ვერ ვიზამდი მაგას. მე უკვე დავსუსტდი. იცი, რომ ფერებს ვეღარ ვხედავ?

გულდათუთქული ჯონასი გამღებს ხელზე შეეხო.

- შენ ფერები გაქვს, - უთხრა მოხუცმა, - გამბედაობაც. ძალის მოკრებაში მე დაგეხმარები.

- ერთი წლის წინ, - შეახსენა ჯონასმა, - როცა ის იყო, თორმეტი შემისრულდა და პირველ ფერს მოვკარი თვალი, მაშინ მითხარით, რომ თქვენ სხვანაირად დაიწყეთ. ვერ მიგიხვდით.

გამღებს სახე გაუნათდა:

- მართლაც. და იცი თუ არა, ჯონას, რომ შენი ამჟამინდელი ცოდნით, შენი ხსოვნებით, იმ ყველაფრით, რაც აქამდე გისწავ-

ლია, მაინც ვერ გაიგებ ამას? მე ცოტა ვიძუნწე, ეგოისტივით მოვიქეცი და ამ თემაზე შენთვის არაფერი გადმომიცია. მინდოდა, ეს ჩემთვის შემენახა.

- რა შეგენახათ?

- როცა ბიჭი ვიყავი, შენზე უმცროსი ბიჭუნა, ამან ჩემთან მოსვლა დაიწყო. მაგრამ ეს ჩემთვის მიღმა ხედვა არ იყო, არამედ სხვა რაღაც - მიღმა სმენა.

ჯონასმა შუბლი შეჭმუხნა. ცდილობდა გაეაზრებინა.

- რა გესმოდათ?

- მუსიკა, - თქვა გამღებმა ღიმილით, რაღაც ჭეშმარიტად არაჩვეულებრივი მესმოდა და ამას ეწოდება მუსიკა. ცოტას გიწილადებ, სანამ წავალ.

- არა, გამღებო, მინდა ეგ თქვენთვის შეინახოთ, თქვენთან იყოს, როცა მე წავალ.

***

მეორე დილას ჯონასი შინ დაბრუნდა, მშობლებს ხალისიანად მიესალმა და იცრუა, რომ ღამე საინტერესოდ და სასიამოვნოდ გაატარა.

მამამისმა გაიღიმა და ასევე იცრუა, რომ წინა დღე დატვირთული და სასიამოვნო ჰქონდა.

სკოლაში, გაკვეთილებზე, ჯონასი კვლავ თავის განზრახვაზე ფიქრობდა. ყველაფერი ძალიან იოლი ჩანდა. მან და გამღებმა ღამით რამდენჯერმე გაიმეორეს ეს გეგმა.

მომდევნო ორი კვირის განმავლობაში, დეკემბრის ცერემონიის წინ, გამღები ჯონასს გადასცემდა მის მეხსიერებაში დავანებულ სიმამაცისა და ძალმოსილების ყველა ხსოვნას. ჯონასს ეს დასჭირდებოდა, რათა ეპოვა სხვაგან, რომლის არსებობაშიც არც ერთ მათგანს ეჭვი არ ეპარებოდა, თუმცა, ისიც იცოდნენ, რომ ჯონასს ურთულესი მოგზაურობა ელოდა.

შემდეგ, ცერემონიის წინა დღეს, შუაღამით, ჯონასი უჩუმრად გავიდოდა თავისი საბინადროდან. შინიდან გასვლა ღამით, ალბათ, ყველაზე სახიფათო იყო, რადგან დიდი წესის დარღვევა ეკრძალებოდა ყველა მოქალაქეს, ვისაც ოფიციალური სამსახური არ ჰქონდათ.

- შუაღამისას გავალ, - თქვა ჯონასმა, - ამ დროს საკვების შემგროვებლებს ვახშმის ნარჩენები უკვე აკრეფილი ექნებათ, ბილიკების დამცავი გუნდები კი ასე ადრიანად არ გამოდიან. ასე რომ, ვერავინ დამინახავს, თუ, რა თქმა უნდა, სასწრაფო დახმარებიდან არავინ გამოჩნდა.

- არ ვიცი, რა უნდა ქნა, თუ დაგინახავენ, ჯონას, - თქვა გამღებმა, - რასაკვირველია, ყველანაირი გაქცევის ხსოვნებიც არსებობს ჩემში - ადამიანები ყოველთვის გაურბოდნენ საშინელებებს - მაგრამ ყველა შემთხვევა განსაკუთრებულია, ასეთი შემთხვევისა კი მე არაფერი ვიცი,

- ფრთხილად ვიქნები, - მიუგო ჯონასმა, - ვერავინ დამინახავს.

- როგორც წვრთნაში მყოფ მიმღებს, შენ უკვე დიდ პატივს გცემენ. ამიტომაც, ვფიქრობ, ძალიან მკაცრად არავინ გამოგკითხავს, რატომ ხარ ასეთ დროს გარეთ.

- მხოლოდ იმას ვიტყვი, რომ მიმღებისთვის მნიშვნელოვან დავალებას ვასრულებდი. ვიტყვი, რომ ასეთ დროს ჩემი გარეთ ყოფნა თქვენი ბრალია, - გაიხუმრა ჯონასმა.

ორივემ ნერვიულად გაიცინა. მაგრამ ჯონასს ეჭვი არ ეპარებოდა, რომ შეუმჩნევლად გაიპარებოდა შინიდან და ერთ ხელ ტანსაცმელსაც გაიყოლებდა. ჩუმად მიიყვანდა ველოსიპედს მდინარესთან და იქ დატოვებდა, ბუჩქებში, დაკეცილ ტანსაცმელთან ერთად. შემდეგ, ღამის წყვდიადში, ფეხით მივიდოდა ფლიგელამდე.

- ღამით აქ მეთვალყურე არ ზის, - აუხსნა გამღებმა, - კარს ღიას დავტოვებ და შემოიპარები.

გაღვიძებული მშობლები ჯონასის არყოფნას შეამჩნევენ. შემდეგ მის საწოლზე იპოვიან ხალისიან ბარათს, რომელშიც ეწერება, დილაადრიანად ველოსიპედით გავისეირნე მდინარის პირას და ცერემონიისთვის დავბრუნდებიო. მშობლებს ეს არ მოეწონებათ, თუმცა, არ იღელვებენ, წინდაუხედაობად ჩაუთვლიან და მოგვიანებით დასჯას დაუპირებენ. მერე და მერე, ჯონასი რომ არ გამოჩნდება, გაბრაზდებიან, ბოლოს კი ლილისთან ერთად წავლენ ცერემონიაზე.

- არავის არაფერს ეტყვიან, - თქვა ჯონასმა დარწმუნებით, - სხვების ყურადღებას არ მიიქცევენ. თუ ჩემი უწესობა გამჟღავნდება, მათ ხომ ცუდ მშობლებად ჩათვლიან. ესეც რომ არა, ყველა ისეა ხოლმე ჩართული ცერემონიაში, რომ ალბათ, ვერც კი შენიშნავენ ჩემს არყოფნას. ახლა, რაკი თორმეტიანი ვარ და ვიწვრთნები, აღარ მევალება ჩემს ასაკობრივ ჯგუფთან ჯდომა. აშერი იფიქრებს, რომ მშობლებთან ვარ, ან თქვენთან...

- შენი მშობლები იფიქრებენ, რომ აშერთან ხარ, ან ჩემთან...

ჯონასმა მხრები აიჩეჩა:

- ყველას დრო დასჭირდება მისახვედრად, რომ აქ აღარ ვარ.

- და იმ დროს მეც და შენც უკვე კარგა ხნის დამდგარნი ვიქნებით ჩვენს გზაზე.

დილაადრიან გამღები სპიკერს მანქანასა და მძღოლს მოსთხოვდა. ხშირად სტუმრობდა ხოლმე სხვა თემებს, ხვდებოდა მათ უხუცესებს. მისი უფლებამოსილება ახლომახლო ყველა თემში ვრცელდებოდა, ამიტომ ეს უჩვეულო არ იქნებოდა.

გამღები არასოდეს ესწრებოდა დეკემბრის ცერემონიას. მხოლოდ შარშან დაესწრო, რადგან ჯონასს ირჩევდნენ. საერთოდ

კი, ის თემისგან განცალკევებით ცხოვრობდა. არავინ არაფერს იტყოდა მის არყოფნაზე ან იმაზე, რომ სწორედ ეს დღე ამოარჩია სხვაგან გასამგზავრებლად.

როცა მანქანა მოვიდოდა, გამღები მძღოლს რამე უმნიშვნელო დავალების შესასრულებლად გაგზავნიდა, მის მოსვლამდე კი ჯონასი, გამღების დახმარებით, მანქანის საბარგულში დაიმალებოდა. თან ექნებოდა ფუთაში გახვეული საკვები, რომელსაც გამღები თავისი ბოლო ორი კვირის საზრდოდან შეუნახავდა.

როდესაც ცერემონია დაიწყებოდა, გამღები და ჯონასი უკვე თავიანთ გზაზე იქნებოდნენ.

შუადღისთვის ჯონასის არყოფნას შენიშნავდნენ და აწრიალდებოდნენ. ცერემონია არ შეწყდებოდა, ასეთი რამ წარმოუდგენელია, მაგრამ მძებნელებს მაინც გაუშვებდნენ.

როცა ჯონასის ველოსიპედსა და ტანსაცმელს იპოვიდნენ, გამღები უკვე უკანა გზაზე იქნებოდა, ჯონასი - სხვაგან მიმავალ გზაზე.

დაბრუნებულ გამღებს თემი თავგზააბნეული დახვდებოდა. რაკი ასეთ მდგომარეობაში უწინ არასდროს ყოფილა, ნუგეშის, სიბრძნის, ხსოვნების გარეშე დარჩენილ თემს არ ეცოდინებოდა, როგორ მოქცეულიყო და გამღების რჩევა დასჭირდებოდა.

იგი მივიდოდა აუდიტორიაში, სადაც ჯერ კიდევ იქნებოდა ხალხი, ავიდოდა სცენაზე და მათ ყურადღებას მოითხოვდა. შემდეგ გამოაცხადებდა, რომ ჯონასი მდინარეში დაიხრჩო, და დაუყოვნებლივ დაიწყებდა დანაკარგის ცერემონიას.

- ჯონას, ჯონას, - ხმამაღლა იტყოდნენ ისინი, როგორც ოდესღაც წარმოთქვამდნენ კალების სახელს. სიმღერას გამღები უხელმძღვანელებდა. ისინი ერთობლივად ეცდებოდნენ, თავიანთი ცნობიერებიდან ნელ-ნელა განედევნათ ჯონასი, ხმაშეწყობილად გაიმეორებდნენ მის სახელს - უფრო და უფრო ჩუმად, უფრო

და უფრო მშვიდად, სანამ ის მათი არსებიდან სრულად არ ამოიშლებოდა, დღის ბოლოს კი სამუდამოდ გაქრებოდა და მას აღარასოდეს არავინ ახსენებდა.

და სწორედ მაშინ თემი მოგონებების პირისპირ აღმოჩნდებოდა, გამღები კი მათ ამ მოგონებების მიღებაში დაეხმარებოდა.

***

- ჰო, მესმის, მათ ნამდვილად დასჭირდებით, - უთხრა ჯონასმა ხანგრძლივი მსჯელობის ბოლოს, - მაგრამ მეც ხომ დამჭირდებით. წამოდით, რა!

თუმცა, ამ ბოლო თხოვნის პასუხი წინასწარ იცოდა.

- ჩემი საქმე მაშინ დამთავრდება, როცა თემს შეცვლასა და გამთლიანებაში დავეხმარები, - რბილად წარმოთქვა გამღებმა, - მადლობელი ვარ შენი, ჯონას, უშენოდ ვერასოდეს წარმოვიდგენდი, რომ რამის შეცვლა შეიძლებოდა. მაგრამ ამჟამად შენი დანიშნულება გაქცევაა, ჩემი - დარჩენა.

- მაგრამ, გამღებო, ნუთუ თავად არ გინდათ ჩემთან ყოფნა? - ჰკითხა ჯონასმა სევდიანად.

გამღებმა გულში ჩაიკრა:

- მე შენ მიყვარხარ, ჯონას. მაგრამ სხვაგან ვარ წასასვლელი. როცა აქ ყველაფერს დავამთავრებ, ჩემს ქალიშვილთან მინდა წასვლა.

აქამდე ჯონასი ნაღვლიანად დასჩერებოდა იატაკს, ამის გაგონებაზე კი გაოგნებულმა ასწია თავი:

- არ ვიცოდი, რომ ქალიშვილი გყავდათ, გამღებო! თქვენ მითხარით, მეუღლე მყავდაო, მაგრამ არაფერი მსმენია თქვენს გოგონაზე.

მოხუცმა გაიღიმა და თავი დააკანტურა. ერთად ყოფნის ამდენი თვის განმავლობაში ჯონასმა პირველად შენიშნა ამ კაცის სახეზე ბედნიერება.

- მას როზმარი ერქვა, - თქვა გამღებმა.

21

„უნდა გამოვიდეს, უნდა შევძლოთ,“ - ეუბნებოდა ჯონასი თავის თავს მთელი დღის განმავლობაში.

მაგრამ იმ საღამოს ყველაფერი შეიცვალა. გეგმა, რომელიც მათ ასე გამოწვლილვით შეიმუშავეს, ნაწილებად დაიფშვნა და დაიშალა.

***

იმ ღამეს ჯონასი იძულებული გახდა, გაქცეულიყო. კარგად დაღამებულზე, როგორც კი თემი მიყუჩდა, თავისი საბინადროდან გამოვიდა. ეს ძალიან სახიფათო იყო, რადგან მუშების რამდენიმე გუნდი ჯერ კიდევ საქმიანობდა, მაგრამ ჯონასი ჩუმად და ფეხაკრეფით მიიპარებოდა, ჩრდილებს ეფარებოდა. მდინარისკენ გეზაღებულმა, ჩაბნელებულ საბინადროებსა და დაცარიელებულ მოედანს ჩაუარა. მოედნის გადაღმა, ღამის ცის ფონზე, იკვეთებოდა მოხუცთა სახლი, რომლის უკან იყო ფლიგელი. მაგრამ იქ ვერ შეჩერდებოდა, ამის დრო აღარ ჰქონდა. ახლა ყოველი წუთი ძვირფასი იყო, ყოველი წუთი თემისგან უფრო და უფრო შორს წაიყვანდა.

უკვე ხიდზე გადადიოდა. ველოსიპედზე დახრილი ჯონასი გამალებით ატრიალებდა პედლებს. ქვემოთ შავი წყალი მიდგაფუნობდა.

თავისდა გასაკვირად, არც შიშს გრძნობდა, არც სინანულს, რომ თემს შორდებოდა. მხოლოდ უახლოესი მეგობრის მიტოვება ჰგვრიდა სევდას. იცოდა, რომ ახლა ხმა არ უნდა ამოეღო, ამიტომ გონებითა და გულით უხმობდა მას და იმედი ჰქონდა: მიღმა სმენის მისეული უნარით გამღები მიხვდება, რომ დავემშვიდობეო.

***

ყველაფერი საღამო ხანს მოხდა.

ოჯახური ერთეული, ჩვეულებისამებრ, ერთად ვახშმობდა: ლილი ლაქლაქებდა, დედა და მამა განვლილი დღის ამბებს თავიანთ ტრადიციულ კომენტარებს ურთავდნენ (და ცრუობდნენ - ჯონასმა ეს უკვე იცოდა). იქვე, იატაკზე, გეიბრიელი უდარდელად თამაშობდა, ტიტინებდა და დროდადრო მხიარულად გახედავდა ჯონასს, აშკარად გახარებული იმით, რომ იგი შინ იყო და ღამეს სხვაგან აღარ ათევდა.

მამამ ბავშვს დახედა და უთხრა:

- იმხიარულე, ბიჭუნა, ეს შენი აქ ყოფნის ბოლო ღამეა.

- რას გულისხმობ? - ჰკითხა ჯონასმა.

იმედგაცრუებულმა მამამ ამოიოხრა:

- ამ დილას რომ მოხვედი, ხომ გახსოვს, გეიბრიელი აქ არ იყო. წუხელ აღმზრდელობით ცენტრში დავტოვეთ. შენი არყოფნა ცდის ჩატარების კარგ შესაძლებლობად მივიჩნიეთ. ბოლო ხანს ხომ ძალიან კარგად ეძინა ხოლმე.

- ცდამ ცუდად ჩაიარა? - თანაგრძნობით ჰკითხა დედამ.

მამამ ნაღვლიანად გაიღიმა:

- უფრო უარესი - უბედურება მოხდა. მთელ ღამეს ტიროდა. ღამის გუნდმა ვერაფერი მოუხერხა. ილაჯგაწყვეტილები დამხვდნენ, როცა მივედი.

- გეიბ, შე საძაგელო! - დაუცაცხანა ლილიმ მოღიმარ ბავშვს.

- სხვა გზა არ იყო და გადაწყვეტილება მივიღეთ, - თქვა მამამ, - დღევანდელ თათბირზე მეც კი მივეცი ხმა გეიბრიელის გაშვებას.

ჯონასმა ჩანგალი დადო და მამას მიაჩერდა:

- გაშვებას?

მან კვერი დაუკრა:

- ჩვენ რაც შეგვეძლო, ხომ ყველაფერი გავაკეთეთ?

- ჰო, ნამდვილად, - მტკიცედ დაუდასტურა დედამ.

ლილიმაც თავი დააქნია თანხმობის ნიშნად.

ჯონასმა თავს ძალა დაატანა, რომ აუღელვებლად ეკითხა:

- როდის? როდის გაუშვებენ?

- ხვალინდელ დილას მაგით დავიწყებთ. მომზადება გვმართებს სახელდების ცერემონიისთვის და, ვიფიქრეთ, ჯერ ამაზე გვეზრუნა. ხვალ დაგემშვიდობებით, გეიბ! - წარმოთქვა მამამ თავისი ტკბილი, წამღერებული ხმით.

***

ჯონასი მდინარის მეორე მხარეს გადავიდა, წამით შეჩერდა და უკან მოიხედა. თემს, რომელშიც მთელი ცხოვრება გაატარა, ახლა ხიდს გაღმა ეძინა. გათენებიდან ჯონასის გარეშე გაგრძელდებოდა აწყობილ-მოწესრიგებული, უფერო, უტკივილო, უწარსულო ცხოვრება, რომელსაც იგი დაბადებიდან იცნობდა და რომელშიც არასდროს არაფერი იყო მოულოდნელი, შეუფერებელი ან უჩვეულო.

სწრაფად დაატრიალა პედლები და გზას გაუყვა. უკან ყურებაში დროის ფლანგვა სახიფათო იყო. გაახსენდა, უკვე რამდენი წესი დაარღვია. იცოდა, თუ დაიჭერდნენ, ამის გამო სიკვდილი არ ასცდებოდა.

პირველი: ღამით დატოვა თავისი საბინადრო, რაც წესის დარღვევა იყო.

მეორე: მოიპარა თემის საკვები - ესეც დიდი დანაშაული იყო, მიუხედავად იმისა, რომ მხოლოდ კიბეზე გადასაყრელად დადებული ნარჩენები აიღო.

მესამე: მოიპარა მამის ველოსიპედი. წყვდიადში, ველოსიპედების სადგომთან, წუთით შეყოყმანდა. არაფერი უნდოდა მამისა და არც იმაში იყო დარწმუნებული, რომ ამხელა ველოსიპედს მოხერხებულად ატარებდა, მაგრამ სხვა გზა არ ჰქონდა - ამ ველოსიპედს უკან ბავშვის სავარძელი ჰქონდა.

ჯონასს კი გეიბრიელიც თან ჰყავდა.

***

უკნიდან გრძნობდა პატარა თავის რბილ მოჯახებას. სავარძელში ჩაკრულ გეიბრიელს ღრმად ეძინა. საბინადროდან გასვლის წინ ჯონსმა გეიბს ზურგზე დააწყო ხელები და თავის ხსოვნათა შორის ყველაზე დამამშვიდებელი ხსოვნა გადასცა: საღამოს, სანაპიროზე ტალღების რიტმული დგაფუნი და ნელა მოქანავე ჰამაკი პალმების ქვეშ. ხსოვნის გადაცემისას ჯონასი გრძნობდა, რომ გეიბს თანდათან უფრო ღრმად და მშვიდად ეძინებოდა. არც კი განძრეულა, როცა ჯონასმა საწოლიდან ამოიყვანა და ფრთხილად ჩააწვინა საგანგებო სავარძელში.

იცოდა: მას მხოლოდ რამდენიმე საათი ჰქონდა, მერე ჯონასის გაქცევას შეიტყობდნენ. ამიტომაც მიქროდა გამოზომილი სისწრაფით და ცდილობდა, არ დაღლილიყო. აღარ დარჩა დრო გამღებისგან ძალისა და სიმამაცის ხსოვნების მისაღებად. მიენდო იმას, რაც ჰქონდა, და იმედი ჰქონდა, რომ ეყოფოდა.

გარშემო უვლიდა სხვა თემებს და მათ ჩაბნელებულ საბინადრეობს. მანძილი თემებს შორის თანდათან გაიზარდა: გზის ცარიელი მონაკვეთები უფრო და უფრო დაგრძელდა. ფეხები ჯერ ასტკივდა, მერე, თანდათან, დაუბუჟდა.

გათენებისას გეიბრიელი ამოძრავდა. უკაცრიელ ადგილას იყვნენ. გზის ორივე მხარეს გადაშლილ მინდვრებში აქა-იქ ამოყრილ ხეთა კორომები მოჩანდა. ჯონასმა თვალი მოჰკრა ღელეს და დაღარულ, უსწორმასწორო მდელოს მისკენ გაუყვა. უკვე კარგად გამოღვიძებული გეიბრიელი ველოსიპედის ჯანჯღარზე გულიანად იცინოდა.

ჯონასმა ბავშვს ღვედები მოხსნა, ძირს ჩამოსვა და თვალი გააყოლა, როგორი სიხარულით აკვირდებოდა პატარა ფიჩხსა და ბალახს. ველოსიპედი გულდაგულ დამალა ხშირ ბუჩქნარში.

- საუზმე, გეიბრიელ! - ჯონასმა შეხვეული საჭმელი გახსნა და ორივემ ისაუზმა. მერე წამოღებული ჭიქა ღელის წყლით აავსო

და გეიბრიელს გაუწოდა. თვითონაც ხარბად დაეწაფა წყალს, ღელესთან ჩამოჯდა და ახალბავშვის თამაშს მიაჩერდა.

ჯონასს არაქათი გამოსცლოდა. იცოდა, უნდა დაეძინა, კუნთები დაესვენებინა და ველოსიპედით მრავალსაათიანი მგზავრობისთვის მომზადებულიყო. დღის სინათლეზე მოგზაურობა სახიფათო იყო.

მალე ძებნას დაუწყებდნენ.

ხეებს შორის მყუდრო ადგილი იპოვა, ახალბავშვი წამოიყვანა, დაწვა და გეიბრიელი მკლავებში მოიქცია. ბავშვი ხალისიანად ცქმუტავდა, თითქოს ჯონასს ეჭიდავებაო - ასე ხშირად თამაშობდნენ ხოლმე თავიანთ საბინადროში.

- მაპატიე, გეიბ, - უთხრა ჯონასმა, - ვიცი, რომ დილაა და შენ ახლა გაიღვიძე, მაგრამ მაინც უნდა დავიძინოთ.

პაწია სხეული გულში ჩაიკრა, ზურგი დაუზილა და დაუყვავა. მერე ხელები შემოხვია და ღრმა, კმაყოფილი დაქანცულობის ხსოვნა გადასცა. გეიბრიელმა თავი ჩაჰკიდა და მეორე წუთს ჯონასის მკერდზე ჩაეძინა.

ლტოლვილებმა პირველი სახიფათო დღე ერთად ძილში გაატარეს.

***

ყველაზე მეტად თვითმფრინავები სცემდა თავზარს. რამდენიმე დღე გავიდა, მაგრამ ჯონასს არ ახსოვდა - რამდენი. მოგზაურობას ერთი და იმავე განრიგით განაგრძობდნენ: დღისით ბუჩქებსა და ხეებქვეშ ეძინათ, წყალს ეძებდნენ, წამოღებულ საკვებს იზოგავდნენ და იმას უმატებდნენ, რასაც ჯონასი მინდორში პოულობდა; ღამით კი უსასრულო გზას მიუყვებოდნენ ველოსიპედით.

ფეხის კუნთები მკვრივი და მოქნილი გაუხდა. დაძინებისას სტკიოდა, თუმცა, ნავარჯიშები ფეხებით უფრო დიდხანს შეეძლო

პედლების ტრიალი. ზოგჯერ ჩერდებოდა, გეიბრიელი ჩამოჰყავდა და ცოტა ხანს ავარჯიშებდა: ერთად დარბოდნენ ჩაბნელებულ გზაზე ან მინდორზე და მერე, როცა ამ საოცრად მშვიდ ბავშვს სავარძელში აბამდა, თვითონ კი ველოსიპედზე ჯდებოდა, დაღლას თითქმის ვეღარ გრძნობდა.

და რაკი საკუთარი ძალის ამარა იყო დარჩენილი, აღარ დასჭირდა ის, რაც გამღებს უნდა გადაეცა, რომ დასცლოდათ.

მაგრამ თვითმფრინავები რომ წამოეწეოდნენ, ჯონასს სურვილი უჩნდებოდა, უფრო მამაცი ყოფილიყო.

იცოდა: საძიებო თვითმფრინავები იმდენად დაბლა დაფრინავდნენ, რომ მათი გუგუნი აღვიძებდა. ზოგჯერ კი, როდესაც ძრწოლით უთვალთვალებდა მათ რომელიმე სამალავიდან, პილოტთა სახეებსაც ხედავდა.

ისიც იცოდა, რომ ისინი ფერებს ვერ აღიქვამდნენ და რომ ჯონასის და გეიბის სხეულები ან პატარის ოქროსფერი კულულები მათ თვალში მხოლოდ ნაცრისფერი ნადღაბნი იყო უფერო ფოთლიანში. მაგრამ მეცნიერებისა და ტექნოლოგიის გაკვეთილებიდან ჯონასს ახსოვდა, რომ საძიებო თვითმფრინავები იყენებდნენ სითბოს მძებნელ მოწყობილობებს, რომლებითაც ბუჩქნარში შეყუჟულ ორ ადამიანსაც მიაგნებდნენ.

ამიტომაც ყოველთვის, როცა თვითმფრინავის ხმა ესმოდა, ჯონასი გეიბრიელს გადასწვდებოდა ხოლმე და თოვლის ხსოვნას გადასცემდა, ცოტაოდენს კი თავისთვის იტოვებდა. ასე ერთად ცივდებოდნენ, მერე კი, როცა თვითმფრინავები ქრებოდა, ცახცახებდნენ და კანკალებდნენ, სანამ კვლავ ძილში დაინთქმებოდნენ.

ზოგჯერ, როდესაც გეიბრიელს ხსოვნებს გადასცემდა, ჯონასი გრძნობდა, რომ ეს ხსოვნები უფრო ფუტურო იყო, უფრო სუსტი, ვიდრე მანამდე. ხდებოდა სწორედ ის, რისი იმედიც ჯონასს

ჰქონდა და რაც მან და გამღებმა დაგეგმეს: როდესაც თემს დაშორდებოდა, ხსოვნებს გაფანტავდა და ხალხს დაუტოვებდა. მაგრამ ახლა, როდესაც თვითმფრინავებთან გამკლავება იყო საჭირო, დიდი ძალისხმევით ცდილობდა, სიცივის ხსოვნები შეენარჩუნებინა და გადარჩენისთვის გამოეყენებინა.

თვითმფრინავები დღისით ჩნდებოდნენ, როცა ისინი იმალებოდნენ. თუმცა, გზაზე გასული ჯონასი ღამითაც გაფაციცებული აყურადებდა ძრავების ხმაურს. გეიბრიელიც კი უსმენდა და ზოგჯერ მანამდე შესძახებდა: - თვითმფრინავი! თვითმფრინავი! - სანამ ჯონასი გაიგონებდა თავზარდამცემ გუგუნს. თუ საჰაერო მაძებრები მაშინ გამოჩნდებოდნენ, როცა ისინი ველოსიპედით მიქროდნენ, ჯონასი უახლოეს ხესთან ან ბუჩქთან ჩერდებოდა, მიწას გაეკვრებოდა და საკუთარ თავსაც და გეიბრიელსაც აცივებდა.

ახლა, როდესაც ღამის სიბნელეში მიუყვებოდა უკაცრიელ ლანდშაფტებს, როცა თემები შორს დარჩნენ, ირგვლივ კი ადამიანთა დასახლების ნიშანწყალიც არ ჩანდა, ჯონასი გაფაციცებული იმახსოვრებდა უახლოეს სამალავს, თვითმფრინავის მოახლოების შემთხვევაში რომ გამოსდგომოდა.

მაგრამ გუგუნმა თანდათან იკლო, თვითმფრინავები იშვიათადღა ჩნდებოდნენ და როცა ჩნდებოდნენ, მაშინაც უფრო სწრაფად გადაიქროლებდნენ, თითქოს უკვე ალალბედზე და უიმედოდ ეძებდნენ მათ. ბოლოს კი მთელმა დღე-ღამემ გაიარა ისე, რომ აღარ გამოჩენილან.

22

ლანდშაფტი თანდათან იცვლებოდა. თავიდან ეს ცვლილება თითქმის შეუმჩნეველი იყო. გზა დავიწროვდა, უსწორმასწორო გახდა. როდესაც წინა ბორბალი ქვებზე და დაღარულ გზაზე

ხტოდა, ჯონასს ველოსიპედზე წონასწორობის შენარჩუნება უჭირდა.

ერთ ღამეს, როცა ველოსიპედი ქვას მიეჯახა და მოწყვეტით შეჩერდა, ჯონასი გადმოვარდა. იმავე წამს ინსტინქტურად ჩაბღუჯა გეიბრიელი, რომელსაც - სავარძელზე ღვედებით მიბმულს - არაფერი დაშავებია, მხოლოდ შეშინდა, ჯონასმა კი კოჭი იღრძო, გადაყვლეფილი მუხლებიდან გამოსულმა სისხლმა კი დაფლეთილ შარვალში გამოჟონა. ტკივილით წამოდგა, ველოსიპედიც წამოაყენა და გეიბი შეაგულიანა.

ახლა უკვე დღისითაც მიდიოდნენ, ოღონდ - ფრთხილად. მაძებრების აღარ ეშინოდა. ისინი თითქოს დაპატარავდნენ და წარსულში დარჩნენ. სამაგიეროდ, გაჩნდა ახალი საფრთხე - უცხო ლანდშაფტი და უცნობი, საიდუმლო მოულოდნელობები.

ხეები მომრავლდა, გზას ჩაყოლებული ტყეები ბნელი იყო და იდუმალებით მოცული. ნაკადულები უფრო ხშირად ხვდებოდათ და ისინიც ჩერდებოდნენ წყურვილის მოსაკლავად. ჯონასმა ფრთხილად ჩამოიბანა გასისხლიანებული მუხლები. თრთოდა გადატყავებული ადგილის ყოველ შეხებაზე. გასივებული კოჭის ტკივილი უნელდებოდა, როცა გზის პირას მოჩხრიალე ცივ წყალში ტოპავდა.

კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ გეიბრიელის უსაფრთხოება მთლიანად მის - ჯონასის - გაბედულებაზე ეკიდა. პირველად ნახეს ჩანჩქერი, ველური ბუნება.

- თვითმფრინავი! თვითმფრინავი! - იყვირა გეიბრიელმა და ჯონასიც სასწრაფოდ ამოეფარა ხეებს, თუმცა, უკვე დიდი ხანი იყო, თვითმფრინავები აღარ ენახა და აღარც ძრავის გუგუნი გაეგონა. ველოსიპედი ბუჩქნარში გააჩერა და გეიბს მიუბრუნდა. პატარა პუტკუნა ხელს ცისკენ იშვერდა. შეძრწუნებულმა ჯონასმაც ზემოთ აიხედა, მაგრამ თვითმფრინავი ვერ შენიშნა. სამაგიეროდ,

რაღაც უცხო და უცნაური დაინახა. ეს არსება არასოდეს ენახა, მაგრამ მაინც იცნო თავისი გაფერმკრთალებული ხსოვნებიდან, რადგან გამღებს ხშირად გადაუცია ფრინველის ხსოვნა.

მალე გზის გაყოლებაზე ძალიან მომრავლდნენ ფრინველები. თავზემოთ ტრიალებდნენ, ჟრიამულობდნენ. ჯონასმა და გეიბრიელმა ირემიც ნახეს. ერთხელ კი, გზის პირას, თვალი მოჰკრეს პატარა მოწითალო-მოყავისფრო, ფაფუკკუდიან არსებას, რომელიც ცნობისწადილით და უშიშრად მისჩერებოდათ. ჯონასმა სვლა შეანელა. ისინი ერთმანეთს მიაჩერდნენ და მანამდე იყვნენ ასე, სანამ ის არსება მიბრუნდა და ტყეში გაუჩინარდა.

ჯონასისთვის ეს ყველაფერი სიახლე იყო. ბიჭს გზის ყოველი მოსახვევის მიღმა ჩამალული მოულოდნელობა აკრთობდა. ისევ შეანელა ველოსიპედი, რათა ეთვალიერებინა მინდვრის ყვავილები, აღტაცებით ესმინა მოჟღურტულე ჩიტებისთვის ან, უბრალოდ, ეცქირა, როგორ არხევდა ნიავი ფოთლებს. თემში გატარებული თორმეტი წლის მანძილზე არასოდეს განუცდია ასეთი ბედნიერება.

თუმცა, ყველაფერთან ერთად, შიშიც ემატებოდა, ყველაზე დაუნდობელი კი მოახლოებული შიმშილის შიში იყო. ახლა, როდესაც უკან ჩამოიტოვეს დამუშავებული მინდვრები, საკვების შოვნა თითქმის შეუძლებელი გახდა. გამოელიათ კარტოფილის და სტაფილოს მწირი მარაგი, ბოლოს რომელიღაც ნაკვეთიდან რომ წამოიღეს და ახლა გამუდმებით შიოდათ.

ჯონასმა ღელესთან ჩაიმუხლა და თევზის დაჭერა სცადა, მაგრამ ამაოდ. იმედგაცრუებულმა, წყალში ქვები ჩაყარა, თუმცა, იცოდა, რომ ეს უსარგებლო იყო. ბოლოს, სასოწარკვეთილმა, გეიბრიელის ზეწარი მოღუნულ ჯოხზე დაამაგრა და ბადეს დაამსგავსა.

უამრავი მცდელობის შემდეგ ბადეში ორი თევზი ასხმარტალდა. ბასრპირიანი ქვით ჯონასმა თევზები თანაბარ ნაჭრებად

დაჭრა და ორივემ უმად მიირთვა. მერე კენკრაც იპოვეს, ჩიტის დაჭერაც სცადეს, მაგრამ ამაოდ.

ღამით გეიბრიელს მშვიდად ეძინა, ჯონასი კი შიმშილით გატანჯული იწვა და იხსენებდა თემში ცხოვრებას, როცა საკვები თავ-თავიანთ საბინადროებში უხვად მოსდიოდათ.

ხსოვნების მისუსტებული ძალით შეეცადა საკვების გამოხმობას და შეძლო მოკლე, მტანჯველი ფრაგმენტების აღდგენა: ბანკეტები, სადაც მაგიდებზე ეწყო შემწვარი ხორცის დიდი ნაჭრები; დაბადების დღის წვეულებები ტკბილი ტორტებით; ხეებიდან ჩამოკრეფილი მზით შემთბარი და წვეთებგამდინარი წვნიანი ხილი.

მაგრამ როდესაც ხსოვნის გამონათებები ჩაცხრა, ჯონასს გულ-მუცლის მღრღნელი, მტკივნეული სიცარიელე დაუტოვა. უცებ გაახსენდა დრო, როდესაც სიტყვის არასწორად გამოყენებისთვის დაისაჯა. ეს იყო სიტყვა „შიმშილი“. შენ არასოდეს გიშიმშილია და არც არასოდეს იშიმშილებო, უთხრეს.

ახლა შიმშილობდა. თემში რომ დარჩენილიყო, ეს არ დაემართებოდა. ერთხელ მოინდომა არჩევანის გაკეთება და ის მცდარი აღმოჩნდა. ახლა კი შიმშილობდა.

მაგრამ რომ დარჩენილიყო...

ჯონასი ისევ ფიქრობდა.

რომ დარჩენილიყო, მაინც იშიმშილებდა, ოღონდ სხვაგვარად - გრძნობების, ფერების, სიყვარულის გარეშე.

და გეიბი? ის ხომ ცოცხალი აღარ იქნებოდა. ასე რომ, სინამდვილეში, არჩევანი არც ყოფილა.

უჭმელობისგან დასუსტებულს ველოსიპედის ტარება ტანჯვად ექცა. მაგრამ იმავდროულად, გააცნობიერა, რომ ხედავდა ისეთ რამეს, რისი დანახვაც, დიდი ხანია, უნდოდა: ბორცვებს. ნაღრძობი კოჭი უფეთქავდა, როცა დიდი ძალისხმევით აწვებოდა პედალს.

ამინდიც იცვლებოდა. ორი დღე გადაბმულად წვიმდა. ჯონასს არასოდეს ენახა წვიმა, თუმცა, მოგონებების გადაცემისას ხშირად გამოეცადა. გამოეცადა და მოსწონდა კიდეც, შეხაროდა წვიმას, თუმცა, ეს სხვა წვიმა იყო. ორივე დასველდა, ორივეს შესცივდა. გაშრობაც გაუჭირდათ, მიუხედავად იმისა, რომ ხანდახან მზე გამოანათებდა.

მთელი ამ ხანგრძლივი მოგზაურობის მანძილზე გეიბრიელს არ უტირია, ახლა კი ატირდა. ატირდა, რადგან შიოდა, სციოდა და დაუძლურდა. ჯონასიც ტიროდა, მაგრამ შიმშილის, სიცივისა და დაღლილობის გარდა, მას სხვა მიზეზიც ჰქონდა - ეშინოდა, რომ გეიბრიელს ვერ გადაარჩენდა. თავისი თავი აღარ ედარდებოდა.

23

ჯონასი უფრო და უფრო რწმუნდებოდა, რომ მიზანი - სხვაგან - წინ ელოდა, ძალიან ახლოს - ალბათ, იმ ღამით მიაღწევდნენ კიდეც იქამდე. ამას არაფერი ადასტურებდა, წინ ვერაფერს ხედავდა, გარდა გზის დაუსრულებელი ზოლისა, მის წინ რომ მიიკლაკნებოდა ვიწრო ზიგზაგად. არც წინიდან ესმოდა რამე ხმა.

გრძნობდა, რომ სხვაგან შორს არ იყო, თუმცა, თანდათან ეჭვიც გაუძლიერდა - ვაითუ, ვერ მისულიყვნენ იქამდე, მით უფრო, რომ სახეში სუსხიანი ქარი სცემდა და რაღაც თეთრს ატრიალებდა.

თხელ ზეწარში გახვეული, მოკუნტული და აკანკალებული გეიბი ხმის ამოუღებლად იწვა თავის პატარა სავარძელში. დაქანცულმა ჯონასმა ველოსიპედი შეაჩერა, ბავშვი გადმოიყვანა და გულგახეთქილმა ხელით მოსინჯა. პატარა მთლად გაყინულიყო და დასუსტებულიყო.

ყინვიან ბორცვზე შემდგარ ჯონასს ფეხები დაჰბუჟებოდა. მან ტუნიკა გაიხსნა, ბავშვი შიშველ მკერდზე მიიკრა და დახეულგაურეცხავი ზეწრით შემოიკრა. გეიბი სუსტად შეტოკდა და წაისლუკუნა.

ამ ნივთიერებასავით დაბინდული და თითქმის დავიწყებული ხსოვნიდან ჯონასს ეს სითეთრე ამოუტივტივდა.

- ამას თოვლი ჰქვია, გეიბრიელ, - ჩასჩურჩულა ბავშვს, - ფიფქები, რომლებიც ციდან ცვივა და ძალიან ლამაზია.

გეიბს - უწინ ესოდენ ფხიზელსა და ცნობისმოყვარეს - ამჯერად ხმა არ ამოუღია. მწუხრის თეთრ სინათლეში ჯონასმა მკერდზე მოყრდნობილ პატარა თავს დახედა: გეიბრიელს კულულებიანი თმა აბურდოდა და გაზინზლოდა, ფერმკრთალ ლოყებზე კი შემშრალი ცრემლების ჭუჭყიანი ლაქები აჩნდა. თვალები დახუჭული ჰქონდა. როცა ჯონასი დაჰყურებდა, ერთი ფიფქი წამიერად ჩამოეკიდა პაწია მთრთოლარე წამწამებს.

დაქანცული ჯონასი ველოსიპედზე შეჯდა. წინ დამრეცი ბორცვი დალანდა. ამ აღმართზე ასვლა კარგ ამინდშიც კი ძნელი იქნებოდა, ახლა კი თოვლი ვიწრო გზას უფრო და უფრო აბნელებდა და სიარულს შეუძლებელს ხდიდა. ჯონასი დაბუჟებულ-გაშეშებული ფეხებით პედლებს აწვებოდა და წინა ბორბალი თითქოს ბრუნავდა, მაგრამ ველოსიპედი ადგილიდან არ იძვროდა.

ჯონასი გადმოვიდა და ველოსიპედი გზის პირას თოვლში დააგდო. ერთი წამით ისიც გაიფიქრა, რა კარგი იქნებოდა, ის და გეიბრიელიც რომ მიწოლილიყვნენ ამ ფაფუკ სითეთრეში და ღამის სიბნელეში ძილის მისცემოდნენ.

მაგრამ არა! მან ამხელა გზა გამოიარა და ახლაც ძალა უნდა მოეკრიბა, რომ გზა განეგრძო.

ხსოვნები უკან დარჩა, მან მოიშორა ისინი, რათა თემის ხალხისთვის დაებრუნებინა. ნეტავ, თუ დარჩა რომელიმე ხსოვნა?

იქნებ ცოტაოდენი სითბოს მოკრება მოეხერხებინა? გაღების ძალა კიდევ შერჩენოდა? ან გეიბრიელს თუ შეეძლო მიღება?

ხელები ზურგზე მიაჭირა და მზის ნათელის გახსენება სცადა. პირველ წამს არაფერი უგრძნია, თითქოს ძალა მთლიანად დაშრეტოდა. მერე უეცრად რაღაც გაკრთა და სითბოს პაწაწინა ენებმა ტერფებიდან ამოცოცება იწყეს. იგრძნო, როგორ შეუხურდა სახე, მკლავებისა და ხელების დაჭიმულ-გაციებული კანი კი მოუდუნდა. ერთი წამით გაუელვა, ამ სითბოს ჩემთვის დავიტოვებ, მზეში ვიბანავებ, ყველასა და ყველაფერს დავივიწყებო.

მაგრამ იმწუთასვე იგრძნო, რომ სითბო იმ პაწია არსებისთვის უნდა გაენაწილებინა, რომელიც მას სიყვარულისთვის დარჩენოდა. ტკივილამდე მისული ძალისხმევით, ჯონასმა სითბოს ხსოვნა მის მკლავებში აცახცახებულ სიფრიფანა სხეულში ჩაუშვა.

გეიბრიელი შეირხა. ერთი წამით ორივეს სითბო გადაევლო და თითქოს მომაგრდნენ. კარგა ხანს იწვნენ ასე ჩახუტებულები და თავზე ათოვდათ.

მერე ჯონასი ფეხით აუყვა ბორცვს.

ხსოვნა ძალიან ხანმოკლე აღმოჩნდა. მხოლოდ რამდენიმე იარდი გაიარეს და ორივეს ისევ სიცივე გაუჯდა.

თუმცა, ახლა ჯონასს გონება ფხიზლად უმუშავებდა. ასეთმა ხანმოკლე შეთბობამაც კი გაუქრო ლეთარგია და გადარჩენის ნება დაუბრუნა. უფრო სწრაფად აამოძრავა ფეხები, რომლებსაც თითქმის ვეღარ გრძნობდა. მაგრამ ბორცვი მეტისმეტად ციცაბო იყო. ჯონასს თოვლიც აფერხებდა და თავისი უილაჯობაც. კარგა შორს არ იყო წასული, როცა წაიბორძიკა და დაეცა.

წამოდგომა ვეღარ შეძლო და ახლა მუხლებზე სიარული სცადა. მისი ცნობიერება კიდევ ერთი თბილი ხსოვნის ხავსს ჩაეჭიდა და თავგანწირულად სცადა მისი შენარჩუნება, გაფართოება და გეიბრიელისთვის გადაცემა. ამ მეყსეულმა სითბომ მხნეობაც

შემატა, ძალაც და ფეხზე წამოაყენა. როცა აღმართს აუყვა, გეიბრიელი ისევ შეირხა მის მკერდთან.

მაგრამ ხსოვნა მიინავლა და ჯონასიც უწინდელზე უფრო გაცივდა.

ნეტავ მოესწრო და უფრო მეტი სითბო მიეღო გამღებისგან, სანამ თემიდან გამოიქცეოდა! შეიძლება აქამდე მეტი სითბო შემორჩენოდა. მაგრამ ამწუთას აზრი აღარ ჰქონდა ამ მარჩიელობას. ჯონასის მთელი ყურადღება იქით იყო მიმართული, რომ არ დაცემულიყო, წინ ევლო, არც თვითონ გაყინულიყო და არც გეიბრიელი გაეყინა.

ადიოდა, ჩერდებოდა, ხსოვნის პაწაწინა ნაგლეჯით ორივესთვის წუთიერ სითბოს იღებდა და გზას განაგრძობდა.

ბორცვის თხემი სადღაც გადაკარგულში მოჩანდა. ჯონასმა არც ის იცოდა, რა იყო მეორე მხარეს. მაგრამ სიარულის გარდა არაფერი დარჩენოდა და ისიც ზემოთ, სულ ზემოთ მიიწევდა.

როცა, ბოლოს და ბოლოს, ბორცვის თავს მიაღწია, რაღაც ახალი დაიწყო. არა, მეტი სითბო არ უგრძნია. პირიქით, მეტ სიცივეს გრძნობდა და სხეულიც უფრო უბუჟდებოდა. ტერფები ტყვიასავით დამძიმებოდა და გაყინულ, დაქანცულ ფეხებს ძლივსღა ადგამდა.

მაგრამ უეცრად ბედნიერების განცდა წამოეპარა. ბედნიერი დროების გახსენება დაიწყო. გაახსენდა მშობლები და დაიკო. გაახსენდა მეგობრები - აშერი და ფიონა. გაახსენდა გამღები.

უცებ სიხარულის ხსოვნები შემოეჯარა.

მიაღწია ადგილს, სადაც ბორცვი სწორდებოდა. ჯონასმა იგრძნო, რომ გზა გასწორდა. აღმართი დამთავრდა!

- თითქმის მივედით, გეიბრიელ! - დაიჩურჩულა ჯონასმა, თუმცა, არც კი იცოდა, რატომ იყო ასე დარწმუნებული, - მახსოვს ეს ადგილი, გეიბ!

და ეს ნამდვილად ასე იყო. თუმცა, მწირი და დამამძიმებელი ხსოვნა აღარ დასჭირვებია, არამედ რაღაც სხვა მოაგონდა, რაღაც ისეთი, რასაც შეინარჩუნებდა. ეს თავისი მოგონება იყო.

გეიბრიელი ჩაიხუტა და მარჯვედ დაზილა, გაათბო, თითქოს გამოაცოცხლა. სუსხიანი ქარი ძვალ-რბილში ატანდა. თოვლი ტრიალებდა და ხედვას უშლიდა, მაგრამ სადღაც წინ, ქარბუქის მიღმა, ჯონასს სითბო და სინათლე ეგულებოდა.

უკანასკნელი ძალა მოიკრიბა და თავის არსებაში ღრმად ჩამალული საგანგებო ცოდნით ჯონასმა იპოვა ციგა, რომელიც მათ ბორცვის თხემზე ელოდებოდა. დაბუჟებული ხელები თოვლში მოაფათურა და თოკი მოძებნა. მერე ციგაზე დაჯდა და გეიბი მაგრად ჩაიკრა გულში. ბორცვი ციცაბოდ ეშვებოდა, მაგრამ თოვლი იყო რბილი, ფხვიერი და ჯონასმა იცოდა, რომ ამჯერად არც ყინული ელოდა, არც გადმოვარდნა, არც ტკივილი. გაყინულ სხეულში გული იმედით აუჩქროლდა.

დაეშვნენ.

ჯონასი გრძნობდა, რომ ცნობიერებას კარგავდა, და მთელი არსებით მოინდომა, წელგამართული მჯდარიყო ციგაზე, სხეულზე საიმედოდ მიკრული გეიბრიელით, რომელსაც იცავდა და უფრთხილდებოდა. კავები თოვლს ჭრიდნენ, ქარი სახეში სცემდა. გზის გაუმრუდებლად მისრიალებდნენ ქვემოთ, თითქოს საბოლოო მიზნისკენ, რომელიც, ჯონასის რწმენით, ყოველთვის ელოდა მას. სხვაგან - მათი მომავალიც იყო და მათ წარსულიც.

თვალებს ძალა დაატანა და გაახილა: ქვემოთ ეშვებოდნენ, ქვემოთ მისრიალებდნენ... და უცებ დაინახა სინათლეები, რომლებიც ეცნო. იცოდა, რომ ეს სინათლეები ოთახების ფანჯრებიდან გამოდიოდა. წითელი, ლურჯი, ყვითელი სინათლეები ციმციმებდნენ იმ ადგილებში, სადაც ოჯახები ქმნიდნენ და ინახავდნენ ხსოვნებს, ზეიმობდნენ სიყვარულს.

ქვემოთ, ქვემოთ, უფრო და უფრო სწრაფად.

უცებ ჯონასმა გააცნობიერა - ეჭვმიუტანლად და სიხარულით - რომ წინ, ქვემოთ, მასაც ელოდნენ და ბავშვსაც. პირველად გაიგონა რაღაც უცნაური და მუსიკა ამოიცნო. ჯონასმა ადამიანების სიმღერა გაიგონა.

მოულოდნელად თითქოს ზურგს უკანაც მოესმა მუსიკა, იქიდან, საიდანაც წამოვიდა - დროისა და სივრცის გადაღმიდან, მაგრამ ეს, შეიძლება, მხოლოდ ექო იყო. სხვა არაფერი.

სერიის მომდევნო წიგნები

Gathering Blue

Messenger

Son